კვირის პალიტრა

ალია

1168
2007

N46 (388) 15/XI-21/XI.2007 ფასი 80 თეთრი

ინგა გრიგოლიას რეაქცია

„იმედის“ უიმედო ქრონიკა

სტრესი, რომელიც „დროების“ ჟურნალისტმა და მისმა 5-შვილიანმა ოჯახმა მიიღეს

გამოვიდა! დიდი სამაგიდო ენციკლოპედია გამოვიდა!

თბილისელი „ბომჟის“ აღსარება

„კაცი, ვისგანაც არაყს ვყიდულობ ოპერაში მღერიდა“...

„...მე დღეს, სამწუხაროდ, ომის სუნი მცემს!..“

ყოფილი ტელეჟურნალისტისა და ფსიქოლოგის

ISSN 1987 - 5029

საბა ◻ SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info @ saba.ge (+995 32) 38 44 54

ДРОША ДАЙДЖEСТ
ЗЕА
№46 (388)
15-21 ნოემბერი, 2007 წ.
ფასი 80 თეთრი



თუ ცაში ვარსკვლავი ვერ გახდები, ცახლში ნათელა მაინც ლაკვი

რჩევა, რომელიც გამომადგა

რეპორტი 2

ბრალეული თანხანი
39-70

■ მინიატურები
პოლიტიკური ქარბორბალა საქართველოში ანუ ვინ გახდება ახალი მამა-მარჩენალი 5
■ რეაქცია
✓ ინგა გრიგოლიას რეაქცია 6
✓ „არ ვარ ვალდებული, ვიცოდე, ვინ ჯაშუშია და ვინ — აგენტი“ 7
✓ „ვერსიები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია... ძალიან დავიბენი“ 7
■ არჩევანი
✓ „ბევრი პარტია და ლიდერია, რომელსაც საკაკაშვილთან შერკინება სურს“... 8
■ მასმედია
რა განიცადა 7 ნოემბერს „დროების“ ჟურნალისტმა და მისმა 5-შვილიანმა ოჯახმა 10
■ ჟურნალისტის როლში
ყოფილი ტელეჟურნალისტისა და ფსიქოლოგის პროგნოზები 12
■ პროგნოზები
...თუ სასწაული მოხდა და საკაკაშვილი მეორე ტურში ვერ გავიდა“... 16
■ დაიჯესტი 18
■ აღსარება
შეურიგებელი ანა (გაგრძელება) 20
■ ერუდიტი
ინტელექტუალურ ჯაპანას წიგნის კითხვა ძალით შეაყვარეს 22
■ ადამიანი
თბილისელი „ბომჟის“ ცხოვრება 24
■ ჩემი ცხოვრების გზა
კაფიებით ალაპარაკებული „კომუნისტური“ საქართველო 26
■ შეუცნობელი
„როგორც ჩანს, ჩვენთვის ნაადრევია ასეთ ცოდნასთან ზიარება...“ 28
■ ანტიდეპრესანტი 30

კაფიებით ალაპარაკებული საქართველო

„დავიქეი და 72 წლის ბებერმა კაცმა, მოვამზადე ლექსების ახალი წიგნი. ეს სრულიად ახალი ლექსებია და ზოგიერთი მართლა მომწონს: აი, გეტყვით, მაგალითად:

„ჩვენ არყოფნიდან მოვედით / და ვნახეთ, ყოფნა რა არი, / აბრი ამქვეყნად ყოფნისა / თითქოს არი და არც არი. / წინ — წყალი, უკან მეწყერი, / ცეცხლი და ბოლოს ნაცარი, /ბედნიერებას ვეძებდით, / მაგრამ ვერ ვპოვეთ მარცვალი. / სიკვდილი დედა ყოფილა, / სიცოცხლე — დედინაცვალი“.

26

პანჩოს თინეიჯერის დახმარება სურს

„საკუთარ თავზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს... თანატოლებისგან განვსხვავდებოდი ჩაცმის სტილით იმიტომ, რომ მაშინ, მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ წასვლა ადვილი არ იყო, მაგრამ ჩემი მშობლები ამას როგორღაც ახერხებდნენ და რა თქმა უნდა, იქიდან ჩემთვის სამოსი ჩამოჰქონდათ...“

32

შეურიგებელი ანა

— ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი ხდება, — შეუსწორა ანამ, — გაგვიმარჯოს!..

–ვერ იტყვის, რომ სურვილმა გააგიჟა და ამიტომ დათანხმდა ყველაფერზე. უფრო, გიგის ჯიბრზე და მასზე შურისძიების მიზნით აჰყვა დათოს ალერსს... ბიჭი საკმაოდ დახელოვნებული დონჟუანი აღმოჩნდა — ისე გახადა განსაცმელი, აბრზე მოსვლაც ვერ მოასწრო და იქვე, გრძელ მაგიდაზე შემოსვა...

20

■ ᲙᲝᲚᲘᲡᲔᲑᲘ

50 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲐᲜᲣ ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲕᲘᲚᲝ ᲥᲝᲠᲥᲝᲚᲘᲐᲜᲘ, ᲒᲐᲛᲭᲠᲘᲐᲮᲘ ᲒᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ... 30

■ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲩᲔᲑᲘ

✓ ᲞᲐᲜᲩᲩᲝᲡ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ 32

✓ „ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲖᲜᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲘᲐᲦᲬᲔᲕ!“ 33

■ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ 95 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ... 36

■ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲕᲘᲬᲔᲕᲡ ᲢᲔᲛᲞᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ? 37

■ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ 39-70

■ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ

„ᲐᲛ ᲦᲕᲘᲜᲝᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲓᲔᲕᲡ“... 71

■ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ

ᲠᲐᲛ ᲨᲔᲐᲨᲤᲝᲗᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ 72

■ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲖᲐᲖᲐ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ. ᲛᲒᲙᲕᲐᲠᲜᲐᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 74

■ ᲢᲐᲘᲛ-ᲐᲣᲢ 78

■ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

✓ ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲠᲘᲒᲘᲓᲣᲚᲝᲑᲐ 80

✓ ᲛᲐᲠᲐᲦᲘᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲗ 81

■ ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ

ᲒᲝᲩᲐ ᲛᲐᲜᲕᲔᲚᲘᲫᲔ. ᲛᲒᲚᲔᲑᲘ 4 (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 82

■ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ

✓ ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲢᲐᲜᲯᲐᲕᲡ 86

✓ ᲙᲘᲐᲜᲣ ᲠᲘᲕᲖᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲘᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ 87

✓ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲘᲝᲡᲘ — ᲥᲘᲖᲔᲚ ᲑᲘᲣᲜᲓᲘᲔᲜᲘ 87

■ ᲡᲐᲞᲐᲒᲐᲠᲫᲚᲝ

✓ „ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲠᲫᲚᲝᲓ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲮᲐᲠ“... 89

■ ᲑᲔᲚᲐᲓᲘ

ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 90

■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ

✓ ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲡᲚᲘ 27 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲡᲐᲯᲔᲡ 92

✓ „ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲪ ᲪᲘᲕᲡᲘᲡᲬᲚᲘᲐᲜ ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲦᲕᲘᲠᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲑᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ...“ 93

■ ᲛᲐᲓᲚᲘ

✓ ᲡᲛᲔᲜᲐᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ 95

■ ᲛᲦᲕᲔᲚᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ

ᲠᲐᲡ ᲡᲜᲔᲠᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲡ 98

■ ᲐᲕᲢᲝ 102

■ ᲢᲔᲡᲢᲘ 103

■ ᲡᲙᲐᲜᲓᲝᲠᲓᲘ 104

■ ᲞᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ 105

■ ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲞᲘ 106

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ: ᲘᲠᲛᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲚᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲯᲔᲠ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ
ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲓᲔᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ: ᲚᲐᲚᲐ ᲤᲐᲪᲘᲐ, ᲚᲘᲙᲐ ᲭᲥᲕᲐᲠᲐ

ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: ᲛᲐᲗᲔ ᲙᲑᲘᲚᲐᲫᲔ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ Ქ. №49
ᲢᲔᲚ.: 38-84-44, ᲤᲐᲥᲡᲘ: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ „ᲒᲖᲐᲨᲘ“: 37-78-07; 38-78-70.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲠᲘᲒᲘᲓᲣᲚᲝᲑᲐ

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲛᲘᲡ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ, ᲣᲛᲔᲪᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲐ. ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲐᲥᲪᲔᲜᲢᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲐᲥᲢᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲥᲕᲡ...

80

„ᲓᲔᲓᲐᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲠᲫᲚᲝᲓ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲮᲐᲠ“...

„ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲦᲚᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲘ. ᲩᲔᲛᲡ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲔᲢᲧᲕᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲩᲔᲛᲡ ᲜᲐᲮᲕᲐᲡ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲔᲬᲝᲜᲔᲑᲘ. ᲛᲔᲢᲘ ᲠᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ?! ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲣᲠ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲐᲓ ᲗᲣ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲘᲗᲕᲚᲘ, ᲒᲔᲒᲧᲕᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲕᲐᲠ.

89

ᲛᲐᲘᲙᲚ ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲢᲐᲜᲯᲐᲕᲡ

ᲯᲔᲥᲡᲝᲜᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲩᲥᲔᲤᲐᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲩᲐᲨᲑᲐᲠᲓᲐ. ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲘᲠᲗᲝᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲢᲐᲜᲯᲐᲕᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲙᲔᲠᲞᲘ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲠᲐᲣᲜᲘ ᲮᲛᲝᲛ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔ ᲛᲝᲙᲕᲓᲐ!

86

— ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲐᲜ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲩᲣᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲡ.

— ᲘᲛᲘᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲙᲚᲐ?! ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲕᲐ. ᲮᲣᲗᲘ ᲧᲣᲗᲘᲐ ᲓᲐᲐᲮᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲗᲐᲕᲨᲘ!

— ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲧᲣᲗᲘᲐᲡ, ᲝᲠᲘ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲩᲣᲛᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ, ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲫᲔᲑᲠᲝ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲛᲘᲐᲒᲜᲔᲑᲓᲐ.

82

პოლიტიკური ქარბორბალა საქართველოში

ანუ ვინ გახდება ახალი მამა-მარჩენალი

რაც ამ დღეებში საქართველოში დატრიალდა, ქარბორბალა, მიწისძვრა, ცუნამი, ზვავი და მეწყერიც ერთად აღებული უფრო შეეფერება სახელად, მაგრამ მხოლოდ „ქარბორბალათი" შემოვიფარგლე, რადგან ამბობენ, ტელეფონები ისმინებაო და ვინ იცის, იქნებ, ჟურნალებსაც კითხულობს ვინმე „ზემოთ"!..

მოკლედ, არ დაჰკლებია მრავლისმნახველ „რუსთაველს" „წყლის აბაზანები" და „დაჭრილი ხახვის ცრემლი", ხელკეტი და წიხლი. მერე გამოცხადდა საგანგებო ვითარება და დაწყნარდა ვითარება. ნუ დაწყნარდები, თუ კაი ბიჭი ხარ, ვის აქვს ორი თავი?! და კიდეც, რომ გქონდეს, მით უარესი შენთვის, რადგან ორი თავი ოთხ ჩალურჯებულ თვალს და 64 ჩალეწილ კბილს ნიშნავს. ახლა ისეთი სიმშვიდეა ქვეყანაში, რომ აღარც „წადის" ყვირის ვინმე და აღარც — „მოდის"...



თუმცა, რატომ? თვითონ პრეზიდენტმა თქვა, წავალო და შემოდგომის ნაცვლად გაზაფხულისთვის რომ იკლავდნენ თავს, აგერ იანვარში დანიშნა საპრეზიდენტო არჩევნები. რა ქნას კაცმა მეტი, გეკითხები?! ნუ მისცემ ხმას და წასული არ იქნება?! თუ არჩევნებმა იგივე პრეზიდენტი დატოვა, ე.ი. არ განდომებია მისი წასვლა და ვის უთევდი ღამეებს იმ წვიმაში?!

არჩევანის საშუალება არ მაქვსო, ვერ იტყვის ამომრჩეველი, რადგან არჩევნების დანიშვნის ბრძანებაზე მელანი არ იყო გამშრალი (სიცივეში გვიან შრება), რომ ოთხი კანდიდატი უკვე ოფიციალურად გამოცხადდა. ამას, რა თქმა უნდა, ის კანდიდატებიც დაემატებიან, ყველა არჩევნებში რომ „წერიან" ბიულეტენში, იქნება, ვინმეს შეცდომით ხელი წაუცდესო და რა გინდა მეტი, სულო და გულო, დატკბი მათი დაპირებებით.

გაერთიანებული ოპოზიციის გაერთიანებას პირველი ბზარი უკვე გაუჩნდა და პარლამენტის წინ ხელებაწეულ ლიდერთა ჯაჭვს ერთი მნიშვნელოვანი რგოლი უკვე გამოაკლდა, ლეიბორისტული პარტიის სახით. აბა, რა, ეგლა აკლია ბატონ შალვას, სხვისი პრეზიდენტობისთვის იბრძოლოს, როცა იუმორნარევი ლოზუნგებიც უვარგა, ჰოლივუდის ღიმილიც და „შარვალკასტუმიც" ისეთი აქვს, რომ კანცელარიაში კი არა, სტრასბურგშიც კი ჩაიცვამს კაცი. რით ვერ იქნება პრეზიდენტი?! მართალია, სხვა უცხო ენებში კი არა, ცოტათი რუსულშიც კი მოიკოჭლებს, მაგრამ რა პრობლემაა, ახლანდელ პრეზიდენტს აიყვანს თარჯიმნად და ის თარგმნის ყველაფერს, ნებისმიერ ენაზე. მაგრამ ხომ შეიძლება, ახლანდელმა პრეზიდენტმა მომავალი პრეზიდენტის სიტყვები კი არა, საკუთარი აზრები თარგმნოს და ფაქტობრივად, მაინც თვითონ იყოს პრეზიდენტი?! მაგრამ არც ეგაა კატასტროფა, რაც მთავარია, ბატონი შალვა ხომ იქნება გახარებული!..

რაც შეეხება „მრეწველებსა" და „მემარჯვენეებს", რა თქმა უნდა, პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი ჰყავთ და არ უნდა იყოს ურიგო აზრი: ბოლო-ბოლო, ექიმიცაა, მეწარმეც, ლიდერიც და პრეზიდენტიც თვითონ იქნება, ჯანდაცვის მინისტრიცა და ეკონომიკის მინისტრიც. ორი მინისტრის ხელფასის დაზოგვას ეხუმრებით თქვენ?!

გაერთიანებულმა ოპოზიციამ კი უკვე გადააკომპლექტა სამომავლო სამთავრობო გუნდი და პრეზიდენტობის კანდიდატად ამ ექიმ-მრეწველ-ლიდერის ყოფილი მარჯვენა ხელი, წარსულში დიდი ბიზნესმენი, ახლა პარლამენტის „არაპარლამენტარი წევრი", ცნობილი უცნობი მომღერლის ძმა, ბატონი ლევანი წამოაყენეს. ისე, ამ ბოლო პერიოდში ამ კაცს ხშირად მოუწია წამოყენებამ: ჯერ პარლამენტის წინ, საშიმშილოდ იწვა და ძალად წამოაყენეს, მერე მსუბუქად იცემა და ხელის შეშველებით წამოაყენეს, ახლა პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენეს და ცხადია, მოქმედი პრეზიდენტისთვის ყველაზე სერიოზული კონკურენტი სწორედ ეგ იქნება.

თუმცა, როგორც ჩვენს ქვეყანაში სჩვევიათ, საკუთარი თეთრი პიარი ოპონენტების შავი პიარით უფრო კეთდება და უკვე არ დააყოვნა ცინიზმმა — აირჩიოს ხალხმა, ვინ უნდა მთავრობად, ბატონი მიხეილი თუ გრეჩიხა, დელფინა, პადოშა და შალიკოებიო... ისიც იწინასწარმეტყველეს, მაგათ უკან ისევ ის თეთრულვაშა მილიონერი დგას, ამ მიტინგებს რომ აფინანსებდაო... ჯერ ერთი, იმ მიტინგს რა ეტყობოდა დაფინანსებულის, „სემიჩკაზე და პაკრიშკის ოტკაზე" გადადიოდა საწყალი ხალხი, და მეორეც — მაგ ჭკუაზე არის თეთრულვაშა მილიონერი, ტყუილად ჩაყაროს ფული რამეში. თოვლის ბაბუა კი არაა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ, 5 იანვრის არჩევნების შედეგად, მართლაც თოვლის ბაბუად მოევლინოს საქართველოს ერთი ხუთი წლით. მოკლედ, ყველაზე საინტერესო ანი იწყება და ვნახოთ...

P.S. პოლიტიკა სოფლის ბირჟაზე:

— ხომ არ იცი, რატომ დანიშნა პრეზიდენტმა არჩევნები 5 იანვარს?

— მაგას რა ცოდნა უნდა, შობა-ახალწლის დღეებია, მთელი საქართველო „პახმელიაზე" იქნება და ხომ იცი, კაცი „პახმელიაზე" კარგად ვერ აზროვნებს...

პროკოკატორი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, „იმედის“ ტელეჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ მედიის სხვადასხვა გამოცემას არაერთი ინტერვიუ მისცა, მაგრამ მასთან შეკითხვები ჩვენც გაგვიჩნდა და დროებით უმუშევარ კოლეგას ტელეფონით დავუკავშირდით.

„მე ჟურნალისტი ვარ და ისე გავაკეთებ, რომ კიდევ მომეცეს კითხვების დასმის საშუალება“

როგორია ინგა გრიგოლიას რეაქცია

ნათია ქინქიძე

— ინგა, როგორ გრძნობ თავს? მილეული სტრესის შემდეგ, სულის მოთქმა თუ მოახერხე?..

— უკვე ნორმალურად ვარ. მდგომარეობიდან ნამდვილად გამოვედი. ვცდილობ, რომ ბოლოდროინდელი მოვლენებით განცდილ ემოციებს არ ავყვე. არ მინდა, ჩემი ჟურნალისტური ცხოვრება, ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა, 7 ნოემბერს გადაჰყვეს. მე ვარ ჟურნალისტი და, რა თქმა უნდა, მორალური იმუნიტეტიც სხვა ადამიანებზე მეტად მაქვს გამომუშავებული.

— მას შემდეგ, რაც პირდაპირ ეთერში მუშაობა აღარ გიწევს, რითი ხარ დაკავებული?

— არა მგონია, ეს მკითხველისთვის საინტერესო იყოს. ტელევიზორს არ ვუყურებ, რადგან „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ბრეუნევის დროინდელ ტელევიზიას მაგონებს. არადა, ამ არხს დიდი შანსი ჰქონდა, რომ ხალხის ნდობა მოეპოვებინა: იმის გამო, რომ ამ დღეებში ყველა არხი გამორთულია, მას შეეძლო, საკუთარი რეიტინგი საკმაოდ აემაღლებინა, მაგრამ ასე არ მოიქცა. ვოცნებობ, რომ ისინი რამენაირად, ამ ბრეუნევის დროინდელი სტაგნაციიდან გამოვიდნენ... ალბათ დაუჯერებელია, მაგრამ ბოლო რამდენიმე დღეა, ტელევიზორი საერთოდ არ ჩამირთავს. წარმოუდგენელ ინფორმაციულ ვაკუუმში ვცხოვრობ. მხოლოდ ინტერნეტში განთავსებული მასალების წაკითხვით ვიფარგლები.

— კოლეგებს თუ ეკონტაქტები და რამდენად იმედიანი განწყობილება გაქვთ?

— რა თქმა უნდა, ყველა ჩემს კოლეგას ვეკონტაქტები. უფრო მეტსაც გეტყვით, გამუდმებით ვფიქრობ იმაზე, თუ რა იქნება ხვალ-ზეგ და გავა თუ არა ეთერში საერთოდ, „იმედი“. ნინო ბურჯანაძემ საინტერესო განცხადება გააკეთა: 16 ნოემბერს საგანგებო მდგომარეობა გაუქმდებაო, მაგრამ ქალბატონ ბურჯანაძეს ისევ არაფერი უთქვამს „იმედის“ ამუშავების თაობაზე. შესაბამისად, არ ვიცი, რამდენად იმედიანად შეიძლება, რომ ვიყო. მე ვარ ჟურნალისტი და ვეცდები, რამენაირად, ეს კითხვები, რომლებიც ამასთან დაკავშირებით არსებობს, ოდესმე დავსვა და მათზე პასუხებიც მივიღო.

— თუ გაქვს რაიმე სახის ინფორმაცია „იმედის“ მაუწყებლობის განახლებასთან დაკავშირებით?

— ყველამ იცით, რომ ჩვეულებრივი, რიგითი ჟურნალისტი ვარ. ამიტომ მე ამ მოლაპარაკებებში ჩართული ნამდვილად არ ვარ. „იმედის“ ხელმძღვანელებს რამდენიმე შეხვედრა ჰქონდათ და ისინი იმედიანად არიან. ვნახოთ, რა იქნება. ერთადერთი, რაც ნინო ბურჯანაძის გამოსვლისას ვიგრძენი, ის არის, რომ „იმედი“ საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაც არ გავა ეთერში.

— საერთოდ, როგორია შენი რეაქცია ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებზე — საპრეზიდენტო არჩევნების 5 იანვრისთვის დანიშვნას და წამოყენებულ შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატებს ვგულისხმობ...

— პოლიტიკოსი არა ვარ და არ მინდა, ამ საკითხზე ჟურნალის ფურცლებიდან ვილაპარაკო. მე ჟურნალისტი ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კიდევ მომეცეს შეკითხვების დასმის საშუალება. მხოლოდ ერთს ვიტყვი: რატომ არ შეეძლო პრეზიდენტს, რომ საარჩევნო ვადა მანამდე გადმოეწია, ვიდრე ხალხს დაარბევდნენ? ეს ყველაფერი ხომ განმუხტავდა სიტუაციას! ეს ის მთავარი შეკითხვაა, რომელიც, სხვებთან ერთად, მეც მაქვს. ეს ყველაფერი სააკაშვილს 6 ნოემბერს რომ გაეკეთებინა, 7 ნოემბერი ხომ არ იქნებოდა! გულწრფელად გეტყვით, რომ ოპოზიციამაც გამაკვირვა. აღმოჩნდა, რომ მათი მხრიდან საარჩევნო კამპანიაში რამდენიმე კაცი წარმოჩინდა. ეს ალბათ, ტიპური ქართული სინდრომია — ანუ ოპოზიციონერებმა, რომლებსაც უზარმაზარი შანსი ჰქონდათ, უეცრად გადაწყვიტეს, რომ შალვა ნათელაშვილის კანდიდატურა ცალკე დაეყენებინათ, დავით გამყრელიძის — ცალკე და გაერთიანებული ოპოზიციის კიდევ — ცალკე. მათ შეეძლოთ, რომ მართლა ერთიანი კანდიდატურა ჰყოლოდათ, რითიც მათ ბრძოლას კიდევ უფრო მეტი აზრი ექნებოდა. ახლა კი, ყველაფერი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა, რადგან ხალხში ძალზე ცუდი განწყობილებაა. არა მგონია, სააკაშვილისთვის ადვილი იყოს ამ არჩევნების მოგება, მაგრამ ოპოზიციის ეს დაქსაქსული ხმები ჩემთვის დიდ კითხვის ნიშანს აჩენს. რატომ — შალვა ნათელაშვილი?.. ისინი ხომ მიტინგის დღეებში ერთად იყვნენ!.. ვფიქრობ, ალბათ, ნათელაშვილი ბოლო წუთში თავის კანდიდატურას მაინც მოხსნის და მხარს გაერთიანებულ ოპოზიციას დაუჭერს. თუმცა, იმასაც ვფიქრობდი, რომ სააკაშვილი 2 ნოემბრის მიტინგზე მივიდოდა, მაგრამ შევცდი. ასე რომ, ჩემს პროგნოზებს დიდად ნუ ენდობით.

— რომელიმე ტელეკომპანიიდან ხომ არ გქონია შემოთავაზება სამსახურის დაწყების თაობაზე?

— არა. ეგ ხომ ანეკდოტია!.. უბრალოდ, სატელევიზიო სფეროში მყავს მეგობრები, რომლებთან ერთადაც, სამომავლო გეგმებზე ვმსჯელობ. თუმცა, გულახდილად გეტყვი — თუკი მივხვდები, რომ „იმედი“ ეთერში ვერ გადის და რაიმე შანსი მექნება, რომ სხვა ტელეკომპანიაში რაიმე გადაცემა გავაკეთო, ამაზე უარს არ ვიტყვი. ეჭვი მეპარება, რომელიმე ტელეკომპანიამ ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვას, მაგრამ თუკი რომელიმე ტელევიზია ამას შემომთავაზებს, დავთანხმდები, რადგან წინაალმდეგ შემთხვევაში, ჩემში დაგროვილ შეკითხვებსაც ვეღარასოდეს დავსვამ... ■

„არ ვარ ვალდებული, ვიცოდე, ვინ ჯაშუშია და ვინ – აგენტი“

მისთვის წაყენებული ბრალდებების მიუხედავად, პარტია „თავისუფლების“ ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ, სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს, სულელურ კომპრომატს უწოდებს. ის ცოტნე გამსახურდიასთან ტელეფონით საუბრის ფაქტს არ უარყოფს და უკვირს, რომ მავანნი ჯერ საკუთარ ძმასთან გულგრილი დამოკიდებულების გამო ძრახავდნენ, ახლა კი მასთან კონტაქტს დანაშაულად უთვლიან.

— ბატონო კონსტანტინე, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ჩანაწერების მიხედვით, მართლაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენი ძმა, ცოტნე გამსახურდია ხელისუფლების დამხობისკენ მოგიწოდებდათ. ამის შესახებ რას იტყვით?

— იმ პერიოდში, ასეთი მოწოდებები ძალზე ხშირად გაისმოდა ჩვეულებრივი მოქალაქეების მხრიდან. ბევრს უკვირდა, რატომ არ შევდიოდით პარლამენტსა და კანცელარიაში, როდესაც ჩვენს ზურგს უკან მხარდამჭერთა ასიათასკაციანი არმია იდგა. არც ის არის გასაკვირი, რომ ცოტნე ხშირად მირეკავდა (ვინც არ იცის, შევახსენებ, რომ ის ჩემი ძმაა...) და არც ის, რომ მან თქვა ის, რასაც ყოველი მეორე ქართველი ამბობდა და რისკენაც მოგვიწოდებდა. ცოტნე არ არის საჯარო პირი, არც სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობს და არც პოლიტიკოსია. ის კერძო პირია და საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება აქვს.

— რუს დიპლომატთან შეხვედრის თაობაზე რას იტყვით?

— არ დაგავიწყდეთ, რომ მე ვიძიებ მამაჩემის, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ამბავს, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას საერთოდ, არ აინტერესებს. რუს დიპლომატს ზუსტად ამ საკითხზე სასაუბროდ შევხვდი. საიდან უნდა მცოდნოდა, ეს პიროვნება რეალურად, რას წარმოადგენდა?! მე არ ვარ ვალდებული, ვიცოდე, ვინ ჯაშუშია და ვინ — აგენტი, ეს ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს და ჩვენც საქმის კურსში ჩაგვაყენოს.

— ასევე საინტერესოა თქვენი კომენტარი იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ თქვენმა უმცროსმა ძმამ, გიორგი გამსახურდიამ თქვენი და ცოტნეს მისამართით საკმაოდ კრიტიკული განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ ის ცოტნეს „იდეურ რლვევებს“ ამჩნევდა.

— ამ განცხადების გაკეთება მისი ნება იყო, მე ვერაფერს ვიტყვი.

— სატელეფონო ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ, გიორგი გამსახურდია თუ დაგიკავშირდათ?

— არა.

— ხელისუფლების მხრიდან თქვენზე ზეწოლის ფაქტები ხომ არ განხორციელებულა?

— როგორ არ განხორციელებულა?! ჯაშუშობასა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას მაბრალებენ! ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლება რეპრესიებისთვის ემზადება. რეპრესიების დაწყება მისთვის ერთადერთი ინსტრუმენტია, ვინაიდან ჩვენთან სალაპარაკოდ, ვერანაირი სხვა საშუალება ვერ გამონახა.

— თქვენც ხომ არ გაქვთ ხელისფლების საწინააღმდეგოდ რაიმე კონტრარგუმენტი?

— კონტრარგუმენტი თავზე საყრელად გვაქვს, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ამას რა აზრი აქვს?.. ■

„ვერსიები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია... ძალიან დავიბენი“

მშვიდობიანი აქციის დარბევის შემდეგ მთელი კვირა გავიდა, მაგრამ საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობია, თუ რა ბედი ეწიათ მიტინგის იმ მონაწილეებს, რომლებიც 7 ნოემბერს სამართალდამცველებმა დააკავეს. მათ შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძეც. მას არც ამ კითხვაზე აქვს პასუხი — ჰქონდათ თუ არა სპეცრაზმელებსა და პოლიციელებს, გაქცეული მომიტინგეებისა და ჟურნალისტების ცემის უფლება, თუმცა აღშფოთებულია იმის გამო, რომ ომბუდსმენსაც ფიზიკურად შეეხნენ.

— მე ძალიან მიჭირს, კომენტარი გავაკეთო მომიტინგეების დარბევასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ ზუსტად იმ დღეს გერმანიაში გახლდით; როდესაც ჩამოვედი, უკვე ყველაფერი დასრულებული იყო.

— არსებობს ფოტოსურათები და ვიდეომასალა, სადაც სპეცრაზმელებისა და პოლიციელების ძალადობა დეტალურად არის აღწერილი...

— სურათები და ვიდეომასალა არ მინახავს. მართალია, მომხდარის შესახებ კოლეგები და მეგობრები რაღაც-რაღაცებს მიყვებიან, მაგრამ მათი ვერსიები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულია, ამის გამო, ძალიან დავიბენი და ვეღარ გავიგე, რა არის სიმართლე. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცი, ის გახლავთ, რომ სოზარ სუბარზე ფიზიკური ზემოქმედება განხორციელდა. ჩვენს კანონში გვიწერია, რომ სახალხო დამცველზე ხელის აღმართვის უფლება არავის აქვს. ჩემი აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აუცილებლად უნდა გამოიძიოს ეს საქმე და ნახოს ის პიროვნება, რომელმაც ომბუდსმენი გალახა.

— იმ ადამიანებზე რას იტყვით, რომლებიც მიტინგის დარბევისას დააკავეს და დღემდე პატიმრობაში იმყოფებიან? მათი უფლებები ვინ უნდა დაიცვას?

— არც ერთ მათგანს ჩემთვის არ მოუმართავს და როგორ გავარკვიო მათი მდგომარეობა?.. თუ ამ ადამიანების უფლებები მართლაც, დაირღვა, მათი ახლობლები ხომ მაინც უნდა დამიკავშირდნენ?!

— საქართველოდან როდის წახვედით?

— აქციის დაშლამდე რამდენიმე დღით ადრე. დავით ბაქრაძესთან ერთად, ბერლინში, ევროსაბჭოს ეგიდით გამართულ კონფერენციას ვესწრებოდი. ამ შეხვედრის თემა გაყინული კონფლიქტები გახლდათ. ჩვენთან ერთად, მიწვეულნი იყვნენ რუსეთის წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები.

— თქვენი იქ ყოფნის დროს, საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით თუ გაკეთდა კომენტარები?

— კონფერენციის ბოლო დღეს — 6 ნოებერს საერთაშორისო ექსპერტებმა ხაზგასმით აღინიშნეს, — საქართველოში

დემოკრატიის მაღალია დონეა, ამის დასტურად ისიც კმარა, რომ რამდენიმე დღეა, იქ ხალხმრავალი მიტინგები იმართება და მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ძალისმიერ მეთოდებს არ იყენებსო. 7 ნოემბერს მოხდა ის, რაც ყველამ ვიცით, მაგრამ ამის შემდეგ, უცხოელებთან შეხვედრა აღარ მქონია. საქართველოში 9 ნოემბერს ჩამოვედი.

— ხელისუფლების მხრიდან ასეთ რადიკალურ ნაბიჯს თუ ელოდით?

— ნამდვილად არ ველოდი.

— 7 ნოემბერს საქართველოში რომ ყოფილიყავით, რას მოიმოქმედებდით?

— სოზარ სუბართან ერთად, ხალხის გვერდით დავდგებოდი.

— ეს ხალხი, ხელისუფლების ცალკეულმა წარმომადგენლებმა, სახელმწიფო გადატრიალებაში დადანაშაულებული ოპოზიციის ნაწილის მიერ მართულ მასად შერაცხეს.

— მე გამოვრიცხავ იმას, რომ მიტინგზე მოსული ხალხი რუსეთის მიერ იყო მართული. ამ შემთხვევაში პოლიტიკურ ელიტას არ ვეხები. აქციაზე ხალხის უმრავლესობა სოციალურმა გაჭირვებამ მიიყვანა. იქ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ ღირსეული ცხოვრების პირობები, ნორმალური ხელფასი და პენსია. ინტელიგენციის წარმომადგენლები მივიდნენ იმიტომ, რომ „ჩარეცხილების სტატუსის" გამო, თავს ძალზე შეურაცხყოფილად გრძნობდნენ. მიტინგზე ძალიან მრავალფეროვანი მასა იყო წარმოდგენილი, მას სახელმწიფო გადატრიალება აზრადაც არ ჰქონია, აბსოლუტურად სუფთა მიზნები ამოძრავებდა. ძალზე ვწუხვარ იმის გამო, რაც საბოლოოდ მოხდა. 7 ნოემბერს მომხდარი ფაქტი საქართველოს იმიჯზე დადებითად ნამდვილად არ იმოქმედებს, ჩვენს რეპუტაციას განსაკუთრებით, საგანგებო მდგომარეობის შემოღება და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა შელახავს.

— როგორ ფიქრობთ — შექმნილ ვითარებაში, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა აუცილებელი იყო?

— მე თუ მკითხავთ, აუცილებელი არც საგანგებო მდგომარეობის შემოღება იყო.

— აქციის ლიდერთა ნაწილი რუსეთის აგენტებად მიგაჩნიათ?

— მოსამართლის ფუნქციას ვერ შევითავსებ და მტყუან-მართლის გარჩევას არ დავიწყებ, მაგრამ ის სატელეფონო საუბრები, რომლებიც მე ტელეკრანებიდან მოვისმინე, არ მაძლევს იმის საფუძველს, რომ ეს ადამიანები რუსეთის აგენტებად მივიჩნიო. აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ არ ვიცი, ამ ყველაფრის მიღმა რა დგას. შესაძლოა, შესაბამის ორგანოებს აგენტებად შერაცხულ ადამიანებზე მეტი ინფორმაცია აქვთ.

— ასეთი სატელეფონო საუბრების ტელეეკრანიდან გადმოცემას რამდენად მართებულად მიიჩნევთ?

— თუ სატელეფონო საუბრების მოსმენის ნებართვა სასამართლოდან აქვთ აღებული, კანონი დარღვეული არ არის, მაგრამ ძალიან ცუდია იმის შეგრძნება, რომ ჩვენ ყველას გვითვალთვალებენ და გვისმენენ. ეს ფაქტი მე მართლაც, მთრგუნავს...

■

ხელისუფლებისა და გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთთან მოლაპარაკების დაწყებას მიესალმებიან, თუმცა საერთო ენის გამონახვას მაინც ვერ ახერხებენ. რეალურად, რა პრობლემები არსებობს მათ შორის და რატომ ვერ ახერხებენ ერთმანეთთან კონსენსუსის გამონახვას, ერთ დროს თანამოაზრე ადამიანები? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რესპუბლიკური პარტიის ლიდერს, დავით უსუფაშვილს ვესაუბრეთ:

„ბევრი პარტია და ლიდერია, რომელსაც საკაშვილთან შერკინება სურს"...

— მოლაპარაკება ორჯერ შედგა, მაგრამ შეთანხმება არ მიღწეულა, იმიტომ, რომ იმ ძირითად საკითხებს, რომლებსაც ჩვენ ვსვამთ, ხელისუფლება არ ითვალისწინებს. ჩვენ (და, სხვათა შორის, მთელი მსოფლიოც) მოვითხოვთ: პოლიტიკური რეპრესიების შეწყვეტას, საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას და მედიის თავისუფლებას. უკვე აღარ ვსჯელობთ იმ საარჩევნო საკითხებზე, რომლებზეც ოპოზიცია ბოლო 6 თვის განმავლობაში ლაპარაკობდა. სამწუხაროდ, ამ თემებმა მეორე პლანზე გადაინაცვლა, ახლა ნომერ პირველი სასაუბრო თემა — პოლიტიკური ლიდერების, აქტივისტებისა და ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ განხორციელებული რეპრესიებია.

— რაში გამოიხატება ეს რეპრესიები?

— სატელეფონო მუქარებში, დაჯარიმებაში, ცემაში, დაპატიმრებაში. ყველა შესაძლო ტიპის ღონისძიება ტარდება იმ მიზნით, რომ ხალხი შეშინდეს და საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ, რაიმე აქციაზე მისვლა და პროტესტის გამოხატვა აზრად აღარ მოუვიდეს. იმ დროს, როდესაც მკაცრად ისჯებიან და ჯარიმდებიან მშვიდობიანი მიტინგის მონაწილეები, რომლებმაც დარბევის დროს, პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწიეს, ხელისუფლებას საყვედურიც კი არ გამოუცხადებია იმ პოლიციელებისთვის, ვინც გაქცეული მოქალაქეების დარბევაში მიიღო მონაწილეობა. კობა დავითაშვილთან კაცაშვილი არ მისულა იმის საკითხავად, თუ ვინ სცემა და როგორ აღმოჩნდა გორის სამხედრო ჰოსპიტალში. ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ სახელისუფლებო მანქანა გადართულია ერთი კონკრეტული პირისთვის — მიხეილ სააკაშვილისთვის ხელისუფლების შენარჩუნების საქმეზე და არ ემსახურება ხალხს.

— მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს დანიშნა. დარჩენილი დრო რამდენად საკმარისია საარჩევნო კამპანიისთვის?

— ერთი მხრივ, ნორმალური საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად, ორი თვე საკმარისი ნამდვილად არ არის, მაგრამ ერთი კვირისთავზეც რომ დაინიშნოს არჩევნები, სააკაშვილი მაინც ვეღარ გაიმარჯვებს. მოსახლეობამ ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა. ახლა მთავარია, არ მოხდეს არჩევნების გაყალბება და ხალხის დაშინება.

— თქვენი აზრით, კომპრომატებმა, რომლებიც ტელევიზიით გადაიცა, ოპოზიციის დისკრედიტაცია მოახდინა?

— ქართველმა ხალხმა უკვე კარგად იცის, როდის და როგორ ხდება ასეთი, დაჭრილი და გაყალბებული მასალების გამოქვეყნება. მე ხელისუფლების წარმომადგენლებს მივმართავდი მოწოდებით — თავიანთი სატელეფონო საუბრებიც გამოაქვეყნონ და მერე ვნახოთ, ვინ იქნება უფრო კომპრომეტირებული. ბერძენიშვილი რუსეთის საელჩოს ოფიციალურ წარმომადგენელთან საუბრის გამო დაადანაშაულეს. საელჩოში მომუშავე პირები ოფისშიც მოდიან, ტელეფონზეც გვირეკავენ და საელჩოშიც გვეპატიჟებიან. ასეთი მეთოდებით მუშაობს ყველა ქვეყნის საელჩო. მის თანამშრომლებს შორის, ზოგი დიპლომატიურ სამსახურშია და ზოგიც სპეცსამსახურში, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ხან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს დაველაპარაკებით და ხან ჟურნალისტებს — მე ხომ არ ვიცი, თქვენ საიდან მოდიხართ, იქნებ თქვენც აგენტი ხართ ან — დღესა და ღამეს ქართველი ხალხის წყევლაში ატარებთ? სახელწიფოს დაზვერვა იმიტომ ჰყავს, რომ თავად გამოარკვიოს, ვინ ქვეყნის მტერია და ვინ — პატრიოტი. „რუსული შეთქმულების" თეორიის, ქართველებს კი არა, უკვე უცხოელებსაც აღარ სჯერათ და ამ თემაზე აღარც გვალაპარაკებენ. ხელისუფლებას ასეთი ბრალდებები იმისთვის სჭირდება, რომ 7 ნოემბერს ჩადენილი ძალადობა გაამართლოს. საგანგებო მდგომარეობა იმიტომ შემოიღეს, რომ ხალხის ქუჩაში გამოსვლის შეეშინდათ. მათ არ იციან, რა მოუხერხონ „იმედს", ამ ტელეკომპანიის ამუშავება ძალიან არ აძლევს ხელს, არადა, მისი დახურვის იურიდიული საფუძველიც არა აქვთ.

— ბატონო დავით, კომპრომატები თქვენს წინააღმდეგაც ხომ არ მზადდება?

გაგრძელება იხ. გვ. 16

ნეიროქირურგიის უახლესი მეთოდი კლინიკა „მედიში"

გრიგოლ ბრეგაძე

კლინიკა „მედი" სულ უფრო და უფრო მეტ სიახლეს სთავაზობს პაციენტებს. მომსახურების მაღალი დონე და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები თქვენს სილამაზესა და ჯანმრთელობას უზრუნველყოფენ. კლინიკა „მედიში", უკანასკნელი დროის სიახლეთა შორის აღსანიშნავია ქირურგიის დარგის, ნეიროქირურგიის დანერგვა. ამ საკითხზე სალაპარაკოდ მივმართეთ ნეიროქირურგ გრიგოლ ბრეგაძეს, რომელიც ხერხემლის დაავადებათა მკურნალობის მეთოდზე გვესაუბრა. აღნიშნული მეთოდოლოგიის სხვადასხვა ნიუანსს ნეიროქირურგი გაეცნო გერმანიაში, სადაც უკვე რამდენიმე წელიწადია, ამ საკითხზე მუშაობენ.

— ნეიროქირურგია ქირურგიის დარგია, რომელიც შეისწავლის ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ დაავადებათა დიაგნოსტიკას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას. ნეიროქირურგიის სამიზნეს ძირითადად, ოსტეოქონდროზის გართულებათა მკურნალობა წარმოადგენს. საკითხის თვალსაჩინოებისათვის შემოგთავაზებთ მცირე ანატომიურ ექსკურსს. ხერხემალი, ანუ ხერხემლის სვეტი (როგორც მას ხშირად უწოდებენ) შედგება მალებისაგან. მალათა სხეულები ერთმანეთთან დაკავშირებულია მალთაშუა დისკოს საშუალებით.

— რაში მდგომარეობს დაავადების არსი?

— ვითარდება დისკოს თიაქარი (ანუ ხდება მისი გამობერვა), რომელიც აწვება იქვე მდებარე ნერვს ან მის ფესვს, ან ზურგის ტვინს, ან ყველაფერს ერთად და რაც უფრო დიდია ეს გამობერილი დისკო, მით მეტ სტრუქტურას დააწვება. მაგალითად, წელის მალთაშუა დისკოს თიაქარი ზურგის ტვინს ვერ დააწვება, რადგან ზურგის ტვინი მეორე მალის დონეზე წყდება, მაგრამ კისრის დისკოს შეუძლია, ზურგის ტვინს დააწვეს და ბევრი რამ დააზიანოს. არის კიდევ ერთი ნიუანსი — გამობერილი დისკო ნერვული სტრუქტურის სისხლძარღვებსაც აწვება ხოლმე.

— როგორია მისი მკურნალობის მეთოდოლოგია?

— მკურნალობის არსს წარმოადგენს დეკომპრესია ანუ კომპრესიის მოხსნა. სამწუხაროდ, სადღეისოდ, მის სამკურნალოდ არ არსებობს რაიმე პრეპარატი ანუ თერაპიული არსენალი. ერთი სიტყვით, თერაპიულად განკურნება გამორიცხულია. თუ თიაქარი ჩამოყალიბდა და აწვება ნერვს, ფესვს ან ზურგის ტვინს, ან ყველას ერთად, საჭირო ხდება მისი დეკომპრესია ქირურგიული გზით.

— რა იგულისხმება ქირურგიულ მეთოდებში?

— რასაკვირველია, ქირურგიულ მეთოდებშიც არის სხვაობა. ადრე კეთდებოდა ჩვეულებრივი ოპერაცია, რომელიც იყო ტრავმული და რეაბილიტაციას ხანგრძლივი პერიოდი ესაჭიროებოდა. დღეს არსებობს მიკროდისკექტომია ანუ მიკროქირურგიული მეთოდებით მკურნალობა. თუმცა, ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა ისიც, რომ ამ ყველაფერს დაემატა ენდოსკოპიური დისკექტომია, ლაზერული დეკომპრესია. დღესდღეობით უახლეს მეთოდს წარმოადგენს დეკომპრესია კობლაციით. ყველა ამ ქირურგიული ოპერაციის არსი ერთი და იგივეა — ჩატარდეს ნერვულ დაავადებათა დეკომპრესია.

— ახლა, ცოტაოდენი რამ გვითხარით იმ უახლესი მეთოდის შესახებ, რომელიც თქვენი კლინიკის პირობებში კეთდება...

— ჩვენს კლინიკაში დაინერგა თანამედროვე, ე.წ. კობლაციური მეთოდი. ფაქტობრივად, კობლაციით დეკომპრესია ამბულატორიული ოპერაციაა. მისი პრივილეგია იმაში მდგომარეობს, რომ პაციენტი სტაციონარს 1,5-2 საათის შემდეგ ტოვებს. ამ მეთოდის ეფექტურობა 80%-მდეა.

როცა საკითხი წელის მიდამოს ეხება, ოპერაცია ნარკოზს არ საჭიროებს. ჩვეულებრივზე ცოტა გრძელი ნემსით ხდება შესვლა დისკოს ღრუში, შემდგომ მიმდინარეობს დისკოს თიაქრის მოცულობის შემცირება, რაც მაღალი სიხშირის გარდამქმნელით ან გენერატორით ხორციელდება. მისი გავლენა არც ერთ სხვა ქსოვილზე არ ვრცელდება. უფრო მეტიც, დღემდე არსებულ სხვა მეთოდებთან შედარებით, ახალდანერგილი მეთოდის მეშვეობით, დარჩენილი დისკოს ქსოვილის რეგენერაცია ბევრად უკეთ მიმდინარეობს. ასევე, არ ზიანდება დისკოს ფიბროზული კაფსულა, რაც შესაძლებლობას იძლევა, პაციენტი ქირურგიული ჩარევიდან 2 სთ-ში შინ დაბრუნდეს... ამ ოპერაციის დროს, სწორად უნდა იქნას შერჩეული პაციენტის მდგომარეობა. თუ მალთაშუა დისკოს თიაქარი მოსწყდა, ანუ ჩამოყალიბდა სეკვესტრი და მან სხვა ადგილზე გადაინაცვლა, ასეთ დროს კობლაციური მეთოდის გამოყენება შეუძლებელია. ის მაშინაა მაქსიმალურად ეფექტური, როცა დისკოს ნაწილი არ არის მოწყვეტილი. ამიტომ პაციენტის მდგომარეობის ზუსტი ცოდნა და ამის მიხედვით მეთოდის შერჩევა მეტად მნიშვნელოვანია.

— რამდენადაც ვიცი, ამ მეთოდოლოგიის ნიუანსებს გერმანულ კლინიკებში გაეცანით...

— ამ სფეროში დასავლეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება დამაიმედებელ პროგნოზებს იძლევა. სწორედ ამიტომ გადაწყდა, რომ ეს მეთოდი საქართველოშიც დაგვენერგა. დღესდღეობით ის გამოიყენება როგორც ალტერნატიული მეთოდი ამერიკის, ევროპის, რუსეთის კლინიკებში. იმედი მაქვს, რომ საქართველოშიც მეტად აქტუალურ მეთოდად დაინერგება. პაციენტებს დეკომპრესია კობლაციით სწორედ კლინიკა „მედიში" ჩაუტარდებათ.

ნინო მდივანი

MEDI

კლინიკა „მედი" გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებას:

- კოსმეტოლოგია;
- ესთეტიკური, პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია;
- სხეულის პლასტიკური ქირურგია;
- თმის მკურნალობა და აღდგენა;
- ლაზერული ეპილაცია;
- სტომატოლოგია;
- გინეკოლოგია;
- ესთეტიკური გინეკოლოგია;
- ფიტნესი;
- სპა-ცენტრი.

კლინიკა „მედის" მისამართები:
მ. კოსტავას №52; ი. ჭავჭავაძის №26; ტ: 25 02 02; 91 00 00.

„მიორვი თარგამაძე შვიდჯერ ღაიჭირეს და შვიდჯერვე მაუშვეს...“

7 ნოემბერს, დილით, სპეცრაზმელებმა პარლამენტის წინ დაწყებული „საქმიანობა“ ტელეკომპანია „იმედში“ დაასრულეს. მოგეხსენებათ, აღნიშნული ტელევიზია დაარბიეს და სწორედ ამის გამო, ის დროებით აღარ ფუნქციონირებს... გადავწყვიტეთ, „დროების“ ერთ-ერთ ჟურნალისტთან, 5 შვილის მამასთან, დაჩი გრძელიშვილთან ჩაგვეწერა ინტერვიუ, რადგანაც ის ტელეკომპანიის დარბევის ერთ-ერთი თვითმხილველი გახლავთ.

რა განიცადა 7 ნოემბერს „დროების“ ჟურნალისტმა და მისმა 5-შვილიანმა ოჯახმა

ნათია ქიმიძე

— დაჩი, როგორც ჟურნალისტი, როგორ აფასებ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს?

— ამ მოვლენებზე ლაპარაკისას, ალბათ, ობიექტური ვერ ვიქნები, რადგან ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის უშუალო მოწმე და თვითმხილველი გახლავართ. ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებდით ანუ ვცდილობდით, გადმოგვეცა ის ობიექტური რეალობა, რაც ქვეყანაში ხდებოდა. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობს, ვადამდელი არჩევნების დანიშვნის გამო, გამარჯვებას ზეიმობს ოპოზიციაც, „იმედი“ კი ჯერჯერობით, დარბეული და დახურულია. როგორც ჩანს, საქართველოში ჟურნალისტიკის ხვედრი მძიმეა. სხვათა შორის, ნიშანდობლივი და საინტერესოა ისიც, რომ ბოლო პერიოდში, „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ს შორის გამწვავებული ურთიერთობა იყო და ამ ორ კომპანიას შორის არსებული კონკურენცია ლამის მტრობაშიც გადაიზარდა (შეიძლება ითქვას, ეს ყველაფერი გარე ფაქტორების ზემოქმედებით ხდებოდა), მაგრამ მიუხედავად ამისა, „იმედის“ დარბევისას, ჩვენს ტელეკომპანიაში „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებიც მოვიდნენ და იქ მიმდინარე მოვლენებს აშუქებდნენ. ხელკეტიან „მომხდურებს“ არ დაუწყიათ იმის გარჩევა, ხელში ვის რომელი ტელეკომპანიის მიკროფონი ეჭირა და „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ ჟურნალისტებსაც ჩვენი ბედის გაზიარება მოუხდათ, ისინიც დაზარალდნენ. პირადად მე, მათ ძალზე დიდ მადლობას ვუხდი, რადგან ზემდგომი ორგანოების ზეწოლის მიუხედავად, თავიანთი მოვალეობა მაქსიმალურად შეასრულეს — ობიექტური რეალობა ასახეს და ეთერში გაუშვეს.

— თუ შეგიძლია, უფრო დაწვრილებით მოგვიყევი 7 ნოემბერს, ტელეკომპანია „იმედში“ განვითარებული მოვლენების შესახებ.

— ავსტრალიიდან 6 ნოემბერს დავბრუნდი და მაშინვე თბილისში მიმდინარე მოვლენებში ჩავერთე. 7 ნოემბერს, დილით, პარლამენტის შენობის წინ ვიყავი, სიუჟეტზე ვმუშაობდი და ე.წ. პირველ შეტაკებაში მოვყევი. მაშინ „გაზი“ საკმაოდ ვყლაპე, რის გამოც, ცუდად გავხდი. როცა გონს მოვეგე, მოსწავლეთა სასახლის გვერდით ვიყავი. მე პირდაპირ, ზემოთა ქუჩისკენ წავედი, რადგანაც ქვემოთ, ჯარისკაცები ხალხის ცემა-ტყეპით იყვნენ დაკავებულნი. ისე მოხდა, რომ ხელკეტებს გადავურჩი და პირდაპირ „იმედისკენ“ ავიღე გეზი. დაახლოებით საღამოს 9 საათი იქნებოდა, როდესაც სასადილოში მყოფს, ხმაური შემომესმა. მაშინვე იქით გავემართე და... დავინახე, თუ როგორ ამტვრევდნენ კარს ავტომატებით შეიარაღებული, შავნიღბიანი სპეცრაზმელები. ბევრ მათგანს, რკინის ჩაფხუტიც ეხურა და ჯავშან-ჟილეტიც ეცვა. ასეთი რამ მხოლოდ ფილმებში მინახავს, როცა სამართალდამცავები საშიში ტერორისტების დასაჭერად მიდიან... „სტუმრებმა“ ყველას იატაკზე დწოლა გვიბრძანეს, თან გვაგინებდნენ, სხვადასხვა სახის სიტყვიერ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, იარაღს გვიშვერდნენ და შუბლის გახვრეტით გვემუქრებოდნენ. ჩემი აზრით, „იმედში“ სპეცრაზმის რამდენიმე ჯგუფი იყო შემოსული. მათ ეს საქციელზეც ეტყობოდათ და ჩაცმულობაზეც. როგორც დავასკვენი, ნამდვილი სპეცრაზმელები ბევრად უფრო ღირსეულად იქცეოდნენ — ისინი გვამშვიდებდნენ და გვიხსნიდნენ, რომ ეს მათი მოვალეობა იყო და ისე არ მოვქცეულიყავით, რომ რაიმე გაურკვევლობა ან პროვოკაცია გამოგვეწვია. სპეცრაზმელთა მეორე ნაწილი კი საშინელი აგრესიით გამოირჩეოდა. ნერვიულობისგან, „დროების“ ერთ-ერთი პრაქტიკანტი გოგონა ძალზე ცუდად გახდა, ასთმის შეტევა დაეწყო. მას „ჩასასუნთქი“ წამალი სამუშაო ოთახში ჰქონდა. სპეცრაზმელებს დიდხანს ვეხვეწებოდით, წამლის მოსატანად გავეშვით, მაგრამ ისინი ადგილზე დარჩენას გვიბრძანებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, დაიჯერეს, რომ შეიძლებოდა, ის გოგონა ხელებში ჩაგვკდომოდა და მასთან ერთად დაბლა მეც ჩამიშვეს. სწორედ მაშინ მომეცა საშუალება, მენახა, თუ რა ხდებოდა შენობაში — ვინც იატაკზე ვერ დაეტია, კედელთან ჰყავდათ აყუდებული, თავზე კი ჯარისკაცები ედგნენ ისე, თითქოს რომელიმე შეიარაღებულ დაჯგუფებასთან ჰქონდათ საქმე. გარკვეული ხნის შემდეგ, შენობა დაგვატოვებინეს და ეზოში გაგვიყვანეს...

— შენობაში დაახლოებით რამდენ ხანს იყავით?

— ალბათ, ერთი საათი. სხვათა შორის, მათი „სტუმრობისას“, ჩვენი ამერიკელი დირექტორი ამერიკის საელჩოში რეკავდა და დახმარებას ითხოვდა. სპეცრაზმელებმა მას ტელეფონი გამოჰგლიჯეს, მერე კი ბიძინა ბარათაშვილი გადაეფარა და „სტუმრებს“ სთხოვა, ეს ამერიკის მოქალაქეა, ხელი არ ახლოთო. იგი უხეშად ჩამოიშორეს გზიდან და თან, დასძინეს, თუ არ გაი-



მინ დაბრუნებულმა, კიდევ ერთი სტრესი გადავიტანე, რადგან ჩემი ხუთივე შვილი აგირებული დამხვდა

წევი, შუბლს გაგიხვრეტთო... მობილური ტელეფონები შემოსვლისთანავე ჩამოგვართვეს. „იმედთან“ ხალხი მოგროვდა (თუმცა იმდენი არა, რომ მათი დაშლა გასჭირვებოდათ). ეზოში რომ გამოგვიყვანეს, სპეცრაზმის კიდევ ერთი დაჯგუფება მოვიდა, რომელთაც სახეზე აირწინაღები ეკეთათ. სწორედ მათ გაუშვეს იქ მომწამლავი აირი და რეზინის ტყვიების სროლაც დაიწყეს. ერთ-ერთ ჟურნალისტ გოგონას, ანა ნანობაშვილს ხელკეტით თავი გაუტეხეს...

— რატომ?

— მხოლოდ იმიტომ, რომ დროზე ვერ გაიქცა. უბრალოდ, ჩქარა სირბილი არ შეეძლო... დიანა ტრაპაიძეს, რომელიც 8 თვის ორსულია და უზარმაზარი მუცელი აქვს, იაშვილის კლინიკამდე სდიეს... ინგა გრიგოლია გაზით მოიწამლა და საავადმყოფოში იწვა. ალეკო გაბუნიას თითები აქვს მოტეხილი და თაბაშირში ჩაუსვეს. რაც შეეხება რეზინის ტყვიებს, ვის ან რამდენი მოხვდა, ამის დათვლა შეუძლებელია.

— აპარატურა სპეცრაზმელებმა შენობაში თქვენი ყოფნისას გაანადგურეს?

— პირადად მე, აპარატურის დამტვრევის სცენებს არ შევსწრებივარ, მაგრამ ეს ჩვენმა ამერიკელმა ხელმძღვანელმა და ტექნიკურმა დირექტორმა საკუთარი თვალით ნახეს. მათი თქმით, აპარატურას ბარბაროსული მეთოდებით გაუსწორდნენ. მათ შორის ისეთი ადამიანი ყოფილა, რომელიც ტექნიკაში კარგად ერკვეოდა და სპეცრაზმელებს მითითებებს აძლევდა, კერძოდ, რა უნდა დაემტვრიათ.

— მობილურები და მანქანები როდის დაგიბრუნეს?

— მანქანის გასაღებები არ ჩამოურთმევიათ. უბრალოდ, როცა გავიქეცით, ჩვენი ავტომობილები იქ დარჩა. ყოველი მესამე მანქანა გაძარცული იყო, ზოგი — მინაჩამტვრეული... მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე, არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს სპეცრაზმელებმა ჩაიდინეს, რადგან ქართველ ჯარისკაცებზე ბევრად უფრო კარგი წარმოდგენა მქონდა. რასაკვირველია, მათი მხრიდან ცუდი საქციელია, შეიარაღებული ძალადობა მშვიდობიან ჟურნალისტებზე, მაგრამ გაცილებით ცუდი და შეურაცხმყოფელია ჯარისკაცისგან ქურდბაცაცობა... ჩვენი დარბევიდან დაახლოებით მესამე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში მიგვიყვანეს და ჩვენი მობილურები დაგვიბრუნეს, თუმცა ზოგიერთ მათგანს აკუმულატორი აკლდა, რამდენიმე ტელეფონი კი საერთოდ გაქრა.

— ტელეკომპანია „იმედის“ დარბევის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, გიორგი თარგამაძე დააპატიმრეს. სინამდვილეში, რა ბედი ეწია მას?

— იმ დღეს გიორგი ნამდვილად დააპატიმრეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ტრაგიკომიკური სიტუაცია შეიქმნა: გიორგი ჯერ დაიჭირეს და მერე, მის დამკავებლებს რაციით მისი გაშვება უბრძანეს. მოგვიანებით, მეორე დაჯგუფებას ისევ მისი დაპატიმრება დაეკალა, მაგრამ მერე, ისევ გაუშვეს. მოკლედ, გიორგი დაახლოებით შვიდჯერ დაიჭირეს და შვიდჯერვე გაუშვეს. მგონი, სპეცრაზმელები თვითონაც ვერ ხვდებოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ. იმ საღამოს, იქ პოლიტიკოსებიდან მხოლოდ კახა კუკავა, ზვიად ძიძიგური და ვალერი გელბახიანი დააპატიმრეს. მახსოვს, გელბახიანი აპროტესტებდა, დეპუტატი ვარ და ჩემი უფლებები წამიკითხეთო. ამაზე სპეცრაზმელები სიცილით იხოცებოდნენ. როგორც ჩანს, დეპუტატები მოგვიანებით გაათავისუფლეს.

— იმ დღეს, გიორგი თარგამაძე პირდაპირ ეთერის სტუდიაში შევიდა და სპეცრაზმის იქ შევარდნამდე, მაყურებლებს მიმართა. როგორ აფასებ მის ამ საქციელს?

— კარგია, რომ გიორგი არ დაიბნა და ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა. სხვათა შორის, მაშინ, როცა ეთერში სოფო მოსიძე და ლევან ჯავახიშვილი ისხდნენ, გიორგი უკვე დაპატიმრებული ჰყავდათ და მას იარაღითაც ემუქრებოდნენ. გიორგიმ მოულოდნელ „სტუმრებს“ სთხოვა, სტუდიაში ცოტა ხნით შემიშვით, ყველას დავაწყნარებ, თანამშრომლებს გამოვიყვან, მათ სიმშვიდისა და მორჩილებისკენ მოვუწოდებო. რატომღაც, დაუჯერეს და შეუშვეს. ის კი ეთერში დაჯდა და ჟურნალისტების უსაფრთხოების გარანტია მოითხოვა. იმ წუთში ამის გაკეთებას მართლა დიდი ვაჟკაცობა უნდოდა. ჩვენ მოველოდით, რომ „იმედზე“ გარკვეული ზეწოლა იქნებოდა, მაგრამ ასე, ავტომატებითა და იარაღის ჩხაკუნით თუ დაგვესხმებოდნენ თავს, ნამდვილად არ გვეგონა. მოკლედ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ტყვიის სროლაც არ გაგვიკვირდებოდა.

— „იმედის“ ტერიტორიას ახლაც „იცავენ“?

— რა თქმა უნდა, მაგრამ იქ სპეცრაზმელები აღარ არიან, მხოლოდ პოლიციის რომელიღაც დანაყოფი დგას. როგორც იქ მისულს მითხრეს, შენობაში ფინანსური პოლიცია იმყოფება, მაგრამ ფინანსური პოლიციის დირექტორატი ამბობს, რომ მათ ოფიციალურად საქმე არ აღუძრავთ... თუ საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებით ვიმსჯელებთ (მათი მკაცრი მოთხოვნაა, რომ „იმედის“ მაუწყებლობა აღდგეს), მუშაობის შესაძლებლობა მალე მოგვეცემა. სხვაგვარად, 5 იანვარს დანიშნული არჩევნების ლეგიტიმურობა საეჭვო იქნება.

— რას იტყვი შენს ოჯახზე? ალბათ, მათაც საოცრად განიცადეს ის, რაც ტელეკომპანია „იმედში“ მოხდა.

— მოვასწარი და შინ „სტუმრების“ შემოვარდნამდე დავრეკე. ოჯახის წევრებს ვუთხარი, რომ ყველაფერი კარგად იყო და არ ენერვიულათ. ამ ლაპარაკიდან ცოტა ხანში მობილურიც ჩამომართვეს. შინ დაბრუნებულმა, კიდევ ერთი სტრესი გადავიტანე, რადგან ჩემი ხუთივე შვილი ატირებული დამხვდა. მართალია, მათ ჯერ ბევრი არაფერი ესმით, მაგრამ ხედავდნენ, რომ დედა ნერვიულობდა, მამის სამსახურში კი ნიღბიანი ჯარისკაცები დარბოდნენ. ჩემი უფროსი ბიჭი — ნიკუშა, რომელიც ჯერ მხოლოდ 10 წლისაა, ძალზე განერვიულებული იყო. მისგან მსგავსი ლანძღვა-გინება, როგორიც იმ დღეს მოვისმინე, არასოდეს გამიგონია. ლანძღავდა ჩვენს პრეზიდენტსა და სპეცრაზმელებს, რაც ძალიან არ მომეწონა. ცუდია, როცა ბავშვი თავისი ქვეყნის პირველ პირს ლანძღავს და კიდევ უფრო ცუდია, რომ ბავშვს ჯარისკაცობის სურვილი აღარ აქვს. დღეს ჩვენს შვილებს ქართველი ჯარისკაცების ეშინიათ. მგონი, ამ ფაქტის გამო დაფიქრება ღირს.

ავსტრალიიდან 6 ნოემბერს დაბრუნდი და მაშინვე თბილისში მიმდინარე მოვლენებში ჩაერთე

— დაჩი, არ გეშინია, რომ ასეთი გულახდილობის გამო რაიმე პრობლემა შეგექმნას?

— მას შემდეგ, რაც 7 ნოემბერს ვნახე, არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ ვიდრე ამ ქვეყანაში ვცხოვრობ, კანონიერებისა და კონსტიტუციის ფარგლებში ვიმოქმედებ და ვილაპარაკებ იმას, რაც სიმართლედ მიმაჩნია და რასაც საკუთარი თვალით ვხედავ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ისევ იქ დავბრუნდებით, საიდანაც წვალებით მოვახერხეთ ამოძრომა ანუ დავბრუნდებით იმ სიტუაციაში, რომელიც ჭუჭყიანი ფულის, შიშის და ძალადობის „სუნით“ იყო გაჟღენთილი...

ყოფილი ტელეჟურნალისტისა

და ფსიქოლოგის პროგნოზები

„ძალიან მეშინია ომის, მაგრამ სამწუხაროდ, ამის სუნი მცემს...“

ამჯერად, ჩვენი რუბრიკის სტუმრები დიდი ხნის მეგობრები, ყოფილი ჟურნალისტი ეკა ბერიძე და ფსიქოლოგი გია ჯავჯანიძე არიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ ურთიერთზე ბევრი რამ იციან, ჩვენი ინტერვიუს მეშვეობით, ერთმანეთს პასუხები ბევრ ისეთ შეკითხვაზეც გასცეს, რომელზეც აქამდე არასდროს ულაპარაკიათ.

ნათია ქივიძე

ჟურნალისტი – გია ჯაჯანიძე
რესპოდენტი – ეკა ბერიძე

— ეკა, მიუხედავად იმისა, რომ ეკრანზე კარგა ხანია აღარ ჩანხარ, პოპულარობა მაინც შეინარჩუნე. ამას როგორ ახერხებ?

— ამ საკითხზე არასოდეს მიფიქრია. მიმაჩნია, თუ ადამიანებს კიდევ ვახსოვარ, ეს ჩემი კი არა, ტელეეკრანის დამსახურებაა.

— ვფიქრობ, ეს შენი დამსახურებაცაა, რადგან ბევრი ისეთი ტელეჟურნალისტი ვიცი, რომელიც ადრე საკმაოდ პოპულარული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკრანზე აღარ ჩანს, ხალხმა მივიწყა. ჟურნალისტები ხშირად მირეკავენ და შენს ნომერს მეკითხებიან...

— ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ მას შემდეგ, რაც ტელეეკრანზე არ გამოვჩენილვარ, ძალიან დიდი დრო არ გასულა. გარდა ამისა, ჩემი გადაცემები საკმაოდ პოპულარული და რეიტინგული იყო.

— ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ შენ საკმაოდ მკაცრი და უკარება ხარ (თუმცა, მე ასე არ მიმაჩნია). რატომ გაქვს ასეთი იმიჯი?

— ასეთი ნამდვილად არ ვარ და ასეთი იმიჯის შექმნაზე არასდროს მიზრუნია. ალბათ, ჩემზე ასეთი მოსაზრების იმიტომ არიან, რომ ფამილიარობა არ მახასიათებს. თუ ადამიანს კარგად არ ვიცნობ, მასთან ისეთი გახსნილი ვერ ვიქნები, როგორიც ახლობლებთან. და კიდევ, ერთი უცნაური თვისება მაქვს — ადამიანს გარეგნულად ვერ ვიმახსოვრებ და ამის გამო, ხშირად ჩავვარდნილვარ უხერხულ მდგომარეობაში.

— ვფიქრობ, ამწუთას ძალიან ბედნიერი უნდა იყო, რადგან ჟურნალისტიკაში აღარ ხარ...

— აბსოლუტურად გეთანხმები. მაპატიონ ჩემმა კოლეგა ჟურნალისტებმა, მაგრამ საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობ თავს იმის გამო, რომ ამჟამად, არსად ვმუშაობ და გულში, გამუდმებით მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვისი „დამსახურების“ გამოც უმუშევარი გახლავართ. არავის ვკიცხავ, მაგრამ მიმაჩნია, რომ თითოეული არხი წარმოადგენს გარკვეულ პოზიციას, მე კი არ მინდა, რომელიმე პოზიციაზე ვიყო... კარგი იქნებოდა, ერთი ისეთი ობიექტური არხი რომ არსებობდეს, სადაც სიამოვნებით ვიმუშავებდი, მაგრამ ჩემი აზრით, დღევანდელ საქართველოში ასეთი ტელევიზია არავის სჭირდება.

— შენ ყოველთვის გამიზნულად „გბლოკავდნენ“. რატომ აკეთებდნენ ამას?

— არ ვიცი, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს. მიმაჩნია, რომ არაფერი დამიშავებია, მაგრამ რატომღაც, მაინც „დამბლოკეს“. ალბათ, არსებობენ ისეთი ადამიანები, ვისაც ჩემი აქტიურ ჟურნალისტიკაში ყოფნა არ უნდოდათ.

— ამ ყველაფრის გამო, ხომ არ გიფიქრია იმაზე, რომ დატოვო ჟურნალისტიკა და სხვა სფეროში გადაინაცვლო?

— საკუთარი ნებით ჟურნალისტიკას არასოდეს დავტოვებდი. დღეს, უბრალოდ, იძულებული ვარ, ასე მოვიქცე. რა თქმა უნდა, აუცილებლად მოვსინჯავ ძალებს სხვა სფეროში. მიმდინარე წელი განათლების წლად გამოვაცხადე და ვცდილობ, მაქსიმალური განათლება მივიღო იმ სფეროებში, რომლებზეც აქამდე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. ესენია: მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბიზნესი. ვნახოთ, მომავალში რა იქნება, ჯერ არაფერი გადამიწყვეტია.

— ახლა რაიმე ჟურნალისტური წინადადება რომ შემოგთავაზონ, დათანხმდები?

— გააჩნია, სად, როდის და როგორ. სპონტანურად ვერც ერთ წინადადებას ვერ მივიღებ.

— მოკლედ შეაფასე სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენები...

— სიტყვა „მოკლედ“ იმიტომ მითხარი, რომ ძალიან ბევრს ვლაპარაკობ, არა? ამ ყველაფრის შეფასება ძალიან ძნელია. არ მომწონს, რაც ჩვენ გარშემო ხდება. სირაქლემას პოზიციაში ყოფნა, რომ თითქოს, არსებული სიტუაციით არაფერი დაგვშავდება, სასაცილოდ მიმაჩნია. ვფიქრობ, საზოგადოება იმაზე მეტად განათლებულია, ვიდრე რამდენიმე პოლიტიკურ ძალას ჰგონია. ისინი ძალიან ცდებიან, როცა სჯერათ, რომ ხალხს ადვილად მოატყუებენ. ძალიან მეშინია ომის, მაგრამ სამწუხაროდ, ამის სუნი მცემს. ჩემი აზრით, ამჯერად დაკარგული ტერიტორიების აღდგენას არ უნდა ვეცადოთ, რადგან დღეს, ეს ვანდალიზმის ტოლფასი იქნება.

— როგორი რეაქცია გქონდა „იმედში“ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით?

— ამ ფაქტმა შემზარა. ეს იყო ყველანაირი ადამიანური უფლების დარღვევა, დანგრევა, განუკითხაობა. როცა „იმედის“ დარბევის კადრებს ვუყურებდი, ძალიან მინდოდა, ეს ჩემი ერთ-ერთი სიზმარი ყოფილიყო (ბოლო პერიოდში, სულ პოლიტიკური რაღაცები მესიზმრება) და მინდოდა, როცა გავიღვიძებდი, ეს ფაქტი დავიწყებას მისცემოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. კიდევ კარგი, რომ სერიოზულად არც ერთი ჟურნალისტი არ დაშავებულა.

— თემას გადავუხვიოთ და მითხარი, როგორ მთავრდება ხოლმე შენი პოლიტიკური სიზმრები?

— ხან ისე, ხან — ასე. თუ ცუდია, მათ წყალს ვატან. სამწუხაროდ, ეს სიზმარი წყალს ვერ გავატანე.

— ამას წინათ, ვილაცამ დამირეკა და მკითხა, მართალია, რომ ეკა ბერიძე მესამე ბავშვს აჩენსო? არც კი გადამიმოწმებია, ისე ვუპასუხე — ტყუილია-მეთქი. რატომ ვრცელდება ასეთი ჭორები?

— ვერ გეტყვი. მესამე შვილის გაჩენასთან დაკავშირებული ამბავი ნამდვილად ჭორია. შვილის გაჩენას ნამდვილად აღარ ვაპირებ.

გაგრძელება გვ. 14

ფირმა „შოკი“
საუკეთესო ხარისხის უგემრიელესი
ხინკალი, პელმენი
და ყარენიკი

მთელი ოჯახისათვის
იყითხეთ მაღაზიებში
მის: სპირიდონ კედიას ქ. №15
(დიდუბის ეკლესიასთან)
ტ. 34-58-75; 22-76-48

ნომერში იხილეთ:

3 პოსტერი

16 ნოემბრიდან თვეში ორჯერ

ექსკლუზიური ფოტორეპორტაჟი საბანკო სხვლეტებიდან

გერმანელი დივერსანტები ბრანდენბურგი-800

შხამების ევოლუცია

სომხეთის არმია — რეალური მოწინააღმდეგე

ომბამოვლილები

სამხედროები ომების წინააღმდეგ

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

დასაწყისი იხ. გვ. 12

— ვიცი, შენი პროფესია ძალიან გიყვარს. თუ შენი შვილებიც ჟურნალისტიკას აირჩევენ, ეს ამბავი გაგახარებს?

— რატომაც არა?! უბრალოდ მიმაჩნია, რომ ვიდრე ჟურნალისტი გახდები, მანამდე სხვა განათლებაც უნდა მიიღო. ჯერჯერობით, ბექას ამის სურვილი არ გამოუთქვამს, სხვა რაღაცებითაა დაინტერესებული, მარიამი კი გაიზრდება და ვნახოთ, რა პროფესიას აირჩევს.

— რამდენად მკაცრი დედა ხარ?

— ბუნებით მკაცრი არა ვარ, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, სიმკაცრის გამოჩენა ხშირად მიწევს.

— როცა გადაწყვიტე, რომ ბიზნესის სფეროში კვალიფიკაცია აგემალლებინა, ამაში შენმა მეულლემ — კახამ (ბექაური) რაიმე როლი ითამაშა?

— ამ სფეროთი რომ დავინტერესდი, ეს კახას დამსახურებაა და ახლა ის განათლების მიღებაში მიწყობს ხელს. სწავლის პროცესი არაჩვეულებრივად ვერთობი. მივხვდი, რომ ყველაზე მეტად სწავლა მსიამოვნებს. მთელი ცხოვრება კარგ მოსწავლედ მივიჩნეოდი და 38 წლის ასაკშიც ასეთად დავრჩი.

— საქართველოში ძალზე მოდაშია სხვადასხვა სახეობის თუ სახელობის დიეტა. შენ მუდმივად კარგ ფორმაში ხარ. ამისათვის რა ხერხებს მიმართავ?

— ყოველთვის დიეტაზე ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ჭამა ძალიან მიყვარს და ეს შენც კარგად იცი. რა თქმა უნდა, საკუთარ თავს პატარა გადახვევების უფლებას ვაძლევ და ზოგჯერ, შეიძლება ისეთი გამონაკლისიც დავუშვა, რომ დღის განმავლობაში, ხინკალსაც მივირთმევ და ხაჭაპურსაც. მაგრამ მეორე დღეს, აუცილებლად განტვირთვას ვაკეთებ.

— რომელიმე „სახელოვანი" დიეტა თუ დაგიცავს?

— სიმართლე გითხრა, ასეთი დიეტა არ მომისინჯავს, რადგან მსგავსი რამ ძალიან მსუქან ადამიანებს ესაჭიროებათ. „გიგი უგულავას დიეტას" გადავხედე და მისი მენიუ მომეწონა.

— ადამიანზე, რომელიც საკუთარ თავზე ბევრს ზრუნავს და ცდილობს, ჯანმრთელი იყოს, ამბობენ — ეგოისტიაო. შენ ყოველივე ამის გამო, სიგარეტის მოწევასაც კი დაანებე თავი. როგორ ფიქრობ, ეგოისტი ხარ?

— დიდხანს სიცოცხლე მიზნად არასოდეს დამისახავს და ისიც ვიცი, რომ ეს ჩემზე არაა დამოკიდებული. სიგარეტის მოწევას თავი იმიტომ დავანებე, რომ ენერგიას მართმევდა. გარდა ამისა, ვერ ვიტანდი, როცა ქალს „საფერფლის" სუნი ასდის. ამასთან, არ მინდა, კანი დამინაოჭდეს და ა.შ. მთავარი კი ის არის, რომ მოწევა სიამოვნებას აღარ მანიჭებდა, მე კი არ მინდა ვაკეთო ის, რაც არ მსიამოვნებს.

ჟურნალისტი — ეკა ბერიძე
რესპონდენტი — გია ჯაჯანიძე

— გია, შევიტყვე, რომ ახალ წიგნზე მუშაობ.

— ეს ჩემი მეორე წიგნია. მისი სახელწოდებაა „თანამედროვე ფსიქოლოგია და როგორ მივაღწიოთ წარმატებას".

— ძალიან საინტერესოა. რას გვირჩევ, როგორ მივაღწიოთ წარმატებას?

— ამისათვის ჩემს წიგნში საკმაოდ იოლი რეცეპტებია მოცემული. წარმატების მიღწევა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თუ რა თქმა უნდა, ამას მოინდომებს. თუმცა, ეს დასახული მიზანი რეალური უნდა იყოს ანუ 100-კილოიანმა ქალმა უნდა იცოდეს, რომ ბალერინა ვერასდროს გახდება. ადამიანი, რომელსაც უნდა, რაიმეს მიაღწიოს, არ უნდა იყოს აგრესიული და ზარმაცი, ამისთვის ბრძოლაა საჭირო. გარდა ამისა, წიგნში მოცემულია პატარა დეტალები იმის შესახებ, თუ როგორ მივაღწიე წარმატებას თავად.

— და როგორ მიაღწიე წარმატებას?

— შრომისმოყვარეობის წყალობით.

— შენ მართლაც, საკმაოდ აქტიური ადამიანი ხარ. გარდა ამისა, ერთდროულად რამდენიმე სფეროში მოღვაწეობ, რაც მე წარმოუდგენლად მიმაჩნია. ვიცი, უშუალო კონტაქტი გაქვს აზერბაიჯანელ ადამიანებთან და ხშირად მოგზაურობ ბაქოში. თუ შეიძლება, გაგვიმხილე, რას საქმიანობ იქ?

— აზერბაიჯანში ჩვენმა სტუდიამ — „ინოვატორმა" კლიპები გადაიღო. ახლა საკმაოდ საინტერესო პროექტი გვაქვს: აზერბაიჯანელი კორიფეებისთვის დავწერეთ სიმღერაც, ტექსტიც და მალე, მათ კიდევ ერთ კლიპს გადავუღებთ. ამ ეტაპზე, სურვილი მაქვს, ნელ-ნელა იმ ქვეყნის შოუბიზნესში შევიჭრა.

— რატომ დაინტერესდი აზერბაიჯანული შოუბიზნესით და არა — ქართულით?

— საქართველოში, ამ სფეროში საკმაოდ ბევრ არაპროფესიონალურ მიდგომას ვხედავ. ის მომენტი ნამდვილად არ მაქვს, ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო, უბრალოდ, ბაქოში ძალიან ბევრი საშუალება და მასალაა იმისათვის, რომ შრომისმოყვარე ადამიანი ბოლომდე დაიხარჯოს...

— ეს იმის ბრალიც ხომ არ არის, რომ საქართველოში მეტი უნდობლობაა?

— ქართულ შოუბიზნესში მოღვაწეობისთვის უკვე ძალზე დიდი (45 წლის) ვარ... ბაქოში ხელს არავინ მიშლის. ჩავედი, რაღაც გავაკეთე, მოეწონათ და ამისთვის მადლობა სათანადოდ გადამიხადეს. მინდა აღვნიშნო, რომ იქ ფულის „საკეთებლად" არ ჩავსულვარ. გარდა ამისა, ბაქოში რომ იგებენ, ქართველი ვარ, მაშინვე მეკითხებიან, მანანა ჯაფარიძეს თუ იცნობ? აი, ეს მაძლევს იმის სტიმულს, რომ მე, რომელიმე ქვეყანაში საქართველო წარმოვადგინო.

მთელი ცხოვრება კარგ მოსწავლედ მივიჩნეოდი და 38 წლის ასაკშიც ასეთად დავრჩი

— გია, წელან აგრესიაზე ლაპარაკობდი. ბოლო 2 კვირის განმავლობაში, ჩვენ გარშემო აგრესია საკმაოდ დიდი დოზით იყო. შენ რა პოზიცია გაქვს ამასთან დაკავშირებით?

— ჩემში, როგორც პოზიცია, ასევე ოპოზიციაც დიდ აგრესიას იწვევს თავისი ცინიზმითა და ჟულგარული გამონათქვამებით... არც პოზიციის მომხრე ვარ და არც — ოპოზიციის, მე „მესამე პოზიციაზე" ვდგავარ.

— რას ფიქრობ იმის შესახებ, რომ ორივე მხარე ცდილობს, თითოეული ადამიანი და მათ შორის, ჟურნალისტებიც რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გააიგივოს?

— ხალხის რომელიმე ძალასთან გაიგივება ორივე მხარეს აწყობს. თუმცა, ზოგიერთი ჟურნალისტი ამის საფუძველს ნამდვილად იძლეოდა. მე ორივე მხარეში, პოზიციაშიც და ოპოზიციაშიც ვეძებდი დადებითსაც და უარყოფითსაც. ჩემთვის საკმაოდ გაუგებარია ის, რომ სამართალდამცავები აგრესიას არა მარტო ხალხის, არამედ მანქანის შუშების მიმართაც იჩენდნენ...

— გია, ვიცი, რომ კარგი წინათგრძნობა გაქვს. რას გკარნახობს გული და გონება, რა იქნება მომავალში?

— გული ცუდს ნამდვილად არ მიგრძნობს. მგონია, ყველაფერი დაწყნარდება და კარგად იქნება. ამ კრიზისიდან აუცილებლად გამოვალთ! ■

წარმატების მიღწევა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თუ რა თქმა უნდა, ამას მოინდომებს

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ!

ᲛᲐᲒᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘ,
ᲓᲘᲓᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ (A4),
608ᲒᲕ. + 128ᲒᲕ.
ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ
ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲗᲔᲛᲣᲠ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ

ᲤᲐᲡᲘ
27.99
ᲚᲐᲠᲘ

ᲬᲘᲒᲜᲘ - ᲧᲕᲔᲚᲐ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

ᲨᲐᲡ „ᲔᲚᲕᲐᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ“ www.elva.ge
ᲢᲔᲚ: 38 26 73; 38 26 74; 42 43 40

ᲨᲔᲒᲕᲘᲙᲕᲔᲗᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ „ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲓᲝ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲐ“
ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲛᲘᲮᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ ᲤᲐᲡᲜᲐᲛᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!

— ხელს რა შეუშლის?.. ლევან ბერძენიშვილი — კაცი, რომელიც საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლია — თუ გამოიყვანეს რუსეთის აგენტად, მე რატომ მომერიდებიან?! თუ შალვა ნათელაშვილი ქვეყნის მტრული ძალების წარმომადგენელია, აქამდე როგორ ვერ გაარკვიეს?! 4 წელია, ხელისუფლებაში არიან და ახლა მიხვდნენ, ვინ მტერია და ვინ — მოყვარე?

— ეროვნული საბჭოს წარმომადგენლებმა პრეზიდენტობის კანდიდატად ლევან გაჩეჩილაძე რა ნიშნით შეარჩიეთ?

— პირველ რიგში, იმ ნიშნით, რომ იგი არის ნეიტრალური ფიგურა. ოპოზიციურ საპრეზიდენტო კანდიდატს აქვს ძალზე კონკრეტული ფუნქცია — ჩვენი ვარაუდით, ერთ წელიწადში მას პოსტიდან გადადგომა მოუწევს. ამ ხნის განავლობაში კი უნდა მოხერხდეს საპარლამენტო არჩევნების გამართვა, ახალი მთავრობის ფორმირება და საკონსტიტუციო მოდელის შექმნა, რის შედეგადაც, საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობა გაუქმდება. აღარ იარსებებს ფიგურა, რომელიც ტელეეკრანებიდან ყოველდღე საკუთარ მიღწევებზე ილაპარაკებს.

— ოპოზიციის წარმომადგენლებისგან საზოგადოება ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელებას ელოდა, მაგრამ თქვენ უკვე სამი სხვადასხვა კანდიდატი გყავთ. ერთიანობა რატომ ვერ შეინარჩინეთ?

— მთავარი ის არის, თუ სად მოიყრის თავს ძირითადი ოპოზიციური ძალა. ოპოზიციური სპექტრი ძალზე ჭრელია, აქედან გამომდინარე, ბევრი პარტია და ლიდერია, რომელსაც სააკაშვილთან შერკინება სურს.

— შალვა ნათელაშვილთან რატომ ვერ შეთანხმდით?

— ჩვენი მხრიდან არანაირი პრობლემა არ წამოჭრილა. ლეიბორისტებმა გვითხრეს, — ნათელაშვილს რეპრესიები ემუქრება და ამიტომ, საპრეზიდენტო კანდიდატი ის უნდა იყოსო. ჩვენ მივიჩნიეთ, რომ ამ არგუმენტით და ამ მოტივით გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლებოდა. ბატონ შალვას შევთავაზეთ, მონაწილეობა მიეღო კანდიდატის გამოვლენის იმ პროცედურაში, რომელშიც სხვები მონაწილეობდნენ, მაგრამ უარი მივიღეთ. ლეიბორისტები უპირობოდ მოითხოვდნენ, პრეზიდენტობის კანდიდატად ნათელაშვილის დასახელებას. ვფიქრობ, ეს ტრაგედია არ არის, შეცდომაა, მაგრამ ყველას თავისი არჩევანის უფლება აქვს.

— დავით გამყრელიძესთან მოლაპარაკება არ გიცდიათ?

— დავით გამყრელიძემ თავისი კანდიდატურა ჩვენთან ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე წამოაყენა. ამას ველოდით კიდეც: ბატონ დავითს ადრეც ჰქონდა ნათქვამი, რომ საერთო ოპოზიციურ ქმედებებში მონაწილეობას არ მიიღებდა. ასე რომ, მასაც საკუთარი გზა აქვს არჩეული და ჩვენ მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებთ. ■

„თუ სასწაული მოხდა და სააკაშვილი მეორე ტურში ვერ გავიდა“...

მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების დღედ 2008 წლის 5 იანვარი დაასახელა, საზოგადოებას მიანიშნა, რომ მან, როგორც დემოკრატმა მმართველმა, საკუთარი მოქალაქეების მიერ „კარზე დაკაკუნება“ უყურადღებოდ არ დატოვა და პოლიტიკურ ოპონენტებსაც გარკვეული ფორა მისცა. პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი არჩევნების ორ თვეში ჩატარებას, პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ფორმად განიხილავს და არა პრეზიდენტის კეთილ ნებად. ორი თვე ძალზე ცოტა დროა საიმისოდ, რომ პოლიტიკურმა ოპონენტებმა ძალები მოიკრიბონ და მხარდამჭერები მოიმრავლონ. ოპოზიციისთვის საქმეს ის გარემოებაც ართულებს, რომ ხელისუფლება მედიისთვის თავისუფლების მინიჭებას აჭიანურებს და ოპონენტებს ამომრჩევლებთან კონტაქტის საშუალებას არ აძლევს. ყოველივე ამის მიუხედავად, პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის აზრით, ხელისუფლების წარმომადგენლები გამარჯვებაში დარწმუნებულნი არ არიან და სერიოზული ბრძოლისთვის ემზადებიან. კულუარული ინფორმაციით, ხელისუფლებას ოპოზიციის დისკრედიტაციისა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, რამდენიმე „სტრატეგიული გეგმა“ კიდევ აქვს შემუშავებული.

— ბატონო რამაზ, რა გაძლევთ იმის ფიქრის საფუძველს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები არჩევნების მოგებაში დარწმუნებულნი არ არიან?

— ხელისუფლების წარმომადგენლებმა ძალზე მძიმე სურათი ნახეს 2 ნოემბრის მიტინგზე. შემდგომი მათი ქმედებები ანუ მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლა ხელისუფალთა დაბნეულობასა ღა შეშფოთებაზე მეტყველებს. პირადად მე, მიტინგის დარბევის შემდეგ დიდად ბედნიერი არც ერთი მათგანი არ მინახავს, თუ არ ჩავთვლით ზაზა ბეგაშვილს, რომელიც დადიოდა და პოლიციელებს კოცნიდა...

— რამდენად შესაძლებელია, რომ პრეზიდენტმა საკუთარ მოსახლეობასთან დაპირისპირების შემდეგ, დაკარგული რეიტინგის დასაბრუნებლად და წინასაარჩევნო პარის მიზნით, ცხინვალში შესვლა გადაწყვიტოს?

— ბოლო დროს რუსეთი ისე ამწვავებს ვითარებას და სააკაშვილიც ისეთი კატეგორიულია, რომ გამორიცხული არაფერია. შესაძლოა, ომი არ დაიწყოს, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტი გამორიცხული აღარ არის. ეს საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გადადგმული ნაბიჯი იქნება თუ სხვა რამ, არ ვიცი, მაგრამ რუსეთი რომ ყველაფერს აკეთებს, შეიარაღებულ კონფლიქტში საქართველოს ჩასათრევად, ეს ცხადია. მოსკოვის ბოლოდროინდელი განცხადებები სწორედ ამ იდეის განხორციელებას ემსახურება.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ მოსკოვის მიერ ბოლო დროს გაკეთებული განცხადებები ქართული ოპოზიციის დისკრედიტაციას უწყობს ხელს?

— მისასალმებელია, რომ ბოლო დროს ქართველი ჟურნალისტები გაეშმაკდნენ... გეთანხმებით — ამ, ბოლო რაუნდში — სასაზღვრო სკანდალიდან დაწყებული, სხვა განცხადებებით დამთავრებული — რუსეთი ყველანაირად ცდილობს, ხელი შეუწყოს ოპოზიციის დისკრედიტაციას. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ხელისუფლებამ ის სატელეფონო და აუდიოჩანაწერები გამოაქვეყნა, სადაც ოპოზიციონერი ლიდერები რუს მაღალჩინოსნებს ეკონტაქტებიან. პრაქტიკულად, რუსეთმა საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციაზე სამართლებრივი დევნის საფუძველი მისცა. არ გამოვრიცხავ, რომ ეს სრულიად შეგნებული ნაბიჯი იყო, იმიტომ, რომ საზოგადოებისა და ოპოზიციის უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში ყველაფერი რუსეთის ბიზნესმენებზე, ბენდუქიძის მეშვეობით იყიდება. ეს ხდება ხან ღიად, ხან — შემოვლითი გზებით. რუსეთს ამ ხელისუფლების წყალობით, შესანიშნავი პირობები აქვს საიმისოდ, რომ ხელში ჩაიგდოს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი და ამის შემდეგ გადავიდეს კონფლიქტის „ფორმირებაზე“. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მოსკოვს ხელს აძლევს ის რეჟიმი, რომელიც ამჟამად არის საქართველოში.

— სააკაშვილის რეიტინგის დაცე-

მა ძირითადად, ქვეყანაში შექმნილ-მა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ გამოიწვია. როგორ ფიქრობთ — რამდენად აქტიურად ეცდება ხელისუფლება სოციალური პრობლემების მოგვარებას?

— რაღაც პროგრამებზე უკვე არის ლაპარაკი. პრეზიდენტმა ბიზნესმენებს მოუწოდა, მოამარაგონ ინფორმაციით ვაკანსიების თაობაზე და განაცხადა, რომ ხელისუფლება ადამიანებს სამუშაო ადგილების მოძებნაში დაეხმარება. ეს პროგრამა ვერ იქნება ქმედუნარიანი. ძველ სტრუქტურებში კადრების ცვალებადობა არსებულ სურათს ვერ შეცვლის. დღეს არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა საჭირო, რაზეც ხელისუფლება ჯერჯერობით არ ფიქრობს.

— თქვენი აზრით, ოპოზიციამ გაერთიანება და საერთო საპრეზიდენტო კანდიდატის წამოყენება რატომ ვერ შეძლო?

— უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსენსუსის მიღწევა ადვილი არ არის. სწორედ ამიტომაა საჭირო შიდა არჩევნების მოწყობა. ამერიკაში რესპუბლიკური პარტია არჩევნების საფუძველზე არკვევს, თუ ვინ არის მისი საპრეზიდენტო კანდიდატი. ეს საკითხი კაბინეტში კი არ წყდება — ხალხს ეკითხებიან. ჩვენში ამის დრო აღარ არის დარჩენილი, ამიტომ არჩევნების პირველ რაუნდში, ოპოზიციას ბევრი კანდიდატი ეყოლება. მაგრამ ეს პრობლემას არ შექმნის. რეალურად, პირველი ტური სწორედ შიდა არჩევნების ანალოგი იქნება და ხალხის ხმები გვიჩვენებს, შეთავაზებული ოპოზიციური კანდიდატებდიან, ვისი რეიტინგია მაღალი. თუ პირველ ტურში სააკაშვილმა 50%-ზე მეტი აიღო, მაშინ, ოპოზიციონერ ლიდერთა რეიტინგები მხოლოდ იმისთვის გამოდგება, რომ პოლიტიკოსებმა საკუთარი წონა დაადგინონ, თუ არა და, მოხდება ფილტრაცია — ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე კანდიდატი მეორე ტურში გავა და ალბათ, მთელი ოპოზიციური ხმებიც მის განკარგულებაში გადავა. ეჭვი არ მეპარება, რომ ძლიერი რეიტინგული ფიგურა აღმოჩნდება თავად სააკაშვილი და კიდევ ერთი ოპოზიციონერი. თუ სასწაული მოხდა და სააკაშვილი მეორე ტურში ვერ გავა, მაშინ ორი ოპოზიციონერი დაეჯახება ერთმანეთს. ეს კი ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი იქნება.

— როგორ ფიქრობთ — ოპოზიციონერ ლიდერებს შორის, ყველაზე მეტი შანსი ვის აქვს?

— ალბათ, დავით გამყრელიძეს, რადგან ის მთელი ამ ხნის განმავლობაში განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა. ასევე სერიოზული შანსები აქვს ბადრი პატარკაციშვილს, თუ ის ბოლომდე დატოვებს თავის კანდიდატურას. შალვა ნათელაშვილიც სერიოზული რეიტინგული პოტენციალის მქონე ფიგურაა. საერთოდ, ეს იქნება ქართულ სინამდვილეში პირველი ნორმალური არჩევნები, ისეთი, როდესაც პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. ადრე წინასწარმეტყველება ძალზე ადვილი იყო, იმიტომ, რომ ერთ კანდიდატს სხვებთან შედარებით, დიდი უპირატესობა ჰქონდა.

— ნათელაშვილის რეიტინგს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კომპრომატები არ დასწევს?

— აღარ ვიცი, ეს კომპრომატები მის რეიტინგს დასწევს თუ ასწევს...

— ეროვნული საბჭოს მიერ პრეზიდენტის პოსტზე ლევან გაჩეჩილაძის, ხოლო პრემიერ-მინისტრის პოსტზე — სალომე ზურაბიშვილის წამოყენებას როგორ აფასებთ?

— ამ ტანდემის არსებობას თავისი ლოგიკა აქვს, კერძოდ: გაჩეჩილაძეზე, როგორც ჩანს, არჩევანი იმ მოტივით შეაჩერეს, რომ მის ზურგს უკან პოლიტიკური პარტია არ დგას და გაერთიანებული ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ ის არ იტყვის, — პრეზიდენტობას ვინარჩუნებო, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა თავის დროზე (ერთ დროს ჩვენი ამჟამინდელი პრეზიდენტიც უჭერდა მხარს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს). ასე რომ, გაჩეჩილაძე ამ პროცესში შემოყვანილია იმ მიზნით, რომ კონსტიტუცია შეცვალოს. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, ქვეყნის მართვა გადავა პრემიერ-მინისტრის — ანუ სალომე ზურაბიშვილის ხელში. რეალურად გამოდის, რომ ხმას ვაძლევთ ლევან გაჩეჩილაძეს, მაგრამ ქვეყნის მმართველად ვირჩევთ სალომე ზურაბიშვილს.

მოამზადა **ხათუნა ბახტურიძემ**

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პრეზიდენტის დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებზე, ქვეყნის მოქმედ მეთაურს — მიხეილ სააკაშვილს შეიძლება, სერიოზული მეტოქე გამოუჩნდეს: შაბათს, მედიამაგნატმა ბადრი პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა აქვს განზრახული. მის კანდიდატურას საქართველოს გაერთიანებული ოპოზიციის ბევრმა ლიდერმა უკვე დაუჭირა მხარი. ბატონმა პატარკაციშვილმა საგანგებო მდგომარეობის გაუქმება, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თავისუფლების აღდგენა და პრეზიდენტობის ყველა კანდიდატისადმი წაყენებული პოლიტიკური ბრალდებების მოხსნა მოითხოვა. მსგავსი მოთხოვნები წამოაყენა დასავლეთმაც.

ამ პირობების შესრულების გარეშე, ბადრი პატარკაციშვილის მიერ სააკაშვილის გამოწვევა შეიძლება, უნაყოფო გამოდგეს. პარასკევს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ბიზნესმენის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, „ხელისუფლების დამხობის მიზნით" შეთქმულების მოწყობის ბრალდებით აღძრა. გარდა ამისა, დადის ხმები, რომ ოლიგარქი, საქართველოს გარდა, ისრაელის მოქალაქეცაა და არც რუსეთის მოქალაქეობაზე უთქვამს უარი. მაგრამ მთავარი დაბრკოლება მაინც, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობაა: 7 ნოემბერს, სპეცდანიშნულების რაზმმა შტურმით აიღო ოპოზიციური ტელეარხის — „იმედის" სტუდია (რომლის თანამფლობელი ბადრი პატარკაციშვილია), რომელმაც ამის შემდეგ მაუწყებლობა შეწყვიტა.

ჯერჯერობით, საქართველოს ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გაუქმებასა და ოპოზიციის სხვა მოთხოვნების შესრულებას არ აპირებს. „კომერსანტის" წყაროების ცნობით, მის ლიდერებთან შეხვედრისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ მხოლოდ საარჩევნო კომისიებში ოპოზიციის მეტი წარმომადგენლის შეყვანის მზადყოფნა გამოთქვა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა კი შაბათს, თბილისის სასტუმრო „მარიოტში" ასი უმსხვილესი ქართული კომპანიის ხელმძღვანელი შეკრიბა და მათ ამჟამინდელი ხელისუფლების მხარდაჭერაში დარწმუნებას შეეცადა. „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შემდგარი სახელმწიფო და არა ბრბოს მიერ მართული ბანდუსტანი ვართ", — მკაცრად განაცხადა პრეზიდენტმა და დასავლეთს პირველი გამოწვევაც ესროლა, როცა ხაზი გაუსვა იმას, რომ საგანგებო მდგომარეობას სხვების მოთხოვნით კი არა, საკუთარი გადაწყვეტილებით გავაუქმებო. „მე საკუთარი ქვეყნის ბედის შესახებ, რომელიმე საზღვარგარეთული სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის წინაშე კი არა, საქართველოს ხალხის წინაშე ვაგებ პასუხს", — შენიშნა მან.

ამ სიტყვების ადრესატი აშკარად ვაშინგტონი, კერძოდ კი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე, მეთიუ ბრაიზა იყო, რომელიც გუშინ თბილისში სახელმწიფო დეპარტამენტის შეფის, კონდოლიზა რაისის მკაცრი გზავნილით ჩავიდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ხელისუფლებისგან საგანგებო მდგომარეობის დაუყოვნებლივ გაუქმება, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მუშაობის აღდგენა და „სამაგალითო საპრეზიდენტო არჩევნების" ჩატარებისათვის ყველანაირი პირობის შექმნა მოითხოვა. ასეთივე მოთხოვნებით გამოვიდნენ ევროკავშირის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ეუთოს წარმომადგენლებიც. „ჩვენ თბილისში დამკვირვებელთა მისიას მივავლენთ და ამ არჩევნებს უდიდესი ყურადღებით მოვეკიდებით", — განუცხადა „კომერსანტს" ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროს წარმომადგენელმა ურდუნ გუნარსდოტირმა. როგორც ჩანს, მთელი ამ წლების მანძილზე, „ვარდების რევოლუციის" ლიდერის მხარდამჭერი დასავლეთი ამჯერად, ბადრი პატარკაციშვილისა და ქართული ოპოზიციის მხარეზე დადგა.

გაზეთი „KOMMERCANT" (რუსეთი), 12 ნოემბერი

ქართული ჯოკერი

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველომ მსოფლიო სამჯერ გააოცა. თავიდან — ოპოზიციის მხრიდან პრეზიდენტის საწინააღმდეგო გამოსვლებით, რომლებიც საპროტესტო აქციების დაწყებამდე სავსებით გამოირიცხებოდა, შემდეგ — თავად პრეზიდენტის ბრძანებებით, რომლებიც სახელმწიფო ძალაუფლებით აღჭურვილი ადამიანის აწონდაწონილ მოქმედებებს ნაკლებად ჰგავდა. მომიტინგეთა დაშლა, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე ზეწოლა და თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე განვითარებული დრამის კვანძის გახსნის უმაღლესი წერტილი — საგანგებო მდგომარეობის შემოღება ქართული და რუსული საზოგადოებების სხვადასხვა ფენებმა ერთნაირად აღიქვეს. შეფასებაც ერთიანი იყო: საქართველოს ხელისუფლებამ, ერთი ადამიანის, პრეზიდენტ სააკაშვილის სახით გადალახა ზღვარი, რომლამდეც დემოკრატია, რომლის იქით კი — ავტორიტარიზმია. მაგრამ ლამის მეორე დღესვე — გასულ ხუთშაბათს — ამ მოვლენებს ფეხდაფეხ მოჰყვა სააკაშვილის გადაწყვეტილება, რომელმაც მარტო ოპოზიციის გეგმები კი არ აურდაურია, არამედ თავად პრეზიდენტზე შექმნილი წარმოდგენაც თავდაყირა დააყენა. სააკაშვილმა გააკეთა სვლა, რომელსაც როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც ვერავინ განჭვრეტდა. მან ახალი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად მომავალი წლის 5 იანვარი დაასახელა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძანებულების ხელმოწერიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ (ანუ 22 ნოემბერს), პრეზიდენტმა უფლებამოსილება უნდა მოიხსნას და ის პარლამენტის სპიკერს გადასცეს.

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 100

ᲗᲔᲚᲘ
ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲗ-ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲑᲘᲗ
16 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲖᲔ
TV
• ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ
• ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ
• ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲔᲑᲘ
ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ
ᲗᲔᲚᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘ:
ᲡᲐᲜᲐᲛ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ ᲐᲘᲜᲗᲔᲑᲐ
ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲙᲠᲐᲜᲘ ᲭᲠᲔᲑᲐ
16–23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲤᲐᲡᲘ 70 ᲗᲗᲗᲠᲘ
N 1

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-45

ᲨᲔᲣᲠᲩᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ

ჟურნალისტი ქალის დღიურები

ᲘᲜᲒᲐ ᲧᲐᲧᲔᲚᲘ

...რატომღაც, რესტორნის კუპეში დივანიც იდგა. ანა მიხვდა:

— აქ ალბათ, ბოზები მოჰყავთ, არა?!.

— ალბათ... — დაიბნა ბიჭი. — შეურაცხყოფად ნუ მიიღებთ, არც ვიცოდი, სად მოვდიოდით.

— არა, რატომ?! — მხრები აიჩეჩა ანამ. — რა გქვიათ? სახელიც კი არ გითქვამთ...

— დათო!

— მე ანა ვარ!.. უცნაურია, რომ ასეთ თვალში მოსახვედრ ბიჭს პირველად გხედავთ და აქამდე არსად შევხვედრივართ! — მოურიდებლად უთხრა ანამ ის, რაც გაიფიქრა.

დათოს გაეცინა და მაღალფეხებიან ჭიქებში შავი ღვინო ჩამოასხა:

— ისე ლაპარაკობ, თითქოს, ამ ქალაქში ყველა „კარგი ბიჭი“ შენს ფეხებთან იყოს განრთხმული! — „შენობითზე“ გადავიდა დათო.

— არც უმაგისობაა. ჟურნალისტი ვარ და ამიტომ, ყველანაირ წრეში მიღებულიც...

— კრიმინალზეც წერ?!

— უფრო პოლიტიკაზე, რომელიც არც „ტრუპის“ გარეშეა. ისე, ვცდილობ ხოლმე იმ ადგილს გავეცალო, სადაც სისხლის სუნი დგას, რადგან მაქვს საამისო მიზეზი...

— არ მითხრა ახლა, კაცი მყავს მოკლულიო, — დაცინვით შეხედა დათომ ქალს.

— ასე რომ იყოს?! — არც ანამ დაიხია უკან.

— პრინციპში, არც არაფერი გამიკვირდება, მაგრამ მკვლელს ნაკლებად ჰგავხარ. აი, მე კი... მე ნამდვილად მკვლელი ვარ, ჩემო ანა, ცივსისხლიანი მკვლელი, რომელსაც ნებისმიერის გაგრება შეუძლია, თუ ამაში სათანადოდ გადაუხდიან.

— კილერი ხარ?! — შიში არც გახსენებია ანას, ყველა გრძნობას ცნობისმოყვარეობამ სძლია, რაც დათოს არ გამოჰპარვია:

— ოღონდ, არ მითხრა ახლა, სურათს გადაგიღებ და საგაზეთო ინტერვიუ მომეციო! — ყოველგვარი ხუმრობის გარეშე გააფრთხილა ქალი.

— რომ გადაგიხადოთ, მაინც?! — არც ანა იყო დამთმობი.

— მხოლოდ ნატურში ვიღებ! — აშკარად დასცინოდა ბიჭი.

— მოსულა! — ბედისწერას ეთამაშებოდა ანა...

— ჩვენს შეხვედრას, იმ შემთხვევითობას გაუმარჯოს, რომელმაც ერთმანეთს გადაგვყარა! — ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა დათომ.

— ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი ხდება, — შეუსწორა ანამ. — გაგვიმარჯოს!..

...ვერ იტყვის, რომ სურვილმა გააგიჟა და ამიტომ დათანხმდა ყველაფერზე. უფრო, გიგის ჯიბრზე და მასზე შურისძიების მიზნით აჰყვა დათოს ალერსს... ბიჭი საკმაოდ დახელოვნებული დონჟუანი აღმოჩნდა — ისე გახადა ტანსაცმელი, აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო და იქვე, გრძელ მაგიდაზე შემოსვა...

— კარი ღიაა, ოფიციანტი შემოვა! — დაიკვნესა ანამ.

— აქ შემოსვლას ვერავინ გაბედავს! — დათოსაც შესცვლოდა ხმა...

...მერე რაც მოხდა, იმისი აღწერა შეუძლებელია...

დათო გაკვირვებული მიაცქერდა ანას:

— შენ ჩემზე გიჟი ხარ, შენნაირ ქალზე მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ მამაკაცებს... ვაუუუ! — ეს თქვა, დაიხარა და მუცელზე აკოცა. ანას სიამოვნებისგან გააჟრჟოლა, თითქოს ელვასავით დაუარა სხეულში რაღაც ძალამ, რაც დათოს შეუმჩნეველი არ დარჩენია. სკამზე დაჯდა და ანა გაშლილი ფეხებით შემოისვა მუცელზე... ახლა ქალი იყო მთავარი მოქმედი პირი და არაფრით ზღუდავდა სურვილს...

დათომ არაადამიანური ხმით დაიღმუვლა:

— Что-то не так?! — შეკრთა ანა.

— ქალი ხარ თუ ტყის ალი?! — კითხვაზე კითხვა შეაგება კაცმა და იქვე დაგდებულ სიგარეტს დასწვდა, მაგრამ მოკიდება გაუჭირდა, ხელები უკანკალებდა...

— მეც მომაწევინე! — სიგარეტი ჩამოართვა ანამ და ზედიზედ დაარტყა რამდენიმე ნაფაზი. მერე ადგომა დააპირა კაცის მუხლებიდან.

— ცოტა ხანს იჯექი! — არ ეთმობოდა დათოს.

— ისედაც საკმაო ხანს „ვიჯექი“ და ვაითუ, „რამე ავიკიდე“, ნაბიჭვრის დედობის არავითარი სურვილი არ მაქვს! — უხეში იყო ანა.

— ნუ უხეშობ... თუ რამე მოხდება, სანამ ცოცხალი ვიქნები, არაფერს გაგიჭირვებ! — არ იტყუებოდა ბიჭი.

— ცოლ-შვილი გყავს? — რატომღაც დაინტერესდა ანა.

— არა. ჩემი პროფესიის კაცს ცოლის და მით უმეტეს, შვილების ყოლა ეკრძალება...

— მართლა კილერი ხარ?! — დაეჭვდა ანა.

— მართლა...

— მეც მართლა მყავს მოკლული კაცი და მას შემდეგ დავიფიცე, რომ არასოდეს მეყოლება ქმარი და არც მორჩილი ცოლი ვიქნები, არასოდეს! — რატომღაც, გულახდილობის ხასიათზე დადგა ანა და დათოს ვატო სიხარულიძის შესახებ უამბო. ბოლოს კი აღიარა:

— როცა შეურაცხყოფას გაყენებენ, ადვილი ყოფილა კაცის მოკვლა!..

— მეც შეურაცხმყვეს, თავისებურად და ბავშვობაც წამართვეს. ამიტომაც გამიცივდა სისხლი. პირველად მამინაცვალი მოვკალი, მაშინ მხოლოდ 12 წლის ვიყავი... თუმცა, ამის გახსენებაზე ახლაც მზარავს... მართალია, ყველაფრისთვის მეფურად „გადაიხადე“, მაგრამ მაინც, ჩემ შესახებ მეტს ვერც ვერაფერს გეტყვი!..

— ვერც ვერასოდეს შეეხვდებით? — გული დასწყდა ანას.

— დამიტოვე შენი მისამართი და თუ ოდესმე გამიჩნდება ამის საშუალება, აუცილებლად მოგინახულებ! — თქვა თავჩაქინდრულმა კაცმა. — მეტს ვერაფერს დაგპირდები, მიუხედავად იმისა, რომ მართლა უნიკალური ქალი ხარ და შენზე უკეთესის პოვნა ნამდვილად შეუძლებელია...

რესტორანში დიდხანს აღარ დარჩენილან. დათომ ანა სახლამდე მიიყვანა.

— არ ამოხვალ? — გულით შეიპატიჟა ანამ.

— მართლა არ შემიძლია, მელოდებიან, უკვე საკმაოდ დავაგვიანე. თან, არც ის მინდა, შენთან დამაფიქსირონ და პრობლემები შეგექმნას...

— მე არაფრის მეშინია!..

— აქ შიშზე მეტი პრობლემაა! — თქვა დათომ და, აღარაფრის განმარტება ისურვა. ანა მანქანიდან გადმოვიდა.

...იმ ღამით მკვდარივით ეძინა, მაგრამ დილით, თავს მაინც ცუდად გრძნობდა. თითქოს, მთელი ღამე ფიზიკურ, დამქანცველ შრომაში გაეტარებინოს; არც განწყობილება ჰქონდა უკეთესი, არავის დანახვა არ უნდოდა. რედაქტორს დაურეკა და ერთკვირიანი შვებულება სთხოვა. ნიკას უარი არ უთქვამს. იცოდა, ანა ტყუილუბრალოდ არ აიღებდა ტაიმ-აუტს და თუ შესვენების აუცილებლობა გაუჩნდა, ე.ი. მიზეზიც სერიოზული ჰქონდა. ის მხოლოდ იმით დაინტერესდა, ანას მისგან ხომ არ სჭირდებოდა რაიმე დახმარება?!.

ნიკა ვაწაძე ანას ყოველთვის ანებივრებდა ყურადღებით და ქალი ხვდებოდა, რომ რედაქტორს, ის მხოლოდ როგორც ნიჭიერი ჟურნალისტი, ისე არ „ეძვირფასებოდა“ და საბაბი რომ მიეცა, ცოლადაც შეირთავდა, მაგრამ... ანას საერთოდ არ უნდოდა გათხოვება, ქმრის მორჩილება და ხშირად, უსაფუძვლო ეჭვიანობის მოთმენა...

წესით, ნიკა ცუდი ქმარი არ უნდა ყოფილიყო. ის სამართლიანიც იყო და წონასწორობასაც იშვიათად კარგავდა, მაგრამ... ანას ეს „სიდინჯე“, წინასწარ გათვლილი თითოეული ნაბიჯი და „უშეცდომო ყოველდღიურობაც“ ხშირად აღიზიანებდა. ამიტომაც, სათავეშივე „მოკვეთა“ მათი პირადი ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა და ნიკას ის უთხრა, რაც ყველაზე უახლოესი მეგობრებისთვისაც კი არ უთქვამს: საყვარელი მყავს, რომელსაც ვერავინ შემიცვლის, მე კი არავითარი სურვილი არ მაქვს, ქმარს ვატყუებდე, შიშში ვცხოვრობდე და თავს სიხარულის უფლებას ვერ ვაძლევდეო!..

ნიკას მისთვის მორალის კითხვა არ დაუწყია. მოკლედ უთხრა:

— ადრე თუ გვიან მიხვდები, რომ ეგ „ბობოქარი“ ცხოვრება, სინამდვილეში ილუზიაა. ქალი უოჯახოდ არ უნდა დარჩეს, შვილს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის... მოკლედ, გელოდები!..

წესით, ანას ასეთი ერთგულება და სიყვარული უნდა დაეფასებინა, მაგრამ უფრო მეტად დაშორდა ნიკას და საერთოდ ველარ აღიქვამდა კაცად: „როგორ შეიძლება, იცოდე, რომ ქალს საყვარელი ჰყავს, მაგრამ მაინც მას ელოდებოდე და იცდიდე, როდის მოსწყინდება „ავხორცობა“, რომ ცოლად შეირთო და შენი შვილების დედად აქციო?!.“ ზოგჯერ, გიჟიც ეგონა თავი ამის გამო და ფიქრობდა: „ჭკვიანი ქალი ნიკას მსგავს კაცს ხელიდან როგორ გაუშვებდა?!“ — მაგრამ ვერაფერს უხერხებდა საკუთარ თავს და განწყობილებას — ნიკას ხასიათის სირბილეს უპრინციპობას უწოდებდა და ასეთი ქმარიც რომ ჰყოლოდა უკვე, იმასაც ვერ აიტანდა და ოჯახს დაანგრევდა...

...შინ ჩაიკეტა. ტელეფონის ზარებს არ პასუხობდა, ნაცნობთაგან არავინ აინტერესებდა, მხოლოდ დათო ენატრებოდა. თუმცა, იმასაც გრძნობდა, რომ გულზე მეტად, სხეული სთხოვდა მის სიახლოვეს და ამისი რცხვენოდა... გამუდმებით უტრიალებდა თავში კითხვა — ნეტავ, როდის გავახსენდები ან საერთოდ, თუ გავახსენდებიო?!.

გიგიზე ფიქრიც კი დაჩრდილა დათოს სურვილმა. პრინციპში, სწორედ დათოს დამსახურება გახლდათ, რომ გიგის „დაკიდება“ შეძლო და აღარც შურისძიების გრძნობა იყო მტანჯველი...

...ორი დღე შინ გამოკეტილს პირიც კი არ დაუბანია. გონებაც და სხეულიც ერთნაირად ჰქონდა გადაქანცულ-გამოფიტული და ენერგიის აღდგენას ძილით ცდილობდა...

...გიგის ზარს აღარც ელოდა, რადგან მან მაშინვე არ დაუწყო დევნა და „გაქცეულის“ მოძებნა არ სცადა. მით უმეტეს, რომ ნახა — უცხო კაცს ჩაუხტა მანქანაში და თუ ანას სიცოცხლე რაიმედ უღირდა, მის უსაფრთხოებაში დასარწმუნებლად მაინც უნდა ეცადა ქალთან დაკავშირება...

ორი დღის შემდეგ „გაახსენდა“...

„დამპალი!“ — გაიფიქრა ანამ, საბანი წაიფარა თავზე და თითქოს, რეალობისგან გაქცევა ასე სცადა. უცებ გაიგონა, რომ ეზოში მანქანა შემოვარდა, საოცარი სისწრაფით. გულმა რეჩხი უყო და იმის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, გიგი არ იყოსო, რომ გაბმული სიგნალი გაისმა...

ფანჯარაში გადაიხედა. გიგის მანქანის კარი გამოეღო, ცალი ფეხი გარეთ გადმოედგა, მისი ფანჯრისკენ იხედებოდა და გაბმით ასიგნალებდა.

ანამ მობილური ტელეფონი სასწრაფოდ ჩართო:

— შენ რა, გაგიჟდი?! რას იტყვის ხალხი, ხომ გააღვიძებ რამდენიმე კორპუსს?!

— თუ არ შემომიშვებ, ასეც იქნება და შეიძლება, უფრო უარესიც მოხდეს, რადგან საკუთარ ქმედებაზე პასუხს არ ვაგებ. უნდა შემომიშვა!..

— ახლა გვიანაა. ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს და საბოლოოდ გავარკვიოთ ურთიერთობები! — დათმობაზე წავიდა ანა.

— არავითარი ხვალ, ისედაც ბევრი დაგითმე! ახლავე უნდა შევხვდეთ! — კატეგორიული იყო გიგი, რომელიც ისევ გაბმულად ასიგნალებდა და უკვე, აქა-იქ ფანჯრებიც გამოაღო ძილგამფრთხალმა ხალხმა.

— ამოეთრიე! — სხვა გზა არ ჰქონდა ანას...

შემოვიდა თუ არა ოთახში გიგი, ანამ გააფრთხილა:

— ჩვენ შორის აღარასოდეს იქნება ინტიმური ურთიერთობა და გირჩევ, ძალადობა არც გაბედო, თორემ...

— საერთოდ არ მაინტერესებს შენი აზრი, ისედაც დიდხანს ვიარე შენს ჭკუაზე და ალბათ, ამიტომაც გამიბედე ამდენი. სიმართლე გითხრა, სიყვარულით ვერც ველარასოდეს გავაკეთებ ამას, რადგან აღარ გენდობი. ჩემში სიყვარულის ჩასაკლავად ყველაფერი გააკეთე...

— შენ რა, ოდესმე შეგეძლო ვინმეს სიყვარული?!.— შვილიც კი გაუაზრებელი ვნების ნაყოფი გყავს და არა — სიყვარულის! — ირონია გაურია ანამ ხმაში.

— შენი აზრი აღარც მაინტერესებს და აღარც მაღელვებს! უკვე გითხარი, რადგან ბოზურად მომექეცი, იმასვე მიიღებ, რასაც ბოზები იმსახურებენ და შეურაცხყოფისგან თითებს დაიკვნეტ! — არ ხუმრობდა გიგი.

— ჩემი შეურაცხყოფა ჯერ არავის შერჩენია! — არც ანა იყო დამთმობი.

გიგი უცებ მიეჭრა ქალს და ხელი ზურგს უკან ამოუტრიალა. მკვეთრმა ტკივილმა სუნთქა შეუკრა ანას და უნებლიეთ ჩაიმუხლა.

— აი, ასე, ამ პოზაში გაგაუპატიურებ და სანამ ფეხის ტილოს მსგავსად არ გაგიგდებ, არ მოგეშვები!

— ცეცხლს ეთამაშები! — ამ მდგომარეობაში მყოფსაც არ შეეძლო დათმობა და ანამ ადგომა სცადა...

გიგიმ საძინებელში შეათრია და თივით სავსე ტომარასავით მიაგდო საწოლზე, მერე კი უცებ გაშიშვლდა.

— არ მომეკარო! — ისტერიკა ახრჩობდა ანას.

კაცს არაფერი ესმოდა...

უცებ, ანამ ტუმბოზე დადებული სპილენძის შანდალი დაინახა, გაცოფებულმა წამოავლო ხელი და გამეტებით ჩასცხო გიგის თავში. კაცი უცებ მოეშვა და გვერდზე გადავარდა. გატეხილი თავიდან სისხლმა იწყო დენა...

„მოვკალი!“ — გაიფიქრა ანამ და შიშზე მეტად, სიცარიელე იგრძნო. თუმცა, ეს სიცარიელე იმდენად მძიმე ასატანი იყო, რომ ლამის გული წაუვიდა...

გიგიმ დაიკვნესა და შეინძრა:

„ცოცხალია!“ — გაიფიქრა ანამ. მერე კი ადგა, ჩაიცვა, შეძლებისდაგვარად თავი მოიწესრიგა, ოთახიც მიალაგა ისე, რომ „სასწრაფოს“ გამოძახებაზე არც უფიქრია...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თამუნა კვინიკაძე

— ამ ნივთით ოდისევსის მამა ლაერტე ბაღში მუშაობდა. იგი სამშენებლო საქმიანობაში დღესაც გამოიყენება. მას ძალზე ხშირად იყენებდა აბრაამ ლინკოლნი. რა ნივთზეა ლაპარაკი?

— (*ფიქრობს*)

— მიგანიშნებთ: ეს ნივთი დუელის დროსაც იყო საჭირო?

— ხელთათმანი?

— დიახ. სად გაიყვანეს მსოფლიოში პირველი მეტროპოლიტენი?

— ინგლისში, ქალაქ ლონდონში.

— დიახ, ეს 1863 წელს მოხდა. რა არის ანაქრონიზმი?

— ქრონოლოგიური შეუსაბამობა.

— საქართველოს რომელ ქალაქშია სტალინის მამის, ბესარიონის საფლავი?

— სტალინის დედა კეკე მთაწმინდაზეა დაკრძალული, მამა (*ფიქრობს*) — ზუსტად არ ვიცი, ალბათ გორში.

— ცდებით, იგი თელავშია დაკრძალული. ვინ იყო ფარნაზავის სიძე?

— ქუჯი ერისთავი.

— რით ასაჩუქრებდნენ საახალწლოდ რომაელები ერთმანეთს?

— არ ვიცი.

— ფულით. ვისი გამოთქმაა „წილი ნაყარია, რუბიკონი გადალახულია“.?

— იულიუს კეისრის.

— დამისახელეთ არგენტინის დედაქალაქი.

— ბუენოს-აირესი.

— აშშ-ის რომელი მოღვაწეა გამოსახული 100-დოლარიან კუპიურაზე?

— ასეთ წვრილმანებს არასდროს ვაკვირდები, ლინკოლნი თუ ფრანკლინი?

— ფრანკლინი. ვიქტორ ჰიუგოს რომანის — „კაცი, რომელიც იცინის“ — მთავარი გმირის სახელს თუ გაიხსენებთ?

— ეს ნაწარმოები ძალიან მიყვარს, ერთი წამით, არ შემახსენო (მცირე პაუზის შემდეგ) გუინპლენი, ხომ?

— ნამდვილად ასეა. ახლა მითხარით, რომელ ოკეანესთან აერთებს ლა-მანშის სრუტე ჩრდილოეთის ზღვას?

— ატლანტის ოკეანესთან.

— რა ერქვა ესპანელ მხატვარს — დალის?

— სალვადორი.

მსახიობმა **დათო ხურცილავამ**, იმავე ჯაპანამ აღიარა, რომ წიგნების კითხვა ოჯახის წევრებმა ძალით შეაყვარეს. „როცა ეზოდან ბავშვების ხმა მესმოდა და ვხედავდი, როგორ თამაშობდნენ ბურთს, ერთი სული მქონდა, მათთან როდის ჩავიდოდი“, — იხსენებს და დასძენს: მშობლებისგან სათამაშოდ წასვლის უფლება რომ მიმელო, ჯერ მათგან მითითებული ნაწარმოების რამდენიმე ფურცელი უნდა წამეკითხა, შემდეგ კი შინაარსი მომეყოლაო. ჩვენთან საუბრისას ჯაპანამ ისიც აღიარა, რომ წიგნის ქურდიც არაერთხელ ყოფილა. პირველი წიგნი, რომელიც ბიბლიოთეკიდან მოუპარავს, „ნადირობა, თავგადასავალი, მოგზაურობა“ ყოფილა. სხვადასხვა მწერლის მიერ ამ თემებზე დაწერილი ნაწარმოებები სულმოუთქმელად წაუკითხავს. მისი საყვარელი მწერალი თამაზ ჭილაძეა. ლიტერატურული პერსონაჟებიდან კი დათა თუთაშხიასთან მეგობრობის სურვილს გამოთქვამს.

ინტელექტუალურ ჯაპანას წიგნის კითხვა ძალით შეაყვარეს

— რომელ ქალაქშია „ოსტანკინოს“ სატელევიზიო ანძა?

— მოსკოვში.

— პარიზიდან 1 საათის სავალზე არის ადგილი, რომელიც კომუნისტური იმპერიის მიერ დევნილმა ემიგრანტმა ქართველებმა საძვალედ იყიდეს. რა ჰქვია ამ ადგილს?

— ლევილი.

— რომელ ნახევარკუნძულზე მდებარეობს დანია?

— იუტლანდიის.

— რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის გიბრალტარის სრუტე?

— დიდ ბრიტანეთს.

— ყოჩაღ! რა ერქვა კვაჭი კვაჭანტირაძის მამას მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების რომანში?

— (*ფიქრობს*) ვერაფრით ვიხსენებ, ამის არცოდნა არ მეპატიება.

— სილიბისტრო. სპორტის რომელ სახეობაში ჰქვია დაბალ და ძლიერ დარტყმას დრაივი?

— ჩოგბურთში, მაგრამ პასუხში დარწმუნებული არ ვარ.

— პასუხი სწორია. საქართველოს რომელ კუთხეშია ბარაკონის ეკლესია?

— რაჭაში.

— რისი შიშია მონოფობია?

— სიმარტოვის.

— რომელი იმპერატორი მონაწილეობდა გლადიატორთა ბრძოლებში?

— მასზე ფილმიც არის გადაღებული.

— კითხვაზე არ მიპასუხეთ.

— ეს იმპერატორი იყო (*ფიქრობს*) კომოდუსი.

— კვირის რომელ დღეს გაიმართა საიდუმლო სერობა?

— ხუთშაბათს.

— პარიზში ვისი სახელობის მოედანზე მდებარეობს ტრიუმფალური თაღი?

— ის, რაც უნდა ვთქვა, არ ვიცი, სწორი პასუხი იქნება თუ არა, ამიტომ თავს შევიკავებ.

— ტრიუმფალური თაღი შარლ დე გოლის მოედანზე მდებარეობს. რომელ ოკეანეშია ბერმუდის სამკუთხედი?

— ატლანტის ოკეანეში.

— რომელ ქვეყანაში იღებს სათავეს მდინარე ამაზონი?

— მგონი, პერუში.

— **დიახ. ჭიანჭველას დასახმარებლად, რწყილმა პირველად რომელ ცხოველს მიმართა?**
— ღორთან მივიდა და სთხოვა, ჯაგარი მიეცა.
— **ის თუ იცით, რა ეროვნების იყო ჟიულ ვერნის მოთხრობების გმირი — კაპიტანი ნემო?**
— ინდოელი.
— **ვინ არის კომპოზიტორი, ილია ჭავჭავაძის ლექსზე დაწერილი სიმღერისა — „ჩემო კარგო ქვეყანავ“?**
— რეზო ლაღიძე.
— **რომელი ოპერის პერსონაჟები არიან: მალხაზი, ცანგალა და კიაზო?**
— „დაისის“.
— **რომელ ქალაქშია „გრანდ-ოპერა“?**
— პარიზში.
— **რა ჰქვია უკრაინის პარლამენტს?**
— რადა. პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, მაგრამ ეს სიტყვა იმდენად ხშირად მესმის, რომ დამამახსოვრდა.
— **ესტონეთის პარლამენტის სახელი თუ იცით?**
— არა.
— **რიიკუგუ.**
— ეს სიტყვა მგონი, პირველად მესმის.
— **რუსეთის დროშაზე რა ფერისაა ქვედა ზოლი?**
— წითელი.
— **რა ეწოდება რომელიმე პოლიტიკური ფიგურის ან პარტიის მომხრე ამომრჩევლებსა და მხარდამჭერებს?**
— ხომ გითხარი, პოლიტიკაში ვერ ვერკვევი-მეთქი.
— **ელექტორატი. რომელია ბრაზილიის ოფიციალური ენა?**
— პორტუგალიური.
— **რომელი ქართველი ჟურნალისტი დააკავეს ბესლანში განვითარებული მოვლენების დროს?**
— (*ფიქრობს*)
— **ეს პიროვნება დღეს ჟურნალისტიკაში აღარ არის, პოლიტიკაში გადაინაცვლა.**
— ნანა ლეჟავა?
— **დიახ. საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის წევრების მერამდენედმა უნდა დაუჭიროს მხარი კონსტიტუციური ცვლილების მიღებას?**
— ამ პოლიტიკას მაინც არ ეშვები, გინდა, რომ ჩამჭრა, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი ვიცი. ცვლილება რომ მოხდეს, პარლამენტართა ორმა მესამედმა უნდა დაუჭიროს მხარი.
— **რომელ თვეს ჰქვია რომაული მითოლოგიური ღმერთის, აფროდიტეს სახელი?**
— აპრილს.
— **ჭადრაკის თამაში გიყვართ?**
— ისე, რა.
— **ის თუ იცით, რამდენი უჯრედია ჭადრაკის დაფაზე?**
— 64.
— **ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლების მიხედვით რომელი სახელმწიფოა პირველ ადგილზე?**
— რუსეთი ან ამერიკა, ზუსტად არ ვიცი.
— **ამერიკა. რომელ წელს მიენიჭა სტალინს გენერალისიმუსის წოდება?**
— 1945 წელს.
— **ჭირისუფლებისგან ფულის გამოძალვის მიზნით, რომელი ცნობილი მსახიობის ცხედარი მოიპარეს?**
— ჩარლი ჩაპლინის.
— **ამ იტალიელმა პოეტმა ისე დაწვრილებით აღწერა იმქვეყნიური ცხოვრება, ქუჩაში რომ მიდიოდა, მასზე ამბობდნენ: აი, მოდის ადამიანი, რომელიც საიქიოშია ნამყოფი. ვინ იყო ეს პოეტი?**
— არ ვიცი.
— **დანტე ალიგიერი.**
— ვაიმე! მისი „ღვთაებრივი კომედია“ რამ დამავიწყა?! არ დავფიქრდი, თორემ პასუხის გაცემა ამ კითხვაზეც შემეძლო.
— **„მე ვარ მისანი ხარი წიქარა,/ შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,/ ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,/ რომ გემსახურო...“**
— (*მაწყვეტინებს*) „...და გიერთგულო“.
— **ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**
— შოთა ნიშნიანიძე.
— **რომელი ქვეყნის პრინცი იყო ჰამლეტი, უილიამ შექსპირის ამავე სახელწოდების ტრაგედიიდან?**
— დანიის.
— **სადაური მწერალი იყო ალბერტო მორავია?**
— იტალიელი.
— **ვინ ასრულებს აღა-გეორქას როლს ფილმში — „ვერისუბნის მელოდიები“?**
— ეროსი მანჯგალაძე.
— **ვისი ფერწერული ტილოა „მზესუმზირები“?**
— (*ფიქრობს*) ვან გოგის.
— **ხშირად ამბობთ — იაპონელს ვგავარო. თუ იცით, რას ნიშნავს „იაპონია“ იაპონურად?**
— მზის ქვეყანას.
— **სად მდებარეობს მოქმედი ვულკანი ეტნა?**
— სიცილიაზე.
— **ვინ არის რეჟისორი კინოფილმისა — „მიმინო“ — ელდარ შენგელაია, გიორგი დანელია, გიგა ლორთქიფანიძე თუ თენგიზ აბულაძე?**
— გიორგი დანელია.
— **გუდაუთა, ზუგდიდი, სენაკი, გალი — მათგან რომელი იყო ადრე სამურზაყანო?**
— სამურზაყანოს, გალის რაიონის ტერიტორიას ეძახდნენ.
— **ჰოკეის თამაშის დროს, თითოეულ გუნდში რამდენი მოთამაშეა?**
— ხუთი.
— **ცდებით, თითოეულ გუნდში 6 მოთამაშეა.**
— მეექვსე მეკარეა (*იცინის*).
— **რომელმა მეფემ განახორციელა პირველად, ძველი ქართული სამართლის ნორმების მოდიფიკაცია — ერეკლე II-მ, ვახტანგ VI-მ თუ არჩილმა?**
— ვახტანგ VI-ის სამართალიო, — მსმენია, ე.ი. სამართლის ნორმების მოდიფიკაცია ამ მეფემ განახორციელა.
— **დაალაგეთ ომები თარიღების მიხედვით, წარსულიდან — მომავლისკენ: გარნისი, ბაზალეთი, დიდგორი, კრწანისი.**
— დიდგორი, გარნისი (*ფიქრობს*), ბაზალეთი და კრწანისი.
— **დაბოლოს: დაასრულეთ მონტესკიეს ცნობილი გამონათქვამი: — „რა საწყენია, როცა მახვილი სიტყვა...“**
— ციტატა ზუსტად არ მახსოვს. რა არის ეს, რა ძნელი კითხვები გქონდათ?!
— **ამ „ძნელ კითხვებს“ შესანიშნავად გაართვით თავი. ამაში ჩვენი მკითხველიც დამეთანხმება. რაც შეეხება მონტესკიეს გამონათქვამს, იგი შემდეგი სიტყვებით სრულდება: „...როცა მახვილი სიტყვა „რეგვენ“ კაცის ყურში ხვდება“.**

განათლება — უმაღლესი, ასაკი — 40 წელი. რაც აცვია, მხოლოდ ესა აქვს, ეს აბადია... სხვა რაღაცებს საჭიროების, მოხერხებულობის, შესაძლებლობის მიხედვით და ბედის წყალობით შოულობს... უფრო სწორად კი — მოიპოვებს... მთავარი საჭიროება შიმშილის მოკვლაა, მეორე — სითბო. საბედნიეროდ, ამ საზრუნავს სეზონური ხასიათი აქვს... ის „ბომჟია" და თავისი ცხოვრების შესახებ განრისხებული ლაპარაკობს...

თბილისელი „ბომჟის" ცხოვრება

ანუ „თუ დაიძინე, შეიძლება, გაგიქურდონ, მოგაცალონ, გცემონ..."

დეა ცუცქირიძე

— როგორ უნდა მივმართო ადამიანს, რომელიც ასე გამოიყურება?.. რამდენი ხანია, არ გიბანავიათ?

— ხომ ხედავ, შენ თქვენობით მომმართე, მე კი შენობით დაგელაპარაკები. ჩემი მდგომარეობა უფლებას მაძლევს, ისეთი ვიყო, როგორიც ვარ, შენ კი ეტიკეტზე ზრუნავ, მაგრამ ვერ გაგირკვევია — რა არის ახლა ეს ეტიკეტი?!

— როგორც წესი, ჩემს რესპონდენტებს მათ პირად ჰიგიენაზე არ ველაპარაკები... ანუ ამ შემთხვევაში, არც მე ვიცავ ეტიკეტს...

— ვიბანავე ამას წინათ — ორთაჭალაში, ჰესის წინ, გოგირდის წყაროზე.

— ქუჩაში? ეგ ადგილი არ ვიცი.

— თვალს მოფარებულია. თანაც, ღამე იყო. ისედაც, ყველა ცდილობს, თვალი აგარიდოს... მოკლედ, ეგ არ არის პრობლემა.

— აბა, რა არის პრობლემა?

— არაფერი.

— ეს რას ნიშნავს, შევწყვიტოთ ლაპარაკი?

— არა, რატომ?! დრო ბევრი მაქვს და ვილაპარაკოთ, თუ გინდა. მხოლოდ, ნუ მაიძულებ, „დავიგრუზო".

— „დაიგრუზო" პრობლემებით?

— ჰო, იმიტომ კი არ ვარ აქ, რომ მოვალეობებზე ვიფიქრო, აქ იმიტომ ვარ, რომ სანამ გავძლებ, კარგად ვიყო.

— დავაზუსტოთ: აქ ანუ ქუჩაში?..

— როდესაც არა გაქვს ჭერი და ამ ჭერქვეშ რაღაცა ნივთები, ე.ი. თავისუფალი ხარ...

— კარგი თავისუფლებაა მოვალეობებზე უარის თქმა. ეგ უფრო პოზაა!

— ჰო, მაგრამ ჩვენ არავის ვჭირდებით...

— დავას არ ვაპირებ, მაგრამ მაინტერესებს, კონკრეტულად, ვის არ სჭირდებით — ოჯახის წევრებს თუ სახელმწიფოს?

— ოჯახის წევრებისთვის უკეთესია, თუ არ ეცოდინებათ, რას ვაკეთებ. უმჯობესია, იფიქრონ, რომ გარეწარი ვარ და ისინი ამიტომაც მივატოვე, ვიდრე აქ მნახონ...

— მაგრამ თქვენ არ იმალებით. აქ, ღია ცის ქვეშ, თბილისის ცენტრში დამალვა, მგონი, მოუხერხებელია.

— ჯერ არავის შევხვედრივარ, ნაცნობთაგანს. ჩემი ოჯახი მხოლოდ ერთი ადამიანისგან შედგება და რაღა ის გადამეყრება?!. სახელმწიფომ კი დამიმტკიცა, რომ მე ზედმეტი ადამიანი ვარ.

— როგორ?

— სახლი მქონდა თბილისში. როცა ძალიან გამიჭირდა, ვერც სამსახური ვიშოვე და აღარც არაფერი მქონდა გასაყიდი, გადავწყვიტე, ჩემი კარგი ბინა გამეყიდა და სხვა, უფრო პატარა ბინა მეყიდა. ასეც მოვიქეცი. ვფიქრობდი, რომ დარჩენილი თანხით მცირე ბიზნესს წამოვიწყებდი და ფეხზე დავდგებოდი. წამოვიწყე საქმე, მაგრამ დიდი ვერაფერი — ფართი ვიქირავე ქალაქის გარეუბანში და მაღაზია გავხსენი. ჩემი ბიზნესი მალე „გარდაიცვალა"... გადასახადების და ნისიების წყალობით, წაგებაზე დავიწყე მუშაობა. ის ახალნაყიდი ბინაც გავყიდე და მთელი თანხა მაღაზიაში ჩავდე. იქვე ვცხოვრობდი, სადაც ვმუშაობდი. მერე, გამყიდველიც დავითხოვე, რადგან ხელფასს ვერ ვუხდიდი... მალე, ჩემს „დიდ" ბიზნესში სახელმწიფომ დარღვევები აღმოაჩინა, მაღაზია დამილუქეს და სანამ მათთან ანგარიშს გავასწორებდი, პროდუქტები გამიფუჭდა... ამას ახალი გადასახადები დაემატა და გავკოტრდი. მაღაზიაში ყოველდღე ჩხუბი მქონდა, რადგან ბუნებრივია, დისტრიბუტორები გაყიდული საქონლის თანხას მთხოვდნენ, მე კი ეს თანხა არ მქონდა. სახელმწიფომ შანსი არ მომცა, ფეხზე დავმდგარიყავი. რა, პირველად მოისმინე ასეთი ამბავი?!

— არა, სრულიად ჩვეულებრივი ამბავია... მაშინვე გადმობარგდით ქუჩაში?

— არა, მე დამწყები „ბომჟი" ვარ. თავიდან ნათესავებს გავუმწარე სიცოცხლე: ხან ერთთან მეძინა, ხან — მეორესთან, მერე კი სმა დავიწყე.

— ჰო, გამოსავალი გიპოვიათ...

— მშვენიერი გამოსავალია. ადამიანები იმიტომ ზრუნავენ ერთმანეთზე, იმისთვის იღვწიან და შრომობენ, რომ თავი კარგად იგრძნონ. ახლა, თავს მშვენივრად ვგრძნობ! თანაც, მარტო არა ვარ!

— თქვენი საცხოვრებელი ადგილი კოლმეურნეობის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაა... შეიძლება, ასე ითქვას?

— არა, ჩემი მისამართია თბილისი. თუმცა, ამ ეტაპზე, მის ამ უბანში ვიმყოფები... ამას ცხოვრებას ვერ დაარქმევ.

— რამდენი ხარ...?

— აქ ორმოცდაათამდე ნაცნობი მყავს, ერთი ამდენს კი არ ვიცნობ. ყველას ვერ ენდობი, საშიშია... „ბომჟებს" ვერც დაითვლი, რადგან ჩვენ ყველგან ვართ, სადაც შეიძლება, რომ ჩამოჯდე. თბილისში კი ასეთი ადგილი ბევრია.

— რა საშიშროებაზე ლაპარაკობთ?

— სიკვდილის საშიშროებაზე. თუ ყველას მიენდვე, შეიძლება, რომელიმემ თავში აგური იმ ერთი ლარისთვის ჩაგარტყას, რომელიც შენს ჯიბეში ეგულება.

— მე არ გამიგია, რომ თბილისში „ბომჟი" მოეკლათ.

— შენ რომ არ გაგიგია, ეგ არაფერს ნიშნავს. მკვდარი „ბომჟი" კი არა, პატრონიანი აღარავის აინტერესებს. პოლიცია ცდილობს, ასეთი საქმე სასწრაფოდ დახუროს. როგორც წესი, ისევ „ბომჟს" აწერენ ასეთ დანაშაულს. რა პრობლემაა, ერთს კარგად მიგუეჯავენ და მერე, რაზეც უნდათ, იმაზე მოგაწერინებენ ხელს. ჩვენ ყველანი აღრიცხვაზე ვართ, პოლიციამ საკუთარი სიმშვიდისათვის რომ იცოდეს, რამდენი ვართ და სად ვართ. მეტი არაფერი.

— ვილაც მაინც ყოფილა თქვენი ბედით დაინტერესებული...

— ხუმრობ?

— თქვენ ადამიანები თვალს გარიდებენ და გაგირბიან. უცნაურია, როგორ ახერხებთ თავის გატანას?

— თვალსაც გვარიდებენ და ჩვენით ფულის გაკეთებასაც ახერხებენ... ისეთებიც არიან, რომლებიც ფულს, სასმელს, სიგარეტს, საკვებს გვჩუქნიან.

— „ჩვენით ფულის გაკეთება" რას ნიშნავს?

— ჰო, ზოგიერთებმა ამაზე ბიზნესი ააწყვეს... ვერაფერს იტყვი, ეს ჩვენთვისაც მომგებიანია. „პეჩატკას" ჩვენ ვერ ვიყიდით და ნორმალურ სასადილოში ვერ ვისადილებთ, თვითნაკეთი არყის და ლარ-

იანი სადილის ფულის გახერხება კი ხელგვეწიფება.

— „პეჩატკა“?

— იგივე არაყი, მხოლოდ იარლიყით ანუ, ქარხნული არაყი.

— ლარიანი სადილი?

— ეს კარგი ბიზნესია. ცხენივით ფეხზე დგახარ და წყალწყალა სადილს და სასმელს მიირთმევ. მერე, რადგან ფეხზე დიდხანს ვერ იდგები, შენს ადგილს სხვა იკავებს. მარტო „ბომჟები“ არ ვიყენებთ ამ მომსახურებას — ირგვლივ, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი უამრავი ადამიანია. ჩვენ შორის ის განსხვავებაა, რომ ჩვენი ცხოვრების წესით, დამარცხება ვაღიარეთ, ისინი კი ჯერ კიდევ ხავსს ეჭიდებიან.

— თქვენ მებრძოლ ადამიანებს აქილიკებთ.

— ეგ ბრძოლა დამარცხებისთვისაა განწირული, თუ სახელმწიფო საკუთარ ფუნქციას არ შეასრულებს. ალბათ გახსოვს, მცირე ბიზნესის გადასახადებიდან გათავისუფლების შესახებ რომ ლაპარაკობდნენ. არა, ამას გვპირდებოდნენ! თურმე, საქმე სტატუსშია... გაგიუდება კაცი! ეს სტატუსი მხოლოდ ქუჩაში, ლანგრით ხელში მოსიარულე, ხაჭაპურით მოვაჭრე ქალებს მიენიჭათ... ალბათ, მზესუმზირის გამყიდველებსაც...

— თქვენ ფიქრობთ, რომ გაკოტრებას თავიდან აიცილებდით, სახელმწიფოს თქვენთვის გარკვეული პერიოდი რომ ეცლია?

— რა თქმა უნდა! თვლა ნამდვილად შემიძლია.

— აქ, უმაღლესი განათლებით მხოლოდ თქვენ ხართ?

— არა, სხვებიც არიან. ზოგი პროფესიონალი მომღერალია, ზოგი — სპორტსმენი... ის კაცი, ვისგანაც არაყს ვყიდულობ, ოპერის ყოფილი მომღერალია... მასაც ჩვენს რიგებში მოვიხსენიებ, მაგრამ დამიჯერე, იმის გარდა, რომ ჭერი აქვს, ჩვენგან დიდად აღარ განსხვავდება. ისე, ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, ეს ხომ დიდი ხანია, ვიცით!..

— უფასო სასადილოებში არ დადიხართ?

— არ მინდა „მოქალაქეთა კავშირის“ მოწყალება, მე საპატრიარქოს სასადილოში ვსადილობ ხოლმე. იქ სუფთად და გემრიელად მომზადებულ კერძებს გვაჭმევენ, მაგრამ სასმელს არ გვაძლევენ.

— ნამდვილად „მოქალაქეთა კავშირზე“ ლაპარაკობთ?

— ჰო... რა, „ნაციონალური მოძრაობა“ იგივე არ არის?

— რა არის თქვენი კვების რაციონი საპატრიარქოს სასადილოში?

— ერთხელ, ლობიოს კერძით გაგვიმასპინძლდნენ, ძირითადად კი, „ტყუილი „სუპითა“ და ნახევარი პურით გვანაყრებენ.

— საქართველოში უამრავი ადამიანის ძირითადი საკვებიც ხომ ეგ არის?!

— ამას, ნიშნის მოგებით, მე მეუბნები? ეგ ჩვენს ხელისუფლებას მოახსენე.

— მოვახსენე ბევრჯერ და ისიც ავუხსენი, თუ რას ნიშნავს შიმშილი, მაგრამ მგონი, ვერ გავაგებინე.

— იმედია, ახლა გაიგებენ!

— პოლიტიკაზე გადავიდეთ?

— პოლიტიკაზე? ეს ყველაფერი, რაც ამდენი ხანი გელაპარაკე, პოლიტიკა არ არის?!

— სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი — რამდენიმე ასეული „ბომჟი“.

— ყველაზე მეტად, იცი, რა მინდა? მათ, ვისაც ჩემი და ჩემნაირების ბედი ფეხებზე ჰკიდიათ, საპნის სურნელი მოენატროთ...

— ადამიანი სიბინძურეს ვერ ეჩვევა?

— ის, ვინც ეჩვევა, ადამიანი აღარ არის. გგონიათ, ეს ადამიანები, რომლებიც ცხოველებივით ღია ცის ქვეშ ყრიან, სადაც სძინავთ, იქვე ისაქმებენ და ჭამენ, იქვე ახერხებენ სექსუალური პარტნიორის მოძებნას და ეს მათთვის პრობლემა აღარ არის, კიდევ ადამიანები არიან?!

— სხვებზე რატომ ლაპარაკობთ, თქვენზე მითხარით!

— მე დამწყები ვარ და მიჭირს გაძლება. როცა შევეჩვევი და აქედან წასვლა აღარ მომინდება, ადამიანიც აღარ ვიქნები.

— ახლა გინდათ აქედან წასვლა?

— მინდა, მხოლოდ ღირსეულად!

— ეს ღირსეული წასვლა რა იქნება?

— რატომღაც, მიტინგებზე არავინ ამბობდა, რისთვის უწუნებდნენ სააკაშვილს შადრევანმშენებლობას. მას რომ პარალელურად წარმოების განვითარებაზე ეზრუნა, საქართველოს დიდ ქალაქებში ამ შადრევნებისა და ქოთანში ჩამაგრებული ყვავილების გარდა, ფაბრიკა-ქარხნებიც აემუშავებინა, ვინ რას იტყოდა?! თავკომბალა თბილისი, რომელსაც ამდენი უბედურების ცქერით ქანცი გასწყდა, მხრებში გაიშლებოდა. რა უნდა ქუთაისელს, ჭიათურელს, გორელს, მარტვილელს თბილისში? თბილისი რა, პანაცეა კი არ არის... ამ ჩამოსულებს დედაქალაქი აღარ უყვართ. აღარ უყვართ იმიტომ, რომ იძულებულნი არიან, ლუკმაპურის ძიებაში კერია გააცივონ. აქედან ღირსეული წასვლაც ეგ იქნებოდა — ქუჩიდან ქარხანაში (ქარხანას სიტყვაზე ვამბობ, სხვა რამეც შეუძლია სახელმწიფოს, რომ შემოგვთავაზოს), მაგრამ ამ ზამთარს თუ გავუძელი, გაზაფხულისთვის ვეღარც ქარხნის მუშად გამოვდგები...

— ფულს მათხოვრობით შოულობთ?

— ჰო, მაგრამ ჩემთვის ჯერ არავის მოუმართავს — მათხოვაროო. უბრალოდ, ვთხოულობ და მაძლევენ. ფულს ძირითადად ღამით, ვალუტის გადასახურდავებელ პუნქტებთან ვთხოვ შემთვრალ მამაკაცებს. ქართველები ხელგაშლილები ვართ. არის შემთხვევა, როცა ფულს ვერ მაძლევენ, მაგრამ სასმელს, საჭმელს და იმას, რასაც ახერხებენ, მჩუქნიან. თვალზე სიმთვრალისგან ცრემლიც ადგებათ და მეუბნებიან: ჩემი სახელი ახსენე, როცა დალევო.

— სადღეგრძელოებსაც ამბობთ, როცა იკრიბებით?

— კი, მაგრამ ცოტა ეგოისტურს... „კარგად ვიყოთ“ — აი, ასეთ სტილში... ვმღერით კიდეც... ამას წინათ, „ვორონცოვზე“ კარგი კონცერტი გავმართეთ. სხვათა შორის, იქაც იყიდება ლარიანი არაყი. ჰოდა, ზედ დახლთან ვსვამდით და თან, ვმღეროდით...

— ადამიანს ჭაობშიც სჭირდება სულიერება?

— ეგ იმათ ჰკითხე, ვინც ამ ჭაობში ყოფნას მაიძულებს.

— აქ ყოფნას არავინ გაიძულებთ. ადამიანს ორი ხელი, ორი ფეხი და ნება იმიტომ აქვს, რომ იმოქმედოს.

— ჭკუის დარიგებას არ მივიღებ!

— მე კი ვერ ვეტყვი მკითხველს, რომ ხელჩაქნეული და დაცემული შეგიბრალოს...

შემომიარონ ალექსანდრეს ბაღში, ამაღამ და მათ ვუჩვენებ, რომ ვარსებობ და ბევრ სხვა ამბავსაც მოვუყვები

— არ მჭირდება სიბრალული, მაგრამ თუ არ გებრალები, რატომ გაგიშტერდა სახე და გაგეყინა თვალები?.. გინდა, გითხრა — რატომ? — უსუსურობისგან!

— როცა უსახელო წერილებს ვწერ, ეჭვიანი ადამიანები მეუბნებიან, რომ მე ვიგონებ ჩემს გმირებს.

— შემომიარონ ალექსანდრეს ბაღში, ამაღამ და მათ ვუჩვენებ, რომ ვარსებობ და ბევრ სხვა ამბავსაც მოვუყვები. ერთი თვეა, აქ ვარ და ჯერ სრულფასოვნად არ მძინებია — თუ დაიძინე, შეიძლება, გაგჭურდონ, მოგკლან, გცემონ... ასე რომ, მოსაუბრეზე უარს არ ვიტყვი.

— სახელს და გვარს რატომ არ მეუბნებით?

— შვილი მყავს, მეცოდება!..



კაფიანიდან ალაყარაკიანული „კოკუნისტური“ საქართველო

ღა „ჰიჰი“, როკელის ბოხრაკლიანული ლტულელი ბოგოლა ალპოლელა...

ყველა ადამიანი საკუთარი, ერთადერთი და განუმეორებელი გზით მიუყვება ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ჩვენგანს ჰყოფნის „თავხედობა“, ეს გააპროტესტოს, ბედისწერას შეებრძოლოს, დაახლოებით ისე, როგორც დონ კიხოტი — ქარის წისქვილებს.

მანანა ჭირაქაძე

ჩვენმა რესპონდენტმა სწორედ ბედისწერასთან უთანასწორო ბრძოლაში გაატარა ცხოვრება. ერთი შეხედვით, თითქოს ლაღად და უზრუნველად განვლო თავისი გრძელი ცხოვრების გზა, მაგრამ ეს — მხოლოდ ერთი შეხედვით.

ვახუშტი კოტეტიშვილმა *— აღმოსავლეთმცოდნე, მთარგმნელმა, პოეტმა, თავისი პირველი ლექსების კრებული 70 წლის საიუბილეოდ, ორი წლის წინ გამოსცა და ამ წიგნში ასეთი სტრიქონები მოათავსა:*

„მე არ ვიცი, რა მიტევს, რა არის თუ ვინ?
ჩემში მარად მბორგავი,
რომ არ მტოვებს შინ,
ძარღვში სისხლს მიშადრევნებს,
მექაჩება წინ,
როგორც გალაკტიონის: „ტა-რა-რა-ძინ!“
დღე და ღამე ჩამძახის მისი მყიფე ხმა:
„ნურასოდეს გახდები ამა სოფლის ყმა,
მიატოვე ნადიმი, ღრეობა და სმა,
ამას გირჩევ, უბრალოდ,
როგორც ღვიძლი ძმა.
ამქვეყნად საქარავნოდ მუდამ იყავ მზად,
არაფერმა არასდროს
შეგაფერხოს გზად,
თუნდაც ქვეყნის სიმდიდრე
რომ გიქციონ ზღვად,
იმად დარჩი, ვინცა ხარ,
არ გარდიქცე სხვად“.

ის ახლაც, როგორც წლების წინ, კოტეტიშვილის ქუჩაზე, 7 ნომერში, პართენონის სუროში ჩაფლულ სახლში ცხოვრობს. სახლიც და პატრონიც საოცრად ჰგვანან ერთმანეთს: სახლს სურო ჩასჭიდებია და დედამიწაზე აჩერებს, ხოლო პატრონს — პართენონის სუროს ტოტებივით — ყანგბადის აპარატიდან გამომავალი ორი მილაკი. სახლიც და პატრონიც, მიუხედავად მიზიდულობის კანონისა, გასაფრენად არიან გამზადებულები, გეგონება, აი, ახლა ამოვარდება ძლიერი ქარი, სახლს სუროს ტყვეობიდან დაიხსნის, პატრონს — პლასტმასის მილაკებისაგან და ორივე, თავისუფალი, მარადისობაში გადაეშვება...

ოთახში შესულს საწერ მაგიდასთან მჯდომმა რესპონდენტმა საყვედურით მომმართა: რატომ არ მანებებთ თავს? შეხედე როგორ ვცხოვრობო, — და ყანგბადის აპარატზე მიმითითა. შემდეგ განაგრძო:

— მაცალეთ სიკვდილი... უბედური კაცი ვარ: ჩემი სიცოცხლე დედაჩემის სიკვდილით დაიწყო და მას შემდეგ, სულ უბედურება მდევდა თან, ჩემი ცხოვრების გზაზე. ვინც მიყვარდა და ვისაც ვუყვარდი, ყველანი იქ არიან (ხელი ზემოთ, ცისკენ აიშვირა). მერე შემომხედა ნაღვლიანი თვალებით და დამარცვლით ჩამეკითხა: ნეტავ, მე რა მაჩერებს ამ დედამიწაზეო?..

— ნუთუ არანაირი ნათელი მომენტი არ ყოფილა თქვენს ცხოვრებაში?

— როგორ არ იყო?! იყო და თანაც, უამრავი. დავიწყოთ იმით, რომ მე გავიზარდე სიყვარულის გარემოცვაში. არაჩვეულებრივი ხალხი მზრდიდა. ესენი იყვნენ: ჩემი უფროსი და, ჩემი აღმზრდელი ლეილა, რომელიც 13 წლით იყო ჩემზე უფროსი. ხელში შევრჩი სულ ერთი თვის ბავშვი, დედა რომ გარდაგვეცვალა. მამა რომ დაგვიხვრიტეს 1937-ში, ის 15 წლის იყო, მე — ორის. და აი, ამ პატარა გოგომ გამზარდა, არა მარტო მე, არამედ — ჩემი შვილებიც. მეორე ასეთი ადამიანი საერთოდ არ შემხვედრია ცხოვრებაში და არც მეგულება. ეს იყო რაღაც, ღვთით მოვლენილი არსება, რომელიც არ გათხოვდა, უარი თქვა თავის პირად ბედნიერებაზე ერთადერთი მიზეზით: რა ვიცი, ის კაცი, ჩემი ქმარი, ვახუშტის რა თვალით შეხედავსო!.. გარდა ამისა, მე მყავდა არაჩვეულებრივი დიდედა, მამაჩემის მხრიდან, ეკატერინა ბიძინაშვილის ქალი. ეს იყო „ოთარაანთ ქვრივი“. მაპატიოს დიდი ილიას სულმა, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი მაინც, ლიტერატურული გმირი იყო, არარეალური, ეს კი — ნაღდი იყო და რა შვილები აღზარდა! — მამაჩემი, ჩემი ბიძები, მამიდაჩემი... და მესამე ქალი, ვინც მზრდიდა, ეს იყო მამიდაჩემი, რომელიც ომის დროს თავის საკუთარ შვილს, ცოტნეს უმალავდა საჭმელს და მე მაჭმევდა. ცოტნე 18 წლით იყო ჩემზე უფროსი. ერთადერთხელ „ჩავავლე“ მამიდას: ცოტნე მოვიდა შინ ლექციებიდან და იკითხა, — დედა, კვერცხი ხომ არ გვაქვსო? — მამიდაჩემმა უპასუხა, — არა, შვილო, არ გვაქვსო! ჰოდა, იმან რაღაც შეჭამა, არ ვიცი, რა და წავიდა. ცოტა ხანში მესმის თქვეფის ხმა: ერთი კვერცხი ჰქონია თურმე მამიდაჩემს, ამითქვიფა და ერბოკვერცხი შემიწვა. გაკვირვებულმა ვკითხე: „მამიდა, შენ არ უთხარი ცოტნეს, კვერცხი არ გვაქვსო?“ — რაზეც მომიგო: შვილო, ის დიდია, შენ კი პატარა ხარ და უფრო კარგი კვება გჭირდებაო... აი, ასეთი ხალხი მზრდიდა. ამის დავიწყება როგორ შეიძლება?..

— ისეთი სითბოთი და სიყვარულით ლაპარაკობდით უახლოეს ადამიანებზე, რომ არ შემიძლია, არ გკითხოთ: იქნებ, გულწრფელობის, სიყვარულის, ერთგულების დეფიციტმა განაპირობა ის, რაც ახლა ხდება ჩვენს თავს? თქვენი „მკაფიო კაფიისა“ არ იყოს:

„გავიბითურეთ სამშობლო,
მართლაც, სამოთხის სადარი,
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არი?!“

— რა ხდება?

— რა ხდება და არაფერი ისეთი, რაც არ მომხდარა ჩვენს გავერანებულ დედამიწაზე. მე უბრალოდ, ძალიან მჯეროდა, რომ მოდიოდა ახალი ძალა მთავრობაში, რომელსაც მთელი სულითა და გულით, მთელი არსებით მხარს ვუჭერდი. მე საერთოდ, ყოველთვის ინერტული ვიყავი პოლიტიკისადმი. ერთადერთხელ ჩავერთე და მხარში დავუდექი ზურაბ ჟვანიას, მიხეილ სააკაშვილს და ამ ახალგაზრდებს. უკვე ავადმყოფი ვიყავი, აი, ასეთ მდგომარეობაში მქონდა ყელი და მაინც დავდიოდი — წვიმაში, ავდარსა თუ დარში მათ მიტინგებზე, მათ წინასაარჩევნო შეკრებებზე და ხალხს ვეუბნებოდი: ხმა ამათ მიეცითმეთქი... ბოდიშს ვუხდი ქრათველ ხალხს, რომ ჩემი მხრივ, შეცდომაში შემყავდა, მაგრამ ეს იყო უნებლიე შეცდომა, არ ვიცოდი, რომ სკამს, სავარძელს, ასეთი ჯადო ჰქონდა, რომ ასე უცბად შეეძლო, სატანურ ძალად ექცია სიკეთე. იმ ხალხს ვეღარ ვცნობ, ვინც მთავრობაშია, ვინც დღეს პარლამენტშია. მანდ არიან ჩემი ყოფილი სტუდენტები, ჩემი აღზრდილები და მე ასეთებად არ გამიზრდია ისინი.

— ყბადაღებულ, ავ კომუნისტურ ეპოქაში თქვენ ჭეშმარიტად ხალხური დღესასწაულების — ფოლკლორული საღამოების მოწყობას

ახერხებდით. ჩემს თაობას კარგად ახსოვს — ჯერ უნივერსიტეტის კლუბში, ხოლო — შემდეგ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ შეხვედრებზე უამრავი ადამიანი იყრიდა თავს; შემდეგ კი მისი სატელევიზიო ვერსიების ცქერა არ გვბეზრდებოდა. თქვენ მაშინ, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული ფიგურა იყავით და ხალხის უსაზღვრო სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდით.

— ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა, ვინაიდან მიზანი ამ საღამოებისა, სწორედ ის იყო, რომ ხალხისათვის გაგვეგებინებინა, პოპულარიზაცია გაგვეწია ქართული ხალხური შემოქმედებისათვის. საქმე ის გახლავთ, რომ ხშირად ვერ ვხედავთ ჩვენ გვერდით არსებულ, ძალიან დიდ მოვლენებს და ყურადღებას ვაქცევთ და ცაში აგვყავს ცრუფასეულობები. ჩემი მიზანი ის იყო ცხოვრებაში, რომ ხალხისთვის დამენახვებინა, რა არის თეთრი და რა — შავი; რა სიმდიდრის მფლობელები ვართ ჩვენ; რას უნდა გავუფრთხილდეთ უპირველეს ყოვლისა... ზოგადად რომ ვთქვა, ეს არის სულიერი კულტურა ჩვენი ერისა, რომელსაც არ ექცეოდა არც ერთ ეპოქაში სათანადო ყურადღება, მით უმეტეს, კომუნისტების დროს, მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით, დღევანდელობა იმ დროზე უარესია. ალბათ გახსოვთ, მაშინ ტელეპროგრამებში ყოველთვის იყო ეს საღამოები. ის კი არა და, სწორედ ჩვენი ფოლკლორული საღამოების პასუხად შეიქმნა ტელევიზიაში ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია. ნუგზარ ფოფხაძის (*ტელერადიოკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე. — ავტ.*) დროს იყო ეს და მან მთხოვა, რომ ამ რედაქციას ჩავდგომოდი სათავეში. მაგრამ ჩემი მოუცლელობის გამო, უარი ვუთხარი. მაშინ უნივერსიტეტის პროფესორი ვიყავი და ლექციებს ვერ მივატოვებდი. შევთანხმდით და მე გამამფორმეს, როგორც ამ რედაქციის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი.

— გახსოვთ, მაშინ დარბაზიც და სცენაც კაფიებით ალაპარაკდა. ერთ-ერთი საღამოს დროს, დარბაზიდან სცენაზე კაფია მოგაწოდეს და თქვენ ის ხმამაღლა წაიკითხეთ:

„ვახუშტი კოტეტიშვილო,
ინგლისურს ვაცდენთ ჩვენაო,
ფორაქიშვილმა გაგვიგოს,
მაშინა ნახე რბენაო,
ერთხელ ხომ მწარედ დაგვსაჯა,
მას არ გვაკმარებს ჩვენაო,
ხევსურეთს გადაგვასახლებს,
ჩვენი ცოდვები შენაო!“

ბოლოს მიწერილი იყო ინიციალები: მ.ჭ. თქვენ ბრძანეთ, — ამ კაფიის ავტორს საქვეყნოდ ვპირდები, რომ ფორაქიშვილთან და დეკანატთან მე მოვუგვარებ პრობლემებს, ნუ გეშინია, ბიჭო... იცით, ის „ბიჭი“ — მ.ჭ. — მე გახლავართ. ჰოდა, ეს „კოზირი“ იმ შემთხვევისათვის მქონდა შემონახული, თუ ინტერვიუზე არ დამთანხმდებოდით...

— (*იცინის*) კარგი, კაცო, ერთი!.. ეს საღამო ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ბევრჯერაც გადაიცა ტელევიზიით. მე ისიც მახსოვს, მაშინ ვთქვი, — ნუ გეშინია, ბიჭო, სცენაზე ამოდი და აქ ვიკაფიაოთ-მეთქი — და ჩემს თხოვნას ალექსი ჭინჭარაულიც შეუერთდა. რა ვიცოდი, თუ ის „ბიჭი“, მოკრძალებული სტუდენტი გოგონა იყო?!

— როგორ ფიქრობთ — რაში მდგომარეობდა საიდუმლო თქვენი პოპულარობისა და რატომ არის, რომ ახლაც, როდესაც თქვენ ფაქტობრივად, საზოგადოებრივი ცხოვრების დამკვირვებლის როლში ხართ, მაინც ასეთი აქტუალური და საინტერესოა თქვენი აზრი? თქვენ ხომ ასე ხშირად ხართ პოპულარული ტოქშოუებისა და საგაზეთო გამოცემების სტუმარი.

— კი, ბატონო, გიპასუხებთ. იცით, რაშია საქმე? არ მინდა, მაღალფარდოვნად ეღერდეს ჩემი ნათქვამი, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: მე ვარ ჯანსაღად მოაზროვნე კაცი. არ მაქვს არავითარი მანიაკური აზრები და ჩვევები. ყველაფერს ვუყურებ საღი თვალით და უპირველეს ყოვლისა — საკუთარ თავს. კარგად ვიცი, ვინ ვარ, რა ვარ და რისთვის ვარ ამ ქვეყანაზე. მე არავითარი პრეტენზია არ მქონდა, არავისგან მოვითხოვდი არც დაფასებას და არც დითირამბებსა და ოვაციებს. ხალხის სიყვარული და ოვაციები თავისთავად მოდიოდა. მე არ მიცდია, არც ერთი წუთით, არც ერთი წამით, რომ ვინმესთვის თავი შემეყვარებინა. უბრალოდ, მე ვიყავი ის, ვინც ვიყავი, ეგეთი ვუყვარდი ხალხს... თქვენ პოპულარობა ახსენეთ და ერთ ამბავს მოგიყვებით. მყავდა არაჩვეულებრივი მეგობარი მოსკოვში, ძალიან ცნობილი ჟურნალისტი — იაროსლავ, სლავა გოლოვანოვი. ჰოდა, მისთვის მის მოსკოველ კოლეგას, უთხოვია ჩემი მისამართი, ინტერვიუს ასაღებად. სლავკას დაუჟინია, — მისამართი არ გინდა, აეროპორტში ნებისმიერ ტაქსის მძღოლს სთხოვე, ვახუშტი კოტეტიშვილთან მიმიყვანე-თქო და პრობლემა არ გექნებაო. იმ ჟურნალისტს ბევრი უთხოვია და ბოლოს დასთანხმებია, უთქვამს, — ექსპერიმენტს ჩავატარებ, დაკარგვით ხომ მაინც არ დავიკარგები თბილისშიო. ჰოდა, ჩამოფრინდა ეს ჟურნალისტი თბილისში, გამოვიდა აეროპორტიდან და პირველსავე ტაქსის მძღოლს სთხოვა ჩემთან მოყვანა. მძღოლი სომეხი აღმოჩნდა. თურმე გახარებულმა, ბეჭზე ხელი დაჰკრა მოსკოველ სტუმარს და უთხრა, — ვა, ჩვენს ვახუშტასთან გინდაო?! — და ასე მომიყვანა, ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და ჩემმა თაყვანისმცემელმა თბილისელმა სომეხმა ტაქსის მძღოლმა, მოსკოველი სტუმარი სახლში...

— თქვენი სახლი ნამდვილად, თქვენი ციხესიმაგრეა, გარედან — მწვანეში ჩაფლული, შიგნით — მკაცრი დახვეწილობით გამორჩეული, რომელიც საოცარ სიმყუდროვესა და კომფორტს ქმნის. ვისი დამსახურებაა ეს — თქვენი შვილის, გუგასი ხომ არა? ის ხომ პოპულარული დიზაინერია?!

— (*იღიმება. აშკარად ესიამოვნა*) კი, როგორ არა?! ლომის წილი ამაში გუგას მიუძღვის. აი, ვთქვათ: აივნები, ღობე, ჭიშკარი, ფანჯრის გისოსები, საწოლი, განათება — გუგას დამსახურებაა. რაც შეეხება გამწვანებას — ის სულ ჩემია. მთავარი ბოტანიკოსი მე გახლავართ.

— გარედან სახლს რომ სურო ჩასჭიდებია, რაღაც უცნაური და უცხოა. რა მცენარეა ეს?

— მას პართენონის სურო ჰქვია, ათენში რომ არის, ძველბერძნული, პართენონის სურო.

— მეორე სართულის აივანზე რომ სკამი დგას, ის თქვენი სკამია, იქ გადიხართ ხოლმე?

— ჰო, ჰო, ეგ არის ჩემი ყველაზე დიდი „ჩრდილოეთ პოლუსი“ თუ „სამხრეთ პოლუსი“. აი, ეგ არის და ეგ, ჩემი ერთადერთი გასასვლელი.

— საინტერესო სანახავია ალბათ, ვახუშტი კოტეტიშვილი, დაბრძანებული ვანგოგისეულ სკამზე, თუ როგორ ათვალიერებს საკუთარ ფიქრებში ჩაძირული, გარემოს. რამდენი წლის ბრძანდებით, ბატონო ვახუშტი? და როგორია თქვენი დამოკიდებულება მრგვალი თარიღების აღნიშვნის მიმართ?

— 4 აგვისტოს 72 წლის გავხდი. 70 რომ შემისრულდა, წინასწარ გამოვუცხადე კულტურის სამინისტროს და ყველას (აპირებდნენ დიდი საიუბილეო საღამოს

მოწყობას) — არავითარ შემთხვევაში-მეთქი! ვერ ვიტან, რომ წამოსხდებიან სცენაზე და მერე, იუბილარს რაღაც-რაღაცებით ასაჩუქრებენ, ხან ფაფახს ჩამოაფხატებენ თავზე, ხან ქამარ-ხანჯალს შემოარტყამენ და რაღაც ეგეთ ატრიბუტებს ჩუქნიან. ჩემთვის იუბილე, სიცოცხლეში გადახდილი პანაშვიდია. თუ მართლა მაფასებ, წიგნი მაქვს გამოსაცემი, ჩემი საკუთარი ლექსების წიგნი და იქნებ დამიფინანსოთ-მეთქი — ვითხოვე და დამთანხმდნენ. ეს წიგნი გამოვიდა 2005 წელს. აი, ახლაც 3 თვეში, დავჯექი და 72 წლის ბებერმა კაცმა, მოვამზადე ლექსების ახალი წიგნი. ეს სრულიად ახალი ლექსებია და ზოგიერთი მართლა მომწონს: აი, გეტყვით, მაგალითად:

„ჩვენ არყოფნიდან მოვედით
და ვნახეთ, ყოფნა რა არი,
აზრი ამქვეყნად ყოფნისა
თითქოს არი და არც არი.
წინ — წყალი, უკან მეწყერი,
ცეცხლი და ბოლოს ნაცარი,
ბედნიერებას ვეძებდით,
მაგრამ ვერ ვპოვეთ მარცვალი.
სიკვდილი დედა ყოფილა,
სიცოცხლე — დედინაცვალი“...

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ. კითხვაზე, — გზის ბოლოდან თუ გაჰხედავს განვლილ ცხოვრებას, რას წამოიღებდა — ერთ სიტყვას, ემოციას, ადამიანს? — მოკლედ მიპასუხა: სიყვარულს! — და მერე დასძინა, — არავინ თქვას, რომ ის გაცვეთილი და ბანალურია, სულყველაფერზე დიდი ფასეულობა ამქვეყნად... სიყვარულიაო...

ჩვენი საუბრის დასასრულისთვის შევატყვე, ჩემს რესპონდენტს — გასაშვებად არ ვეთმობოდი. არ დავმალავ, მესიამოვნა. იქნებ გული იმაზე სწყდებოდა, გარეთ რომ ვერ გამოვიდოდა და თბილისის ქუჩებს ფეხით ვერ დაუყვებოდა. ისე კი, რა უნდა გარეთ? — ის ხომ ასე ორგანულად ერწყმის სახლს, ოთახს, საწერ მაგიდას, კედელზე დაკიდებულ, მამამისის დახატულ სურათებს და შვილის გაკეთებულ სკამებსა თუ სხვა ნივთებს. ჰოდა, მისი ნათარგმნი, იოსიფ ბროდსკისა არ იყოს:

„ო, არ გახვიდე შინიდან, ვითომ ავად ხარ, იყავი ასე.
განა რა არის ქვეყნად უკეთესი კედელზე, სკამზე?
აზრი რომ არა აქვს აქედან გასვლას, ეს ხომ გაქვს ნაგემი,
ხომ უნდა უკანვე დაბრუნდე და თანაც — ნაგვემი.

.....

ო, გარეთ რა გინდა? გახვალ და იქ უცებ არ დაგხვდეს პარიზი“.

სინანულით დავემშვიდობე პართენონის სუროში ჩაფლულ სახლში მცხოვრებ ჩემს რესპონდენტს. სახლიც და პატრონიც საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, სახლს სურო ჩასჭიდებია და ასე აჩერებს დედამიწაზე, ხოლო პატრონს, პართენონის სუროს ტოტებივით — ჟანგბადის აპარატიდან გამომავალი ორი მილაკი... ■

„როგორც ჩანს, ჩვენთვის ნაადრევია ასეთ ცოდნასთან ზიარება...“

თამარ გუჩუას ცხოვრებაში სიზმარი და რეალობა საოცრადაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. მას პირველი ხილვა 15 წლის ასაკში ჰქონდა და აქედან იწყება მისი უცნაური ცხოვრება. თუმცა ის უცნაურს ამაში ვერაფერს ხედავს და ამბობს: „ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ისევე მიხარია და მტკივა, როგორც თქვენ. ის დოცენტია, ტურიზმის მიმართულების სრული პროფესორი. ამჟამად კი დეკანია საერო უნივერსიტეტ „მეტეხში“.

მარეხ ჭონიშვილი

— პირველად, ასეთი ხილვა მქონდა: ყინულიან გზაზე მივდიოდი, ფეხი დამიცურდა და გონდაკარგული, სადღაც უფსკრულში ჩავვარდი. თვალი რომ გავახილე, ხელში აყვანილი ვყავდი ბაბუას, რომელიც იმ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. ბაბუამ რომ დამინახა, მითხრა: შვილო, შენ აქ რა გინდა? შენი აქ დარჩენა არ შეიძლება, აქედან უნდა გახვიდე, ხედავ გვირაბს? იმის იქით გალავანია, გალავნის კარი ჯერ კიდევ ღიაა და თუ არ იჩქარე, მერე ვეღარ გახვალო. ბაბუამ გვირაბში შემიყვანა, თან ცდილობდა, მის ზურგს უკან ჭიშკარში არ შემეხედა, მაგრამ მაინც მოვახერხე და დავინახე იქიდან გამომავალი საოცარი ცისფერი შუქი, რომელიც მაგნიტივით მიზიდავდა, გვირაბს კი ცისფერი და ოქროსფერი, 5-6 სმ სისქის ბურთულები ანათებდა. ბაბუა გვირაბში გავლებულ მანათობელ ზოლთან შეჩერდა. ამ ზოლიდან გამომავალი სინათლე ქმნიდა ფარდას. ბაბუამ მითხრა: მე ამ ზოლს იქით გადასვლის უფლება არ მაქვს, აქედან მარტო უნდა წახვიდე, იქ რომ დაბრუნდები, ნინიკო და გუზიკო მომიკითხეო. ნინიკო ბებიაჩემია, გუზიკოზე კი ვკითხე — ვინაა-მეთქი? ბებიას ჰკითხე და გეტყვისო,— მიპასუხა, შემდეგ ხელი ძლიერად მკრა და იმ „ფარდის“ აქეთ გადმომაგდო. გვირაბიდან ფორთხვით გამოვაღწიე. გვირაბის ბოლოს, შავ ჭიშკართან, თეთრ სამოსში ჩაცმულ მოხუცს ეძინა. ის იყო, უნდა გავპარულიყავი, რომ გაიღვიძა, ხელი ჩამავლო და იკითხა, — ეს ვინაა, რომ მიიპარებაო? რომ დამინახა, მითხრა: ჯერ შენთვის ძალიან ადრეა აქ მოსვლა, წადი და რაც აქ ნახე, იმის გახსენებაც არ გაბედოო. ჭიშკრიდან გამოვედი და ყველაფერი გაქრა. უდაბნოში აღმოვჩნდი და ამ დროს გამეღვიძა... დილით ბებიას ვკითხე — გუზიკო ვინ არის-მეთქი? ჯერ გაოცდა, მკითხა — საიდან იცი? — მერე კი ტირილით მიპასუხა: მაგ სახელს ბაბუაშენი ეძახდა მამაშენს ბავშვობაში და მისი სიკვდილის შემდეგ აღარავის დაუძახიაო.

— **შემდეგი ხილვა რა გქონდათ?**

— ამ სიზმრებს, ყოველთვის ნათლისღების ღამეს — 19 იანვარს ვნახულობ. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 19 იანვარს სიზმარში ვიღაც კაცმა მითხრა — ამაღამ ნათლისღებაა, ინატრე რამე და შეგისრულდებაო. სიზმარშიც კი კარგად მახსოვდა, რომ სტუდენტობაზე ვოცნებობდი, მაგრამ იმდენად დიდი იყო იმ ცისფერი შუქის ხელახალი ნახვის სურვილი, რომ კვლავ მისი ნახვა ვინატრე, მაგრამ იუარა და მითხრა: ჩვენ რომ ეს სურვილი შეგისრულოთ, შემდეგ მთელი სიცოცხლე, შენ მოგიწევს ჩვენი სურვილების შესრულება და ამისთვის მზად ხარო? იმწუთასვე დავეთანხმე. მან მხარზე ხელი შემახო და ყოველგვარი გვირაბისა და უდაბნოს გაუვლელად აღმოვჩნდი იმ ცისფერი შუქის წინ. ჭიშკარი ღია იყო. თავისუფლად შევედი და საოცარი სილამაზის ბაღში აღმოვჩნდი, რომელიც სურნელოვანი ჰაერით იყო გაჟღენთილი. ჩემკენ თეთრ სამოსში გამოწყობილი კაცი წამოვიდა. მივედი და ვკითხე, — სადა ვარ-მეთქი? — მაგრამ ყურადღება არ მომაქცია. მერე, მეორე გამოჩნდა. მისკენ ხელი გავიშვირე, მაგრამ ჩემმა ხელმა სიცარიელეში გაიარა; მესამეს წინ გადავუდექი, მაგრამ ისე გაიარა ჩემი სხეული, რომ მისთვის არავითარი დაბრკოლება არ შემიქმნია. მივხვდი, რომ ბაღში მოსეირნე ხალხი ვერ მხედავდა. უეცრად, ის მამაკაცი დავინახე, ვინც აქეთ წამომიყვანა. საკვირველი ის იყო, რომ იგი საოცრად გაზრდილი, გამჭვირვალე და გამხდარი იყო, მის შიგნით ცეცხლი გიზგიზებდა, ხოლო გარშემო ოქროსფერი შუქი ანათებდა. მისი სახის აღწერა შეუძლებელია, რადგან გარეგნობა სულ ეცვლებოდა. მასში მამა ღმერთი შევიცანი და მუხლებზე დავემხე. მან კი ალმასებიანი დიადემა თავზე დამადგა და მითხრა: არ იფიქრო, რომ ვინმემ დედოფლად გაკურთხა, ეს არის ჩემი აქაური საშვი და შენ ჩვენს დავალებებს შეასრულებო. თან

დამარიგა და ეს დარიგება მთელ ჩემს ცხოვრებას თან გასდევს: შენ არ იქნები ისეთი, როგორიც სხვები არიან; ზოგჯერ მოგეჩვენება, რომ შენ გარშემო ბრუნავს მთელი სამყარო, მთავარია, მაშინ არ დაკარგო თავი შენი; დადგება ისეთი დრო, როცა მოგეჩვენება, რომ შენი აღარავის სჯერა, მთავარია, მაშინ არ დაკარგო რწმენა, რამეთუ შენ კი არა, ძე ჩემი გაწირა ხალხმა; თუ რამე დაგჭირდეს, ამომხედე, თვალებით მიპოვე, მთხოვე, რაც გინდა და შეგისრულებ, თუ ის ჩვენს მიზნებსა და სურვილებს არ ეწინააღმდეგებაო. მერე დასძინა, — წასვლამდე კიდევ ერთ ნატვრას შეგისრულებო. მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი. ჩემს სამეგობროში ყავაზე მკითხაობა მოდაში იყო. მე კი არ მეხერხებოდა და ღმერთს ვთხოვე, ყავაში ჩახედვა მასწავლე-მეთქი. უფალს გაეცინა და მითხრა, — კარგი, ოღონდ ფულს ამ საქმეში ვერ აიღებო. დილით გავიღვიძე თუ არა, ყავა დავლიე და შიგ ჩავიხედე. ფიგურები შიგნით ცოცხლებივით დადიოდნენ და ლაპარაკობდნენ. შიშისაგან ჭიქა ხელიდან გამივარდა და გამიტყდა. ეს ჩემთვის იმის რეალური საბუთი იყო, რომ მართლაც, იმ ქვეყნად ვიყავი.

— ყავაში დღესაც ხედებით?

— დღეს ყავის ჭიქაში ვეღარაფერს ვხედავ. სიზმარში კვლავ მამა ღმერთთან აღმოვჩნდი. ხელში ყავის ჭიქა მეჭირა, ეს სულ დამავიწყდაო, — თქვა, ჭიქას კვერთხი შემოჰკრა და ნამსხვრევებად მიქცია. თან მითხრა, — უკვე დროა, ჩემი ხმის მოსმენა ისწავლოო. მისი ხმის მოსმენა თავისებურ რიტუალთანაა დაკავშირებული. მე ხმა მესმის არა ყურებიდან, არამედ ყიფლიბანდის მიდამოებიდან...

— როგორც ვიცი, რამდენიმე ხატი გაქვთ მოქარგული.

— ერთხელ სიზმარში წმინდა გიორგი გამომეცხადა და მითხრა, ჩემი სახე უნდა ამოქარგოო. ნემსის ყუნწში ძაფის წესიერად გაყრაც კი არ ვიცოდი, ამიტომ შევშინდი და ვუთხარი, — მე რომ ქარგვა არ ვიცი-მეთქი?.. — ნუ გეშინია, მე დაგიდგები გვერდით და შეძლებო, — მიპასუხა. ვიყიდე ძაფები. მეც არ ვიცი, როგორ მოხდა, მაგრამ ქარგვა დავიწყე. პირველ ხატს 9 თვის განმავლობაში ვქარგავდი. როცა დავამთავრე, მითხრეს, რომ ეს ხატი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან უნდა მიმეტანა. თავიდან უარი ვთქვი, მაგრამ მითხრეს — პატრიარქმა უნდა აკურთხოს ეს ხატიო. დავუკავშირდი უწმინდესის დას — ქალბატონ ნინოს, მისი დახმარების წყალობით, ილია მეორემ რეზიდენციაში მიმიღო. 5 წუთი მქონდა გამოყოფილი, მაგრამ უწმინდესი მთელი საათი მესაუბრა. ის დაინტერესდა ჩემით და ყველაფერი მომაყოლა. ის წმინდა გიორგის ხატი საპატრიარქოს შევწირე. შემდეგ მოვქარგე თამარ მეფის ხატი, სამების ხატი. ხოლო ჩემი მოქარგული შობის ხატი ერთხანს ქვემო ბეთლემის ეკლესიის საკურთხეველში იყო დაბრძანებული. ასევე შეეცადნენ, ჩემთვის ესწავლებინათ უძველესი იბერიულ-კავკასიური დამწერლობა: ერთ დღეს მესმის ხმა, — ზემოთ ამოიხედე და რასაც დაინახავ, ჩაიწერეო. ავიხედე, რაღაც ფიგურები დავინახე და მისი ფურცელზე გადატანა დავიწყე. თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია, შემდეგ დავინტერესდი და გარკვევა გადავწყვიტე. ამ პერიოდში, სრულიად შემთხვევით გავიცანი ალექსანდრე მეგუთნიშვილი. მან ჩემი ჩანაწერები რომ ნახა, მკითხა, — საიდან იცი ეს დამწერლობაო? გავიოცე და მოვუყევი, ყველაფერი როგორც იყო. მან გაშიფრა ეს ჩანაწერები, მაგრამ არაფერი ეწერა, ცალკეული ასოები იყო. ისინი ამ ანბანს მასწავლიდნენ, მაგრამ ეს იმდენად რთული იყო, რომ ვთხოვე და თავი დამანებებინეს.

— როგორც ვიცი, „ნამყოფი ხართ" თამარ მეფის სასახლეში.

— წმინდა გიორგიმ მიბრძანა, თამარ მეფეს სასახლეში ვწვეოდი. ძალიან ძნელი და გრძელი გზა გავიარე, ულამაზეს სასახლეში ჩემი ალმასებიანი გვირგვინის წყალობით მაშინვე შემიშვეს. როცა ვკითხე, — სადა ხართ დაკრძალული-მეთქი? — მიპასუხა, — იქ, სადაც არავინ მეძებს და ჩემს საფლავს მხოლოდ მაშინ იპოვიან, როცა ამის დრო დადგებაო. ხილვისას მიჩვენეს, რომ თამარის საფლავში არანაირი ოქრო-ვერცხლი და სიმდიდრე არ არის. მას გულზე ასვენია წითელი წიგნი, რომელშიც უზარმაზარი ეზოტერიკული საიდუმლო ცოდნაა თავმოყრილი. წიგნის შეხების უფლებაც კი არ მომცეს. როგორც ჩანს, ჩვენთვის ნაადრევია ასეთ ცოდნასთან ზიარება...

— ქალბატონო თამარ, თქვენს ახლობლებს თუ სჯერათ ყველაფერ იმისა, რასაც ჰყვებით?

— მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი 33 წელია, გრძელდება, დედაჩემს მაინც არ სჯერა. მამაჩემმა კი სიკვდილამდე 1 საათით ადრე ბოდიში მომიხადა და მითხრა: მაპატიე, შვილო, რომ შენი არ მჯეროდაო, — დედას კი უთხრა, — არ გაბედო და თამრიკოს ნათქვამს წინააღმდეგობა არ გაუწიოო. ჩემს ოჯახში, ასე თუ ისე, მხოლოდ ჩემს შვილს სჯერა ჩემი, ერთი ამბავი შეემთხვა ბავშვობაში და ალბათ იმიტომ: მაშინ ნიკა პატარა იყო, წლის და 2 თვის. სახლში სტუმრები მყავდა და ნიკას სათანადო ყურადღება ვეღარ მივაქციე. მზიანი დღე იყო, ფანჯარა ღია მქონდა. ნიკამ ღია ფანჯარაში გადაძრომა მოიწადინა. უეცრად ხმა ჩამესმა, — თამარ, ჩქარაო!.. გიჟივით გავვარდი, სტუმრებიც გამომყვნენ. ბავშვი ფანჯრიდან ისე იყო გადაწეული, რომ ფიზიკის კანონის მიხედვით, უკვე გადავარდნილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჰაერში გაშეშებულიყო. ვტაცე ხელი და გადმოვიყვანე. ამის შემდეგ ჩავვარდი ისტერიკაში. სტუმრებმაც დაინახეს, თუ საიდან გადმოვიყვანე ბავშვი და ისინიც ცუდად გახდნენ. შემდეგ ნიკამ მითხრა: ერთი ბაბუა მოვიდა, მითხრა — გამომყევიო და ფანჯარაში გადაძვრა; მეც გავყევი; იქ აი, ამან დამიჭირაო, — და ხელი წმინდა გიორგის ხატს დაადო.

ჩემს ოჯახში, ასე თუ ისე, მხოლოდ ჩემს შვილს სჯერა ჩემი

— ახლა რას იტყვით, რა გითხრეს „ზემოდან" — როგორ განვითარდება საქართველოში მოვლენები?

— მე არ ვიცი, რა იქნება ხვალ ან ზეგ, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: საქართველოში სისხლი აღარ დაიღვრება, იმიტომ, რომ მარიამ ღვთისმშობელია ამის წინააღმდეგი. ხელისუფლების სათავეში კი მოვა გიორგი, რომელიც იქნება ნამდვილი გიორგი — ე.ი. დაბადებიდან გიორგი. მის სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოსთვის. 2010 წელს საქართველო, თავისი განვითარებით, ბევრ ქვეყანას გაუსწრებს. არ ვიცი, ეს რა გზით მოხდება, მაგრამ ასე იქნება. შემდეგ დაიწყება 1000-წლიანი „მზეობის" ხანა. აღზევების პროცესი 167 წელიწადი გასტანს. 1000 წლის მანძილზე საქართველო გაბრწყინებული, ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი სახელმწიფო იქნება მთელ პლანეტაზე. ■

მას პირველი ხილვა 15 წლის ასაკში ჰქონდა...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. „კვარი“ და „ბიკონი“ სინონიმებია.
2. ლას-ვეგასს ცოდვის ქალაქს ეძახიან.
3. ღვინის ჩასხმამდე ტიკს წყალში ალბობენ.
4. ლათინურ ანბანში ასო „ჭ“ არ არსებობდა.
5. „მესჩანსკა ბესედა“ ძველებური რესტორანია პრაღაში.
6. იშხანი სევანის ტბის კალმახია, მეორენაირად მას გელაქნურს ეძახიან.
7. კერძის იდეალურ საკაზმად სოკრატესა და ციცერონს შიმშილი მიაჩნდათ.
8. სალივას ტომის ინდიელები ქალს ქმრის ღალატისათვის სცემენ, თუ კი მას ტყუპი შვილი უჩნდება.
9. ტრავმების 60 პროცენტს ადამიანები საკუთარ ბინაში იღებენ. ამათგან 70 პროცენტი სააბაზანო ოთახზე მოდის.
10. კლასიკური ჭიდაობის ილეთს — უკნიდან მოწინააღმდეგის იღლიების ქვეშ ხელების ამოტარებასა და მათ კისერზე შემოჭდობას — ნელსონი ჰქვია.
11. ბირმაზე მობინადრე ტომი მიაუ თეთრ, წითელ, ლურჯ, შავ და ჭრელ მიაუებად იყოფა. მათი გარჩევა ძალზე იოლია ტანსაცმლის ფერის მიხედვით.
12. „ესეც შენი უძრავი ქონება!“ — ამ სიტყვებით გამოვარდა საკუთარი სახლიდან მიწისძვრის დროს ერთი ამერიკელი მილიონერი.
13. ვივიენ ლი 53 წლის ასაკში ჭლექით გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების დღეს ლონდონის ყველა თეატრმა შეწყვიტა სპექტაკლი.
14. რუსულ მხატვრულ ფილმ „ბურატინოს თავგადასავალში“ მელა ალისასა და კატა ბაზილიოს როლების შემსრულებლები — ელენა სანაევა და როლან ბიკოვი — ცოლ-ქმარი იყო.
15. სახუმარო სიმღერას, რომელსაც „შაბათის შოუში“ გოჩა თანდარაშვილი ასრულებდა, ასეთი მისამღერი ჰქონდა: „ადანდალა-დანდალა, მართალს ამბობს თანდარა“.
16. 1969 წლის 31 დეკემბერს ბრიტანეთის ტელევიზიამ განვლილი ათწლეულის სამი ყველაზე პოპულარული ადამიანი დაასახელა: ჯონ ლენონი, ჯონ კენედი და მაო ძე დუნი.

17. ეს მოწყობილობა 1743 წელს, ვერსალში გაჩნდა. ლუდოვიკო XV მისი დახმარებით ხვდებოდა თავისი ფავორიტის, მადამ დე შატორუს საძინებელ ოთახში. ამ მექანიზმის თანამედროვე ვარიანტს ჩვენ დღეს

50 წელი სცენის მიღმა ანუ მუღუბრყვილო ჟორჟოლიანი, მამჭრიახი მოძიაშვილი და „მარჯანიშვილელთა“ სახელდახელო სუფრები

თამუნა კვინიკაძე

— რომ არა თეატრის დიდი სიყვარული, ამ ხნის მანძილზე რა გამაჩერებდა?! თეატრმა მიზიდვა იცის. თუ შეგიყვარდა, ზურგს ველარ შეაქცევ, ვერ მიატოვებ. თავს ბედნიერ კაცად მივიჩნევ — ქართული სცენის ვარსკვლავების გვერდით მიწევდა ცხოვრება. მალე 80 წელი შემისრულდება.

— ქართული სცენის ვარსკვლავები ახსენეთ. მათთან მეგობრობდით?

— ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით. სანდრო ჟორჟოლიანი, აკაკი (კაკო) კვანტალიანი, მედეა ჯაფარიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი — ყველა ამ ადამიანთან ახლოს ვიყავი. განსაკუთრებით კი გიორგი შავგულიძე მიყვარდა, მისი დაღუპვა ძალიან განვიცადე. იმ დღეს მსახიობებმა თამაში ველარ შეძლეს. ამ ტრაგედიის შესახებ სცენიდან გამოაცხადეს, სპექტაკლი მოხსნეს...

— თეატრს კოროფეები რეპეტიციებზე როგორები იყვნენ?

— რეპეტიციებზე არავინ იგვიანებდა. როლზე მთელი პასუხისმგებლობით მუშაობდნენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით, სესილია გამოირჩეოდა: ჩვენს სანახავად უამრავი ადამიანი მოდის, მათთან შესახვედრად უნდა მოვემზადოთო, — ეუბნებოდა მსახიობებს. რეპეტიციების დროს ხუმრობა არ უყვარდა, არადა, კარგი იუმორი ჰქონდა. როცა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ იდგმებოდა, სესილია სცენაზე გასვლისას კბილის პროთეზს არ იკეთებდა — ასე უფრო ვგავარ გურულ ბებიასო. ყოველი სპექტაკლის შემდეგ მსახიობები და ტექნიკური პერსონალი ფულს ვაგროვებდით, პროდუქტს ვყიდულობდით და ყველანი ერთად ვილხენდით.

მარჯანიშვილის თეატრის სარეკვიზიტო საამქროს ხელმძღვანელი ალექსანდრე ფაჩეია ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ამ საქმეს ემსახურება. თითოეულ ნივთს უყვარს, წმენდს, საგულდაგულოდ ინახავს და რაც მთავარია, ზეპირად იცის, რომელ სპექტაკლში რომელი გმირისთვის არის საჭირო. საშა ბაბუ, როგორც მას თეატრში ეძახიან, თავს ბედნიერ კაცად მიიჩნევს. მას წლების მანძილზე ქართული სცენის ვარსკვლავების გვერდით ყოფნა უწევდა და მათზე ბევრი სასიამოვნო მოგონებაც დაუგროვდა.

— ვინ თამადობდა?

— ლაპარაკის მეტი რა იცოდნენ?! ვინც არ უნდა ყოფილიყო, ყველა კარგად თამადობდა, მაგრამ ყველაზე ხშირად, სუფრას გოგი ტატიშვილი უძღვებოდა. ამ საპატიო მისიაზე უარს ხშირ შემთხვევაში, შავგულიძე ამბობდა, — ეგ ჩემი საქმე არ არისო.

— სცენაზე გასვლის წინ ერთ ჭიქას მაინც თუ გადაჰკრავდნენ ხოლმე?

— არა, ასეთი შემთხვევა არ მახსენდება. ვასო გოძიაშვილი „ტრანწნაკს“ გვეძახდა. სუფრასთან მას სულ ატყუებდნენ. ტელეფონზე დასარეკად რომ გავიდოდა, მისგან მალულად, ერთ-ორ ჭიქას შევსვამდით ხოლმე. მოვიდოდა და გვეტყოდა: „ტრანწნაკ“, — მოასწარით დალევა?! ფულს ჯიბიდან რომ ამოიღებდა, ჯერ თავზე შემოივლებდა და მერე გვაძლევდა. უჰ! რა კარგი წლები იყო, როგორ მენატრებიან ყველანი!..

— თეატრის დასთან ერთად გასტროლებზეც დადიოდით?

— გასტროლებზე წასვლა განსაკუთრებით მიყვარდა. ბევრს ვხალისობდი. ყველაზე ხუმარა სანდრო ჟორჟოლიანი იყო. მის გვერდით ვერ მოიწყენდი. ერთხელ, გასვლითი სპექტაკლი ხაშურში გვქონდა. ზაქრო გომელაურმა ჟორჟოლიანის საწოლის ქვეშ, ანთებული „კერასინკა“ შედგა. ვაა, კაცო, რა ძალიან ცხელაო! — დროდადრო წამოიძახებდა სანდრო, დაიტანჯა კაცი, ხან ფანჯრების, ხან კი

ხმალიც კი გვაქვს შემონახული, რომელსაც იაშა ტრიპოლსკი, კაც ზვამბაიას („მთვარის მოგაცება“) როლში გამოსვლისას იყენებდა

კარის გაღება გვთხოვა. — თქვენ არ გცხელათო? — გვეკითხებოდა გაკვირვებული. სანამ არ ვუთხარით, თვითონ ვერ მიხვდა. მომხდარზე თვითონაც დიდხანს იცინოდა. სანდრო ყველაფერს იოლად იჯერებდა და ამდენად, მისი მოტყუება ძნელი არ იყო. ერთ-ერთი გასტროლის დროს, ზაქრო გომელაურს ცუდი ოთახი შეხვდა. სანდროს ოთახში, რომელიც უფრო კომფორტული იყო, შევიდა და უთხრა, — შენ იცი, აქ ღამე ჭინკები რომ დადიან, განსაკუთრებით ტყის მხარესო? სანდრომ ნათქვამი დაიჯერა და ტყის მხარეს მდებარე კომფორტული ოთახი, ზაქროს ოთახში გაცვალა... გასტროლებზე თეატრის დასთან ერთად, საქართველოს ფარგლებს გარეთაც დავდიოდი. ერთხელ მოსკოვში ვიმყოფებოდით. დასის ერთ მსახიობს 16-17 წლის ბიჭი ჰყავდა წამოყვანილი. ეს ბიჭი გოგოსავით ლამაზი იყო. სანდრო ჟორჟოლიანს ქალები უყვარდა, ეს მისმა მეგობრებმაც იცოდნენ. ჰოდა, ასეთი რამ მოიფიქრეს: ეს ბიჭი გამოპრანჭეს, კაბა ჩააცვეს, მაკიაჟი გაუკეთეს და სანდროს მიუგზავნეს. „ლამაზი" გოგოს" დანახვაზე ჟორჟოლიანს თვალები გაუფართოვდა, გვერდით მიუჯდა, მერე უფრო მიუახლოვდა და მოფერება დაუწყო (*იცინის*)... ეს სცენა არასდროს დამავიწყდება.

— როცა სიმართლე გაიგო, როგორი რეაქცია ჰქონდა?

— თვითონაც ჩვენთან ერთად იცინოდა, არ გაბრაზებულა. მსახიობები ერთმანეთთან ასე იყვნენ შეხუმრებულები. ერთი პერიოდი, თეატრს გვინჩიძე ხელმძღვანელობდა. მას თეატრის ერთ-ერთი თანამშრომლისთვის პაემანი დაუნიშნავს. ეს ამბავი, არ ვიცი, საიდან, გიორგი შავგულიძეს გაუგია და გვინჩიძის ნაცვლად, პაემანზე თავად მისულა. გაწბილებული გვინჩიძე ამაზე დიდხანს საყვედურობდა. შავგულიძე ყველას ძალიან გვიყვარდა, ჟორას ვეძახდით. მასთან განსაკუთრებით ახლოს ვერიკო ანჯაფარიძე იყო. მას თაყვანისმცემელთა არმია ჰყავდა. მოსკოვის თეატრის გასასვლელში, მასთან შესახვედრად, იმდენი ადამიანი მოდიოდა, შენობიდან ჩუმად იპარებოდა ხოლმე.

— ყველაზე კარგად რომელ ქვეყანაში დაგხვდნენ?

— ყველგან თბილად გვხვდებოდნენ, მაგრამ არასდროს დამავიწყდება იტალიელების მასპინძლობა. „ოიდიპოს მეფე" გვქონდა წაღებული, ყველა ბილეთი გაიყიდა, დარბაზში კი 40-50 კაცი თუ იქნებოდა.

— ეს როგორ?

— თეატრის ყველა ბილეთი ერთ-ერთმა ბიზნესმენმა იყიდა და თავისი მეგობრები დაპატიჟა. მერე თეატრის ბაღში ზღაპრული სუფრა გაშალა. მსგავსი რამ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში გასტროლის დროს არ მოუწყვიათ. სუფრასთან, ჩვენთან ერთად იყო რეზო თაბუკაშვილი, ყოფილ ქართველ პარტიზანებთან ერთად, რომლებიც მსოფლიო ომის დროს იტალიაში იბრძოდნენ. ჩვენთვისაც და მათთვისაც ძალზე ემოციური საღამო იყო.

— ძველ და ახალ თეატრებს შორის შედარებას თუ გააკეთებთ, რით ჰგვანან და რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?

— რა ვიცი, რა გითხრათ. დღესაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი გვყავს. ისეთი ურთიერთობა ადამიანებს შორის, როგორიც ადრე იყო, აღარ არის. ამაზე ძალიან მწყდება გული.

— მითხარით, ყოველი სპექტაკლის შემდეგ სუფრას ვშლიდითო. ეს ტრადიცია დღესაც არის?

— არა, ასეთი რამ უკვე იშვიათად ხდება.

— მსახიობებს ერთმანეთში კონფლიქტი არ მოსდიოდათ?

— კონფლიქტი თანამედროვე ხალხის საქმეა...

— თქვენს საამქროში ყველაზე ძველი რომელი ნივთია?

— აქ ბევრი ისეთი ნივთია, რომელიც ჩემი მოსვლის შემდეგ შევიძინეთ, ზოგი დამხვდა — ხანჯლები, ნაგანი, ხმალი, გრამოფონი, „ურიელ აკოსტას" უძველესი სკამი, სხვადასხვა სპექტაკლის დეკორაციები... ის ხმალიც კი გვაქვს შემონახული, რომელსაც იაშა ტრიპოლსკი, კაც ზვამბაიას („მთვარის მოტაცება") როლში გამოსვლისას იყენებდა. ჩვენს გრამოფონს თბილისის სხვადასხვა თეატრიდან ხშირად გვთხოვენ — მათ არა აქვთ.

— მსახიობთა პირადი ნივთებიც ხომ არ შემოგენახათ?

— არა. მსახიობებს თეატრიდან წასვლის შემდეგ პირადი ნივთებიც თან მიაქვთ, ზოგი მუზეუმებში, ზოგი კი მათ ოჯახებში ინახება. ვასო გოძიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ახლობლებმა ყველაფერი წაიღეს, მათ შორის, „ძველი ვოდევილების" პერსონაჟთა ტანსაცმელიც. უშანგი ჩხეიძის ნივთები მის სახლ-მუზეუმში გადაიტანეს. მასთან მეგობრული ურთიერთობა არ მქონია, ნაადრევად გარდაიცვალა და დაახლოება ვერ მოვასწარი. ის მოწოდებით მსახიობი გახლდათ. მის მიერ შესრულებული როლები დღესაც მახსოვს. სერგო ზაქარიაძისნაირი კაცთმოყვარე ადამიანი კი დღემდე არ შემხვედრია. დღე არ გავა, რომ არ მომაგონდნენ, განსაკუთრებით აქ, თეატრში ყოფნის დროს.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლეგალი

უბის წიგნაკიდან:

ლიფტს ვეძახით.

18. ამერიკელ ალპინისტებს ხანდახან კოსმეტოლოგებად უწევთ მუშაობა. ისინი შეერთებული შტატების პრეზიდენტთა იმ ოცმეტრიან სახეებს ასუფთავებენ, რომლებიც ბლექ-ჰილზის კლდეშია გამოკვეთილი.

19. ფსიქოლოგთა რჩევით ლონდონის მეტროპოლიტენში წარწერა — „გასასვლელი არ არის", ყველგან შეცვალეს წარწერით — „გასასვლელი მოპირდაპირე მხარესაა", რის გამოც შემცირდა თვითმკვლელობათა რიცხვი.

20. ინგლისელი მეზღვაური ჯონ ქუინსი უიღბლო ადამიანი იყო. იგი ხუთჯერ გადავარდა გემბანიდან შუაგულ ზღვაში, თუმცა ხუთჯერვე გადაურჩა სიკვდილს, რის შემდეგაც გადაწყვიტა, ხელი აეღო მეზღვაურობაზე და ერთ-ერთ საპორტო ქალაქში ტავერნა გაეხსნა, რომელსაც „იღბლიანი უიღბლო" დაარქვა სახელად.

21. ბულგარეთის ქალაქ გაბროვოს მცხოვრებლებზე, რომლებიც სიძუნწით არიან ცნობილნი, ხუმრობით ჰყვებიან: ისინი ღამღამობით საათებს აჩერებენ, ნაწილები რომ არ გაუცვდეს; კატებს კი კუდებს აჭრიან, რათა ზამთარში ბინაში მათი შეშვებისას კარი სწაფად მიხურონ და სახლიდან ნაკლები სითბო დაიკარგოსო.

22. სპეციალური მოლბერტისა და სპეციალური საღებავების გამოყენებით, მხატვარი ჯამი ვეიერლეევგენი წყალქვეშ ქმნის თავის ტილოებს. მის გამოფენაზე მოსახვედრად კი აკვალანგია საჭირო.

23. მონღოლეთში ზურგს უკან ხელებდაწყობილნი მხოლოდ ის მამაკაცები დადიან, რომლებსაც მშობლები ჰყავთ გარდაცვლილი. თუკი ამას ბავშვი აკეთებს, მამა უბრაზდება, ეგრე რატომ დადიხარ, მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარო.

24. „В России две напасти: внизу – власть тьмы, а наверху – тьма власти", — ამბობდა ვლადიმირ გილიაროვსკი.

25. „Когда меня дрожащею рукой/ Охватывают, трепеща от страха,/ И льнут ко мне заплаканной щекой, /Нет счастья большего! – Так рассуждала Плаха", — წერდა ალექსანდრ კარპოვი.



პანჩოს თინეიჯერის დახვეჭება სეზს

„მეგობრობა სიყვარულივითაა — ძალიან დიდხანს აშენებ, აშენებ და მერე, ეს ურთიერთობა შეიძლება, 1 წუთში დაკარგო, დაანგრიო. მეგობრობისთვის სრული ნდობა და სიყვარულია საჭირო“, — ამბობს მომღერალი პანჩო, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ ქალებს თავისი სიმღერებით „აბამს“.

ლიკა ქაჯაია

— ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, თინეიჯერები შედარებით მხიარულები არიან, ხშირად დაუფიქრებლად მოქმედებენ და სხვანაირი მეგობრობა იციან.

— რას გულისხმობთ?

— როცა მეგობრებთან ერთად ჭამ, გძინავს, ჩხუბობ, „გოგოებში დადიხარ“ და ა.შ. გგონია, მათთან ვერაფერი დაგაშორებს, მაგრამ მერე, ზოგს ცოლი მოჰყავს, ზოგი სწავლას აგრძელებს, ზოგი მუშაობას იწყებს და ძალაუნებურად, თქვენი გზები იყრება. მართალია, ასეთი მეგობრები ერთმანეთს არ კარგავენ, მაგრამ რატომღაც, უნდათ თუ არა, ერთმანეთს რაღაცნაირად შორდებიან.

— როგორი იყო თინეიჯერი პანჩო?

— ცოტა ხულიგანი, კომუნიკაბელური და ძალიან უყვარდა გოგონები.

— ქალები ყველა კაცს უყვარს...

— ჰო, მართალი ხარ (*იცინის*).

— თანატოლებისგან რითი განსხვავდებოდით?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძალიან მიჭირს... თანატოლებისგან განვსხვავდებოდი ჩაცმის სტილით იმიტომ, რომ მაშინ, მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ წასვლა ადვილი არ იყო, მაგრამ ჩემი მშობლები ამას როგორღაც ახერხებდნენ და რა თქმა უნდა, იქიდან ჩემთვის სამოსი ჩამოჰქონდათ... მაშინ ისეთი პერიოდი იყო, რომ თუ კარგი ფეხსაცმელი გეცვა, ამის შესახებ მთელმა სკოლამ იცოდა.

— და მის სანახვად მოდიოდნენ?

— (*იცინის*) ჰო, დაახლოებით ისე იყო, ვიდეო რომ შემოვიდა და ყველა მის სანახავად მიდიოდა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— საოცრად კარგი მოსწავლე არ ვყოფილვარ, მაგრამ როგორც მასწავლებლები ამბობდნენ, ძალიან თბილი და მეგობრული გახლდით. ფრიადოსანი არ ვყოფილვარ, მაგრამ ატესტატში სულ ოთხიანები მეწერა. ასეთი „ატესტატი“ როგორ გამოვიტანე, დღემდე არ ვიცი.

— ჩააწყვეთ?

— აპ-აპ-აპა... ალბათ, ჩაწყობები მაშინაც ხდებოდა, მაგრამ მსგავსი რამ მე არ მახსოვს.

— ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი იყავით?

— კი, ბატონო, ასეთი ვიყავი.

— როგორ ფიქრობთ, სიზარმაცე ადამიანს ღუპავს?

— არა, არ ღუპავს, მაგრამ კარგიც არაფერი მოაქვს.

— ამ ასაკში ვინმეს ფანი ხომ არ ყოფილხართ?

— ყველა თინეიჯერს ჰყავს თავისი ბელადი თუ იდეალი. მე მაგალითად, The Beatles მყავდა ასეთ იდეალად და მის წევრებს რაღაცებში ვბაძავდი. მათ

ლეიბის ქვეშ ჩაწყობილი თუმნიანები, „ბოზური ინსტიტუტები“ და გიჟი ფანი

პლაკატებსა და დისკებს ვაგროვებდი. სხვათა შორის, მაშინ დისკი 50, პლაკატი კი 40 მანეთი ღირდა.

— ეი. მათი შეძენა საკმაოდ სოლიდურ თანხასთან იყო დაკავშირებული. მათ შესაძენად ფული საიდან მოგქონდათ?

— მშობლები მაძლევდნენ.

— სკოლის მოსწავლეს არ გქონიათ იმის სურვილი, რომ ფული საკუთარი შრომით გეშოვათ?

— კი, მაგრამ მაშინ ფულს „სხვანაირად“ შოულობდნენ... მაშინ არავინ მუშაობდა.

— რატომ, „ტეხავდა“?

— არა, უბრალოდ, ამის საჭიროება არ იყო, ყველას ყველაფერი ჰქონდა. მაგალითად, ჩემი სტიპენდიით, რომელიც 50 მანეთი გახლდათ, ბაკურიანში 3-4 დღით მივდიოდი. დღეს კი სტიპენდიით ამის გაკეთება შეუძლებელია. ისე, რომც მოგენდომებინა მუშაობა, სად უნდა გემუშავა?

— მაგალითად, ქარხანაში.

— ჰო, მაგრამ ქარხანაში მუშაობა არავის ხიბლავდა. კიდევ, რა შეიძლებოდა გეკეთებინა?

— რა ვიცი, ათასი რამ. ისე, ეს თქვენ უკეთ გეცოდინებათ...

— (*იცინის*) ეს „ათასი რამ“ ნამდვილად არ იყო.

— დღეს თინეიჯერები ცდილობენ, იმუშაონ, რათა საკუთარი შემოსავალი ჰქონდეთ. ეს ცუდია?

— რასაკვირველია, ძალიან კარგია ის, რომ საკუთარი თავის რჩენას ბავშვობიდანვე ცდილობენ.

— და როგორ ფიქრობთ, სად მუშაობენ ისინი?

— რა ვიცი, დღეს შეუძლიათ წავიდნენ, გაზეთები დაარიგონ და ასე იშოვონ 2 თეთრი. მაშინ, როცა თინეიჯერი ვიყავი, გაზეთებს არ არიგებდნენ... მოკლედ, იმ პერიოდში ან უნდა მოგეპარა, ანდა მამიკოს და დედიკოს ხარჯზე ყოფილიყავი.

— მოპარული ფული შეერგება ადამიანს?

— რადგან ფული არასდროს მომიპარავს, ამ კითხვაზე პასუხი არც მაქვს. ალბათ, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებს...

— დავიჯერო, ბავშვობაში არაფერი მოგიპარავთ?

— როგორ არა?! არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაიმე არ ექნება მოპარული, მაგალითად, ფული.

— ეი. თქვენც მოგიპარავთ...

— (*იცინის*) სამაგიეროდ, მე სხვას კი არა, ფულს ოჯახის წევრს, მამას ვპარავდი.

— ამას რატომ აკეთებდით?

— მყავდა მეგობარი გოგონები, რომლებსაც ამ ფულით კინოში ან სადმე სხვაგან ვეპატიჟებოდი.

— მშობლებისთვის რომ გეთქვათ, ამისთვის ფულს არ მოგცემდნენ?

— იმდენს არ მომცემდნენ, რამდენსაც ვიპარავდი.

— და რამდენს იპარავდით?

— ზუსტად არ მახსოვს. ერთხელ, იმ საწოლის ლეიბი ავწიე, რომელზეც ვიწექი და ვნახე, რომ იქ თუმნიანების „პაჩკები“ ეწყო. თურმე, მათ მამაჩემი მანქანის შესაძენად ინახავდა. ამ ფულს ყოველ დილით ვაკლებდი გარკვეულ თანხას. ჰოდა, როცა მანქანის ყიდვის დრო მოვიდა, ფული

მე სხვას კი არა, ფულს ოჯახის წევრს, მამას ვპარავდი

დაითვალეს და ნახეს, რომ მას საკმაოდ დიდი თანხა აკლდა.

— მერე?..

— რაღა მერე, დამსაჯეს!

— მშობლები რას გიკრძალავდნენ?

— სიგარეტის მოწევას, მაგრამ მე მაინც ვეწეოდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მინდოდა.

— სიგარეტის მოწევა „მაგარ ბიჭობად" მიიჩნეოდა?

— არა. უბრალოდ, იმ პერიოდში პატარა ბიჭი ვიყავი და მინდოდა, აკრძალული ხილისთვის გამესინჯა გემო. პირველად ნაფაზი რომ დავარტყი, კინაღამ გავიგუდე, მაგრამ მერე, ნელ-ნელა შევეჩვიე (ახლა თავში ვირტყამ ხელს, რად მინდოდა-მეთქი?!). ბიჭები სარდაფში ჩავდიოდით ან რომელიმე მიყრუებულ ადგილას მივდიოდით და მანამდე ვეწეოდით, სანამ თვალებიდან „ბოლი არ გამოგვივიდოდა".

— მშობლებმა როდის გაიგეს, რომ ეწეოდით?

— სანამ მამა ცოცხალი იყო, შინ არ მომიწევია. მიუხედავად ამისა, მათ იცოდნენ, რომ ვეწეოდი — ამას სუნით ხვდებოდნენ.

— თქვენი თინეიჯერობის პერიოდში „მაგარ ბიჭობად" რა მიიჩნეოდა?

— თუ იყავი კარგი დამრტყმელი, კომუნიკაბელური, გყავდა ბევრი მეგობარი, ე.ი. კარგი ბიჭი იყავი.

— სკოლიდან „შატალოზე" არ მიდიოდით?

— როგორ არა?! მივდიოდით კინოში, ლისის ტბაზე, კუს ტბაზე.

— კლასში გყავდათ თუ არა ისეთი მოსწავლეები, რომლებიც გაკვეთილის გაცდენისგან თავს იკავებდნენ?

— კი, მაგრამ თუ „შატალოზე" მთელი კლასი მივდიოდით, რაც იშვიათად ხდებოდა, მათაც ჩავავლებდით ხოლმე ქეჩოში ხელს.

— ასეთ ტიპებს როგორ მიმართავდით?

— მათ „ჩმორიკებს", „დედიკოს ბიჭებს" ვეძახდით.

— ვინ არიან „დედიკოს ბიჭები"?

— ახლა არ ვიცი, ასე როგორ ტიპებს მიმართავენ, მაგრამ ჩემს დროს, ამ სახელს ისეთ ადამიანს ვეძახდით, ვინც არავისთან მეგობრობდა, არ დადიოდა „შატალოზე", არ ჩხუბობდა და თუ შენ დაარტყამდი, დირექტორთან გიჩივლებდა.

— ანუ „დედიკოს ბიჭი" „ჩამშვებთან" ასოციირდებოდა?

— აბა, რა!

— ასეთ ტიპებს როგორ ექცეოდით?

— ცუდად — მათ ვცემდით კიდეც. იცი, რა მიკვირს? როგორ შეიძლება, ვიღაცამ ძმაკაცი, შეყვარებული ან ახლობელი ადამიანი პოლიციასთან ჩაუშვას? ეს ხომ არაადამიანური საქციელია?.. მოკლედ, ბოლო დროს „ბოზური ინსტიტუტები" დაარსდა.

— და დღეს ამ ინსტიტუტის წარმომადგენლები ზოგიერთებისთვის კარგ ტიპებად მიიჩნევიან, არა?

— ჰო, ვიღაცების თვალში ისინი ძალიან მაგრები არიან. სხვათა შორის, ასეთი ადამიანების უმეტესობას აქვს კარგი სამსახური, ბევრი ფული... იცი, რა, ადამიანმა ყველაფერს არ უნდა გადააბიჯოს. ისეთ რაღაცას არ გავაკეთებ, რომ მერე, როცა სარკეში ჩავიხედავ, საკუთარი თავისთვის შეფურთხება მომინდეს და ფანჯრიდან გადავხტე...

— ჩხუბის დროს არასდროს უცემიხართ?

— კი, როგორ არა და შინ „ფინგალებითაც" მოვსულვარ.

— ამის გამო მშობლები არ გიბრაზდებოდნენ?

— რატომ უნდა გაბრაზებულიყვნენ?! ბიჭმა თავის დროზე უნდა იჩხუბოს კიდეც.

— თქვენი შვილი რომ მოვიდეს ნაცემი, როგორი რეაქცია გექნებათ?

— რა თქმა უნდა, ვინერვიულებ და გამოვკითხავ, ვისთან ან რის გამო იჩხუბა.

— მერე, ის ხომ არ „ჩაუშვებს" ვილაცას?

— შვილთან ძმაკაცური ურთიერთობა მაქვს და ამიტომ, აუცილებლად მეტყვის. მაგრამ იმას კი არ ვამბობ, რომ პოლიციაში უნდა განაცხადოს ამის შესახებ.

— და შემდეგ, თქვენ ამ ამბავში ჩაერევით?

— მხოლოდ იმით, რომ იმ ბავშვის მამას დავურეკავ და ვეტყვი, ჩემმა შვილმა შენს შვილთან იჩხუბა და მოდი, ისინი შევარიგოთ-მეთქი. აბა, იმ ბავშვთან ხომ არ მივალ, საჩხუბრად?!.

— თინეიჯერობის ასაკში შეყვარებული არ გყავდათ?

— როგორ არა?! თანაც, ვედრო — შაურად.

— ვაი... მე კი გამიგონია, რომ შეყვარებული ერთი უნდა გყავდეს...

— ჰო, მართალი ხარ — რამდენჯერაც არ უნდა შეგიყვარდეს, იმ პერიოდში ის ერთადერთი იქნება.

— პირველად, რა ასაკში შეგიყვარდათ?

— პირველად არ მახსოვს, მაგრამ სერიოზული სიყვარული მეწვია მაშინ, როცა მეცხრე კლასში ვიყავი — უბნელი გოგო შემიყვარდა. დიდხანს დავდიოდი მასთან ერთად, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა... რაღაც პერიოდის შემდეგ, ჩემი პარალელურკლასელი შემიყვარდა. სხვათა შორის, იმის მერე ბევრი დრო გავიდა — მე ცოლად სულ სხვა მოვიყვანე, შვილები გამიჩნდა, ცოლს გავშორდი, ისიც გათხოვდა, ქმარს გაშორდა და ახლა, რამდენიმე თვის წინ, მე და ჩემი ყოფილი შეყვარებული ისევ შევხდით ერთმანეთს და... ჩვენში ძველმა სიყვარულმა გაიღვიძა. მართალია, დროებით, მაგრამ მაინც. ბავშვობის სიყვარული ძლიერია, იგი იმ ჩამქრალ ცეცხლს ჰგავს, რომლის ნაკვერჩხლები არ ქრება და როცა ნიავი დაუბერავს, ისევ აალდება ხოლმე.

— გოგონებს ადვილად „აბამდით"?

— არ ვტრაბახობ, მაგრამ თუ ვინმესთან ერთად ყოფნა მნდომებია, ჩემსას ვაღწევდი. რა ცუდი ბიჭი ვყოფილვარ, არა?

— პირველ შეყვარებულს რატომ დაშორდით?

— მისმა ოჯახმა, როგორც სასიძო, დამიწუნა და ამის გამო დავშორდით ერთმანეთს.

— მისთვის სერენადები არ გიმღერიათ?

— არა, ძალიან მაღლა ცხოვრობდა და

პანჩო (მარჯვნიდან მეორე) მეგობრებთან ერთად

მაინც ვერ გაიგებდა (*იცინის*). „ზატო", სიმღერები მიმიძღვნია გოგონებისთვის. მაგალითად, „ცაში ახედე" ჩემს მეუღლეს მივუძღვენი და მოისმინა თუ არა, ეგრევე ცოლად გამომყვა (*იცინის*). მართალია, ერთმანეთს დავშორდით, მაგრამ ეგ არაფერი.

— არა უშავს, თუ ასეა, კიდევ ერთ სიმღერას მიუძღვნით და ურთიერთობას აღადგენთ...

— რატომ? ახლა სხვას მივუძღვნი და ცოლად მოვიყვან.

— რამდენიმე წლის წინ, თქვენ კონცერტი გამართეთ 51-ე საშუალო სკოლაში, სადაც ერთი თქვენი ფანი მოვიდა და ყვიროდა: პანჩო, მიყვარხარ, შენზე ვგიჟდებიო და ა.შ. როგორც მახსოვს, მას ვერავინ აჩერებდა, თქვენთან ახლოს მოსვლას და შეხებას ლამობდა. მგონი, სწორედ მის გამო ჩაიშალა კონცერტი...

— ჰო, გამახსენდა. იცი, რა გააკეთა იმ გოგომ? ზღვაზე ვიყავი დასასვენებლად და როცა თბილისში დავბრუნდი, დედაჩემმა მითხრა: რამდენიმე ღამე კართან რაღაც ფხაკუნებდა, „გლაზოკში" რამდენჯერმე გავიხედე, მაგრამ იქ არავინ იყოო. ერთხელაც, რომელილაც ჟურნალში წავიკითხე ამ გოგოს ინტერვიუ, სადაც ის ამბობდა, რომ რამდენიმე ღამე ჩემი ბინის კართან

„ისწავლე პროლა პრსეპოპისთვის და ჰიზანს აუსილეპლად ჰიაღწევ!"

„მე მზად ვარ, გვერდით დაგიდგე..."

„გზის" წინა ნომერში დაიბეჭდა 18 წლის მარტოსულის მესიჯი, სათაურით — „ვგრძნობ, რომ მეგობრებს ვკარგავ". გოგონა ამბობს, რომ სწავლის გაგრძელება სურს, მაგრამ ამის საშუალება არა აქვს და რომ მას მშობლებიც კი არ აქცევენ ყურადღებას. შინ გამოკეტილი მარტოსული წერს ლექსებს, ჩანახატებს, სიმღერებს, მაგრამ საკუთარი თავის რეალიზაციას ვერ ახდენს და ამ ყველაფრის შესახებ რჩევას თანატოლებს სთხოვს.

გაათენა და სურათებიც კი ჰქონდა გადაღებული. ე.ი. დედა სიმართლეს ამბობდა და იმ გოგოს „გლაზოკიდან" იმიტომ ვერ ხედავდა, რომ ე.წ. ფანი იწვა (თუ იჯდა) და არ ჩანდა. აი, ასეთი გიჟი ფანი მყავდა.

— ამის გამო გქონდათ ცუდი რეაქცია?

— არანაირი ცუდი რეაქცია არ მქონია, უბრალოდ, შემეცოდა, რა. თან, რასაკვირველია, გულში გამიხარდა, რომ ვიღაცას ასე ვუყვარდი.

— რას ურჩევთ თინეიჯერებს?

— უყვარდეთ ერთმანეთი, არ დაკარგონ ადამიანების მიმართ ნდობა, არ „იბოზონ", აჩუქონ ურთიერთს სითბო, სიყვარული და ყველაფერი კარგად იქნება.

— თქვენს შემოქმედებაში რაიმე სიახლეს ხომ არ უნდა ველოდეთ?

— როგორ არა?! ახლა ვწერ სიმღერას, სახელწოდებით — „დღეს საქართველოს

პანჩო შვილებთან ერთად

სიყვარული აკლია" და მალე, ამ სიმღერაზე კლიპსაც გადავიღებ. რომ გითხრა, ძალიან მაგარი ვიდეორგოლი იქნება-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ ვაკეთებ იმას, რისი შესაძლებლობაც მაქვს.

— პანჩო ასე დიდი ხნით რატომ იკარგება?

— მართალი ხარ, პანჩო იკარგება, მაგრამ მერე, აუცილებლად გამოჩნდება ხოლმე ახალი სიმღერით. სხვათა შორის, ჩემს ფანებს კიდევ ერთ სიურპრიზს ვუმზადებ — ვწერ ალბომს, რომელშიც 12 სიმღერა შევა...

— დაბოლოს, თქვენ გამოეხმაურეთ „გზის" წინა ნომერში, „თინეიჯერულ პონტებში" დაბეჭდილ მარტოსულის წერილს და მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვით...

— თქვენს ჟურნალს ვკითხულობდი და მის მესიჯს წავაწყდი. გოგონა წერდა: არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რომ ვწერ ლექსებს, სიმღერებს და ჩანახატებს, იქნებ, ვინმე რაიმეთი დამეხმაროთო. არ ვიცი, მის დახმარებას შევძლებ თუ არა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეს წერილი გულზე მომხვდა. თუ იმ ადამიანს შემახვედრებთ, იქნებ, რაღაცაში მაინც დავეხმარო.

ელიტა:

„გამარჯობათ. მინდა, მარტოსულს ვურჩიო: გთხოვ, მეგობრებს ნუ დაკარგავ, რადგან ჩემი აზრით, მათ გარეშე ცხოვრებას აზრი არა აქვს. ნუ ჩაიკეტები საკუთარ თავში. შეეცადე, დედას დაელაპარაკო და აუხსნა, რასაც განიცდი. დარწმუნებული ვარ, ეს ძალიან ბევრ რამეში დაგეხმარება. ჩემო კარგო, გული არ გაიტეხო და ყველაფერი კარგად იქნება. უფალი გფარავდეს".

ნინი:

„მოძღვარს დაელაპარაკე და ყველაფერი კარგად იქნება. აღარასოდეს თქვა, ბედნიერი ვერ ვიქნებიო. ჩემო კარგო, ისიც კი, რომ ამქვეყნად ცხოვრობ, უკვე დიდი ბედნიერებაა. მერწმუნე, მარტოობაში კარგი არაფერია და ამიტომაც უნდა შეეცადო, მეგობრებთან ახლო ურთიერთობა გქონდეს. ვიცი, შენ ამას შეძლებ. უფალი მოწყალეა და გჯეროდეს, მალე წარმატებებსაც მიაღწევ. შენს ლექსებს დიდი სიამოვნებით წავიკითხავ. ჩემო კარგო, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა, მაგრამ... ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავში უნდა იპოვო რწმენა გადარჩენისა. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს".

G.G:

„მიუხედავად იმისა, რომ 16 წლის ვარ, ვფიქრობ, ჩემი რჩევა რაღაცაში მაინც დაგეხმარება. შენ ამბობ, რომ წერ თავისუფალ თემებს, ლექსებს და ა.შ. დარწმუნებული ვარ, შენი შინაგანი სამყარო ულამაზესია და როდესაც ადამიანს ლამაზი სულიერი სამყარო აქვს, ის ყველასთვის მისაღებია. ამიტომაც, ვერ გამიგია, შენ რატომღა კარგავ მეგობრებს? იქნებ, მოგწონს მარტოობა და ამ მდგომარეობაში პოულობ შვებას?! თუ ასეა, მინდა გითხრა, რომ არც ესაა გამოსავალი. შეეცადე და შექმენი შენი პატარა სამყარო, იმ შენს საწერ მაგიდასთან და როდესაც ფურცლებთან ბოლომდე გაიხსნები, მერე ადამიანებთან ურთიერთობაც გაგიადვილდება".

ნი-რუსთაველი:

„ვეხმაურები მარტოსულს! მინდა გითხრა, რომ დღეს ისეთი ცხოვრება დაგვიდგა, როცა ნიჭი კი არა, ფული ფასობს. ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები. მიუხედავად ამისა, საკუთარი ნიჭის წარმოჩინებისათვის უნდა იბრძოლო. ცხოვრება არც ისეთი უაზროა, შენ რომ გგონია. ეცადე, მისი მშვენიერება დაინახო. თუ სურვილი გექნება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი. მე მზად ვარ, გვერდით დაგიდგე. უფალი გფარავდეს".

GREEN GIRL (ნათათო):

„სიხარულო, გამაგრდი და შენ გვერდით მიგულე. თუ ჩემთან მეგობრობას მოისურვებ, ლიკა ჩემს ნომერს მოგცემს და დამიკავშირდი".

თამო:

„მარტოსულო, მსგავს სიტუაციაში მეც ძალიან ბევრჯერ ვყოფილვარ. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და შემეხმიანე. დამიჯერე, არ წააგებ".

ბაბი:

„გადავირიე, რა. ამ ხალხს მსხვერპლის როლში ყოფნა აშკარად მოსწონს... მარტოსულო, ჩემო კარგო, მინდა იცოდე, რომ ნამდვილი მეგობარი არასდროს და არაფრის გამო დაგშორდება. გაიხსენი, ნუ დაკომპლექსდები და ყველაფერი კარგად იქნება. დამიჯერე, მარტოსულობით ვერაფერს მიაღწევ..."

ლელუჩია:

„თუ მეგობრებს მხოლოდ იმიტომ კარგავ, რომ კარგი მატერიალური მდგომარეობა არ გაქვს (ან რაიმე სხვა მსგავსი მიზეზია), ასეთი ადამიანების გვერდით ყოფნა არც ღირს. საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტები, დაელაპარაკე მშობლებს და პირველ რიგში, მათთან ააწყვე ურთიერთობა (შენს ასაკში ყველას ჰგონია, რომ დედას და მამას მისთვის არ სცალიათ, რაც ხშირ შემთხვევაში, სინამდვილეს არ შეესაბამება), მერე კი მეგობრებთანაც გაარკვიე ურთიერთობა. გაურკვევლობაში ნულარ იქნები და ნურც მარტოსულობისთვის განირავ თავს. თუ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვილაპარაკოთ. მეც შენი ასაკის ვარ. მთელი ცხოვრება წინ გაქვს და განა შეიძლება, მარტოობაში დახარჯო ეს ძვირფასი დრო?.."

უცნობი:

„ლიკ, ძალიან გთხოვ, მარტოსულს ჩემი ნომერი მიეცი. გოგონა, მე შენთან მეგობრობა მინდა!.."

პატარა:

„ჩემო კარგო, პირველ რიგში, საკუთარ თავში არ უნდა ჩაიკეტო. მეგობრებს ვკარგავო, რომ ამბობ, ეს ბუნებრივია, რადგან

შინიდან არ გადიხარ და არავის ეკონტაქტები. მოახერხე და დაელაპარაკე მშობლებს, გაერთე მეგობრებთან ერთად, გადაუშალე მათ გული და მარტოსული აღარ იქნები. ჯერ პატარა ხარ და შენთვის ცხოვრება ახლა იწყება. დამიჯერე, რომ იცხოვრო, ამისთვის ბრძოლაა საჭირო. შენც ისწავლე ბრძოლა არსებობისთვის და მიზანს აუცილებლად მიაღწევ! წარმატებებს გისურვებ!"

ჟრიჟინა:

„ლიკა, გამარჯობა. ძალიან გთხოვ, მარტოსულთან დამაკავშირე. გთხოვ, მომეცი საშუალება, პატარა დასავით დავუდგე გვერდით და ცხოვრება მხიარულ ფერებში დავანახვო".

უცნობი:

„ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რითი მენუგეშებინა ეს ლამაზი სულის გოგონა. ერთ დროს თავადაც ვეზიარე პოეზიას და ამიტომაც მინდოდა, მისთვის საკუთარი გამოცდილებიდან მერჩია რაიმე, მაგრამ მერე გადავიფიქრე და ახლა, უბრალოდ, მინდა ვუთხრა წმინდა ნიკოლოზ სერბის წიგნში ამოკითხული ერთ-ერთი ქვეთავი, სახელწოდებით — „ცხოვრება და პოეზია", სადაც წმინდა მამა გვირჩევს: „სიმღერით გაალამაზე შენი ცხოვრება. გთხოვ, ცხოვრება სიმღერად აქციე: მაშინ შეძლებ შეიგრძნო ცხოვრების ჰარმონია და შენი კავშირი ჰარმონიასთან..."

თათა:

„ლიკა, ძალიან გთხოვ, მარტოსულს ჩემი ნომერი მიეცი და გამომეხმაუროს. მარტოსულო, შენთან ლაპარაკი მინდა. ვგრძნობ, შენს დახმარებას შევძლებ. შევხვდეთ, კარგი?.."

ველური ყვავილი:

„ჩემო კარგო, კარგად მესმის შენი — შენ ყურადღება, მეგობრებისა და მშობლების სითბო გჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საყვარელი მეგობარი მყავს და მშობლებიც საკმაოდ დიდ ყურადღებას მაქცევენ, შინაგანად, მეც მარტო ვგრძნობ თავს. შენი არ იყოს, მეც ვწერ ჩანახატებს, ლექსებს და მათში მხოლოდ სულის სიმარტოვე იგრძნობა. თუ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ".

ალეძი:

„დარდს ნუ მიეცემი!.. დამიჯერე, იმისთვის, რომ რაიმეს მიაღწიო, უნდა იბრძოლო. ასე ადვილად ხელს ნუ ჩაიქნევ და ნუ იტყვი — არაფერი გამომივაო. მშობლებს დაელაპარაკე და პირდაპირ უთხარი, რომ მათი გაუთავებელი კამათი შენზე ძალიან მოქმედებს და რომ როგორმე, ერთმანეთთან საერთო ენა გამონახონ... და კიდევ, ერთი რაღაც ვერ გავიგე: მეგობრებს რატომ კარგავ? ალბათ, სულ შინ ხარ ჩაკეტილი და მათ არ ეკონტაქტები. ასე არაფერი გამოვა! — ქუჩაში გადი და მეგობრებს შეხვდი!!! აბა, წარმატებებს გისურვებ!"

უცნობი:

„გამარჯობათ. მინდა, „გზის" წინა ნომერში დაბეჭდილ მარტოსულის წერილს გამოვეხმაურო: ჩემო კარგო, მინდა გთხოვო, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდე და იმედი არ დაკარგო. შენი გულისტკივილი კარგად მესმის, რადგან მეც ვერ შევძელი სწავლის გაგრძელება და ჩემს ოჯახშიც ხშირადაა კონფლიქტური სიტუაცია. მაგრამ შენგან განსხვავებით, მე მომავლის იმედი არ დამიკარგავს. გინდა გითხრა, ამ ყველაფერში რა დამეხმარა? — ეკლესია და რწმენა. შენც გირჩევ, იარე ტაძარში. უფალი გფარავდეს".

პანჩო, *მომღერალი:*

„ახლა წავიკითხე პატარა გოგონას წერილი, სათაურით — „ვგრძნობ, რომ მეგობრებს ვკარგავ". მისმა მესიჯმა ამაფორიაქა. მინდა, დავეხმარო, მაგრამ არ ვიცი, რითი... მიეცით მას ჩემი ნომერი და იქნებ, რაიმეთი მაინც შევუმსუბუქო მდგომარეობა".

უცნობი:

„მომეცით, რა, მარტოსულის ნომერი. ვფიქრობ, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო და ამიტომაც მინდა მისი გაცნობა".

მზე:

„პრივეტ", ლიკა. მე თეო ვარ, 17 წლის. მინდა გითხრა, რომ ძალიან კარგი ადამიანი ხარ. შენი რუბრიკის მეშვეობით მრავალ ადამიანს დაეხმარე. მინდა, ამ საქმეში ცოტაოდენი წვლილი მეც მიმიძღოდეს. ამიტომაც, ძალიან გთხოვ, მომეცი მარტოსული გოგონას ნომერი და მასთან სიამოვნებით ვიმეგობრებ... მარტოსულო, შენ მშვენიერი გოგო ხარ და მხოლოდ იმიტომ, რომ ყურადღებას არ გაქცევენ, ცხოვრება არ უნდა მოიწამლო. მე, საკუთარ სამყაროში „ჩაკეტვას" მონატრებული, ხანდახან მარტოობას ვნატრობ. სტუდენტი გახლავარ და ალბათ, გესმის, როგორი დღის რეჟიმიც მექნება. ზოგჯერ, მარტოობა მინდა, მაგრამ... მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი და დავმეგობრდეთ. თუ ამის სურვილი გაგიჩნდება, ნომერი ლიკას გამოართვი. და კიდევ, გახსოვდეს, როცა გულით გწადია რაღაც, სურვილის ასრულებაში მთელი სამყარო დაგეხმარება. თუ შენშია სიკეთე და სიყვარული, შეუძლებელია, უფალმა მიგატოვოს".

P.S. შესაძლოა, თქვენი „ესემესი" ჟურნალის ფურცლებზე ვერ მოხვდა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მარტოსული თითოეული თქვენგანის მესიჯს წაიკითხავს. გმადლობთ, რომ თანატოლისთვის რჩევის მიცემა არ დაიზარეთ... იმედია, ის თავადაც გამოგვეხმაურება და გვეტყვის, თქვენი რჩევები გადაწყვეტილების მიღებაში გამოადგა თუ არა.

„ჩვენს ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის გამო, ნევროზი დამემართა"

„მამიკოს არ უნდა, რომ ქართველი ბიჭი მიყვარდეს..."

მარიამი, *18 წლის:*

„მაპატიეთ, ასე გვიან რომ გიმესიჯებთ, მაგრამ ეს ჩემი ცხოვრების ბრალია. ერთი წელია, დეპრესია მაქვს და საშინლად მინდა, თქვენი მეშვეობით მაინც გამოვიდე ამ მდგომარეობიდან. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, ჩემს საზიზღარ ცხოვრებაში ჩავიკეტე... შარშან ჩემი მამიკო დაიჭირეს (ის სრულიად უდანაშაულო იყო) და ჩვენს ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის გამო, ნევროზი დამემართა. ვსვამ დამამაშვიდებელ აბებს და თითქოს, რაღაც მომენტში, ეს მშველის კიდეც. მყავს შეყვარებული, რომელიც ძალიან მიყვარს და მინდა, მთელი ცხოვრება მასთან ერთად გავატარო. მაგრამ ერთი პრობლემა მაქვს: ჩემს საყვარელ მამიკოს არ უნდა, რომ ქართველი ბიჭი მიყვარდეს, არ სურს, რომ ჩემს სამშობლოში ვიცხოვრო (თვითონ საქართველოდან ხშირად გადიოდა). ასევე, ჩემს სიყვარულს ვერ ვაცნობ ჩემს ძმას, რადგან ის ეგოისტია და თანაც, იმავეს ფიქრობს, რასაც მამაჩემი — უნდა აქაურობას მომაშოროს. მირჩიეთ, რა ვქნა, საცხოვრებლად საზღვარგარეთ წავიდე, კარიერას მივხედო, ჩემი სიყვარული დავკარგო და ვიყო მშობლებისა და ნათესავების გარემოცვაში, თუ დავრჩე სამშობლოში და შეყვარებულს მივენდო?.. მოკლედ, ორცეცხლშუა ვარ და იქნებ, გადაწყვეტილების მიღებაში დამეხმაროთ. მერწმუნეთ, თქვენს აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველას, ვინც ჩემ გამო შეწუხდება, წინასწარ გიხდით მადლობას. უფალი გფარავდეს".

■

P.S. ვფიქრობთ, მარიამს იმედს არ გაუცრუებთ. მისთვის რჩევის მიცემისას ისიც გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა, თქვენმა ერთმა სიტყვამ გოგონას ცხოვრება საბოლოოდ შეცვალოს. და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები" ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის" გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

დაბოლოს, შეგახსენებთ: შეგიძლიათ მოგვწეროთ — ვის ნახვას ისურვებდით მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვებს დაუსვამდით მას? ან სულაც, თუ თქვენც გაქვთ რაიმე მოსაყოლი და გსურთ, ჩვენი ჟურნალის მეშვეობით რჩევები მიიღოთ ან უბრალოდ, საკუთარი გულისტკივილის თანატოლებისთვის გაზიარებას მოისურვებთ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27.

საჩუქარი 95 წლის იუბილარისთვის...

ინგა ჯაყელი

95 წლის შალვა პაპა მაღალმთიან სვანეთში ცხოვრობს. მთელი ცხოვრება შრომაში გაატარა და სუფთა ჰაერზე, საკუთარი ხელით მოწეულ ნატურალურ პროდუქტს მიირთმევდა ყოველთვის. ალბათ, სწორედ ამისი დამსახურებაა, რომ ჯანმრთელობას ახლაც არ უჩივის. თქვენ წარმოიდგინეთ, კბილებიც კი თავისი აქვს შერჩენილი, — მართალია, რაღაცნაირად გაცვეთილ-გალეული, მაგრამ — თავისი, და ამიტომაც, ჭამა არ ეზარება — სადილ-ვახშამს არც დაიგვიანებს და არც დაიკლებს...

აი, სკოლაში კი არასოდეს უვლია და რა გასაკვირია, რომ კითხვა ვერც ისწავლა... ეგ კი არა, დიდ სამამულო ომში რომ წაიყვანეს (შორეულ 1941-ში), ერთი წერილიც არ მოუწერია და მალევე გამოიგლოვეს, რადგან არავის გახსენებია, რომ არც წერა იცოდა და როცა დასჭირდებოდა, ჯვარს სვამდა ხელმოწერის ნაცვლად. არადა, 1945 წლის მიწურულს, საღ-სალამათი დაბრუნდა შინ და შავებში ჩაცმული ოჯახის წევრების დანახვაზე, გულზე იტაცა ხელი:

— მე ომში გადავურჩი უბედურებას და აქ რომელს ეტაკა უსაშველო, ვინ დამღუპა?!

ცალკე მისი დიდი ოჯახის წევრები გახდნენ მოსაბრუნებლები, რადგან უსაშველოდ გამხდარი და მკბენარებისგან სისხლგამშრალი, გაყვითლებული შალვა პაპა საფლავიდან წამომდგარი მოჩვენება ეგონათ...

ერთი სიტყვით, როცა გაირკვა, რომ მშვიდობა იყო, ყველამ გაიხარა, იქეიფა, ღმერთს მადლობა შესწირა და ომამდე შეძენილ სამ შვილს, ომის შემდეგ კიდევ ოთხი მიამატა შალვა პაპამ. ბიჭები არსადაც არ გაუშვა და ირგვლივ დაისახლა, გოგოები კი ბუნებრივია, ვერ შეაჩერა და ქალაქში დაუთხოვდნენ. ჰოდა, ერთ-ერთი მათგანის, დეიდა მანანას ქალიშვილია ჩემი მეგობარი ეკა, რომელმაც შალვა პაპის 95 წლის იუბილეზე დამპატიჟა და არც საჩუქრის შერჩევა გაგვჭირვებია — ვიღაც მადლიანს, სოფელში სატელიტური ანტენა დაემონტაჟებინა და მანამდე რომ ტელევიზორი თვალითაც არ ჰქონდა ნანახი ბევრ იქაურ მცხოვრებს, ახლა ყველა მის შეძენაზე ოცნებობდა. ასე რომ, შალვა პაპას დაბადების დღის საჩუქრად პატარა ტელევიზორი ვუყიდეთ და დიდი ამბით ავუტანეთ...

ეკამ კი მითხრა, რომ შალვა პაპას ტელევიზორი არასოდეს ენახა, მაგრამ ის, რისი მოწმეც გავხდი, სხვას რომ ეამბნა, არ დავიჯერებდი და მას, სვანურ გულუბრყვილობაზე გამოგონილ მორიგ ანეკდოტად მივიჩნევდი:

ტელევიზორი ყველაზე საპატიო ადგილზე მოათავსეს და რა თქმა უნდა, შალვა პაპის საყვარელი სავარძელიც იქვე დადგეს. მოხუცს აუხსნეს, რომ ამ „პატარა ყუთში" მთელი მსოფლიო იყო მოთავსებული და განუმარტეს — საშიში არაფერიაო, მაგრამ როცა ეკრანი აციმციმდა და ქუჩაში მოსიარულე უამრავი ადამიანი გამოჩნდა, მოხუცი მაინც შეცბა:

— ვაიმე, ესენი ყველანი ჩვენსას მოდიან სტუმრად?! — და 80 წელს მიღწეულ ბერიკაცს, თავის სიყრმის შვილს — მაიზერს გასძახა: მთლად გასაწყვეტი რომ გაგვიხდეს ხარ-ძროხა, დატრიალდით და უცხო ხალხთან სირცხვილი არ ჭამოთო!..

სხვათა შორის, შალვა პაპას ბევრი აფხაზეთიდან დევნილი შეუფარებია და დაუპურებია, ბევრიც, თავის დროზე, სიკვდილს გადაურჩენია — გზააბნეულებს ტყეში ეძებდა, შინ მიჰყავდა თურმე და სანამ არ მოახედებდა თავისებურად განწირულებს, გზის გაგრძელების უფლებას არ აძლევდა...

...როგორც იქნა, დავარწმუნეთ და ავუხსენით მოხუცს, რომ ტელევიზორში მოსიარულე ხალხი შორს იყო და ვერც „ყუთიდან" გადმოსვლას მოახერხებდა. მალე ქეიფიც გაჩაღდა, რომლის განმავლობაშიც შალვა პაპის რეპლიკებმა ბევრჯერ გაგვამხიარულა, ბევრჯერ კი სევდით „გაგვალომა":

— რას ჭამს ეს ამდენი ხალხი, რას იცვამს, სად იძინებს?!. მოხუცს ვინ აკადრა მათხოვრად ქუჩაში გასვლა?!. ბავშვისთვის რამ ააშენებინათ უპატონოთა სახლი, მოეყვანათ აგერ, ჩემთან, კაცად ვაქცევდი, არ შევაცივებდი, არ მოვაშივებდი!.. აშენებულს რომ ანგრევენ, ჯერ უკეთესი ვერ ააშენეს?! — მოკლედ, თავისდა უნებურად, მაგრამ მაინც, იმ საღამოს მსოფლიოს პოლიტიკის ნაწილად იქცა მოხუცი და პირველად ეზიარა იმ საადარდებელს, ჩვენ რომ კარგა ხანია, სიმშვიდე დაგვიკარგა.

ყოველივეს კულმინაცია ღამის ეთერში გაშვებული, მდარე ხარისხის ეროტიკული ფილმი გახდა, სადაც მსუბუქი ყოფაქცევის ლამაზმანი, სრულიად შიშველი „გამოგოგმანდა" ეკრანზე და მამაკაცს დაუწყო „შებმა"...

ქეიფში გართულები ფილმს არ ვუყურებდით, და იქნებ, ვერც შეგვემჩნია რაიმე, შალვა პაპის რეპლიკები რომ არ შემწყდარიყო. გავხედეთ და რას ვხედავთ! მოხუცს ორივე ხელი თავზე შემოეჭირა და ლამის ტელევიზორში შემძვრალიყო... მგონი, დავიწყებოდა კიდეც, მარტო რომ არ იყო — წინ გაშვერილი საჩვენებელი თითი წაიღო და პირდაპირ ძუძუზე ატაკა „ტუტუც ქალს", შემდეგ კი მოზრდილ საჯდომზე დაუსვა ხელისგული...

ხარხარი აგვიტყდა და დაირცხვინა ბერიკაცმა, ტელევიზორს ზურგი აქცია აჭარხალებულმა, რატომღაც ჩვენ „გაგვიბრაზდა" და იყვირა:

— ეს რა ხდება ჩემს სახლში?!.

ეკრანზე ისეთი უხამსობა იყო, ტელევიზორი გამოვრთეთ, შალვა პაპას ღვინო მივაძალეთ და მალევე გამოვუკეთეთ ხასიათი. ვამჩნევდით, მალიმალ აპარებდა თვალს გამორთული ტელევიზორისკენ და მერე, შვილიშვილს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. რამაზმა მუცელზე წაივლო ხელი, არ-ოხროხდა და პაპას ნამუსი არ შეუნახა:

— იმ ქალზე მკითხა, ხომ არსად წავიდოდა, ხომ ისევ იქ იქნებაო?!.

შალვა პაპა ჯერ გაუწყრა შვილიშვილს, მერე კი აღიარა:

— 7 შვილის მამა ვარ და შვიდივეს სიცოცხლეს ვფიცავარ, თუ ჩემი აღათი შიშველი მყავდეს ნანახი და სხვის ქალს, მით უმეტეს, ვინ მანახვებდა?!.

...მეორე დღეს კი, ქალაქისკენ რომ გვაცილებდა, სერიოზულად გვარიგებდა — იმ ტუტუც ქალს, თუ სადმე შეხვდებით, არც მიესალმოთო!..

რამაზისთვის კი ისევ „საიდუმლოდ" გაუნდვია:

— ეჰ, რაღა დროსია, თორემ მეც წამოგყვებოდით ქალაქში!.. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

რატომ გვინევს ტემპერატურა?



ალბათ, არ არსებობს ადამიანი, ვისაც მაღალი ტემპერატურა ერთხელ მაინც არ ჰქონია. როგორც წესი, მას გაცივების გამოვლინებად მიიჩნევენ, მაგრამ ზოგჯერ, ის სულ სხვა მიზეზების გამოც იმატებს. ტემპერატურის მომატება, განსაკუთრებული ნივთიერებების — პიროგენების ზემოქმედების შედეგად ხდება. თანაც, მათ მარტო ჩვენი იმუნური უჯრედები კი არ გამოიმუშავებს, არამედ შეიძლება, ის სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების ცხოველქმედების პროდუქტიც იყოს.

ინფექციებთან ბრძოლაში ჰიპერთერმიის ზუსტი როლი ჯერჯერობით, დადგენილი არ არის. მიიჩნევა, რომ სხეულის ტემპერატურის მატებისას, ორგანიზმში მისგან დამცავი რეაქციებიც აქტიურდება (მაგრამ ტემპერატურასაც გააჩნია). თუ თერმომეტრი 38-39 გრადუსს უჩვენებს, ამ შემთხვევაში, ჟანგბადსა და მკვებავ ნივთიერებზე ორგანიზმის მოთხოვნილება და შესაბამისად, გულისა და ფილტვების დატვირთვაც იმდენად იზრდება, რომ სიცხის დამწევი პრეპარატების გარეშე, საქმეს ველარ უშველი. მეტიც, თუ ადამიანს მაღალი ტემპერატურა ძნელად გადააქვს (ტაქიკარდია ან ქოშინი ეწყება), მაშინ მან შესაბამისი პრეპარატები უფრო დაბალი ტემპერატურის დროსაც უნდა მიიღოს.

ხშირი

თუ სხეულის ტემპერატურის მომატებას თან ახლავს სურდო, ყელის ტკივილი, ხველა, მაშინ მისი წარმოშობის მიზეზი მწვავე რესპირაციული ვირუსული ინფექციაა. მსგავსი ინფექციები, ძირითადად, ცივ ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებს აწუხებს, ხოლო მათ, ვინც შედარებით თბილ ქვეყნებში ცხოვრობენ, უფრო ხშირად, ნაწლავური ინფექციები ემართებათ. ამ შემთხვევაში, სხეულის ტემპერატურის მომატება ტიპური კუჭნაწლავური აშლილობების — გულისრევის, პირღებინების, ფაღარათის, მუცლის შებერილობის ფონზე მიმდინარეობს.

იშვიათი

სხეულის ტემპერატურამ შესაძლოა, საგრძნობლად მოიმატოს წამლის გადამეტებული დოზის და ისეთი პრეპარატების მიღებისას, როგორიცაა: ანესთეტიკები, ფსიქოსტიმულატორები, ანტიდეპრესანტები, სალიცილატები და ა.შ. ამას ემატება ჰიპოთალამუსზე (თავის ტვინის ის ნაწილი, სადაც ტემპერატურული რეგულაციის ცენტრი მდებარეობს) მოქმედი ტოქსიკური ნივთიერებებით (კოკადინიტროკრეზოლით, დინიტროფენოლომით და ა.შ.) მოწამვლის შემთხვევებიც. ორგანიზმის ასეთ მდგომარეობას ავთვისებიანი ჰიპერთერმია ეწოდება და ზოგჯერ, მისი გამომწვევი მიზეზი ჰიპოთალამუსის თანდაყოლილი ან შეძენილი დაავადებებია.

ბანალური

ზოგჯერ ზაფხულში, მზის გულზე ანდა ზამთარში, ორთქლის აბანოში დიდხანს ყოფნისას, ადამიანს თავის ტკივილი და მთელ ტანში „მტვრევა" ეწყება, სიცხე კი 37 გრადუსამდე ან უფრო მაღლაც უწევს. ამ შემთხვევაში, ციების მიზეზი სხეულის საერთო გადახურებაა. ამ დროს ყველაფერს გრილი შხაპის მიღება და კარგად განიავებულ შენობაში წამოწოლა სჯობს. მაგრამ თუ ტემპერატურა ამის შემდეგაც არ დაიწევს, საქმე სერიოზულ სითბურ დარტყმასთან გვაქვს და დახმარებისთვის ექიმს უნდა მიმართოთ.

განსაკუთრებული

ზოგჯერ შესაძლოა, ციება ფსიქოგენური ანუ გარკვეული განცდებისა და შიშების შედეგი იყოს. ყველაზე ხშირად, ის ზედმეტად მგრძნობიარე ნერვული სისტემის მქონე ბავშვებში, ინფექციის გადატანის დროს შეინიშნება. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ბავშვი ფსიქონევროლოგმა გასინჯოს.

საშიში

თუ გაცივებამ ან მწვავე რესპირაციულმა ვირუსულმა ინფექციამ ქოშინი, სიცხე და ოფლიანობა დაგიტოვათ, ექიმთან ვიზიტი აუცილებელია. არ არის გამორიცხული, რომ ამჯერად, ფილტვების ანთებით იყოთ ავად. ხოლო თუ ტემპერატურის მატებასთან ერთად, მუცელში მწვავე ტკივილსაც იგრძნობთ, სასწრაფო დახმარების გამოძახება წამითაც კი აღარ უნდა დააყოვნოთ. გაითვალ-

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ისწინეთ, ამ შემთხვევაში დიდია მწვავე ქირურგიული დაავადებების (აპენდიციტი, ქოლეცისტიტი, პანკრეატიტი და სხვა) ალბათობა და სავალალო შედეგის გამორიცხვა მხოლოდ დროულ ოპერაციას შეუძლია.

ეგზოტიკური

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ ციებას, რომელიც რომელიმე თბილ ქვეყანაში ყოფნისას ან იქიდან დაბრუნებისთანავე იჩენს თავს. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში თქვენ რომელიმე ეგზოტიკური ინფექცია, მაგალითად, ტიფი, ენცეფალიტი ან ჰემორაგიული ციება გქონდეთ აკიდებული. თუმცა, მოგზაურებში ციების ყველაზე ხშირ მიზეზს მაინც მალარია — მძიმე, მაგრამ სავსებით განკურნებადი დაავადება — წარმოადგენს.

ხანგრძლივი ციება

ზოგჯერ, არც ისე მაღალტემპერატურიანი (37-38-გრადუსიანი) ციება კვირებისა და თვეების მანძილზეც კი გრძელდება. გაითვალისწინეთ, ასეთი მდგომარეობა უთუოდ საფუძვლიან გამოკვლევას საჭიროებს.

ინფექციური ციება

ტემპერატურის ხანგრძლივი მომატების მიზეზი შეიძლება, ქრონიკული ვირუსული, ბაქტერიული, პარაზიტული და სოკოვანი ინფექციები (ინფექციური მონონუკლეოზი, ტოქსოპლაზმოზი, სიფილისი და ა.შ.) გახდეს. ხანგრძლივი ციება ხშირად გვხვდება ტუბერკულოზის ან ქრონიკული ინფექციების კერების არსებობის დროსაც. თუ ხანგრძლივ ციებას ლიმფური კვანძების გადიდება, სხეულის მასის დაკარგვა და არამდგრადი კუჭის მოქმედებაც სდევს თან, ეს უკვე ძალზე საშიში დაავადებების — აივ-ინფექციის ან ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების არსებობაზე მიანიშნებს. რადგან ამ დაავადებებთან ხუმრობა არ შეიძლება, ყველა ის ავადმყოფი, ვისაც ხანგრძლივი ტემპერატურა აქვს, შიდსის გამოსავლენი ანალიზის ჩატარებასა და ონკოლოგთან კონსულტაციის გავლას აუცილებლად საჭიროებს.

არაინფექციური ციება

ტემპერატურის ხანგრძლივი მატება ავტოიმუნური დაავადებების, მაგალითად, რევმატიული ართრიტის თანამდევიცაა. ზოგჯერ, ხანგრძლივ ციებაზე ენდოკრინული სისტემაა „პასუხისმგებელი", რაშიც ყველაზე ხშირად, „დამნაშავე" ის ფარისებრი ჯირკვალია, რომელიც ჰორმონების გადამეტებულ რაოდენობას გამოიმუშავებს. ასეთი მდგომარეობა თირეოტოქსიკოზის სახელითაა ცნობილი და სხეულის ტემპერატურის მომატების გარდა, გახდომით, ტაქიკარდიით, ექსტრასისტოლიით, გაღიზიანებადობით და გარკვეული დროის შემდეგ, დამახასიათებელი თვალების გადმოკარკვლითაც გამოირჩევა. ამ მდგომარეობასთან გამკლავება ენდოკრინოლოგის საქმეა.

ამჯერად ჰიპერთერმიის მხოლოდ ყველაზე გავრცელებული მიზეზები გაგაცანით, ისე კი სიის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა. გირჩევთ, როგორც კი თავს შეუძლოდ იგრძნობთ, თერმომეტრის მომარჯვება არ დაგავიწყდეთ...

ჟურნალი ჟურნალში

ფეხსაცვლილები

15.11–21.11.2007

რჩევა, რომელიც გამომადგა

რა მომასვენებს, როცა მეცოდინება, რომ ჩემი ქმარი ნელი სვლით დადის ქალაქის ქუჩებში და ქალებს ათვალიერებს?

სიძეს აიძულებდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა უკანონოდ დაკავებული ტერიტორია, იგი სკანდირებდა: წადი, შე მათხოვარო, ლოთო, მუქთახორაო

სიტუაცია

ყველა ჯაცი „ჯაზიოლია" და ისევ „მარშრუტკის" შესახებ

– ჰო, ჰო, – განაგრძობდა გოგონა, – ახლა ვარ ასე და არ ვიცი, ამ „ჯაზიოლს" სამაგიერო რით გადავუხადოოო. რა? ვერ გავიგეე! აა, ვაძლევდი თუ არა?

ფოტოტესტი

ბორბლებიან „მერსედესს" არიფებისთვის ამზადებენ, ასეთებს ჯი ისეთი მაგარი ტიპებისთვის, როგორიც მე ვარ!

რჩევა, რომელიც მაამოძღვა

უჩექმო და ქოლგიანი მგზავნელები და ჭირვეულის მორჯულება ანუ ეყოფა თუ არა „გზის“ ფურცლები ქუთაისელების ნაბჭუტურებს



მარი ჯაფარიძე

გავგიჟდები, გავგიჟდები, ნამდვილად გავგიჟდები! — ეს ის სიტყვებია, რომელიც ბოლო 2 კვირის განმავლობაში ისეთი მესიჯის წაკითხვისას აღმომხდება ხოლმე, როგორიც ანარქამ გამომიგზავნა: „მარი, მაპატიე, რასაც ახლა ვიტყვი: „გზის“ ახალ ნომერში დაბეჭდილი ჟურნალისტი ქალის დღიურები რომ გადავიკითხე, დავფიქრდი და... იცი, რა გავიფიქრე? ანა ჯაფარიძე შენ ხარ! მხოლოდ სახელია შეცვლილი. დედის გვარზე ყოფილხარ, მამით მეგრელი (მეგრულიც ამიტომ იცი). ანა პროფესიით ფსიქოლოგია და აქედან გამომდინარე, ეჭვიც წამებში გამიჩნდა, რომ შენი რეალური ამბის გმირი, ნატალიც შენ იყავი. მოკლედ, დამაბნიე. თანაც ორივე ქალბატონს (ანა ჯაფარიძესა და ნატალის ვგულისხმობ) ცოლიან მამაკაცთან ჰქონდა ურთიერთობა. ამას ისიც ემატება, რომ ორივეს პირველი მამაკაცი შავი სამყაროდან იყო (ბაჩოს და ვატოს ვგულისხმობ). მარი, მაპატიე, რა, შენმა მეგრულის ცოდნამ გამიჩინა ეჭვი, რომ შენი ნამდვილი გვარი სამუშაოა. ინგა ჯაყელი ამბობს, კოლეგამ გადმომცა დღიურები მანამ, სანამ საფრანგეთში წავიდოდა. რატომღაც ორივე გმირი „გადაასახლეთ“ საქართველოდან. ეს ისტორიები, დარწმუნებული ვარ, სინამდვილეა, რომელიც თავად გადაგხდა თავს. იმ შემთხვევაში, თუ ეს ჩემი დიდი ფანტაზიის ნაყოფია, გთხოვ, მაპატიე. ვერც კი წარმოიდგენ, ჩემთვის როგორი მძიმე იყო ამის თქმა. თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ მაპატიებ. ანარქა“.

მესიჯის ავტორის ფანტაზიითა და ლოგიკური მსჯელობის უნარით აღფრთოვანებული ვარ, მსგავსი მესიჯების სიმრავლით — აღშფოთებული, ხოლო ანასთან ჩემი გაიგივების გამო — განრისხებული. ინგა ჯაყელს მიეცეს ჩემი ცოდვა იმის გამო, რომ თავისი ნაწარმოების გმირის გამოგონილი გვარი და წარმომავლობა ჩემსას დაამთხვია და ამის გამო გაუგებრობაში მომაყოლა (არადა, გაგიკვირდებათ და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მერვე წელია, „გზაში“ ვმუშაობ, ინგა ჯაყელი თვალითაც არასოდეს მინახავს. შესაბამისად, ვერც დღიურებს გადავცემდი, რადგან ის ქუთაისში ცხოვრობს; მით უმეტეს — ანა). ყველას გასაგონად კიდევ ერთხელ ვამბობ: ანა ჯაფარიძე მე არ ვარ (სხვათა შორის, არც დედა მყავს მეგრელი) და ჩემი ცხოვრების სტილი მისგან სრულიად განსხვავებულია. მე ვარ მარი ჯაფარიძე! და თუ ჩემი თავგადასავლის დაწერა მომინდება, ამას სხვას არ ვანდობ. ავდგები და თვითონ დავწერ (ვერ მოვახერხებ, თუ?!). მოკლედ, ასე! სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ხომ უნდა ამეხსნა ჩემი მკითხველისთვის? ახლა კი თქვენს მესიჯებს მივხედოთ.

მექოლგე

„ერთხელ ქუჩაში მივდიოდი და გრძელ ქოლგას ვატრიალებდი. ჰოდა, უცებ ვიღაც მოხუცი ქალი მექაჩება: შვილო, რაცხა ორი კაკალი თვალი მაქვს და იმასაც ნუ გამომთხრიო. ეს რჩევა გამომადგა კი არა, ქოლგა საერთოდ შემაძულა და ახლა დედაჩემი წვიმის დროს სულ ჩხუბით მაიძულებს, რომ ქოლგა წავიღო, მაგრამ არ იფიქროთ, რომ დიდ ქოლგას ვატარებ. პატარა ქოლგა დამაქვს, ჩანთით და ამით თვალებს ვერავის დავთხრი. P.S. რჩევას ყველა მაძლევს, ვისაც არ ეზარება, მაგრამ ვუჯერებ, კი? საერთოდ, საუკეთესო რჩევა ისაა, რომელსაც არ დაიჯერებ. ვიცი, არ დაბეჭდავ, მაგრამ არც იმ რჩევას ვუსმენ — ნულარ უმესიჯებ, არ ბეჭდავსო, რომ მეუბნებიან. ქოლგების რისხვა, ეშმაკუნა“.

მაშვალი

„ჩემს დაქალს სიგიჟემდე უყვარდა ბიჭი, რომელიც მისი ღირსი არ იყო და მასთან ბედნიერი ვერ იქნებოდა. ამიტომ, მე და დედამისი ყველანაირად ვცდილობდით, მისთვის იკა გადაგვეყვარებინა. საბოლოოდ, მარი და იკა დაშორდნენ. ერთ დღესაც მარიმ მითხრა, რომ მის ერთ-ერთ „პაკლონიკზე“ აპირებდა გათხოვებას. არ დავუშალე, მიუხედავად იმისა, რომ შემეძლო, გადამეფიქრებინებინა. ვფიქრობდი, რომ მისთვის ასე აჯობებდა, რადგან მეშინოდა, იკას არ დაჰბრუნებოდა. მარი გათხოვდა. უკვე რამდენიმე თვე გავიდა, მე კი ახლაც ძალიან განვიცდი მარის

და მისი მეუღლის წაკამათებასაც კი. მათი ოჯახის შექმნაში ხომ მეც დიდი წვლილი მიმიძღვის. ღმერთო, არასდროს მანანებინო, რომ მარის ამ ნაბიჯის გადადგმა არ დავუშალე“.

ჭირვეულის მორჯულება

მართალია, თინეიჯერი არ ვარ, მაგრამ ძალიან მინდოდა, რომ თქვენს თემას გამოვხმაურებოდი. ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მოხდა და იმ პერიოდს ეხება, როდესაც სამხედრო სავალდებულო სამსახურში ვიყავი. მაშინ ქართველები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში ვიხდიდით ვალს, სამშობლოს წინაშე. მე

რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში მოვხვდი. როდესაც ახლები მიგვიყვანეს, იქ დამხვდურმა ქართველებმა სიტუაციაში გაგვარკვიეს და გვითხრეს, რომ თუ თავიდანვე მაგრად არ დავდგებოდით და „პალაუენიეს“ არ მოვიყვანდით, მერე ვეღარაფერს გავხდებოდით და ყველა „დაგვაჩმორებდა“. ახალგამომცხვარმა ჯარისკაცებმა ძველების რჩევა გავითვალისწინეთ და აქტიურად დავიწყეთ „პალაუენიეს“ მოყვანა. ჩემთან ერთად ერთი ქართველი მსახურობდა — ალეკო ჯინჭარაძე. ის გურიიდან იყო და კარგი იუმორის გრძნობაც ჰქონდა. ყველას და ყველაფერს „რქებით“ აწვებოდა და თავისი გაჰქონდა. ერთ მშვენიერ დღეს საპირფარეშოში შევედი და რას ვხედავ? ალეკოს დაუჩოქებია ერთი ჯარისკაცი, რომელიც მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევარი იყო და აიძულებდა, რომ პირჯვარი გადაესახა. — რას შვრები-მეთქი? — ძალიან გამიკვირდა.

— რას ვშვრები? ამათი წესი ხომ იცი? საპირფარეშოში რომ შემოვლენ, მერე ის საოხრე უნდა დაიბანონ. ჰოდა, ამ ვირიშვილს შემოუტანია ჩვენი ერთადერთი ჩაიდანი, რომელშიც წყალს ჩაისთვის ვადუღებთ ხოლმე და იმით რომ იბანდა, სწორედ მაშინ შემოვუსწარი. ახლა უნდა „მოვაქრისტიანო“, რომ დაბანას გადავაჩვიოო. ძლივს დავიყოლიე, რომ ის საწყალი ჯარისკაცი გაეშვა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევესწარი, რომ ალეკოს ისევ საპირფარეშოში, რუსი ჯარისკაცი ჰყავდა დაჭერილი და სცემდა. თან აიძულებდა, სანაგვე ურნიდან ნახმარი გაზეთის ნაგლეჯები ამოეღო. ვიდრე თავისი არ გაიტანა, არ მოეშვა. თურმე იმ ჯარისკაცს ქართული გაზეთი გამოუყენებია. ალეკომ კი აიძულა, გაზეთის ნაგლეჯები გაერეცხა და მზეზე გაეშრო. შემდეგ კი დააწვევინა. აი, ასე ცხოვრობდნენ მაშინ ჯარისკაცები. ჩვენი თანამემამულეების რჩევა კი მართლაც გამოგვადგა. ალეკოს სურათს გიგზავნით და დაბეჭდეთ. თუ წაიკითხავს, მისთვის სიურპრიზი იქნება. იმის შემდეგ ხომ მთელი 20 წელია გასული“.

შემთხვევის მსხვერპლი

„აუ, რომ იცოდეთ, დღეს რა დამემართა?! :) ორი კვირაა, ვიღაც ბიჭი მაწუხებს. დღეში სულ ცოტა, 20-ჯერ მაინც მირეკავს. მესიჯებზე ხომ აღარაფერს ვამბობ. რა აღარ ვუთხარი, დავემუქრე კიდეც, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ჰოდა, ახალი ნომერი ჩავრთე დროებით, მაგრამ არ ვიცი, საიდან, ისიც გაიგო და დამირეკა. აღარ ვუპასუხე და ვითომ ჭკუა იხმარა — სხვადასხვა ნომრიდან მირეკავდა. მე კი მაინც ვუთიშავდი. დღეს დაქალთან ერთად „პეროვზე“ ვიყავი, კაფეში. ჩვენ გვერდით ორი ბიჭი იჯდა და ძალიან აქტიურად გვიჟუჟუნებდა თვალებს. უცებ, ტელეფონმა დარეკა. დავხედე და ნომერი მეცნო. დაქალს აღშფოთებით ვკითხე: რა ვქნა, რა გამიწყალა გული, აღარ შემიძლია, როგორ მოვიშორო, აღარ ვიცი-მეთქი. გვერდით მსხდომები მიხვდნენ, რაც ხდებოდა და ერთმა შემომთავაზა: მე ვუპასუხებ, ვითომ შენი შეყვარებული ვარო. ცოტა კი შევყოყმანდი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა და ტელეფონმა კიდევ რომ დარეკა, იმ ბიჭს მივაწოდე. იქიდან რომ ჰკითხეს, რომელი ხარო, ეს ბიჭი პირდაპირ ჩხუბზე გადავიდა: ვისთანაც რეკავ, მისი შეყვარებული ვარ და აღარ გაბედო მეორედ აქ დარეკვა, თორემ მერე სხვანაირად დაგელაპარაკებიო. უცებ ეს ბიჭი გაჩუმდა, ტელეფონი გათიშა და გაშტერებულმა მომაწოდა. რა მოხდა-მეთქი, რომ ვკითხე, დაბნეულმა მიპასუხა: ასე მითხრა: კი, მაგრამ შვილთან დარეკვას რა უფლებით მიკრძალავო? თურმე მამაჩემი ყოფილა. :) ძალიან შემრცხვა იმ ბიჭის, მაგრამ კარგად რომ გავიაზრეთ, რა მოხდა, ცოტა ხნის მერე ბევრი ვიცინეთ. :) ახლა კიდევ, მიდი და უმტკიცე მამაჩემს, რომ შეყვარებული მართლა არ მყავს. ამ ამბის მერე რამეს დავაჯერებ? :) გელოვანი“.

თუ ცაში ჯარსკვლავი
ვერ გახდები, სახლში
ნათურა მაინც იყავი

უჩექმო

„გუშინ „გზის“ საყიდლად მივდიოდი და დედაჩემმა მითხრა, ჩექმა ჩაიცვი და ქოლგა წაიღე, თორემ გაწვიმდება და დასველდებიო. მე არ დავუჯერე და ბოტასებით წავედი, მაგრამ გზაში გადავიფიქრე და დაქალთან შევიარე. წამოსვლა რომ დავაპირე, არ გაწვიმდა?! დედაჩემი გამახსენდა და დაქალს ჩექმები და ქოლგა ვთხოვე. ჩემს თავს არ დავეძებდი, სველი „გზა“ რომ მიმეტანა, დედაჩემი მომკლავდა. ხომ გამომადგა რჩევა? აწი სულ დაგიჯერებ, დედუცი. პატარა მავნე“.

საიდუმლო

„მე თქვენთან ახალი ვარ. სულ მესამედ გწერთ. წინა კვირაში ვერ მოგწერეთ, რადგან ოპერაცია გავიკეთე და საავადმყოფოში ვწევარ. „გზავნილებს“ რომ ვკითხულობდი, სულ დამავიწყდა, რომ 6 ნაკერი მედო და იმდენი ვიცინე, კინაღამ ნაკერებზე გავიხიე. რჩევას რაც შეეხება, ექიმმა მირჩია, სანამ ნარკოზიდან ბოლომდე არ გამოხვალ, არავის ნახვა არ მოითხოვოო. დავუჯერე და გამომადგა. ნარკოზში ყოფნის დროს წამოცდენილი საიდუმლოებები მარტო მე და ექიმმა ვიცით. მაგარი ექიმი მყავს. მინდა, რომ მადლობა გადავუხადო“.

გამათხოვე

„მინდა გავიხსენო რჩევა, რომელიც პირიქით, სხვას მივეცი და გამოადგა კიდეც. სტალინის ქუჩას გაბუტული მივუყვებოდი. გაბუტული იმიტომ, რომ კურსზე მხოლოდ ერთი გოგო ვიყავი და 15 ბიჭი. ჩვენი ახლანდელი პრემიერ-მინისტრი მაშინ ლექციებს მიკითხავდა. ჰოდა, ერთი ქალი და გოგო შემხვდა. მკითხეს: ხომ არ იცი, ნენა, აქ ქსეროქსი სად არისო? მივასწალე და თან გავიგე, რომ საბუთების შეტანა უნდოდათ დაწყებითი სწავლების ფაკულტეტზე. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე: მანდ რა გინდათ, წამოდით, ჩემს ფაკულტეტზე შემოიტანეთ-მეთქი. მაინც ჩემი გავიტანე და მართლაც იქ შემოიტანეს საბუთები. მერე ასე კიდევ 2 გოგო შემოვიმატეთ კურსზე და ოთხმა გოგომ მოვიყარეთ თავი. ჩემი რჩევა იმაში გამოადგათ, რომ ოთხივე კურსელ ბიჭებზე გავთხოვდით და ოთხივეს ბედნიერი ოჯახი გვაქვს. დღესაც ვდაქალ-ვძმაკაცობთ. ლექტორებმა „გამათხოვეს“ კურსი შეგვარქვეს. მე რომ არა... აბლახანუმი“.

დასკვნა

„ამ ზაფხულს, გამოცდების მერე მოვუსვი ბებიაჩემთან, მცხეთის რაიონში. ისე მოხდა, რომ არავინ იყო უბანში. ჰოდა, ვიყავი მთელი დღე ბაიყუშივით სახლში. ბებია არაფერს მაკეთებინებდა. მთელი დღე ვიჯექი და ვკითხულობდი. ერთ მშვენიერ საღამოს კი ერთ ძველ „პაკლოს“ გავახსენდი. შევყევით მესიჯობანას და ისე დამათენდა, რომ ვერაფერი გავიგე. ჰოოდა, წავიდაააა! მოსვენება დავკარგე. ვიჯექი ჩემთვის დივანზე და მის გამოგზავნილ მესიჯებზე ხმამაღლა ვიცინოდი. გადავრიე საწყალი ბებიაჩემი. ერთხელ მოვისმინე, როგორ ეუბნებოდა თავის შინაბერა დაქალოჩკას: რაღაცაშია საქმე, მთლად გასულელდა ეს ჭკვიანი ბავშვი, მთელი დღე ტელეფონს აწკაპუნებსო. დაქალოჩკამ დაარიგა: ეგ ნამდვილად შეყვარებულია, ადრე მალავდა, მაგრამ ახლა ხომ ხედავ, არც შენ გერიდებაო. მაინც საიდან აქვს ამ ხალხს ასეთი აზრები? ლორელაი“.

„ბებო“ მასწავლებელი

„სკოლაში ერთი „ბებო“ მასწავლებელი გვყავდა. მთელი თავისი ცხოვრება სკოლის კედლებში გაატარა და ახლაც იქ არის. ახალგაზრდობაში მის გაკვეთილზე სრული სიჩუმე უნდა ყოფილიყო, თორეემ! ჰოდა, მოხუცდა საწყალი. გული გულობდა, მაგრამ თაობა შეიცვალა გენაცვალე და ვეღარ იჭერდა ბავშვებს. ასე იყო ჩვენი კლასიც. ხან მოგვეფერა, ხან დაგვემუქრა — წავალო. ვამბობდით, ოღონდ ეგ წავიდეს და ვინც უნდათ, იმან გვასწავლოსო.

მართლა ხომ არ წავიდოდა? ჰოდა, აჰყვა ჩვენს რიტმს და სულ შემოგევლე-გაიხარეთი გამოგვისტუმრა, ბოლოს. აუ დამიბეჭდავ? და რომ წაკითხოს, ვინმემ? უეჭველი მიხვდება, რომ მაგაზეა. :) რაც არის, ეგ არის! ქუთათურს ვეტყვი, რომ აქ ვარ და არ ვპასიურობ. უბრალოდ, არ მაქვს ყოველთვის ანგარიშზე. გკოცნით, მანაველი".

რეკლამა

„დაგღალათ, ძველმა, მოუხერხებელმა ცოცხმა, რომლის გამო რადიკულიტიც კი გაწუხებთ? მოგბეზრდათ, მტვერში ამოსვრილი მეუღლეების ცქერა? დაზოგეთ დრო და ენერგია! გაუფრთხილდით საკუთარ თავს! „სანაგვე" ბანკი გთავაზობთ აქციას: შეცვალეთ ძველი ცოცხი ახლით! არ გაუშვათ შანსი ხელიდან! შეიძინეთ სუპერცოცხები, 1%-იანი ფასდაკლებით, სულ რაღაც 99 ლარად. ცოცხი „ძირს რადიკულიტი" არ საჭიროებს თქვენს დახმარებას და ადამიანის ხმაზე მორეაგირე სენსორების საშუალებით შეასრულებს ყველა თქვენს ბრძანებას. „ძირს რადიკულიტი" დაგიზოგავთ სივრცეს და შეგიქმნით კომფორტს. ის შეგიძლიათ დაკეცოთ და ატაროთ ჯიბით. თუ ახლავე დაგვიკავშირდებით, საჩუქრად მიიღებთ რადიკულიტის საწინააღმდეგო მალამოს. საკონტაქტო ტელეფონი: 8.93.57... ეშმაკუნა „RED ANGEL".

გოგრულ-მეკვლური

„ცოცხზე გამახსენდა: ერთმა ასაკოვანმა ქალბატონმა მასწავლა, რომ ბარბარობას (17 დეკემბერი) ვინც შენს ოჯახში მოვა, ის არის მთელი წლის ნამდვილი მეკვლეო. თან გოგრა და ახალი ცოცხი უნდა მოგიტანოსო. ახალი წლის მეკვლედ ჩემი დაქალი მოგვყავდა ხოლმე. ჰოდა, დავურეკე: ცოცხი და გოგრა იყიდე და ამაღამ 12 საათზე მეკვლედ მოდი, რომ დილით არავინ მოგასწროს-მეთქი. მომადგა 15 წუთით ადრე. ამიტომ, 12 სანამ არ გახდა, მოუწია გარეთ დგომამ. წარმოიდგინეთ, თოვს და ყინავს და ის ცოცხით და გოგრით გარეთ დგას. მეზობლებს გიჟი ჰგონებიათ და გაუშაყირებიათ. ჰოდაა, 12 საათზე შემოფრინდა ცოცხით და 20 წუთის განმავლობაში მიტრიალებდა ცოცხს ცხვირწინ. ამის შემდეგ ცოცხს ვერ ვიტანთ".

ფულის მშოვნელი

„ეს რა თემა შემოაგდეთ? აუ, მაგარია, საჩემო თემაა! ერთ დღეს ახლობელმა მირჩია, თურქეთში ფული იშოვება, ენა იცი (თურქული მართლა კარგად ვიცი, არ ვიყავი თურქეთში ნამყოფი, მაგრამ ისე ვისწავლე), წადი და გაკეთდებიო. დაიქცა იმის ოჯახი. სად წავედი, რა მინდოდა იქ? ერთი სიტყვით, დედა მეტირა. გზის ფულს ვნატრობდი, უკან რომ წამოვსულიყავი. როგორც იქნა, ვიშოვე გზის ფული და ჩამოვედი, ჩვენს დაქცეულ ქვეყანაში. ხომ „გამომადგა" მისი რჩევა? არა, ძმაო, მირჩევნია, აქ ვიყო და სოფლის ლობიოზე გავძღე, ვიდრე იქ წავიდე. არა, რაა! ბევრი რჩევა გასათვალისწინებელი არ არის. შენ კი, მარი, მართლა კარგი ადამიანი ხარ. ყველას შემოგევლეთ, შენც და ყველა მგზავნელსაც. მაპატიე, ასე გვიან რომ დაგიმესიჯე. სასწორი".

რჩევები კარდიოლოგს

„ადამიანს ყველაფერში ბედი უნდა, თვით რჩევის მიღებაშიც კი. აბა, მე რა მეთქმის, ამ მხრივ! ერთ ჟურნალში კითხვა გავგზავნე: თმის მოსავლელად რა ბუნებრივი საშუალებები არსებობს-მეთქი?

რჩევა იყო შემდეგი: „ხევსური ქალების თმა მუდამ ოქროსფერი და მბზინავი იყო, ამის მიზეზი კი საქონლის შარდია". წარმოვიდგინე ჩემი თავი ძროხის კუდის ქვეშ, თმის „მაცოცხლებელი ელექსირის" მოლოდინში და გუნება წამიხდა. მერე თვალზე „ჯიბლიბო" გამომივიდა. ჩემი დაქალის 80 წლის ბებიას ვკითხე, რას მირჩევ-მეთქი? — მაგას შეფურთხების მეტი არაფერი გააქრობსო, მითხრა და თან ისე ააკაკუნა პროთეზი, რომ აშკარად იქვე მიპირებდა „მკურნალობის პირველი სეანსის" ჩატარებას. გამოვასწარი. ერთადერთი საღი რჩევა დაქალმა მომცა, დავუჯერე და „ამინიუბკებული ცხოველთ-მოძულე" (რომელიც ასე მოეწონათ ნათიას და მაგდალინას) ჩვენს ქალბატონ მარის გავუგზავნე. გკოცნით. კარდიოლოგი".

ყველა რომ იცოდეს,
ჭალი რას ფიქრობს,
მაინც ამ დასაჯერებდა

პარიჟანკა დარჩა!

„დიდხანს ვფიქრობდი „გზავნილებიდან“ წასვლაზე, მაგრამ გადავშალე ჟურნალი და გადავიფიქრე. გმადლობთ, ილინ! შენმა მესიჯმა გული გამითბო. გენაცვალე ლამაზ თვალებში. აბა, როგორ გავძლებ უთქვენოდ? თქვენ ის მეშვიდე ფერი ხართ, რომელიც ჩემს ცისარტყელასავით ფერადოვან ცხოვრებას აკლდა. მარის დახმარებით მე თქვენ გიპოვეთ. მისთვის არასოდეს მითხოვია მესიჯის დაბეჭდვა. თვითონ უკეთ არ იცის, რა უნდა დაბეჭდოს და რა — არა? ყველაფრისთვის დიდი მადლობა. ამბობენ, „გზავნილები“ უინტერესო გახდაო. არ გეთანხმებით! აქ ბევრი საინტერესო ადამიანია. სხვა რომ არაფერი, ჩემთვის აქ დამესიჯება მარტო შეწირულის გასაცნობად ღირდა. ილინ, ფინტიკოზა, პენსიონერო, ლეო, გერასიმე, კამელია, მანაველო, ბებერო, მესიჯომანო, ვირუსა89, პატარა ჟურნალისტკავ, არაჩვეულებრივები ხართ. უფალი გწყალობდეთ. დათო, არ წახვიდე, რაა! გკოცნით, თქვენი პარიჟანკა“.

მონაკოს ჩექმა

„იცით, ჩემს დას, მონაკოს რა გავუჩალიჩე? მაგარი ზმანები იყიდა და დეიდასთან სტუმრად წავედით. ცოტა მხიარულების შემდეგ ჩემს დას ჩექმები დავუმალე. შემდეგ მეუღლემ მომაკითხა და მე შინ წავედი. მონაკო დეიდასთან დარჩა. დამალული ჩექმა სულ დამავიწყდა. მეორე დღეს იქ ამბები დატრიალდაა... დეიდაჩემის მეზობლებიც კი ჩექმას ეძებდნენ, მაგრამ ტყუილად. ვერსად ნახეს. ჩემ დას დაურეკეს დაქალებმა და სთხოვეს, შინ წამოსულიყო. მონაკოს კი დეიდას 42 ზომა ტუფლი ჩაუცვამს და ისე წამოსულა. მაგარი სასაცილო იყო. ჯერ ფეხსაცმელი მოდიოდა და მერე მონაკო“.

„აი, რა ცხოვრება დადგა? „პასილკა“ ჩამომივიდა: მჭადის ფქვილი, ყველი და ტკბილი წვენი, ნეტავ გენახათ, ცომს რამდენ ხანს ვზელდი. მიხაროდა. ჯერ მჭადით და ყველით ვერ გავაძღე ბერძნები და ახლა ფელამუშს მიირთმევენ. რა ტკბილია, ნეტავ იცოდეთ, მჭადი და ყველი. მიყვარხართ. ნაფოტა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ხანდახან ლაპარაკს, სჯობია — უსმინო

„გულთბილი სალამი ყველას! პირველად ვკითხულობ „გზავნილებს“ და მინდა გითხრათ, რომ ძალიან საყვარლები ხართ. მგზავნელებო, შემოგევლეთ... კანიბალკა, კამელია, მესიჯომანო, ძალიან საყვარლები ხართ და სიამოვნებით ვიმეგობრებდი თქვენთან. თქვენი ჭირიმე! ზუუუ“.

„აქ ისეთი წვიმაა, „გზის“ შეძენა დღესღა მოვახერხე.

რჩევა... ჩემს დაქალს ერთი „პაკლო“ ჰყავდა, რომელიც ხშირად რეკავდა მასთანაც, ჩემთანაც და თან ბევრს ლაპარაკობდა ხოლმე. ჰოდა, ერთხელაც დარეკა ჩემთან და ორივე საქეიფოდ დაგვპატიჟა. არადა, ჩემს დაქალს არ უყვარდა და არც მიპატიჟება მიიღო. ჰოდა, მე ვურჩიე, ეთქვა: შაკიკი მაქვს და სახსრები მტკივაო. ამანაც, ასე უთხრა და შედეგი — ის ბიჭი სულ გადაიკარგა! ასე გამოადგა ჩემი რჩევა! გამოგადგებათ, ვისაც მსგავსი სიტუაცია გაქვთ“.

„აბლახანუმ, მაგ შენი თავის წვალებას შეეშვი და შენს კუსას სარეცხი „მაშინა“ განვადებით გამოატანინე. დამიჯერე... დორე სოფო“.

„უსინდისოო, კარგად კი მომხვდა მამიკოსგან! სულ უსინდისო და შუბლზე ძარღვგაწყვეტილი მეძახა. მიწისძვრაზე რომ მესიჯი მოგწერეთ, ხომ გახსოვთ? ამის გამოა გაბრაზებული და ფრონტის ხაზია გახსნილი ჩემთან. ლიმონა-მანიუ“.

„მარი, შესავალში რომ ეწერა, ის გაუგებარი მესიჯი ამოვიკითხე და მისი თარგმანი ასეთია: „მარი, მე ვიძახდი, რომ კეთილი გოგოა მარი ჯაფარიძე, რომ ამდენ მესიჯს ბეჭდავს ხუთშაბათს, ხალხისთვის და მათ გულს ახარებს“. ხომ გამოვიცანი? ვიღაცამ კასპელ მეგობრებზე მკითხა. მათ ყველას ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ ყველაზე გამორჩეული შორენა ნოქარაშვილია. თბილი ხალხი ხართ, კასპელები. იგივე შემიძლია ვთქვა უკლებლივ ყველა მგზავნელზე. მარი კი უტკბილესი და უთბილესია. მიყვარხართ! კამელია“.

„დაგიჭირე, დაგიჭირე! ახლა ჩართე ხომ, ტელეფონი? :-) მარ, თემას არ პასუხობს, მაგრამ მომინდა, რომ შენ მოგიძღვნა ეს ლექსი: ასე მგონია, უშენობას ვერ გადავიტან და ვერ გავუძლებ მარტოობის ერთ საუკუნეს, ასე მგონია, ძილში მაინც მოხვალ სიზმრებად და ჩემს ოცნებას რეალობას შენ დაუბრუნებ. არ მსურს ვიფიქრო, დღეისათვის უკვე წარსულზე, შენ ხარ ოცნება და ქარივით თავისუფალი, ვთელავდი აწმყოს, ვერ ვხედავდი იქ ჩემს მომავალს, ვარ მოღალატეც და ამავ დროს ერთგული ქალი... მარი, დიდი მადლობა შენ!“

„თურმე რამდენ უარყოფით მოვლენას ვარიდებ თავს, ნებსით და უნებლიეთ. არ დავდივარ მანქანით (არ მყავს, თორემ კარგი იქნებოდა); არ დავბორიალებ ინტერნეტში (იქ არაფერი დამკარგვია და იმიტომ); არ ვსვამ „კოკა-კოლას“ (მინერალური წყალი მირჩევნია); არ ვსარგებლობ ლიფტით (დაბალ სართულზე ვცხოვ-

რობ); არ გამიკეთებია პლასტიკური ოპერაცია (ისედაც მშვენიერი ვარ), მაგრამ მობილურს ვერ დავთმობ (ეგ რომ არა, მარის როგორ დავუმესიჯებდი?)! მარი და გრაფო, რა საყვარლები ხართ, გაიხარეთ! თაისი".

„ჩემს მეგობარ ბიჭს დიდებული რჩევა მივეცი: მომწყინდა „ნასკების" რეცხვაო. — შენც კოლგოტები ატარე-მეთქი, ვურჩიე. იმედია, გამოადგება. იტა".

„ერთი ისეთი მიზეზი მაქვს, რის გამოც პატრულის თანამშრომელს ცოლად არ უნდა გაჰყვე. ისეთი თვალის გამოყოლება იციან, მეშინია, რამეს არ შეასკდნენ, თორემ რა დარეკავს მერე პატრულში? რა მომასვენებს, როცა მეცოდინება, რომ ჩემი ქმარი ნელი სვლით დადის ქალაქის ქუჩებში და ქალებს ათვალიერებს? თემასთან კავშირში სულ არ არის ეს მესიჯი და არც მეწყინება, მარი, თუ არ დაბეჭდავ. აბა, რამდენი ქუთაისელი რაღაცას ვიბეჭუტურებთ, „გზის" ფურცლები ეყოფა? თაისი".

„ჩემი დაქალებისგან რჩევების მეტს რას ვიღებ, მაგრამ როგორც ყოველთვის, „ორი ყურის პრინციპი" მაქვს ჩართული, ჩემდა სამწუხაროდ. ერთადერთი რჩევა, რომელიც გამომადგა, იყო ის, რომ ისევ დავუბრუნდებოდი ჩემს ხელოვნებას. ჰოდა, ახლა ძაანაც მიხარია, რომ ეგ რჩევა მაინც გავითვალისწინე. ხელოვნება უპირველეს ყოვლისა! :) ჰო, ისე 9122-ს მინდა ვუთხრა, რომ მეც მთიული ვარ და მეც ვგიჟდები მაგ წიგნზე, ოღონდ „შავი სატანა" ჰქვია. ეგ მეორე სახელია. ეგ წიგნი დამეკარგა 2 წლის წინ და ვეღარსად ვშოულობ. ძალიან მწყდება გული. :(გელოვანი".

„მარ, რავა ხარ? მგონი, ჩემი ნიკი ჩემს ხასიათს შეესაბამება. რაც შეეხება თემას: ცოტა ხნის წინ ცურვაზე შესვლა მირჩიეს და მეც დავუჯერე. ახლა კი დღეგამოშვებით ბასეინში ვნებივრობ. აბაااა... პარაზიტი".

„ახალი ცოცხი კარგად 2 კვირის განმავლობაში ან 1 თვე გვის. მერე უკვე ეშვება. ჩემს რძალზე მაქვს ლაპარაკი — თავიდან კარგად დაიწყო, ახლა კი აღარაფერს აკეთებს, თავის ორსულობაზე ჩივილის მეტს. პატარა".

„მარიკელა, იცი, რომ ჩემი სიხაც სვანია? ჰოდა, შემოგევლეთ ყველა სვანს, გულუკაში, განსაკუთრებით, ჩემს გიუ სვან კაცს. მიყვარხართ ყველა. :-) ათენიდან მოკითხვები. ბოთოთა-17".

„იმდენად ცოტა დრო მაქვს, რომ ჩემს საყვარელ „გზასაც" ვერ ვკითხულობ. თუმცა, დაგვიანებით მაინც ვახერხებ. რას ვიზამ, ასეთი ყოფილა ქვეყნის სადარაჯოზე ყოფნა... მარ, იცი, მე იმ ბრიგადაში ვმსახურობ, სადაც „ღამურა" რეზერვში ყოფილა. ძალიან მაინტერესებს მისი ნამდვილი სახელი და გვარი. დამეხმარები? იქნებ შემდეგ ნომერში მაინც მოხვდეს ეს მესიჯი... მარის ნათლული".

„მასწავლებელმა ჩემს კლასელს ჰკითხა, გურული ხარო? ბავშვმა თავი დახარა და უპასუხა: კი, მასწავლებელო, მაგრამ ვმკურნალობ უკვეო. ნეტავ, განკურნებადია? ჟუკი".

„ამ ბოლო დროს ცოტა დავიკარგე, მაგრამ იმედია, გახსოვართ. პრობლემები მქონდა. იმ დღეს სამებაში შეხვედრაზეც ვერ წავედი და გული დამწყდა, მაგრამ თურმე სხვებიც არ ყოფილან. კანიბალკავ, თბილისში თუ ხარ, იქნებ კიდევ ვცადოთ და შევიკრიბოთ, რას იტყვით? ისევ კვირას, 18 ნოემბერს, 3 საათზე, სამებაში. მგზავნელებო, ნუ დაიზარებთ და ვისაც მართლა გინდათ ერთმანეთის გაცნობა, მოდით. ხელში „გზა" დაიჭირეთ. იმედია, ამ კვირას შევხვდებით. მიყვარხართ ყველანი. ლელუჩია".

„ძვირფასო მარი, აქ ვიღაც რომანტიკულად მოსაუბრე და „უდაბნოში" მოსიარულე ბიჭი შემეხმიანა. მინდა მას ვუთხრა: უცნობო, ჩაძირვაზე არც იფიქრო! ცხოვრება გრძელდება, კიდევ მოვა გაზაფხული! კამელია".

„რჩევა, რომელიც მუდამ მახსოვს და ვასრულებ, ეს არის — „ხანდახან ლაპარაკს სჯობია, უსმინო". მე ამას უმეტესად ვითვალისწინებ ხოლმე და მართლა ასეა".

„ტელეფონზე ერთი ბიჭი გავიცანი. სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა და საათობით ვლაპარაკობდით. მთელი ზაფხული ვმესიჯობდით, მაგრამ შეხვედრაზე უარს ვამბობდი. ჩემმა დაქალმა მითხრა: არ სჯობია, ნახო, ვის ელაპარაკები? მერე, რომ შეეჩვიო (არადა, უკვე შეჩვეული ვიყავი), იქნებ გარეგნობით საერთოდ არ მოგეწონოსო. არ შევხვდები-მეთქი, დავიჟინე, მაგრამ ღამე დავფიქრდი და მივხვდი, რომ ჩემი მეგობარი მართალი იყო. გადავწყვიტე, იმ ბიჭს შევხვედროდი. ახლა იმ ადამიანთან მხოლოდ ვმეგობრობ".

„კარგი რჩევის მიცემას ნიჭიც უნდა და შესაფერისი სიტუაციაც, თუმცა მთავარი მაინც კარგი მთქმელი და კარგი გამგონეა. იცი, მე რომელი რჩევა მიყვარს ძალიან? სანამ შენი თვალით არ ნახავ და შენი ყურით არ გაიგონებ, მანამ არაფერი დაიჯერო. იქნებ ეს მგზავნელებსაც გამოადგეს, როდესმე. ამალთეა".

„მარი, რა საოცარია, არა? ადრე გეხვეწებ-გემუდარებოდნენ, დამიბეჭდეო, ახლა — არაო! გამომიქვეყნე, რაა! არგელოდი".

„ეჰ, რა სჭირს ამ ხალხს, რატომ მლანძღავს? რატომ ვარ მეტიჩარა და კუდაბზიკა? ან ვინმე ალბენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეგრელ მგელოს რაღა უნდათ? საიდან მიცნობენ? არც მე ვამბობ, ბარბის თოჯინა ვარ-მეთქი და არც სხვისგან მოვითხოვ ამის აღიარებას. არ ვარ კონფლიქტური, ვერ ვიტან ლანძღვასა და ჩხუბს და ნუ მაიძულებთ ამის გაკეთებას. მე ამ ჟურნალში ვინმეს ვეხები? ვარ ჩემთვის და ვამესიჯებ

ცოცხოთერაპია

„ამ ასაკამდე ისე მოვაღწიე, (22 წელს მივუკაკუნებ 2 თვეში და დამეთანხმებით, ეს საკმაოდ სოლიდური ასაკია), რომ ცოცხის ფუნქცია მხოლოდ დაგვა-დასუფთავება მეგონა (როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გაგებით). თუმცა, თურმე ვცდებოდი. რამდენიმე თვის წინ, დედიკოს 3-დღიანი, კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, „თავზე ხელი ავიღე" და ცოცხის საყიდლად გავემართე. რომ დავბრუნდი, სადარბაზოდან უშვერი სიტყვების ისეთი კორიანტელი მოისმა, რომ ლიფტში აღარ შევედი და კიბეს ფეხით ავუყევი (დამღუპავს ეს ცნობისმოყვარეობა). მესამე სართულზე ჩემი მეზობელი თავის ლოთ და უქნარა (მისი სიტყვებია) სიძეს აიძულებდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა უკანონოდ დაკავებული ტერიტორია. იგი სკანდირებდა: წადი, შე მათხოვარო, ლოთო, გაგრია და მუქთახორაო. მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, რის გამოც მეზობელი ეძგერა ჩემს ცოცხს (ჰმ!) და უქნარა და გაგრია სიძეს გვერდებზე „აუცეკვა". მალევე არგო „წამალმა" ზემოხსენებულს და ისეთ სამსახურში მოეწყოოო... ჩემმა ცოცხმა კი მათ ოჯახში დეკორატიული მნიშვნელობა შეიძინა. ასე რომ, ახალი ცოცხი მარტო კარგად კი არ გვის, კარგად ამაღლებს შრომისუნარიანობასაც! ჰოოოდა, გაითვალისწინეთ! კარდიოლოგი".

იმისთვის, ვისაც ვუყვარვარ და მაფასებს. არც ჩემს პრობლემებს ვახვევ ვინმეს თავს, არც ვინმეს ვლანძღავ და არც ვინმეს ვაწუხებ. თუ ვინმე პატივს მცემს და მეხმაურება, მსიამოვნებს. არ ვარ მლიქვნელი და ვერ ველაქუცები იმას, ვინც არ იმსახურებს და ვინც არ მაინტერესებს".

„აი მესმის! მხიარული ამბები „გზაში" და „გზავნილებში"! ბევრ მათგანს რაღაც მაინც ექნება მიმატებულ-გამოკლებული. მთავარი ფანტაზიაა. გაიხარეთ, მგზავნელებო! მის 13.07".

„ახალი რძალი რომ ვიყავი, დედამთილი სულ მიწუნებდა გაკეთებულს. ჩემს დალაგებულს ხელმეორედ ალაგებდა. გავიდა 30 წელი და ისეთი დიასახლისი დავდექი და ისეთი დიპლომატი რძალი ვარ, რომ დედამთილი ჩემზე აბოდებს".

„შემოგევლე, მარი ჯაფარიძევ, აუ, რა ჯიგრული ძღაბი ხარ! საიდან იცი მეგრული? მეც ვიცი სვანური, იმერული და მეგრულიც. ახლა ბერძნული ვისწავლე და ჰაიდაა! კარგი სარძლო ვარ, არა? ისე, სახლში დიპლომიცა მაქვს, იმერელი ბაბუას გაკეთებული პიანინო და სვანი ბებოს მომზადებული კვაწარახი. ასე რომ, მართალია, სამ მესიჯად მოგწერე, მაგრამ გთხოვ, გამომიქვეყნე. დაუშვი გამონაკლისი ქართველი ემიგრანტების პატივსაცემად და მე შენზე ვილოცებ და უაღრესად მადლიერი დაგრჩები. სოფო ადანაია, ათენი".

„არ ვიცი, ახლა „გზავნილებში" რა თემაა, მაგრამ სეუ-ს სტუდენტებთან ახლა ლომაიას გადადგომის თემაა აქტუალური. აპა, რაია, ახლა ამ წიწკვმა გოგოებმა ძლივს სწავლა დავიწყეთ და ახლა ლომაიამ გამოაცხადა, სწავლა არ არისო. არაა ახლა მაგი გადასაგდები, თუ? მარა ჩვენ, სეუ-ს სტუდენტებმა ვიმსჯელეთ, ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, სამებაში ავბარგდეთ. „ვოტ"! „ურაააა"! „გზა" ვიშოვეე! ველური ყვავილი".

„გამარჯობა, მარი. :) ვერ წარმოიდგენ, როგორ გავცოფდი, როცა „მობილიზაციაში" ჩემი სახელით დაწერილი მესიჯი ვნახე, სადაც ლეო91 ყველას ბანძს ეძახის. არ ვიცი, ამ მესიჯის ავტორს რა უნდოდა ამით დაემტკიცებინა, ან რას სურს, მიაღწიოს? ხმამაღლა ვამბობ, რომ ის მესიჯი მე არ მეკუთვნის! გთხოვ, მარი, ეს მესიჯი სადმე ჩამიკვეხე, თორემ დილიდან იმდენი სალანძღავი ზარი და მესიჯი მოდის, ახსნა-განმარტებებს ვერ ავუდივარ. მადლობა წინასწარ. ნამდვილი ლეო91".

„მარი, ეს არის საქმე? ჟურნალი „გზა" არ ჩამოვიდა ახალციხეში. რომ ვიკითხე, ყველა გზა ჩაკეტილიაო, იხუმრა გვერდით მდგომმა კაცმა. გავგიჟდები, სიგნალ ნო... ელისო ვარ. გაკოცე".

„მგონი, ყველას აინტერესებს, ვინ არის გრაფი. მეც ისე მაინტერესებდა, რომ სადაც კი სიტყვა გრაფს მოვკრავდი ყურს, იქ ვერჭობოდი, მაგრამ თარხანზე მაინც ვერაფერი გავიგე. სამაგიეროდ, სხვა ცნობები მაქვს „გრაფზე". „გრაფი" ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს: ვწერ, ვხატავ, ვხაზავ. მესიჯომანი".

„ჩემი ნიჭიერი ძმის რჩევა რომ არ გამეთვალისწინებინა, გუშინ ფანჯარას არ გავაღებდი და გადარჩებოდა გადავარდნას, თავის ჩარჩოიანად. აუ, რა ბზრიალტრიალით მიფრინავდა?! რაც მთავარია, ჩემი ლაკოსტა მეზობელი გადარჩა. ნაწლავების გადახლართვა მაქვს, იმდენი ვიცინე. მაგარი იყო. თუ დაბეჭდავ, კაის იზამ. ასეთები ხდება ქუთაისში. ჭინკა".

„მარორიტა, ზუგდიდში „გზა" ჯერ რათ არ ჩამოსულა, რათა, რათაააა? არადა, მაგრად მაინტერესებს „გზავნილები". მგზავნელებო, გაგიმარჯოთ! ემილი".

„გვამზე მუშაობისას,

ჯგუფელმა მირჩია, ლანცეტი ცოტა უფრო დამრეცად დამეჭირა. ჰოდა, როცა ვცდილობდი მისი რჩევის შესაბამისი პოზიცია მიეღო ჩემს ლანცეტს, უცაბედად თითი გავიჭერი. ყველას შეეშინდა, რომ არ დავინფიცირებულიყავი, მაგრამ მე არ მიდარდია. დაე, შევეწირო ჩემს მომავალ პროფესიას! ეს პირველ კურსზე მოხდა. ახლა მესამეზე ვარ! გადავრჩი! :)ბექა, შენმა რჩევამ გვამზე მუშაობისას, კინაღამ მეც გვამად მაქცია. პოეზიის დედოფალი".

„მარი, მაპატიე, რომ „გზავნილებიდან" დავიკარგე, მაგრამ ძალიან რთული პერიოდი მქონდა და 2 კვირა შინიდან არ გავსულვარ (ჩემს ამბავს შემდეგ ნომერში მოგიყვები). გუშინ დილით ჩემს მაგიდაზე „გზა" რომ დავინახე, კივილი დავიწყე. დედიკო, დიდი მადლობა, რომ მირჩიე, „გზავნილები" წაიკითხე და კარგად გახდებიო. მგზავნლებო, მიკალქალთ უძაანესად. :) დაკარგული ჭიკარტა".

„აუ, ორი დღეა, ვეძებ ჩემს მესიჯს, მაგრამ არ ჩანს. ეს შეიძლება? არადა, როგორ მჯეროდა, რომ დამიბეჭდავდი, მაგრამ არა უშავს. მე მაინც მიყვარხართ, ყველა. გაკოცეთ".

„რჩევა? გამომადგებოდა, რომ ვუსმენდე, მაგრამ არ ჭრის ჩემისთანა ხისთავიანზე რჩევები. რამდენჯერ მითხრა ბებომ, ქურაზე ტაფას რომ დადგამ, დიდი ხნით ნუ მოშორდებიო, მაგრამ ვინ დაუჯერა? დავდგი თუ არა, ისე გავერთე მუსიკის მოსმენით, რომ არც მიფიქრია, მიმეკითხა და გადამებრუნებინა. ახლა ვდგავარ და დავყურებ ჩემს ერთ დროს საუზმის „უსულო ნეშტს". არა რა, სხვა

„წონია" მაშა იბანს ფეხებს

დროს უეჭველად მოვუსმენ ბებოს".

„ჩემი დებიუტი „გზავნილებში" შედგა და ამის მერე შევეცდები, ყველა თემას საინტერესოდ გამოვეხმაურო. როცა „გზავნილების" თემა წავიკითხე, დავფიქრდი და ვცდილობდი გამეხსენებინა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამითვალისწინებია, მაგრამ უშედეგოდ. :) საერთოდ, ვფიქრობ, რომ როცა ადამიანი გირჩევს, უნდა მოუსმინო, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინო".

„ااا, კი, კი! ერთხელ, 2 წლის წინ დაქალმა „გზის" ყიდვა მირჩია. ჰოოდა, მეც გავიმეტე 80 თეთრი. მომეწონა ეს „გზა" და იმის მერე მიდის რიხინ-რიხინით, ეს ჩემი 80 თეთრი. როკერა".

„მინდა, საკუთარ თავს ვურჩიო: ყველაფერზე ნუ ნერვიულობ, ნუ ტირი, მოიშორე უაზრო ფიქრები, ნუ აქცევ ყურადღებას იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, გაწყენინონ. დახუჭე თვალები და იფიქრე ლამაზ ზღაპარზე, რომელიც კარგად მთავრდება. თუ ყველაფერს გაითვალისწინებ, კარგად იქნები. არც იმაზე ინერვიულო, თუ მესიჯს არ დაგიბეჭდავენ. გაიღიმე და მომავლის იმედი იქონიე. ეს რჩევა ყველას გამოადგება, ვისაც „დეპრესიონერა" შეეყარა. ცოტა გულზე მომეშვა. გკოცნით. ყველა ძაან მიყვარხართ. ციანიდი".

„ბრძნული" აზრები, ჩემგან: 1. თუ მხოლოდ და-ძმა და მეგობარი გირჩევნია სიცოცხლეს, ე.ი. სასიყვარულო ფრონტზე ჯერ კიდევ არაფერი გეშველა. 2. თუ დაქალის ძმა, 18-წლიანი მეგობრობის მერე გეუბნება, რომ ლამაზი ხარ, ე.ი.

ძვირფასო, შენ
გვერდით თავს
ჭკვიან ადამიანად
მივიჩნევ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინიმუმ 2 ლიტრი ლუდი აქვს დალეული და შენც და თავის დაიკოსაც მაგრად გეკაიფებათ (არადა, რა მაგარი და ჰყავს!). პარიჟანკა".

„მოგესალმებით ყველა მგზავნელს. რჩევა, რომელიც გამომადგა, ეს უფრო ხშირად, დედაჩემის რჩევებია. 2 წლის წინ ერთ ბიჭს ვხვდებოდი (იმ ბიჭს დედაჩემიც იცნობდა). მთხოვა, მას ნუ ხვდები, არ ვარგა, გზიდან არის „გადავარდნილიო". არ დავუჯერე და კისერიც მოვიტეხე. ამჟამად ყველა მის რჩევას არა, მაგრამ ზოგ-ზოგიერთს მაინც ვითვალისწინებ. პატარა".

„ილინ, რა საკალელი გოგო ყოფილხარ. სხვებმაც გამოგზავნეთ ფოტოები, რა! ძალიან მინდა, ყველას ვიცნობდე. ლეო-91, ოლეგარიო, მგელო-30, როზი, კაკუ, სიხარულო, რაღაც, თვალში მომაკლდი. კანიბალკავ, ყურადღება არ მიაქციო ცუდ მესიჯებს. კარგი ხარ. ყველა, ვინც ჩამოვთვალე, ძალიან მიყვარხართ. იმედია, არავინ გამომრჩა და ახლა თქვენ ფოტოებს ველი, ჩემო კარგებო. „გზამ" მეორე სიცოცხლე მაჩუქა და დეპრესიას გადამარჩინა. მარი, გმადლობთ, რომ არსებობ. LILY-19".

„ეჰ, მარი, მარი, დამაფიქრა შენმა თემამ. ბევრმა მირჩია, ჯერ არ გათხოვდე, პატარა ხარო, მაგრამ რად გინდა? ქვა ავაგდე და თავი შეუშვირე. ახლა კი მე ვურჩევ ყველა მოზარდს: თავისუფლების ფასი არაფერია. ოჯახს ყოველთვის მოესწრებით. ზოგი გამიგებს (ვინც ჩემს დღეშია), ზოგი იტყვის, მოსცლიაო. მეც მინდა, თავისუფლად ყოფნაააა! ლიკა".

„ქუთათურის მსგავსად მეც არ მომწონს მგზავნელების პროტესტი. მართლაც, თუ საინტერესო მესიჯი არაა, მარტო იმიტომ ხომ არ უნდა დაბეჭდო, რომ მერე სამადლობელები გიგზავნონ? მგზავნელების საყურადღებოდ: არ გააბრაზოთ მარი ჯაფარიძე, თორემ „გზაც" უკან დაგრჩებათ და თქვენი „გზავნილებიც"! უყურე ამათ! მანაველი".

„ჩემი თავის მრჩეველი მე ვარ. ჩემზე კარგად ვინ იცის, რა მინდა, როდის და როგორ? თუმცა, ვუსმენ ერთს, ვუსმენ მეორეს, ვუსმენ, ვუსმენ და მაინც ჩემს აზრზე ვრჩები. :) მანაველი".

„რჩევა? ჰმ, ერთი ასეთი რჩევისგან რა დამემართა, იცი? თვალში „სუპერკლეი" ჩამესხა და ერთი კვირა „დალატკული" დავდიოდი. ჭინკა".

„პრივეტები. არ მახსოვს ისეთი რჩევა, რომელიც გამომადგა, რადგან ყველაფერს ჩემებურად ვაკეთებ და არავის რჩევას არ ვუსმენ. პატარა ბუზღუნა".

„ჩემი მეუღლე მეუბნება: ქალო, კივის ტორტი გამიკეთე დროზე, თორემ მაგ ხეს ძირში გადავჭრიო. ჰოდა, მინდა ვუთხრა: საყვარელო, დაბადების დღეზე გაგიკეთებ. მარი, ჩვენში დარჩეს და, დამიბეჭდე, რაა. ეგება აი შვილივით ნაზარდი კივი გადავარჩინოთ „სიკვდილს". კაი? აბლახანუმი".

„ვაიმე, მარ, ჩემმა სურათმა „გზავნილებში" იმდენად დამაბნია, გამყიდველმა ხურდა რომ დამიბრუნა, ჟურნალი უკან მივაწოდე. :)ვერც ვიფიქრებდი, თუ დაბეჭდავდი. გმადლობთ, ილინი".

„თურქეთში რომ ვისვენებდი, იქაურმა გოგომ მირჩია, „ზაგარი" მალე მოგეკიდება, თუ ტანზე კოკა-კოლას დაისხამო. მეც 2 ბოთლი „კოკა-კოლით" პლაჟზე „დუში" მოვიწყვე. დავწექი და ნახევარ საათში ისე გავხმი და სილას ისე ვიკრობდი, რომ ასე მეგონა, გარედან კანი კი არა, ქერქი მქონდა და მემტვრეოდა. ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, ამ რჩევამ მიშველა თუ არა. LILY-19".

„ეჰ, მარი მარი იმდენი მრჩეველი მყავს, რომ უკვე აღარ შემიძლია — მშობლები ცალკე, ძმაკაცები — ცალკე, მაგრამ მაინც ჩემსას ვუბერავ. არავის რჩევას არ ვითვალისწინებ. ჯიუტი მაფიოზა".

„ნებისმიერი რჩევა გამოსაყენებლად ვარგისი გახდება, პატარა კორექტივებს თუ შეიტან. რჩევებიდან ჯერ არაფერი გამომდგომია. ალბათ კორექტივების ბრალია. :) ილინი".

„ერთი პერიოდი ვითომ შეყვარებული ვიყავი ერთ ბიჭზე. ჰოდა, მთელმა საახლობლომ მირჩია, რომ ეს ყბამონგრეული ბიჭი არ შეგეფერებაო. მეც დავუჯერე და მალევე ახალი „ლოვე" გავიჩინე, დღეს კი მისი მეუღლე ვარ და სიცოცხლეს მირჩევნია. ჩემს მრჩეველებს კი მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო".

უსინდისობა, იცით, რა არის? რასაც ჩემი მეზობლები აკეთებენ: „ბიჩოკებით" და ლიმონათის ბოთლებით ავსებენ სადარბაზოს. მთელი დღე მიდის მაგათ სახლში „გრიალი". არ ვიცი, როდის ამასხამს სისხლი. ახლა ვაქსეროქსებ ლოზუნგს: „გთხოვთ, ნუ დაანაგვიანებთ". როგორც კი შებინდდება, უნდა გავაკრა კედლებზე. ამანაც თუ არ გაამართლა, ივლის პარიჟანკა ჩემს პერედაჩებზე. ხულიგანკა".

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად გთავაზობთ: შემთხვევითი ნაცნობი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com *მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. კითხვა „მოკლე ჩართვისთვის": რა ღირს პატიოსნება?*

სასეგამოლო, ისე ნო
ბილეთებ, ალიეზის
სახლში მეამოლ ხან

რამდენიმე წუთის განმავლობაში კარგად დააკვირდი მოცემულ ფოტოს და იფიქრე იმაზე, თუ რას ნიშნავს მასზე გადმოცემული მოქმედება. ჩაუღრმავდი საკუთარ ფიქრებს და ამის შემდეგ გაეცანი ფოტოტესტის პასუხებს.



1. თუ სურათმა შენი საყვარელი ავტომობილი გაგახსენა, სავარაუდოა, რომ დასაქმებული და ფულიანი მამაკაცი ხარ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „მერსედესი“ არ გეყოლებოდა. თუ სწორად გამოვიცანი, მაშინ გირჩევ, რომ ერთ დღეს 2 მნიშვნელოვანი შენაძენი არ გააკეთო. თუ რემბრანდტის ნახატს იყიდი, შესაძლოა, მასზე მეგობარს უთხრა, რომ „ფერარი“ შეიძინე, რადგან ორივე ერთ დღეს გექნება ნაყიდი და გაგიჭირდება გარჩევა, რომელია რემბრანდტი და რომელი — „ფერარი“.

2. თუ სურათმა საკუთარი თავი გაგახსენა, სავარაუდოა, რომ ჯიუტი ადამიანი ხარ და ბავშვობიდან მიეჩვიე იმ მეტსახელს, რომელიც სურათზე აღბეჭდილ ცხოველს ჰქვია. ან, უბრალოდ იმიტომ, რომ ხვდები, ბევრს მუშაობ და ცოტას გიხდიან. აჩვენე ბოსს ეს ფოტო. თუმცა, არ ღირს, თუ მას „მერსედესი“ ჰყავს. ცუდად არ გაგიგოს და სულ უმუშევარი არ დარჩე.

3. უეცრად გამდიდრებული ქართველი სუპერმარკეტში შევიდა და ყველაზე ძვირად ღირებული ნივთის ყიდვა მოისურვა. ყველა გამყიდველი გარს შემოეხვია. ხან რა შესთავაზეს, ხან — რა, მაგრამ მისი მოსაწონი არაფერი აღმოჩნდა. — ბოლო მოდელის „მერსედესი“ გნებავთ? — ჰკითხეს და ის ვირი გამოუყვანეს, რომელიც სურათზეა აღბეჭდილი. — ვაა, ეს რა ღირს? — მოეწონა მყიდველს. — ნახევარი მილიონი! — კლიენტმა ფული გადაიხადა და შენაძენი შინ წაიყვანა. მეორე დღეს მეგობრებს ამაყად წარუდგინა თავისი „მანქანა“. — კი, მაგრამ ეს ხომ ვირია? — ჰკითხეს მათ. — ვირი კი არა, „მერსედესია“, — თავისას არ იშლიდა „მერსედესის“ პატრონი. — კი, მაგრამ „მერსედესს“ ბორბლები უნდა ჰქონდეს, — უმტკიცებდნენ მეგობრები. ბოლოს, გადაწყვიტეს, ისევ მაღაზიაში წასულიყვნენ და პასუხი იქ მიეღოთ. მეგობრები გარეთ ელოდნენ, კლიენტი კი მაღაზიაში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ იქიდან გაბღენძილი გამოვიდა: — ბორბლებიან „მერსედესს“ არიფებისთვის ამზადებენ, ასეთებს კი ისეთი მაგარი ტიპებისთვის, როგორიც მე ვარ! — განაცხადა ამაყად. თუ სიტუაციაც გეცნობა და „მერსედესიც“, მაშინ ის მაგარი ტიპი ყოფილხარ, რომელზეც ახლა მიგანიშნეთ.

რა აუცილებელი ცნობები უნდა ჰქონდეს მამაკაცს ქალის შესახებ

საქმე ის გახლავთ, რომ ქვეყნიერების დასაბამიდან 2 სქესი ერთმანეთს ებრძვის, ერთი მუდამ მეორე სქესზე წუწუნებს, ამუნათებს, ძირს უთხრის, მაგრამ მუდამ ერთმანეთის ბუნების შეცნობაში არიან (თუმცა, დღემდე ვერაფერი გაუგიათ) და ერთმანეთის გარეშე ვერ ძლებენ. ამჯერად მამაკაცებს დავეხმარებით და მცირე ინფორმაციას მივაწვდით, რომ ქალის შესახებ უფრო მეტი შეიტყოს, ვიდრე თავისი დაკვირვების შედეგად იცის.

1. ქალი ჭკუას კარგავს მაღაზიებში სიარულზე. ეს ადამიანის „მოღვაწეობის" ერთადერთი სფეროა, სადაც სრული უფლებით შეუძლია განაცხადოს, რომ „სიტუაციას აბსოლუტურად აკონტროლებს".

2. ქალს არასოდეს აქვს საკმარისი რაოდენობის ტანისამოსი. ღმერთმა არ ქნას, რომ ამის საწინააღმდეგოდ თქვა: „გარდერობში ყველა საკიდარი დაკავებულია". მაშინვე აგიხსნის, რომ არაფერი გაგეგება.

3. ქალისთვის ტირილი ჰაერივით აუცილებელია, მაგრამ არასოდეს დაღვრის ცრემლს მაშინ, როცა მარტოა და დარწმუნებულია, რომ შენ ვერ ხედავ.

4. ყოველთვის აქვს ისეთი შეკითხვები, რომელზეც სწორ პასუხს მაინც ვერ იპოვი. მას ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს, რადგან თავს დამნაშავედ გაგრძნობინებს.

5. ბევრი ლაპარაკი უყვარს. სიჩუმე აშინებს და ცდილობს, შეავსოს ვაკუუმი მაშინაც კი, როცა სათქმელი არაფერი აქვს.

6. ქალისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ სადღაც ვიღაც მასზე უარესად ცხოვრობს. სწორედ ამით აიხსნება, რომ სერიალების ყურება უყვარს.

7. სექსი მისთვის არცთუ ისე აუცილებელია. ამას უბრალო ახსნა აქვს: მამაკაცებს მოსწონთ სექსის ფიზიკური მხარე, ქალებს — ემოციური. ამიტომ, მას ემოციურ სიამოვნებას ისიც ანიჭებს, როდესაც იცის, რომ შენ მასთან სექსი გინდა.

8. ყველა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე (თეატრში, რესტორანში, სხვადასხვა ღონისძიებაზე) ქალებს ურჩევნიათ, საპირფარეშოში კოლექტიურად წავიდნენ. ეს მათ ჭორაობის საშუალებას აძლევს.

9. ქალს საიდუმლოს შენახვა არ შეუძლია. თუ ყველაფერს 2-3 დაქალს მოუყვება, ამით რა დაშავდება?

10. რასაც უნდა აკეთებდეს, ტელეფონის ყურმილს ყოველთვის პირველი აიღებს.

11. დედამიწის ზურგზე ერთადერთი არსებაა, რომელიც მეგობარ ქალთან ერთად რამდენიმე დღით დასასვენებლად მყოფი შინ დაბრუნდება თუ არა, მაშინვე იმავე მეგობარს დაურეკავს, რომ შთაბეჭდილებები გაუზიაროს.

12. ქალს არ შეუძლია გაიგოს, რატომ უყვარს მამაკაცს ნამდვილი, ბავშვური სათამაშოები, ნადირობა, სპორტი, მანქანები, ბურღი, ანკესი და ა.შ. მან არ იცის, რომ მამაკაცს ეს ყველაფერი არ ეყვარებოდა, ქალს რომ 2 ღილაკი — „ჩამრთველი" და „გამომრთველი" ჰქონდეს.

13. მისი ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ ჰგონია, ყველა ლუდს ერთნაირი გემო აქვს.

14. ქალი თმას ძილის წინ ივარცხნის.

15. მას შემდეგ, როცა ის აბაზანას მიიღებს, სააბაზანოში აყვავებული მდელოს სუნი რჩება.

16. სააბაზანოში არსებული მისი კუთვნილი ნივთების რაოდენობა 437-ია (სოციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით). მამაკაცს შეუძლია მხოლოდ 6 მათგანის დანიშნულების ამოცნობა, თავისი საპარსი მოწყობილობისა და კბილის ჯაგრისის ჩათვლით.

17. მას სპორტის არაფერი გაეგება და არ იცის, რომ მამაკაცი სპორტულ გადაცემებს რეალობისგან თავის დასაღწევად უყურებს.

18. ქალი, ეს ის არსებაა, რომელსაც ავტომექანიკოსი სიმართლეს არასოდეს ეუბნება.

19. როდესაც საჭესთან ზის, ქალს შეუძლია 30 კილომეტრი ზედმეტად გაიაროს იმ მიზეზით, რომ მოკლე გზით წასვლის შემთხვევაში შესაძლოა, გზა აერიოს.

20. ქალი ეს ის არსებაა, რომელსაც შეუძლია საათები მოანდომოს ჩაცმას, რომ მაღაზიაში წავიდეს; ყვავილები მორწყას; ვარცხნილობა გაიკეთოს; კარი გააღოს; ტელეფონის ზარს უპასუხოს; წიგნი წაიკითხოს; ძაღლი გაასეირნოს და მეზობელს მიუკაკუნოს, რომ მისგან წყალი ჩამოდის.

21. ქალი ერთადერთი არსებაა, რომელსაც არ უნდა(!) სწორი პასუხის გაგონება კითხვაზე „როგორ გამოვიყურები?"

22. ქალმა იცის, რა სურს მამაკაცს. ეს ქალის პარაფსიქოლოგიური თვისებების ყველაზე იდუმალებით მოცული ფენომენია. მამაკაცს არასოდეს შეუძლია ზუსტად თქვას, რაზე ფიქრობს თვითონ და რა სურს. ის, რომ მამაკაცს ყველაზე მეტად ქალი სურს, ქალს აძლევს იმის საშუალებას, იფიქროს, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც მას უნდა.

23. ქალი დიდი სიამოვნებით ამოძირკვავდა „დედამთილის" ინსტიტუტს, თუმცა, მშვენივრად იცის, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ ინსტიტუტში თვითონ „დეკანის" თანამდებობაზე აღმოჩნდება.

24. ქალი ფიქრობს, რომ არავითარი კავშირი არა აქვს სიტყვა „სიდედრთან".

25. თუ ქალი ამბობს — „არა", ეს ნიშნავს „ჰო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ".

26. თუ მიხვდი, რომ ქალების არაფერი გაგეგება, სავარაუდოა, რომ ისინი უკვე კარგად შეგისწავლია.

27. ქალი არასოდეს იტყუება. უბრალოდ, ის ყველაფერს სწორ ფორმულირებას აძლევს.

28. თუ ქალი გეფიცება, რომ მისთვის მეორე მამაკაცი ხარ, ის არ გატყუებს, უბრალოდ, არ აკონკრეტებს, ვის შემდეგ. ●

ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს...

• თუ ცხვირი გეფხანება, დათვრები, თუ ზურგი — ექიმთან წახვალ.

• თუ მესამე დღეა და მუშაობა გეზარება, ე.ი. ოთხშაბათია.

• თუ დილით გაიღვიძე და ადგომა არ არის საჭირო, მაშ, ფეხზე მდგომს გძინებია.

• თუ საღამოს კარგად დალიე, დილით ცუდად გაიღვიძებ. თუ დილით კარგად გაიღვიძე, ე.ი. საღამოს ცუდად დაგილევია.

• თუ სარკე გატყდა, უბედურების მომასწავებელია. თუ საცვალში რეზინი გაგიწყდა, დიდ სირცხვილს უნდა ელოდე. თუ პრეზერვატივი გაიხა — ჯობდა, სარკე გამტყდარიყო.

• თუ მანქანით მიმავალს მეორე ავტომობილი დაგეჯახა, გადმოდი და მანქანას შეხედე. თუ უკნიდან დაგეჯახა, ფულს მიიღებ, თუ წინიდან — გაუთვალისწინებელი ხარჯი გელის.

• თუ ცოლმა ქერა ქალთან ერთად გნახა, ჩემოდნების ყიდვა მოგიწევს.

• თუ ქმარი ცოლს მანქანის კარს უღებს, ან მანქანაა ახალი, ან ცოლი.

• თუ გზაზე დიდმკერდიან ქალს გადაეყარე, ეს უკვე ბედნიერებაა.

• თუ დათვს უიარაღოდ გადაეყარე, უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რას ნიშნავს ეს.

• თუ მსაჯმა სამჯერ დაუსტვინა, ფეხბურთის მატჩი მალე დამთავრდება.

• თუ სამურაიმ მუცელზე ხელი იტაცა, მალე ქელეხი იქნება.

• თუ ჩანგალი დავარდა და კბილები გაეღუნა, გაღუნულფეხებიან ქალს ელოდე.

• თუ ჯერ ჩანგალი დავარდა და მერე დანა, ქალი მოვა, მაგრამ შენთან არა.

• თუ საქონელი ციმბირის წყლულით დაავადდა, ხორცი და „ტუშონკა“ გაიაფდება.

• თუ ჯიბეცარიელ მამაკაცს გადაეყარე, ცუდი განწყობილებაა მოსალოდნელი.

• თუ გამოპრანჭული ბავშვები ყვავილებით ხელში სკოლაში მიდიან, მალე რთველი იქნება.

• თუ მზის გარშემო ლაქები გაჩნდა, ფანჯრის გაწმენდის დროა.

• თუ ჩიტები შენს თავზე, დაბლა დაფრინავენ, პალტოს გარეცხვა მოგიწევს.

• თუ წვიმიან ამინდში ქოლგა დაგავიწყდა, დასველდები.

• თუ ხმადაბლა იგინები, ე.ი. ყელი გტკივა.

• თუ ქერტლი მოძრაობს, ეს ტილებია.

• ვინც ეძებს, მან რაღაც იცის.

• ბავშვური სიბრძნე: თუ დედა მამის ხუმრობაზე იცინის, ე.ი. სახლში სტუმრები არიან.

• თუ შინ მისვლისას ძაღლმა გითხრა: „გამარჯობა, საჭმელი მოიტანე?“ — ე.ი. ეს სიდედრია.

• მაგიდაზე დაყრილი ნამცეცების ძირს გადმოყრამ, ცოლის ჩხუბი იცის.

• თუ ქალი გატყუებს, მისთვის „სულერთი“ არ ყოფილხარ.

• თუ წინადღეს გაცნობილი ქალის გვერდით გაიღვიძე და ის შინ არ მიდის, მალე ქორწილი იქნება.

• თუ 3 შვილი გყავს, 2 მათგანი აუცილებლად ერთი სქესის იქნება.

• თუ შენი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების გჯერა, ან სულელი ხარ, ან — გერმანელი.

• ვინც ადრე იღვიძებს, მთელი დღე ამთქნარებს.

• თუ არ დაგირგავს ხე, არ აგიშენებია სახლი და არ გყავს შვილები, მაშინ უხელო იმპოტენტი ხარ და არც ბუნება გიყვარს.

შესაძლოა, უაცრიბრიობა ქალური შიშის გამო გაღაშენდეს

მეცნიერებმა დემოგრაფიულ კრიზისს, რომელიც ბოლო წლებში შობადობის კატასტროფული კლების შედეგია, ახალი ახსნა მოუძებნეს. სპეციალისტების აზრით, ვერავითარი სოციალური ზომები და პროპაგანდა საქმეს ვერ შველის, რადგან პოტენციური დედები მშობიარობის მიმართ პანიკურ შიშს განიცდიან. ბევრს მიაჩნია, რომ მშობიარობა ქალის ცხოვრებაში ყველაზე საშინელი პროცესია.

მშობიარობის მიმართ შიშის გრძნობას სპეციალური სახელიც კი შეარქვეს — ტოკოფობია. ეს ფობია იმდენად გავრცელებულია, რომ „საუკუნის დაავადებადაა“ მიჩნეული. სწორედ ამ შიშის გამო არ დაიბადა ალბათ, ქვეყნად მილიონობით ადამიანი. სწორედ ამის გამო მიიჩნიეს მიზანშეწონილად, რომ ტოკოფობიის დამღუპველი შედეგი სერიოზულ დაავადებას გაუტოლონ, რომელსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე მიაქვს.

მედიკოსებს მიაჩნიათ, რომ ამ დაავადებასთან ბრძოლა ძალზე დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მშვენიერი სქესის ბევრი წარმომადგენელი ხშირად არ აღიარებს, რომ შვილის გაჩენას სწორედ ამ შიშის გამო არიდებს თავს. ფსიქოანალიტიკების პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ქალიშვილები დარწმუნებული არიან, რომ მათთვის დაფეხმძიმება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება და ამის გამო ჩასახვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწინააღმდეგო 3 საშუალებას ერთდროულად იყენებენ.

ასეთი ქალების უმრავლესობა ვერ ეგუება თვით მშობიარობის ფაქტს და მისი თანმდევი მოვლენებისა და შემდგომი შესაძლო გართულებების შიშს ვერ ლახავს. ამასთან, მეცნიერები და თვითონ ქალებიც დარწმუნებული არიან, რომ ტოკოფობიის ყველა მსხვერპლი შესანიშნავი დედა იქნება და ხშირ შემთხვევაში უშვილობას მწვავედ განიცდის.

ცნობილი მსახიობი, ოსკაროსანი ჰელენ მირენი ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ჟურნალისტს გულახდილად გამოუტყდა, რომ მას შვილები სწორედ ტოკოფობიის გამო არ ჰყავს და თავისი ბავშვობის საიდუმლოც კი გაამხილა. თურმე, 13 წლის ასაკში, ერთ-ერთ მონასტერთან არსებულ ქალთა სკოლაში მშობიარობის შესახებ დოკუმენტური ფილმი ნახა. მას შიში სწორედ ფილმის ნახვის შემდეგ გაუჩნდა და მშობიარობისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. „ვფიცავ, ამ სანახაობამ ისეთი ტრავმა მომაყენა, რომელსაც დღემდე ვერ ვიშუშებ," — განაცხადა მან.

მკვლევრები დარწმუნებული არიან, რომ ტოკოფობიის უმეტეს შემთხვევაში, პაციენტებს შიში ბავშვობიდან მოსდევს. შემთხვევითმა ნეგატიურმა შთაბეჭდილებამ, რომელსაც გოგონა პატარა ასაკში იღებს, შესაძლოა, მას ეს შიში განუვითაროს.

ყველაზე საშიშია, როდესაც ქალი ტოკოფობიით ორსულობის დროს ავადდება და მშობიარობის შიშის გამო ბავშვის თავიდან მოცილებას ლამობს. სტატისტიკით 7 ქალიდან მშობიარობის შიში 1-ს აქვს, ხოლო ორსულს — ყველას.

გავრცელებული აზრის მიხედვით, შიშის დაძლევა ინფორმაციის სრულყოფილად მიღებითაა შესაძლებელი, პრაქტიკა კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ქალების უმეტესობას ურჩევნია, რომ არაფერი იცოდეს მშობიარობის ტრაგიკული შედეგების შესახებ და სამშობიაროში დადებითი ემოციითა და კარგი განწყობილებით წავიდეს. როდესაც დედა ფეხმძიმე შვილს თავის გამოცდილებას უზიარებს და ეუბნება, რომ მშობიარობა საშინელი პროცესია, ის სწორად არ იქცევა.

ტოკოფობიის ყველაზე იოლი ფორმაა, როდესაც ფეხმძიმე ქალი საკეისრო კვეთაზე ექიმის დაყოლიებას ცდილობს.

არსებობს ტოკოფობიის 2 სახესხვაობა. პირველ შემთხვევაში ის გვხვდება უშვილო ქალებში, მეორე შემთხვევაში ამ დაავადებით ის დედები არიან შეპყრობილი, რომელთაც პირველი მშობიარობის დროს საკმაო სირთულეებთან ჰქონდათ საქმე.

უბედურება ის არის, რომ ფსიქოლოგებმა გინეკოლოგები ვერ დაარწმუნეს ამ პრობლემის არსებობაში. ის შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს როგორც თითოეული ქალისთვის, ისე დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებისთვის.

დღესდღეობით, ტოკოფობიისგან გათავისუფლებისა და მისგან განკურნების მეთოდი არ არსებობს. ამ პრობლემაზე სპეციალისტების მრავალრიცხოვანი ჯგუფი მუშაობს და იმედია, ადრე თუ გვიან, მისგან თავის დაღწევის მეთოდსაც მიაკვლევენ.

იცი თუ არა, რომ...

• არაქისი გამოიყენება დინამიტის დასამზადებლად.

• ოდეკოლონი შავი ჭირის სამკურნალოდ გამოიგონეს.

• ჭიანჭველას ყველაზე დიდი ტვინი აქვს (ტანთან შეფარდებით, რა თქმა უნდა).

• ყავით თავი რომ მოიკლა, 100 ფინჯნის ერთდროულად დალევაა საჭირო.

• დიდმა მეზღაპრემ, ჰანს ქრისტიან ანდერსენმა არც ერთი სიტყვის სწორად წერა არ იცოდა.

• ორშაბათობით ხერხემლის დაზიანების 25%-ით და გულის შეტევის 33%-ით მეტი შემთხვევა ხდება, ვიდრე კვირის სხვა დღეებში.

• ყოველდღიურად მსოფლიოში 33 ახალი პროდუქტი იქმნება. მათგან 13 — სათამაშო.

• საშუალო ასაკის ადამიანი 2 კვირას შუქნიშნის ფერის შეცვლის მოლოდინში ატარებს.

• ადამიანი ჩაიზე დამოკიდებული უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ჰეროინზე.

• ტუალეტის ქაღალდი 1857 წელს გამოიგონეს.

• ამერიკელები ყოველდღიურად ნაგავსაყარზე 20 ათას ტელევიზორს, 150 ათას ტონა შესაფუთ მასალას და 43 ტონა საკვებს ყრიან.

• მძინარე ადამიანის სიმაღლე ერთი სანტიმეტრით მეტია.

• კოღო იმ ადამიანს ეტანება, ვისაც ბანანი უყვარს.

• ნეანდერტალელის ტვინი ჩვენსაზე დიდი მოცულობის იყო.

• იაკს ვარდისფერი რძე აქვს.

• საშუალო-სტატისტიკური ბანკომატი წელიწადში 250 დოლარით ცდება და არა — თავის სასარგებლოდ.

• პინგვინს შეუძლია 3 მეტრის სიმაღლეზე ახტომა.

• თუ 111.111.111-ს გავამრავლებთ 111.111.111-ზე, მივიღებთ: 12345678987654321-ს.

• 1863 წელს ჟიულ ვერნმა დაწერა წიგნი „XX საუკუნის პარიზი", სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი ავტომობილი, ფაქსი და ელექტროსკამი. გამომცემელმა ხელნაწერი უკან დაუბრუნა და იდიოტი უწოდა.

• მსოფლიოში ყველაზე მეტი საქონელბრუნვა აქვს ბენზინს. მეორე ადგილზეა — ყავა.

• მაიკლ ჯორდანი „ნაიკისგან" ყოველწლიურად იმაზე მეტ თანხას იღებს, ვიდრე მალაიზიაში არსებული „ნაიკის" ფაბრიკის ყველა თანამშრომელი ერთად.

• მსოფლიოში მომხდარი 7 ქურდობიდან მხოლოდ 1 იხსნება.

• ზოგიერთი კბილის პასტის შემადგენლობაში ანტიფრიზი შედის.

• მსოფლიოს არც ერთ ენაში არ არსებობს მუხლის მეორე მხარის აღმნიშვნელი სიტყვა.

• ამერიკელების მხოლოდ 55%-მა იცის, რომ მზე ვარსკვლავია.

• როდესაც გორილა ბრაზობს, ენას ყოფს.

• მაკრატელი ლეონარდო და ვინჩიმ გამოიგონა.

• ბოლო 4 ათასი წლის განმავლობაში ადამიანს არც ერთი ცხოველი არ მოუშინაურებია.

• ინგლისელ ლორდთა პალატის სპიკერს სხდომის დროს ლაპარაკი აკრძალული აქვს.

• ფუტკარს 2 კუჭი აქვს. ერთი თაფლისთვის, მეორე — საჭმლისთვის.

• ყოველ წუთს დედამიწაზე 2 მიწისძვრა ხდება.

• ნორმალურ ადამიანს ჩასაძინებლად 7 წუთი ჰყოფნის.

ცხრა მთას იქით...

მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. №26-45

ვასრულებთ რეალური ამბის თხრობას, რომელიც ახალგაზრდა ქალის, ქრისტინეს ცხოვრებას ეხება. როგორც იცით, ის ბედმა საბერძნეთში გადახვეწა. 1 შვილის დედა, ამ ქვეყანაში სამუშაოდ წასული ქმრის საძებნელად წავიდა, რომელიც ბოლო 2 წელი ოჯახს აღარ დაჰკონტაქტებია. ლევანის კვალს, როგორც იქნა, მიაგნო და მისი „ახალი" ცოლიც გაიცნო. მალე მისი და ლევანის შეხვედრაც შედგა. ორშაბათს ქრისტინე სამსახურში გამოცხადდა. ის კატიას უცნაურმა ქცევამ გააკვირვა. ცოტა ხანში კატიამ თავისთან იხმო და უცნაური წინადადება შესთავაზა. ქრისტინეს კატიას მიერ მიცემული ფხვნილი მისი მოხუცი ქმრის, ნიკოლას საჭმელში უნდა ჩაეყარა, სამაგიეროდ კი სოლიდურ თანხას მიიღებდა, რაზეც ქრისტინემ სასტიკი უარი განაცხადა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ლევანმა ყოფილ ცოლს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. ქრისტინეს თანხმობით ის კატიას სახლში მივიდა. წინა ნომერში თხრობა იმ მომენტში შევწყვიტეთ, როდესაც მან ყოფილ ქმარს კატიასთვის მცირე სამსახურის გაწევა შესთავაზა.

— შენ თუ მარიეტასთან შემარიგებ, რატომაც არა? რა სამსახურია ასეთი?

— რა და, მე ცოტა ფხვნილს მოგცემ, რომელიც გარეგნულად მარილს ჰგავს და შენ იმ მოხუცი კაცის საჭმელში უნდა ჩაყარო, რომელსაც ვუვლი, — ძალიან მაინტერესებდა, რას მეტყოდა ლევანი. — თანაც, მარტო მარიეტასთან კი არ შეგარიგებ, 20 ათას ევროსაც მოგცემ, — 30 ათასი უცებ „მოვუტეხე".

— რას ამბობ? დაფიქრებულხარ, ამას რა მოჰყვება? — თვალები დააჭყიტა ლევანმა. — შენ, მგონი, ჭკუაზე ხარ შეშლილი.

— რატომ? ეს კაცი, დღეს თუ ხვალ, „უფასოდ" მოკვდება და არ სჯობია, ცოტა ფული გავაკეთოთ? შენ და მარიეტაც კარგად იქნებით და მეც.

— გინდა, რომ კაცი მოვკლა?

— კი, მინდა!

— მაგას რომ არ ვიზამ, ხომ იცი?

— ჰმ, — ჩამეცინა.

— რა — „ჰმ"? შენ მე ასე მიცნობ, რომ ავდგები და ფულზე დახარბებული, ამხელა ცოდვას დავიდებ?

— გამოდის, მაინცდამაინც მოხუცი ნიკოლა უნდა ვიყო, რომ შეგებრალო? როგორ ფიქრობ, მე შენი ხელით არ გამომიტანე სასიკვდილო განაჩენი? სიყვარულს ისე დაუბრმავებიხარ, შე საწყალო, რომ ჩემთან მოხვედი და მარიეტასთან შერიგებას მთხოვ. შენ გგონია, ასეთი საქციელი ზნეობრივად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ნიკოლას მოწამვლა?

— ეს სულ სხვადასხვა რამეა, ქრისტინე...

— მე დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ის კი არა და, ჩემთან მიმართებაში გაცილებით მძიმე დანაშაულს სჩადიხარ.

— ეს შენ გგონია მასე... ჯობს, წავიდე. შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს, — წამოდგა ლევანი.

— კარგი, წადი. — უცებ დავთანხმდი მეც.

ლევანი კარისკენ დაიძრა. ის იყო, მის ზურგს უკან კარის მიჯახუნებას ვაპირებდი, რომ მოიხედა.

— არ გაბრიყვდე და შენს დიასახლისს მაგ წინადადებაზე არ დათანხმდე. იცოდე, რომ ამისთვის აღებულ ფულს ღმერთი კეთილ საქმეში არ მოგახმარს.

— შენს საქმეს მიხედე, — ვუთხარი და კარი ცხვირწინ მივუჯახუნე.

არც დავფიქრებულვარ, ისე ავედი ჩემთვის განკუთვნილ ოთახში და ბარგი ჩავალაგე. წამოსვლისას კატიას დავურეკე და ვაცნობე, რომ წასვლას ვაპირებდი და ნიკოლასთვის მიეხედა.

ქეთინო ჩემმა დანახვამ ისე გააოცა, რომ ძლივს მკითხა, რას ნიშნავდა ჩემი საქციელი. არ ვიცი, რაც ვუთხარი, ზუსტად გაიგო თუ არა, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილებისთვის ხელის შეშლა არ უცდია.

საბერძნეთში აღარაფერი მესაქმებოდა. ლევანს მივაგენი, გავიგე, რომ ცოცხალი და უვნებელი ყოფილა და გული დავიმშვიდე. მას უკვე თავისი ცხოვრება ჰქონდა და ახალი ცოლიც ჰყავდა, რომელსაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემ გარეშეც შეურიგდებოდა. საქართველოში კი ჩემი შვილი მელოდა და მასთან ყოფნა ყველაფერს მერჩივნა.

დასასრული

გამოიყვანა სიცოცხლისა ამ ამსოებიდან. ამსოებიდან გამოსაყვანი, რომელიც შენ ამ გაჭირვეულებს

ყველა კაცი „კაზიოლია“

და ისევ „მარშრუტკის“ შესახებ...

ამას წინათ, დილით, ასე, 11 და 12 საათს შორის დიღმის მასივიდან №51 სამარშრუტო ტაქსიში (ბოლო გაჩერებაა) ავედი. დილის პიკის საათი უკვე გადავლილი იყო და თავისუფალი ადგილი უცებ, საკუთარი რეაქციის სიჩქარის ტესტირების, „ადგილობრივი დანიშნულების ბრძოლებისა“ და მუჯლუგუნების გარეშე მოვძებნე. ასე რომ, „დისლოკაციის ადგილზე“ მშვიდად დავეშვი, პოზიცია ფანჯარასთან გავიმყარე და გარეთ ყურება დავიწყე. დავიძარით თუ არა, მძღოლმა რადიო ჩართო. ცოტა ხანს აწვალა, ხან ერთ არხზე გადართო, ხან — მეორეზე. როგორც ჩანს, თავისი გემოვნების შესაფერისი ვერაფერი მოძებნა. სამაგიეროდ, მაგნიტოფონი ჩართო და მშვენიერი მუსიკის ფონზე განვაგრძეთ გზა. „გადავკეტავ გულის კარებს, რომ გულიდან არ გამექცე, რომ გულიდან არ გამექცეეეე“... მღეროდა ვიღაც უცნობი მომღერალი და ჩანდა, რომ ხმას სექსუალურ დატვირთვას განგებ სძენდა. ცოტა ხანს ყველა მგზავრი გასუსული უსმენდა. მერე ერთმა პოლიტიკაზე ლაპარაკი წამოიწყო:

— რას გვიშვრება ეს ოპოზიცია, კაცო, არ დაახოცვინა ხალხი ამ მთავრობას? — აშკარად „ნაციონალების“ პარტიიდან იყო შემოგზავნილი ეს კაცი. როგორც ჩანს, ასეთი აზრი მარტო მე არ გამიჩნდა, რადგან ხმა არავინ გასცა. — ამდენი ხალხი მოიყვანეს, დაყარეს პარლამენტთან მშიერ-მწყურვალი და რა, მერე? — არ ისვენებდა „შემოგზავნილი“.

„მაშ, მოდი ჩემთან, ჩაგიკრავ, გულის უბეშიიი“ — „გვეფერებოდა“ სექსუალურხმიანი, უცნობი მომღერალი. ყველა დუმდა. მძღოლმა მაგნიტოფონს ხმა მოუმატა. „შენ ჩემს გულშიიი, შემოიჭეეეერ, ისე, როგორც დილის სხივიიიი“...

— შენა, „შალახო“ არა გაქვს? — ისევ „შემოგზავნილის“ ხმა გაისმა, მაგრამ ვერ მივხვდი, მართლა „შალახო“ უნდოდა თუ უბრალოდ, ხუმრობდა.

— „შალახო“ კი არა, რადიო ჩართე და ინფორმაცია მოგვასმენინე, თორემ გადმოგიღე ახლა და დაგდე ბეჭზე! — ნერვებმა უმტყუნა 120-კილოიან მამაკაცს. — რა დროს სიმღერა და ცეკვაა, იღუპება საქართველო! ჩვენი ძმები დაარბიეს და თქვენ რა გემღერებათ? ახლა ყველანი მათ გვერდით უნდა ვიყოთ! — მოწოდებასავით გაისმა მისი ხმა. — ვინც ახლა ცეკვავს და მღერის, ყველას პასუხი მოეთხოვება, წურწუმიასა და სეფაშვილის თამადობით! დამაცადეთ, მოვა დრო, დავიჭერ და ჩავსვამ მაგათ ციხეში, ბოკერიას, ნადირაძისა და კირკიტაძის გვერდით და მერე იმღერონ, — ბობოქრობდა მომავალი „პოლიციის უფროსი“.

„გალიაში ვაააარ, მოგელი მალეეეეე, შენი ჭირიმე და შენ გენაცვალეეეე“ — ბანს აძლევდა მაგნიტოფონი. ამ დროს „მარშრუტკამ“ სვლა შეანელა, შეჩერდა და 1-2 მგზავრი შემოგვემატა.

ერთ-ერთი მათგანი მთვრალი მამაკაცი იყო (მაინც, სად მოასწრო ამ დილაუთენია). ბოლო სკამზე დაჯდა, — ჰმ, ჰმ, — ხმა ჩაიწმინდა, ყელი მამალივით მოიღერა და წაიმღერა:

— უი, ეს რა დაგმართნიააა, პატარა ჩილეეეე... პინოჩეტის ჯალათებმა დაგიმორჩილეეეს!

გავხედე. კაცს თვალები დახუჭული ჰქონდა და პატარა ჩილეს მთელი გრძნობით უმღეროდა.

— რა დროს ჩილეა, კაცო, იღუპება საქართველო! — არ ისვენებდა 120-კილოიანი.

მთვრალმა თვალები გაახილა, ყველას თვალი მოგვავლო და გაჩუმდა.

„მარშრუტკაში“ კიდევ ერთი მგზავრი, ასე, 20 წლის გოგონა ამოვიდა. მისი ჩაცმულობისა და გარეგნობის შემხედვარეს, ყველას დაავიწყდა ერთი წუთის წინ მომხდარი ინციდენტიც, მთვრალი მამაკაციც და პინოჩეტის მიერ დამორჩილებული პატარა ჩილეც. ლურჯი ჯინსის შარვალი

ფიცარი ყი ალა,
ის მიყვარს, შინა ყიდვაც
ფიცარი შეიძლება

(რომლის სათავეც სასირცხო ადგილს ძლივს უფარავდა) და ჯინსის ქურთუკი ეცვა. ვარდისფერი სვიტერი ფაქტობრივად „ტოპიკის“ როლს ასრულებდა. მის მაგივრად მე შემამცივნა, რადგან ამ სიცივეში თითქმის შიშველი გამოსულიყო შინიდან. თმა გაწეწილი ჰქონდა, „ჩოლკა“ — სახეზე ჩამოფხატული, რომელიც ცალ თვალს მთლიანად უფარავდა, მეორეს — ნახევრად. ყველგან — შარვალზე, ქურთუკზე, ჭიპთან გაკეთებულ სვირინგზე, ჩანთაზე, თავის ქალები და გადაჯვარედინებული ძვლები ჰქონდა ამოქარგული. ყურებში სხვადასხვა ფერის ყურსასმენი ჰქონდა გარჭობილი. მივხვდი, რომ ერთი — მობილური ტელეფონის იყო, მეორე — mp3-ის. დაჯდა თუ არა, მობილური დააძრო და ნომერი აკრიბა.

— ალო, მაკო, დილიდან გირეკავ და ყურმილს არ იღებ. აა, ლექციაზე ხარ? ესე იგი, ლაპარაკი შეგიძლია. — კი არ ლაპარაკობდა, ყვიროდა გოგონა და მისი ხმა ზარივით რეკდა, რადგან მეორე ყურში გარჭობილი ყურსასმენიდან ისევ მუსიკას უსმენდა და ვერ ხვდებოდა, რომ ასე ხმამაღლა ლაპარაკობდა. ყველანი დუმდნენ. მამაკაცები ფანჯარაში იყურებოდნენ, ქალები კი ახალ მგზავრს მოურიდებლად ათვალიერებდნენ.

— ეჰ, — ამოიხვნეშა ბოლო სკამზე მჯდომმა ბებომ, მაგრამ მეტი აღარაფერი უთქვამს.

— მაკო, სიხა, „კაროჩე“, გამოვდივარ უნივერსიტეტის ტუალეტიდან და რას ვხედავ? გოგა მოდის, ვიღაც ნაშასთან ერთად. გახსოვს, რომ გეუბნებოდი, ჩემთან ისე ხშირად აღარ რეკავს-მეთქი? ამ „კაზიოლს“ თურმე ვიღაც ნაშა დაუთრევია, — გააბა ჭორაობა გოგონამ, — შენ წარმოიდგინე, რა დამემართებოდა. აი, ასე, უნიტაზიდან ვდგები, გამოვდივარ და პირდაპირ გოგასა და მის ნაშას ვეჩეხები. თანაც, „პოდრუჩკით“ მოჰყავდა, იმ დამპალს. გაოცებისგან ლამის ჩავისვარე (ბოლო სიტყვა ასე ზრდილობიანად არ უთქვამს). მისმა ნათქვამმა, როგორც ჩანს, მძღოლამდეც მიაღწია და უკან გამოიხედა. ალბათ აინტერესებდა, ვინ იყო ტექსტის ავტორი. ამასობაში გოგონა ლაპარაკს აგრძელებდა:

— არა, წარმოიდგინე, გოგა, კონკრეტულ(?!) ნაშასთან ერთად, — ბოლო ფრაზა რაღაცნაირად, სევდიანად წარმოთქვა, — არც ძუძუ, არც ტანი, რა მოეწონა იმ „პოლის“ ჯოხის? თავი დამცირებულად ვიგრძენი, მაგრამ პირდაპირ მათკენ წავედი. გვერდით ისე ჩავუარე, რომ ზედაც არ შემიხედავს. იცოდეს, რომ სულ ფეხებზე მკიდია. ახლა ძალიან გაბრაზებული და გულმოსული ვარ. აღარ ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო. რა? რო-გო-რ ვი-ცხო-ვრო-მეთ-ქი! არა, „როგორ“ ეს ის სიტყვა არ არის... „ტრაურში“ ვარ, „კაროჩე“, რა!

ღმერთო, როგორ ვინანე, რომ დიქტოფონი თან არ მქონდა. მოვლენების ასეთი „შექსპირისეული“ განვითარება დაფიქსირების გარეშე? ეს საცოდაობა იყო, ნამდვილად.

— ჰო, ჰო, — განაგრძობდა გოგონა, — ახლა ვარ ასე და არ ვიცი, ამ „კაზიოლს“ სამაგიერო რით გადავუხადო. რა? ვერ გავიგე! აა, ვაძლევდი თუ არა?

„მარშრუტკის“ ყველა მგზავრი და მძღოლიც მოლოდინით გაისუსა და დაიძაბა. ყველა ერთ დიდ „ყურად“ გადაიქცა.

— არა, მაკო, არავითარ საბაბს არ ვაძლევდი, რომ ასე მომქცეოდა.

— მადლობა ღმერთს, გადავრჩით, — რეპლიკა ისროლა წინ მჯდომმა მამაკაცმა. ყველას გაეცინა. მძღოლმა იმდენი იცინა, ლამის ელექტროგანათების ბოძს შეასკდა. უცებ დაამუხრუჭა და მართლაც გადავრჩით.

— ფუ, „კაზიოლი“! — ჩასძახა გოგონამ ტელეფონს. — არა, შენ არ გეუბნები, მძღოლზე ვამბობ. მაგას ჰგონია, რომ შეშა მიაქვს. იმაზე არ ფიქრობს, რომ აქ მანდილოსნები ვართ და ნელა უნდა იაროს. „კაროჩე“, დავრწმუნდი, რომ ყველა მამაკაცი „კაზიოლია“. კარგი, ახლა ჩავდივარ. მპუა, მპუა, გკოცნი, სიხა.

...და ჩავიდა. არც კი შეუნიშნავს, როგორ გაიყოლა მგზავრების მზერა და ხმამაღალი სიცილი. თუმცა, ამ გოგონამ ერთი კეთილი საქმე მაინც გააკეთა. ის რომ არა, ვინ იცის, პოლიტიკურ თემაზე წამოწყებული საუბარი რა კონდიციამდე მივიდოდა.

„ვერ აგისრულე, რასაც დაგპირდი, ისე მოვედი შენთან“... „პოზიციისა“ და ოპოზიციის სათქმელს რადიო მღეროდა, „მარშრუტკა“ თავისი გზით მიდიოდა, ხალხი კი ისევ თავის საფიქრალს ჩაღრმავებოდა. ●

მოკლე ჩართვა

რა არის უსინდისობა?

• უსინდისობა ისაა, შენი შვილი რომ მეზობელს დაემსგავსებაl აქედან გამომდინარე, ისე მაინც ისინდისეთ, რომ მთლად კარის მეზობელს არ დაემსგავსოს. ლიმონა-მანიუ.

• უსინდისობაა, რასაც ჩვენი ძვირფასი მთავრობა გვიშვრება. მაგათ სინდისი რომ ჰქონდეთ, ცოლად უნდა მოგვიყვანონ, ყველანი. მესიჯომანი.

• უსინდისობა იცით, რა არის? სააკაშვილმა ხალხი რომ დაარბია მიტინგზე, მერე კი სპეცნაზი „იმედს“ შეესია. ველური ყვავილი.

• უსინდისობა? ქართული ხელისუფლება და 7 ნოემბერი უსინდისობის კულმინაციაა. ეჰ, საბრალო საქართველო და ქართველებო... მამაცი თოჯინა.

• ეჰ, უსინდისობა იცით, რა არის? ლამის 12 საათზე რომ მეზობელი დამირეკავს და მეტყვის — ჩამოდი, წნევა გამიზომეო. აბა, ამას რა ჰქვია? ჭრიჭინა.

>>> 32

ფეიერვერკი

მარი ჯაფარიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №45

„გზის“ წინა ნომერში დავიწყეთ ახალი რეალური დეტექტივის თხრობა, ერთადერთ ქართველ სერიულ მკვლელზე, „რუსთაველ მანიაკად“ წოდებულ ფრიდონ პირტახიაზე. მკითხველს შევახსენებ, რომ მის მიერ ჩადენილი მკვლელობების სერია 1999 წლის 13 აგვისტოს დაიწყო და ბოლო, მეექვსე მკვლელობა 2000 წლის 29 ივლისსაა დაფიქსირებული, ხოლო 2001 წლის 12 ნოემბერს ფრიდონ პირტახია მარტვილში, ბავშვის გაუპატიურების მცდელობის გამო დააკავეს. სერიული მკვლელის მსხვერპლთა ოჯახების მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველა მოქმედი პირის სახელი და გვარი შეცვლილია, მთავარი გმირის გარდა. თხრობა იმ მომენტში შევწყვიტეთ, როდესაც ფრიდონმა თავისი პირველი მსხვერპლი, 14 წლის გოგონა მოტყუებით (ვითომდა მისი მეგობრის მამა იყო), ავადმყოფი მეგობრის სანახავად ქალაქის გარეუბანში მდებარე საავადმყოფოში წასვლაზე დაითანხმა.

დავით ფრუიძის კაბინეტის კარი ოპერატიულმა მუშაკმა შეაღო.

— გიორგევიჩ, შეიძლება?

— მოდი, ზურა, მოდი, — მაგიდიდან თავი არ აუწევია გიორგევიჩს, ისე შემოიპატიჟა თანამშრომელი.

— მარტო არ ვარ, გიორგევიჩ, — მორიდებით მოახსენა ზურამ.

— აბა, ვინ გახლავს?

— „ბომჟი“ კოლია.

— ააა, ჩვენი კოლია? მიაგენით, როგორც იქნა? მოდით, ორივენი შემოდით.

ზურას, დაგლეჯილ „ბათინკებსა“ და ოდესღაც ხაკისფერ, ახლა კი ჭუჭყისგან გაშავებულ, წყალგაუმტარი ქსოვილისგან შეკერილ ლაბადაში გამოწყობილი კოლია შემოჰყვა და დავითის წინ მოწინებით გაჩერდა.

— სად დაიკარგე, შე კაცო, ასე უნდა ძმაკაცების დავიწყება? — დავითმა კოლიას ხელი ჩამოართვა და სკამზე მიუთითა. ისიც სკამის კიდეზე ისე ჩამოჯდა, თითქოს ეშინოდა, რომ თავისი ჭუჭყიანი ლაბადით სკამი არ დაესვარა. ოთახი არყის სუნით გაიჟღინთა. დავითმა კონდიციონერი გამორთო და ფანჯარა გამოაღო.

— კოლია, უკვე იცი, რისთვის გეძებდით? — ჰკითხა გიორგევიჩმა.

— არა, უფროსო, მარტო ის მითხრეს, რომ ჩემი ნახვა გინდოდათ.

— დღეს ფხიზელი ხარ, არა? როგორ მოხდა?

— გუშინ ზურამ გამაფრთხილა, გიორგევიჩთან უნდა შეგახვედრო და არ დალიოო, — თავი მორცხვად დახარა კოლიამ და სასმლის ხსენებაზე აკანკალებულ ხელებს დახედა. — ხომ ვიცი, რომ მთვრალი ხალხი არ გიყვართ, ჰოდა, არ დავლიე. დავალება გაქვთ რამე?

— კოლია, 4 დღის წინ, თოდრიაზე მაწანწალა ქალი რომ იპოვეს მოკლული, გაიგებდი, ალბათ.

— ჰო, როგორ არა, გიორგევიჩ, საწყალი ლუბოჩკა. ეგ იცი, ვინ არის?

— ვინა? — ყურები ცქვიტა დავითმა.

— შარშან მაგის შვილიშვილები ტროტუარზე რომ გაიყინნენ, გახსოვს?

— არა, არ მახსოვს. აბა, მითხარი, რა მოხდა.

— რა, გიორგევიჩ და, ლუბოჩკას ერთი შვილი ჰყავს, ლოთი დიანოჩკა. არც ეგ გახსოვთ?

— კი, ლოთი დიანა როგორ არ მახსოვს, სულ პოლიციის წინ მათხოვრობდა არყის ფულს.

— ჰოო, ეგა, ეგა... ჰოდა, დიანოჩკას 2 შვილი ჰყავდა. ვისგან — თვითონაც არ იცოდა. უფროსი ბიჭი იყო, 10 წლის, უმცროსი — გოგონა — 6 წლის. ბავშვები სულ აღმა-დაღმა დაწანწალებდნენ და მათხოვრობდნენ. მერე დედამისმა გადაწყვიტა, რომ ბავშვები დაესაქმებინა. 10 ლარით საღეჭი რეზინი, ჯოხიანი კანფეტები და წვრილმანი რაღაცები უყიდა და მათი გაყიდვა დაავალა. ბავშვები მშვენივრად ახერხებდნენ ვაჭრობას. ზამთრის ერთ დღეს კი მთელი დღე უწანწალიათ, დაღლილებს უფიქრიათ, ცოტას დავისვენებთო და ტროტუარზე ჩამომსხდარან. საწყლებს ჩასძინებიათ და გაყინულან. დილით იპოვეს გაყინულები. ბიჭს გოგონასთვის ხელი გადაუხვევია და ჩაუხუტებია. გოგონას კი ერთ ხელში ფული ჰქონდა ჩაბღუჯული, მეორეში — გაუყიდავი კანფეტები, ალბათ იმის შიშით, რომ არავის წაერთმია და ასე გაყინულან.

— რას მელაპარაკები?! — შეწუხდა დავითი.

— ჰო, უფროსო, ასე იყო. ჰოდა, ეს ლუბოჩკა, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოკლეს, იმ ბავშვების ბებია იყო.

— გასაგებია, მაგრამ შენ ის მითხარი, ლუბოჩკას შესახებ ხომ არაფერი იცი, ვინ მოკლა ან ვინ გააუპატიურა?

— გააუპატიურა? რას ამბობ, უფროსო, ხომ იცი, რომ დიდი-დიდი, არყისთვის წასჩხუბებოდნენ და შემოჰკვდომოდათ. ვინ გააუპატიურებდა მაგ ბებერს? ვის რად უნდოდა? ან გიჟი უნდა ყოფილიყო, ან ქალის უნახავი.

— ხომ არ იცი, ვინ იყო ლუბოჩკას „საბუტილნიკი“?

— ეგ ზინასთან დაქალობდა, მაგრამ იმ დღესაც ერთად იყვნენ თუ არა, არ ვიცი.

— შეგიძლია, მაგის გაგება?

— ზინას მოვძებნი და ვკითხავ.

— კარგი, მაშინ ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხე. აი, ეს 5 ლარი, ხარჯებისთვის დაგჭირდება. — დავითმა ჯიბიდან ხუთლარიანი ამოაძვ-

რინა და კოლიას წინ დაუდო. იმანაც უცებ დაავლო ხელი და ჯიბეში გააქანა.

ფრიდონი გოგონას შორიახლოს მიჰყებოდა. მის გვერდით სიარულს ვერ ბედავდა. გოგონა შედგა და დაელოდა.

— ქურთუკი რომ გაცვიათ, არ გცხელათ? — ჰკითხა, როდესაც დაუპირისპირდა.

— არა, არ მცხელა. — არადამაჯერებლად გამოუვიდა ნათქვამი, — დილით გამოვედი შინიდან და თითქოს ცოტა მციოდა, — თქვა და ქურთუკზე გარედან, იმ ადგილზე, სადაც გულის ჯიბე ეგულებოდა, ხელი მიიდო. ჯიბეში სამზარეულო დანა და რამდენიმე საეკლესიო სანთელი ედო. როდესაც დანას გარედან შეეხო, შედგა. შეყოყმანდა და ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა. მერე თავი გააქნია, თითქოს აბეზარი ფიქრები მოიშორა, რადგან შეეშინდა, არ გადაეფიქრებინა. ამასობაში საავადმყოფოს ჭიშკარს გასცდნენ. წინ მიმავალ გოგონას მალ-მალე შეავლებდა ხოლმე თვალს.

— ჭიშკარში რატომ არ შევედით? — მიუბრუნდა ბავშვი.

— წადი, გზა გააგრძელე. — გამოცრა კბილებში ფრიდონმა. შეშინებულმა ბავშვმა ის იყო, ყვირილი დააპირა, რომ ფრიდონმა დანა დაანახვა. გოგონამ ყვირილი გადაიფიქრა და შეშინებულმა ტირილი დაიწყო.

— ბიძია, სახლში გამიშვი, ბებიასთან მივდიოდი, — ხვეწნით მიმართა ფრიდონს. კაცი ერთიანად კანკალებდა. სხეულის ყველა ნაწილი სათითაოდ უთრთოდა და ხელებს ვერ იმორჩილებდა. კბილს კბილზე იმიტომ აჭერდა, რომ სიტყვების გამოთქმა შესძლებოდა.

— წადი! — გამოცრა და ირმას ხელით უბიძგა. გოგონა დამორჩილდა და გზა ნელი ნაბიჯით განაგრძო. გულში იმედოვნებდა, რომ იქნებ ვიღაცას გამოევლო და მშველელად მოვლენოდა, მაგრამ მშენებარე კორპუსს ისე მიაღწიეს, რომ არავინ გამოჩენილა.

— აქ გაჩერდი! — ამოიხავლა ფრიდონმა, როდესაც სადარბაზოს მიაღწიეს. გოგონა მობრუნდა და გაქცევა სცადა, მაგრამ კაცი ერთი ნახტომით დაეწია და თმაში ხელი ჩაავლო. ბავშვი ტიროდა, გამიშვიო, ემუდარებოდა, მისი გული გალიაში გაბმული ჩიტივით ფართხალებდა და სხეულში ჩამდგარი შიში თვალებიდან ცრემლად იღვრებოდა. ბავშვის ტირილმა ფრიდონს გული ვერ მოულბო. ასე, თმაში ჩაბღუჯული ჩაიყვანა, უფრო სწორად, ჩაათრია სარდაფში და მოზრდილ, ბნელ ოთახში შეიყვანა თუ არა, ხელი ჰკრა და კუთხეში მიაგდო. გოგონა ბეტონის ნამტვრევზე დაეცა და მუხლი გადაიტყავა. იქვე, კუთხეში მიიკუჭა, ხელები მოხრილ ფეხებზე შემოიჭდო და ხმამაღლა ატირდა. ფრიდონმა ჯიბიდან სანთლები ამოიღო, ერთი ცალი კედელზე მიაკრა და ასანთს გაჰკრა. სანთლის შუქმა ოთახი გაანათა.

— ადექი! — უბრძანა კაცმა. გოგონამ ტირილი გააგრძელა. — ადექი-მეთქი, — გაუმეორა ფრიდონმა და ჩასისხლიანებული თვალები დაუბრიალა. გოგონა ზურგით კედელს აეკრა და ხელები სახეზე აიფარა. — ხელები ჩამოუშვი და შემომხედე! — უბრძანა კაცმა. ირმამ ხელები ჩამოუშვა, მაგრამ ცრემლიანი თვალებით მაინც ვერაფერს ხედავდა. ყველა გამოსახულებას ისე ხედავდა, თითქოს წყალში ლივლივებდა. ფრიდონი გოგონას მიუახლოვდა, მისი ხელი აიღო და შარვლის უბეში ჩაიტენა. ბავშვმა ტირილს უმატა.

— ასეთი რამე ხომ არ გინახავს? მითხარი, ხომ არ გინახავს? — ხრიალებდა კაცი და თავისი დორბლიანი ტუჩებით გოგონას კოცნას ლამობდა. ბავშვი იბრძოდა, ხელიდან დასხლტომას ცდილობდა, მაგრამ გახელებულ მხეცს კლანჭებში ჰყავდა მოქცეული და გაქცევის საშუალებას არ აძლევდა. როდესაც მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა და ისეთივე მარცხი ელოდა, როგორიც ოლიასთან, გოგონას ხელი უშვა და მოშორებით დადგა. მისი გონება გამალებით მუშაობდა და ყველაზე საშინელი სიკვდილის წარმოდგენას ლამობდა.

— გამიშვი, ძია, გამიშვი! — კვლავ ემუდარებოდა ბავშვი.

— არა, რომ გაგიშვა, ყველაფერს სხვებს მოუყვები.

— არა, არა, გეფიცები! გამიშვი და არავის ვეტყვი. — იხვეწებოდა ირმა.

— გაიხადე! შენი ხელით გაიხადე, თორემ განანებ. — უთხრა და დანა მოუღერა.

გოგონამ შორტი გაიხადა და ქვედა საცვლისა და მაისურის ამარა დადგა.

— სულ გაიხადე! — უბრძანა ისევ. გოგონა დამორჩილდა და ფრიდონის წინ დედიშობილა დადგა. ხელებს სასირცხო ადგილებზე იფარებდა, თვალებს ხუჭავდა და ხმამაღლა ტიროდა. გახელებული ნადირის წინ სრულიად ჩამოუყალიბებელი ბავშვი იდგა. გამხდარი, გაფითრებული. ქალური ნაკვთები ჯერ არ ეტყობოდა. მთელი სხეულით ცახცახებდა, მოსალოდნელი სიკვდილისა თუ გაუპატიურების შიშით. ფრიდონმა აათვალიერა და თავი გადააქნია.

— ახლა დაწექი! — შემდეგი ბრძანება გასცა. მიხვდა, რომ ირმა დამორჩილებას არ აპირებდა. მხრებში ორივე ხელი ჩაავლო და ბეტონის ნამტვრევებზე ძალით დააწვინა. დანა ისევ ხელში ეჭირა. ბავშვს ჯერ ყელზე მიადო, მერე ჭიპთან უჩხვლიტა. დანა ხელში შეატრიალა, ხელი მჭრელ პირს ჩაავლო და ჭიპიდან ქვევით დანის ტარი ჩააყოლა. თან გოგონას სახეს თვალს არ აცილებდა.

ბავშვის ტირილმა ფრიდონს გული ვერ მოულბო. ასე, თმაში ჩაბღუჯული ჩაიყვანა, უფრო სწორად, ჩაათრია სარდაფში და მოზრდილ, ბნელ ოთახში შეიყვანა

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ილუზიონისტის ანდერძი და ფოკუსების საიდუმლო

„გამარჯობა, გრაფო. მე ალბათ ყველაზე პატარა მკითხველი ვარ. 12 წლის გუშინ გავხდი. მინდა, რომ ილუზიონისტი გამოვიდე და ძალიან მაინტერესებს ყველაფერი, რაც ამ პროფესიის ადამიანებს შეეხება. ქართველებზე ყველაფერი ვიცი. იქნებ, უცხოელებზე მიამბოთ? ლუკა". სიამოვნებით ვუსრულებ თხოვნას ყველაზე პატარა მკითხველს.

გრაფი თარხანი

პირველი დოკუმენტი, სადაც ილუზიონისტის ხელოვნებაზეა ლაპარაკი, ძველეგვიპტური პაპირუსი — ვესტქარი გახლავთ, რომელსაც სახელი მისი პირველი მფლობელის პატივსაცემად ეწოდა. მასში გადმოცემულია ცნობები, რომლებიც ჩვ.წ.აღ-მდე 2900 წელს ეხება. ეს ფარაონ ხუფუს (ხეოფსის) მეფობის პერიოდია. დოკუმენტის ერთ-ერთ გვერდზე ილუზიონისტი ჯედია მოხსენიებული, რომელსაც თურმე შეეძლო ბატის მოგლეჯილი თავის ადგილზე შეზრდა და ლომის მოთვინიერება.

ვება-ანერი კიდევ ერთი მაგია, რომელიც ძველეგვიპტურ პაპირუსშია მოხსენიებული. ის ცნობილი გახდა იმით, რომ მცირე ზომის ნიანგის ცვილის ფიგურას აცოცხლებდა და მისი ნამდვილ სისხლისმსმელ მტაცებლად გადაქცევა შეეძლო.

ილუზიონისტი მხატვრულ ლიტერატურაში, პირველად XVI საუკუნეშია ნახსენები. მანუტელი თეოფილე ფოლენგო თავის პოემაში, „მაკარონადა", ილუზიონისტ ბოკალ დე ბერგამოსკზე ჰყვება. ფრინველისთვის თავის მოკვეთისა და მისი შეზრდის ტრიუკს იტალიელი ბალდუჩი 1750 წელს ასრულებდა. ის სცენაზე უშვებდა მამალს, რომელსაც თავი ფრთის ქვეშ შეუმჩნევლად ჰქონდა მიმაგრებული, ხოლო მის ადგილას სხვა მამლის მოკვეთილი თავი ჰქონდა მიბმული. ილუზიონისტი მამალს სცენაზე რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის საშუალებას აძლევდა, მერე დაიჭერდა და თავს აგლეჯდა. ამ დროს „სისხლი" იფეთქებდა ხოლმე. შემდეგ მამალს შავ ქსოვილს გაადაფარებდა, თავს შეუმჩნევლად გაუთავისუფლებდა, მოგლეჯილ თავს დამალავდა და საღ-სალამათ მამალს ისევ სცენაზე უშვებდა.

შავი ცილინდრიდან კურდღლის ამოყვანა რატომღაც კლასიკურ ტრიუკად მიიჩნევა. სინამდვილეში მას არცთუ ისე ბევრი მაგი მიმართავს. სავარაუდოა, რომ ჯონ ჰენრი ანდერსონი იყო ერთ-ერთი პირველი მაგი, ვინც ეს ტრიუკი შეასრულა. ეს იყო 1830 წელს.

ჯადოსნური სიტყვები „სიმსალა-ბიმ" პირველად საბავშვო ილუზიონისტმა, დანტემ (1883-1955) წარმოთქვა. სინამდვილეში ეს 3 უაზრო სიტყვა დანიური საბავშვო ლექსიდანაა ამოღებული.

ჰენრი როლტეირი სცენაზე ველოსიპედით სეირნობდა, ნელ-ნელა ჰაერში ადიოდა და „მკვდარ მარყუჟს" აკეთებდა.

ისტორიას არ შემოუნახავს არც ერთი ფაქტი, როდესაც ილუზიონისტის მიერ „გახერხილი" ასისტენტის სიცოცხლეს რაიმე საფრთხე დამუქრებოდეს.

როდესაც XX საუკუნის დასაწყისში გორეის გოლდინმა ნიუ-იორკში გოგონას „გახერხვის" ტრიუკი აჩვენა, ქუჩაში, დარბაზის შესასვლელთან „სასწრაფო დახმარების" მანქანა იდგა, წარწერით: „იმ შემთხვევისთვის, თუ ილუზიონისტს ხერხი დაუცდება".

ცნობილმა ინდოელმა მაგმა, 50-იან წლებში ბრიტანელი ტელემაყურებელი შოკში ჩააგდო. მან მაყურებელთა თვალწინ ქალი „გახერხა". გადაცემის დამთავრების შემდეგ ტელევიზიაში ათასობით ადამიანი რეკავდა და გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობით ინტერესდებოდა.

არსებობს კიდევ ერთი კლასიკური ტრიუკი, რომელსაც „ძუნწის ოცნება" ჰქვია. ამ დროს სცენაზე ზევიდან უამრავი ხურდა იყრება და ძირს წვიმასავით მოდის.

ამერიკელი ილუზიონისტის, უილიამ რობინსონის კარიერა სცენაზე, მის სიცოცხლესთან ერთად დამთავრდა. ის ასრულებდა კლასიკურ ტრიუკს, „ტყვიის დაჭერა". ერთ-ერთმა მაყურებელმა გადაწყვიტა, რომ ილუზიონისტს კბილებით ნებისმიერი ტყვიის დაჭერა შეეძლო და მას იარაღიდან ესროლა.

XVI საუკუნეში მოღვაწე ასტროლოგი და წინასწარმეტყველი, მიშელ ნოსტრადამუსი ნამდვილ, მაგიურ შოუებს აწყობდა. სპეციალურად მოწყობილ კაბინეტში ის სხვადასხვა არაჩვეულებრივი საგნის დემონსტრირებას ახდენდა. მაყურებელი შოუს კარში ჩატანებული, ვიწრო ჭუჭრუტანიდან ადევნებდა თვალყურს. იქ ჯადოქარს შუშის პრიზმა ჰქონდა ჩაყენებული. ჭერში შენიღბული ხვრელიდან სავარძელში თავდაყირა მჯდარი თოჯინა ეშვებოდა. შუშის პრიზმა გამოსახულებას აყირავებდა და მაყურებელს ეჩვენებოდა, რომ თოჯინა უჩვეულო ხერხით იატაკიდან ამოიზრდებოდა ხოლმე.

შუა საუკუნეების დიდი ილუზიონისტის, პინეტის საუკეთესო ნომერი გაცოცხლებული მერცხალი იყო. ჯადოქარს ჩიტი გალიიდან გამოჰყავდა და რომელიმე მაყურებელს მის ხელში დაჭერას სთხოვდა. მერცხალი მაშინვე კვდებოდა.

პინეტი მაყურებელს მკვდარ ჩიტს გამოართმევდა და რომელიმე ქალბატონს სთხოვდა, რომ მისთვის სული შეებერა. ამის შემდეგ ჩიტი ცოცხლდებოდა და გაფრინდებოდა ხოლმე. ამ ტრიუკის საიდუმლო სულ იოლი ამოსაცნობია. როდესაც პინეტი ჩიტს გალიიდან გამოიყვანდა, ის საძილე არტერიაზე თითს აჭერდა. ჩიტი სწორედ მაშინ იწყებდა კვდომას, როდესაც ის მაყურებლის ხელში აღმოჩნდებოდა ხოლმე. რამდენიმე წუთის შემდეგ (წუთების რაოდენობა მხოლოდ პინეტისთვის იყო ცნობილი) მერცხალი ცოცხლდებოდა.

„ფორთოხლის ხე" XIX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტრიუკია. ფრანგი ჟან ეტიენ რობერ უდენი მაყურებლების თვალწინ ქოთანში მიწას ყრიდა, შიგ ფორთოხლის რამდენიმე თესლს აგდებდა და წარმოდგენის განმავლობაში რამდენჯერმე რწყავდა კიდეც. ქოთანში ჯერ ნორჩი ყლორტი ამოიზრდებოდა, შემდეგ ნელ-ნელა ფორთოხლის ხედ გადაიქცეოდა, ყვავილობდა და ბოლოს, ილუზიონისტი მის მწიფე ნაყოფს კრეფდა და მაყურებლებს უმასპინძლდებოდა. ბოლო ფორთოხლიდან კი 2 პეპელა ამოფრინდებოდა ხოლმე, რომელიც სცენაზე დაფრინავდა.

„იდუმალი ეგვიპტელი", ადამიანი-აკვარიუმი, ალი, წარმოდგენის განმავლობაში 40 ჭიქა წყალს სვამდა, ბოლოს აკვარიუმიდან ამოყვანილ ცოცხალ ბაყაყებსა და ოქროს თევზებს ყლაპავდა. შემდეგ პირიდან წყალს ფანტანივით უშვებდა, 2 მეტრის სიმაღლეზე და მაყურებელთა მოთხოვნით თევზებსა და ბაყაყებს არიგებდა. როდესაც ყველა გადაყლაპულ ცხოველს ამოუშვებდა, შემდეგ „ფანტანი" სხვადასხვა შეფერილობას იღებდა. ამ დროს მის ასისტენტს წყლის ჭავლთან ცეცხლი მიჰქონდა და ფანტანი „იწვოდა".

ილუზიონისტ გეორგ ნაგელს (რომელიც კიდევ ნატ პირკენტონის სახელით იყო ცნობილი) რეპერტუარში „სასიკვდილო" ნომერი ჰქონდა. ის თითს ლურსმნით იხვრეტდა. მაყურებელს უჩვენებდნენ ნამდვილ ლურსმანს და მისი ხელით მოსინჯვის უფლებას აძლევდნენ. ამის შემდეგ ილუზიონისტი ლურსმანს შეუმჩნევლად ცვლიდა სხვა ლურსმანში, რომელიც ნამდვილს ჰგავდა, მაგრამ შუაგულში ღერძი ჰქონდა და იკეცებოდა. ფოკუსის მთელი ხელოვნება მაყურებლისთვის თავბრუს დახვევა იყო, რომ მათ ლურსმნის შეცვლა ვერ შეენიშნათ. ამ ტრიუკის ჩვენებისას, ილუზიონისტს პარიზში მაყურებელმა წრე შემოარტყა. ამის გამო ის ნომრის ჩვენებას ვერ რისკავდა. მაყურებელი კი დაჟინებით ითხოვდა, რომ ლურსმანი თითში ჩაერჭო. ნაგელი იძულებული გახდა, ლურსმანი შეუცვლელად ჩაერჭო საჩვენებელი თითის რბილ ნაწილში. ტკივილის გამომხატველ მიმიკას ის ღიმილის უკან მალავდა.

1934 წელს, რომის პაპმა, პიუს XII-მ ილუზიონისტებს საკუთარი წმინდანი — იოან ბოსკო „აჩუქა". პარიზში, ალექსანდრე დიუმას ქუჩაზე ახლაც ნახავთ იოან ბოსკოს სახელობის ეკლესიას, რომელიც 1937 წელს გაიხსნა.

45 წლის შვეიცარიელმა ფაკირმა ალი ბენმა თავისი იუბილე ორიგინალურად აღნიშნა. იმ დღეს მან 45 სამართებელი („ბრიტვა") გადაყლაპა. სამართებელი პირველად ბელგიურ ცირკში მუშაობის დროს, ნაძლევის გამო გადაყლაპა. 45 სამართებელი უკვე რეკორდი გახლდათ.

ინდოელმა ფაკირმა, აზარმა, ფიცარზე დაჭედებული ლურსმნების წვეტიან მხარეზე დაწოლილმა, 25 საათი გაძლო. ეს ექსპერიმენტი სიდნეიში ტარდებოდა. ამის შემდეგ ფაკირი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ილუზიონისტი ტენიში სცენაზე იაპონური ჩაიდნით გადიოდა. ის ჩაიდანში 1 ჭიქა წყალს ასხამდა და რამდენიმე წამის შემდეგ ჩაიდნიდან მძლავრი ფანტანი იფეთქებდა ხოლმე. ტენიში წყლის ჭავლს ჯადოსნური ჯოხით ეხებოდა და ფანტანი ჯოხიდან იწყებდა ფრქვევას. შემდეგ წყლის ჭავლს მარაოს აფარებდა და ფანტანი უკვე მარაოზე გადაინაცვლებდა. მერე ილუზიონისტი ჭავლს იაპონური მახვილით კვეთდა და ფანტანი მარაოდან აღარ იფრქვეოდა. ის ხმლის პირიდან იწყებდა დენას. ასისტენტი გოგონა ჯადოსნური ჯოხით ეხებოდა ამ ფანტანს და ჭავლი იწყებდა დენას ილუზიონისტის თითებიდან, თმიდან და ასისტენტის თავიდანაც კი.

ილუზიონისტი ლაფაიეტი მაყურებლის თვალწინ ზანგ ასისტენტს თეთრკანიანად გადააქცევდა ხოლმე. თავზე ცილინდრს აფარებდა, ვარსკვლავებით მოხატულ ქურთუკს აცმევდა და წვერს აწებებდა. ამგვარად შენიღბული ასისტენტი ბიძია სემს ემსგავსებოდა და ხალხში ჩამოივლიდა ხოლმე. ამის შემდეგ გრიმს იშორებდა და თავად ლაფაიეტი აღმოჩნდებოდა. როგორ ახერხებდა ამას, დღემდე არავინ იცის.

ნიუ-იორკის ერთ-ერთი ნოტარიული კანტორის სეიფში სქელი, დაბეჭდილი კონვერტი ინახებოდა, რომელიც გარდაცვლილ ილუზიონისტს, ჰარი გუდინის ეკუთვნოდა და მისი

ანდერძის თანახმად, ის მისი დაბადების 100 წლისთავზე, 1974 წელს უნდა გახსნილიყო. კონვერტს ზევიდან წარწერა ჰქონდა გაკეთებული: „ჩემი ტრიუკების საიდუმლო". როდესაც კონვერტი გახსნეს, ის ცარიელი აღმოჩნდა. დიდმა მატყუარამ ხალხი სიკვდილის შემდეგაც მოატყუა.

„ნიუსტუდიენის" კულისებში პოლიციისგან დევნილი ქურდი შეიჭრა. მან იქვე, საკიდარზე ფრაკი შენიშნა. ვინაიდან ტანისამოსის გამოცვლა სჭირდებოდა, თავისი ჭუჭყიანი ქურთუკი იქვე მიაგდო, ფრაკი გადაიცვა და გარეთ გამოვარდა. ტრამვაის გაჩერებასთან მან რაღაც უჩვეულო იგრძნო. ცოტა ხნის შემდეგ ფრაკის შიგნითა ჯიბიდან მტრედები ამოფრინდნენ. შემდეგ, ფრაკის ერთი კალთა შეირხა და ვიდრე გაოგნებული ქურდი აზრზე მოვიდოდა, იქიდან კურდღელი გადმოხტა. ხალხი გაოცებული უყურებდა ამ სანახაობას. ცოტა ხნის შემდეგ სახელოებიდან 2 გრძელი გველი გამოსრიალდა და როდესაც ერთ-ერთი ჯიბიდან მოზრდილი ბაყაყიც ამოხტა, ქურდი გულწასული დაეცა. სწორედ ამ დროს მიუსწრო ფრაკის პატრონმა, ილუზიონისტმა კემპბელმა.

მონრეალელმა, 44 წლის ილუზიონისტმა, სედრიკ ბარნსმა სეანსის დროს, ჰიპნოზში მყოფ „მსხვერპლს" ქაღალდის ცარიელი ფურცელი 750 ათას დოლარად, ემილ ზოლას რომანის, „ჟერმინალის" ხელნაწერის ორიგინალის სანაცვლოდ მიჰყიდა. მდიდარმა მყიდველმა სოლიდურ თანხაზე გამოწერილ ჩეკს ხელი უყოყმანოდ მოაწერა. ის მხოლოდ მეორე დღეს მიხვდა, რომ გააცურეს და ამის შესახებ სასწრაფოდ პოლიციას შეატყობინა. თავიდან ილუზიონისტმა თქვა, რომ გაიხუმრა და თანხის დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ პოლიციამ არ დაუჯერა, რადგან მას 300 ათასი დოლარი უკვე დახარჯული ჰქონდა. რამდენიმე დღეში ვალების გასტუმრება, ქალაქგარეთ სახლის ყიდვა და ხის გადამამუშავებელი ქარხნის აქციების ყიდვაც მოასწრო.

ახლა კი თქვენს შეკითხვებს გავცემ პასუხს.

? **— გამარჯობა, პირველად გწერთ. მაინტერესებს, როცა ცოლ-ქმარს შორის რაღაც უთანხმოებაა, ყოველთვის ქალის ქარაფშუტობას რატომ ჰბრალდება ყველაფერი? და კიდევ, მიმაჩნია, რომ ქალი ოჯახში მეოჯახე უნდა იყოს, შვილთან — იდეალური დედა და ქმართან, საწოლში, ქმრის ბოზი. ასეთი აზროვნება გამართლებულია?**

ნინი, 19 წლის

— მე არ ვფიქრობ, რომ ყოველთვის ქალის ქარაფშუტობას ჰბრალდება ყველაფერი. ასე ალბათ თქვენს ოჯახში ხდება. საამისოდ 2 მიზეზი არსებობს. ან მართლა ქარაფშუტა ხართ და ბევრ შეცდომას უშვებთ, ან ქმარს თქვენზე გავლენა აქვს და თავის შეცდომასაც უსინდისოდ მოგაწერთ. თქვენ კი ამ დროს ხმის ამოღების უფლებაც არ გაქვთ. ასე დესპოტი ქმრები იქცევიან. რაც შეეხება მესიჯის მეორე ნაწილს, მიმაჩნია, რომ მართლაც, ქალი კარგი მეოჯახე, კარგი დედა და ქმრისთვის კარგი სექსუალური პარტნიორი უნდა იყოს. რაც შეეხება სიტყვა „ბოზს", გირჩევთ, ამ სიტყვას საკუთარ თავთან მიმართებაში ნუ გამოიყენებთ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრ ქართველ მამაკაცს ცოლთან სექსზე მცდარი წარმოდგენა აქვს და მიაჩნია, რომ ცოლთან მხოლოდ „მამაპაპური" სექსი შეიძლება, თავის ფანტაზიებს კი გასაქანი მხოლოდ გვერდითი კავშირების დროს უნდა მისცეს. ასე რომ, თუ თქვენი ქმარი მამაკაცების ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება, მაშინ, სავარაუდოა, რომ თქვენი თამამი საქციელი მასში აღფრთოვანებას ვერ გამოიწვევს.

? **— გამარჯობა, გრაფო, ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ. ჩემი ქმარი ჩემ მიმართ ძალიან უყურადღებოა. ამბობს, რომ შვილი უნდა, მე — არა. რას მივაწერო ეს ყველაფერი? რა არ გავაკეთე, მაგრამ მაინც ასეთია. ალბათ არ ვუყვარვარ, არა?**

ნატა-22

— ძნელია, შეეგუო იმ ფაქტს, რომ ქმარს არ უყვარხარ, მაგრამ ჩემი აზრით, მოგიწევთ ამასთან შეგუება. წინაალმდეგ შემთხვევაში, რას უნდა ნიშნავდეს მისი სიტყვები, რომ შვილი უნდა, თქვენ კი — არა? როგორც ჩანს, თქვენ შორის ბზარი კი არა, უკვე ნაპრალია გაჩენილი და ვფიქრობ, სიტუაციის გამოსწორება ძალიან გაგიჭირდებათ. ათასი მიზეზი არსებობს, რომ თქვენ მიმართ გრძნობა განელებოდა. შესაძლოა, სხვა ქალითაა დაინტერესებული. თუ ის იმედს გაუცრუებს, შესაძლოა, ისევ ოჯახისკენ მოუბრუნდეს გული.

? **— გამარჯობა, გრაფო. თქვენი პროფესიული აზრი და რჩევა მჭირდება, რომ ჩემს გრძნობებში გავერკვიო. თუ შეიძლება, რომ ქალს ორი ადამიანი ერთდროულად უყვარდეს?**

— 2 ადამიანის ერთდროულად სიყვარული შეუძლებელია. თქვენ უბრალოდ, ინტერესი გაქვთ 2 სხვადასხვა მამაკაცის მიმართ. ასეთ შემთხვევაში ეს 2 ადამიანი ერთმანეთს ავსებს ხოლმე — ანუ, რაც ერთს არ აქვს, ის მეორეში აღმოაჩინეთ და პირიქით. სხვა მხრივ, შეუძლებელია, რომ ვინმე გიყვარდეს და კიდევ სხვაზე ფიქრი შეძლო, სიყვარულზე რომ აღარაფერი ვთქვა. გავა დრო, თქვენს გრძნობებში გაერკვევით და საბოლოო არჩევანს ერთ-ერთზე გააკეთებთ. ეს თავისთავად მოხდება მაშინ, როდესაც ერთ მათგანში გაცილებით მეტ დადებით თვისებას აღმოაჩენთ.

P.S. იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ესემეს"-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა grafi გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე 8884.

რა სარგებლობა მოაქვს სტრესს

1936 წელს ჯანადელი ბიოლოგის, ჰანს სელიეს ნაშრომი გამოქვეყნდა, სახელწოდებით – „ზიანის მომტანი აგენტების მიერ გამოწვეული სინდრომი". სწორედ ამის შემდეგ შეიტყო ჯაცობრიობამ ინგლისური სიტყვა „სტრესის" შესახებ.

ზრაფი თარხანი

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, „სტრესის" მეცნიერული გაგება განწყობილებასთან არანაირ კავშირში არ არის. ის ორგანიზმის მდგრადობის მიღწევასა და რომელიმე გარეშე გამაღიზიანებელზე რეაქციას ნიშნავს. თვითონ გამაღიზიანებელ ფაქტორს სტრესორი ჰქვია.

როდესაც ადამიანი მიკრობებისა თუ ვირუსების შეტევას განიცდის; სიცხეში ან ყინვაში ყოფნა უწევს; იღებს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტრავმას, ორგანიზმი უცებ პასუხობს ამ ფაქტორებს. ხდება სისხლძარღვების შევიწროება, არტერიული წნევის მატება, გულის აჩქარება და სისხლში გლუკოზის დონის მომატება. ამასთან, მძაფრდება აღქმის უნარი, მახვილდება სმენა, მხედველობა და ადამიანი ძალის მოზღვავებას გრძნობს. პირველყოფილი ადამიანებისთვის მთავარ, სტრესის გამომწვევ ფაქტორად შიმშილი, წყურვილი, სიცივე, სიცხე, ავადმყოფობა, ჭრილობები, ერთმანეთთან და მტაცებლებთან ბრძოლა იყო. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დიდ ფიზიკურ აქტივობას მოითხოვდა. ამიტომ, სტრესის მიმართ ორგანიზმის რეაქცია ენერგეტიკული რეზერვების მობილიზაციას მოითხოვდა. ეს კი ადამიანს თავის გადარჩენის საშუალებას აძლევდა. რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე ადამიანს დღესაც ისეთივე რეაქცია აქვს, როგორიც ათასწლეულების წინ. სტრესული რეაქცია თავს მაშინაც კი იჩენს, როდესაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის რეალური საფრთხე არ არსებობს. მაგალითად — ოფისში, საქმიანი მოლაპარაკების დროს. ორგანიზმი მას „ყოველი შემთხვევისთვის" რთავს, რომ არასტანდარტული სიტუაციის შექმნისთანავე გამოიყენოს.

ამჟამად ისეთი სტრესორები მოქმედებენ, რომელთა გამო, მაღალი ფიზიკური აქტივობის ჩართვას აზრი არა აქვს. სტრესულმა რეაქციამ ფიზიკური სფეროდან ფსიქიკურში გადაინაცვლა და ეს თანამედროვე ადამიანისთვის მთავარ პრობლემად იქცა. როდესაც მობილიზებული ენერგია გამოსავალს ვერ პოულობს, დაუხარჯავი რჩება და ფსიქიკურ და ფიზიკურ მდგომარეობას შორის ბალანსი ირღვევა. ამის შედეგად კი შესაძლოა, გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონია, დიაბეტი, კუჭის წყლულოვანი დაავადებები, კოლიტი, ბრონქიალური ასთმა, კანის დაავადებები, სხვადასხვა იმუნური და ალერგიული დარღვევები და ფსიქიკური აშლილობები განვითარდეს. ხანგრძლივი სტრესი სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

წარმოიდგინე, რომ ჩვენი წინაპარი გზაზე მტაცებელ ცხოველს გადაეყარა. როგორ მოიქცევა? გაიქცევა თუ შეებრძოლება?

სტრესზე რეაქციისას ძირითად როლს ჰორმონები ასრულებენ. თირკმელს ზედა ჯირკვლის მიერ ჰორმონ ადრენალინის ექსტრემალური გამოყოფა, განგაშზე თავდაპირველი რეაქციის მხოლოდ ერთი მხარეა. ადრენალინი პულსს ახშირებს, სისხლის წნევასა და სისხლში გლუკოზის კონცენტრაციას ზრდის. მტაცებლის გარეგნობა ტვინის ქერქს აღიზიანებს და გამოიყოფა ნივთიერება, რომელიც ადრენალინის გამოყოფისთვის სიგნალს იძლევა. ამ დროს გამორთულია იმუნური რეაქცია და პირველყოფილი ადამიანი საბრძოლველად მზადაა.

ნებისმიერი ნორმალური ქმედება (ჭადრაკის თამაში, ვნებიანი კოცნა, კითხვა) სტრესს იწვევს, მაგრამ ადამიანს არ ვნებს. არსებობს 2 სახის სტრესი — ეუსტრესი და დისსტრესი. ეუსტრესი სურვილებს ემთხვევა, ხოლო დისსტრესი ყოველთვის უსიამოვნო მოვლენას უკავშირდება და ადამიანისთვის მავნებელია.

ამერიკელი მეცნიერი, ფრიდმანი ადამიანებს 2 კატეგორიად ყოფს. **ა** ტიპის ადამიანები გულის იშემიური დაავადებისაკენ არიან მიდრეკილი, **ბ** ტიპის ადამიანები — არა. **ა** ტიპის ადამიანები ცხოვრების მაღალი ტემპით გამორჩევიან, მიზნისკენ დაუღალავად ისწრაფვიან და სურთ, რომ აღიარებულნი იყვნენ. ისინი მუდამ დროის დეფიციტს განიცდიან და რისკიანი ქმედებისთვის ფსიქიკურად და ფიზიკურად მზად არიან. **ბ** ტიპის ადამიანები სრულიად საწინააღმდეგო ცხოვრების სტილით გამოირჩევიან. უპირატესობას წყნარ, მშვიდ ცხოვრებას ანიჭებენ. შედეგად, **ა** ტიპის ადამიანებში კორონარული სისხლძარღვების ათეროსკლეროზი 6-ჯერ უფრო ხშირია. ●

სამწუხაროდ, წინა კვირაში ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ის მომსახურება გაითიშა, რომელიც თქვენი მესიჯების ჩვენამდე მოსვლას უზრუნველყოფს. ამიტომ მკითხველი ჩვენთან მესიჯის გამოგზავნას ვერ ახერხებდა. 12 ნოემბერს ნომერი 8884 ისევ ჩაირთო და მომავალ კვირაში ჩვეულებრივად იმუშავებს.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში" მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

1. მარი, ვეხმაურები „გზა" №41, 34-ე მესიჯის ავტორს. გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი. თიკა ჯაფარიძე.

2. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ განათხოვარი, სერიოზული.

3. ვარ 19 წლის, მაღალი, ქერა. გავიცნობ 25 წლამდე ასაკის, ჭკვიან და პატიოსან ადამიანს, სამეგობროდ. ქეთი.

4. „გზა" №43, 46-ე მესიჯის ავტორს ვეხმაურები და დამიმესიჯოს. ნანა.

5. „გზა" №44, 28-ე მესიჯის ავტორს ვეხმაურები. გთხოვთ, დამაკავშიროთ.

6. ვარ 37 წლის, კარგი გარეგნობის, სერიოზული, გასათხოვარი ქალბატონი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს, ვინც აფასებს პატიოსნებას.

7. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა" №42, 51-ე მესიჯის ავტორ მამაკაცს.

8. ვარ 35 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, გასათხოვარი ქალბატონი. ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. გავიცნობდი სერიოზულ მამაკაცს, 40 წლამდე, თბილი ურთიერთობისთვის.

9. ვარ 23 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ და დასაქმებულ 28-32 წლის ბიჭს. ნინო.

10. ვეხმაურები ნომერი „გზა" №44, 34-ე მესიჯის ავტორს. წინასწარ გმადლობთ.

11. მომწეროს მხოლოდ იმ ერთადერთმა, რომელსაც ერთგულება და ჭეშმარიტი სიყვარული შეუძლია. ვარ 20/175/58, საყვარელი და მხიარული გოგონა, სითბოთი და სიყვარულით აღსავსე.

12. მარი, გთხოვ, გამომიგზავნო „გზა" №44, 24-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

13. ვარ 28 წლის. ძალიან მინდა გავიცნო ინდოელი ბიჭი, 28-29 წლის. ეკა.

14. ვარ 20 წლის, მომხიბვლელი გოგო. გავიცნობდი 29 წლამდე ასაკის, მოწესრიგებულ ბიჭს, ერთგული სიყვარულისთვის. სასურველია, იყოს მაღალი (180 სმ). სტანდარტს გადაცილებულები არ გამომეხმაუროთ. ნათია.

15. სიამოვნებით გავიცნობდი 37-45 წლის, თბილისელ მამაკაცს. ფინანსურად ძლიერს, მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ სიმპათიური, 37/170/67.

16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 33-36 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს, ვისაც სიყვარული და ერთგულება შეუძლია. გელოდები.

17. მინდა, გავიცნო თბილისში მცხოვრები მამაკაცი. ვარ განათხოვარი. მყავს ერთი შვილი. გამომეხმაუროს სერიოზული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით.

18. მინდა გავიცნო მამაკაცი, თბილისში მცხოვრები. ვარ განათხოვარი, მყავს ერთი შვილი. გამომეხმაუროს სერიოზული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით.

19. ვარ 24 წლის, გაუთხოვარი. მინდა ვინმე მიყვარდეს და ვუყვარდე ასე, 27-30 წლამდე ბიჭს, სიმპათიურს, ჭკვიანს, განათლებულს. დამეხმარეთ.

20. ვარ 31 წლის, დაბალი, მსუქანი, ელამი, გაუნათლებელი, პროვინციელი გოგო. თუ ვინმეს აქვს სურვილი ასეთი ადამიანის გაცნობის, დამიკავშირდეს.

21. გამარჯობა, ლამაზმანებო. მე ირაკლი ვარ. სამეგობროდ გავიცნობ გამხდარ, ტემპერამენტიან, 18-35 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრებ გოგოს, ვისაც ერთგულება შეუძლია.

22. ვარ 23 წლის. გავიცნობ ქალბატონს, რომელიც მზადაა ფარული, ინტიმური ურთიერთობისთვის. გელით, ქალბატონებო.

23. მინდა, ოცნება მთვარიან ღამეს და ამ ოცნებით შენ ახლოს ყოფნა, მინდა, ეგ შენი ნაზი სხეული და მაგ ტუჩებში ფარულად კოცნა! გავიცნობ ლამაზ, თბილისელ გოგოს! იკა.

24. ვარ 28 წლის, ცოლს გაშორებული ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 20-28 წლის გოგოს. ვარ

თხა, თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამაო

თბილი და მოსიყვარულე ადამიანი.

25. ვეხმაურები 25 წლის თაკოს. ვარ 33/190, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი.

26. „გზა" №42, მე-3 მესიჯის ავტორს ვეხმაურები. გთხოვთ, დაგვაკავშირეთ. ერთგული მეგობარი.

27. ვარ 32/192, სიმპათიური მამაკაცი. მყავს მანქანა. სამეგობროდ გამომეხმაუროს მხოლოდ სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი.

28. მარი, „გზა" №44, მე-15 მესიჯის ავტორის ნომერი მომწერე.

29. ვეხმაურები უკრაინელ გოგონას, „გზა" №44, მე-13 მესიჯის ავტორს. თქვენი გაცნობის იმედი მაქვს. თავდაჯერებული არ ვარ.

30. გთხოვთ, მაცნობოთ „გზა" №44, მე-11 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. დიდი მადლობა წინასწარ.

31. გავიცნობ სექსუალურ გოგონას, 30 წლამდე, ხანგრძლივი, ინტიმური ურთიერთობებისთვის. დამიმესიჯეთ, ვისაც სექსი გიყვართ. სრული სერიოზულობით. ლექსო, 24 წლის.

32. გთხოვთ, გამომიგზავნოთ „გზა" №44, მე-17 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

33. ვარ 16/187/70. გავიცნობ 16 წლამდე ასაკის, ლამაზ გოგოს. არც მე ვარ ჭურის სარეცხელი. გკოცნით ყველას. მპა. მეგათეო.

34. ვარ 31/191, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი, დასაქმებული, მყავს მანქანა, ქალის ფასიც ვიცი. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის გოგონას.

35. მომწერეთ „გზა" №44, მე-14 მესიჯის ავტორის ნომერი.

36. ვარ 20 წლის, ძალიან სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ ლამაზ გოგოს, ინტიმური ურთიერთობისთვის. გიო.

37. ვისაც უნდა, ნამდვილი და ძლიერი მამაკაცი ჰყავდეს გვერდით, ფარული შეხვედრებისთვის, დამიკავშირდეს. სუფთა წარსულის, ლამაზი, 25-30 წლის ქალბატონების საყურადღებოდ.

38. ვისაც უნდა, რომ ჰყავდეს მოსიყვარულე და ერთგული საყვარელი, რომლის გვერდზეც თავს ნამდვილ ქალად იგრძნობს, დამიკავშირდეს. უნდა იყოს მომხიბვლელი, სუფთა წარსულის მქონე.

39. მინდა, სულიერად და ფიზიკურად ლამაზი საყვარელი მყავდეს. ვარ ყველანაირად ძლიერი მამაკაცი. დამიკავშირდეს ლამაზი, სუფთა წარსულის მქონე, 32 წლამდე ასაკის ქალბატონი.

40. გავიცნობ სიყვარულისგან იმედგაცრუებულ, 17-21 წლამდე გოგოს, რომელსაც კიდევ შეუძლია ნამდვილი სიყვარული. ნიკა-18.

41. გოგონებო, თუ ვინმეს სითბო და ალერსი გაკლიათ, დამიმესიჯეთ. ვარ 18/185/70, ცისფერთვალება, მიმზიდველი მამაკაცი. ზურა.

42. გამარჯობა, სიყვარულის მაძებარო ქალბატონებო, მე ირაკლი ვარ და მსურს, სამეგობროდ გავიცნო გამხდარი, 18-30 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრები გოგო. ნუ დაკარგავთ, შანსს.

43. ქრისტინე, შენი მესიჯი „პირველ სტერეოზე" ვნახე. არ გამეცნობი? გიგი, 30 წლის.

44. მარი, თქვენთან მოკლე ნომერზე მესიჯი გამოვუშვი, ნომრის გაგება მინდოდა და პასუხი არ მიმიღია. „გზა" №44, მე-13 მესიჯის ავტორს ვეხმაურები.

45. პრივეტ, მარი, როგორ ბრძანდები? ეგება, ნორმალური გოგო გამაცნო, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 22/180/70, ბინით, სამსახურით და ავტომობილით უზრუნველყოფილი. მიშა.

მაც უნდა იზრუნოთ,
საკუთარ ქალიც უყვან იქნება

ოჯახური ტვირთი

46. გამარჯობა. მინდა გავიცნო ლამაზი გოგო, ლამაზი სიყვარულისთვის. ვცხოვრობ ათენში და მქვია თორნიკე. ვარ 19 წლის. მსუქნებმა და არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ. პეიმენო.

47. გოგონებო, თუ ვინმეს სითბო და ალერსი გაკლიათ, დამიმესიჯეთ, ვარ 18/185/70, ცისფერთვალება, მიმზიდველი მამაკაცი. ზურა.

48. გამარჯობა, სიყვარულის მაძებარო ქალბატონებო, მე ირაკლი ვარ და მსურს, სამეგობროდ გავიცნო გამხდარი, 18-30 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრები გოგო. ნუ დაკარგავთ შანსს...

49. ვარ ძალიან პატიოსანი და სიმპათიური, 30 წლის, თბილისელი მამაკაცი. გავიცნობდი ოჯახის შექმნის მიზნით, თბილისელ, პატიოსან, მომხიბვლელ გოგონას.

50. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 20-27 წლის, მაღალ, შავგვრემან, ეშხიან გოგოს. ვარ 26 წლის, 185 სმ სიმაღლის, სერიოზული, განათლებული.

51. გავიცნობ მხოლოდ ლამაზი გარეგნობის გოგონას, სამეგობროდ. ვარ საკმაოდ სიმპათიური, 30/190, მშვიდი, მოსიყვარულე მამაკაცი. ვიცი ქალის ფასი. მყავს მანქანა.

52. მინდა ოცნება მთვარიან ღამეს და ამ ოცნებით შენ ახლოს ყოფნა, მინდა ეგ შენი ნაზი სხეული და მაგ ტუჩებში ფარულად კოცნა! გავიცნობ სიმპათიურ მანდილოსანს. იკა.

53. ვეძებ თელაველ, ლამაზ და პატიოსან გოგონას, 23 წლამდე. ვარ თელავიდან, 23/65/170. ფათერაკა.

54. ვარ 28 წლის, ცოლს გაშორებული. ვარ თბილი და მოსიყვარულე ადამიანი. თუ გსურთ ჩემი გაცნობა, დამიმესიჯეთ. დანარჩენი პირადად ვილაპარაკოთ. კახა.

55. ვეძებ რუსო დიაკონიძეს. თუ ვინმემ რაიმე იცით მის შესახებ, გთხოვთ, დამიკავშირდეთ. ამჟამად ათენშია. იქნებ, თვითონაც კი წაიკითხოს ჟურნალი „გზა". თიკა.



• აა, კიდო ახლა სერიალს უნდა ვუყურო. თქვენთან ლუჩია არ გადის? ჰო, ნამდვილი შედევრია, მაშ! ისევ მანდ, მიტინგზე ყოფნა ჯობია, მგონი. ნეტავ რა ხდება ახლა? ბებერი.

• მარიიიიიი! ეს რა ჭირი მჭირს ან მე, ან ინტერნეტს და ორივეს ერთად? მესიჯი არ იგზავნება 8884-ზე. იცოდე, არ გამაბრაზო, თორემ ფეხით ჩამოვალ თბილისში. ზმიზმი.

• ლიმონჩეკამ როგორც გამოარკვია, მარორიტას თურმე მარია ჰქვია, დაადგინა, რომ ჯიგარი მასტია, ქალი კი არა, „გზავნილეთის" დედოფალია. არ წახვიდე, მარორიტა, ქალწულო, მერე მაგ ჩემს ესემესებს რა ვუყო? თუ მშვიდობა მართლა უნდა სამყაროს, „გზავნილების" გვერდები უნდა გაზარდო! ლიმონა-მანიუ.

• ნეტაი რისთვის გავრჯილვარ, რისთვის დავხარჯე „მანეყ"-ო, ასეთი ენის პატრონსა, რა გამათხოვებს, მარიო? ლიმონა-მანიუ. საკითხავი აი ეგ არის, ყოფნა არყოფნა კი არა.

• რავა ხართ, კოპწიებო? იცით, როგორ მენატრებით? მეტირება. უცხო

ძნელია დაძლევა
ცხოვრების მოცეხილი
ხელებით ცხოვრება

მიწაზე ვარ, არალეგალი, დაღლილი ტკივილისგან, დაღლილი ფიქრებისგან... მე ასეთმა ცხოვრებამ დამღალა. იცით, რა რთულია, ყველა მეგობარში სიყალბეს რომ ხედავ? გერასიმე, ხომ არ გაგვეცნო ერთმანეთი? მეც საბერძნეთში ვცხოვრობ. აბა, რას იტყვი? კამი-20.

• „გზავნილების" საშუალებით გოგონა გავიცანი. 2 კვირის განმავლობაში მესიჯებით ვუზიარებდით ერთმანეთს გულში გაჩენილ ცეცხლს. 11 ნოემბერს შევხვდით და ერთმანეთი მართლა შეგვიყვარდა. ქორწილში აუცილებლად დაგპატიჟებთ. ლევან ცხოვრებაშვილი, ახალციხე.

• საბერძნეთში მყოფ სოფო ადანაიას: მაგრად მოგვენატრე, ქალო! შენი ოჯახი და შენი ზუკანტურა გკოცნით.

• მარი, წინა ნომერში ერთ-ერთი მგზავნელის კომენტარმა გული დამწყვიტა. თუ შეძლებ და საჭიროდ მიიჩნევ, დამიბეჭდე ეს მესიჯი. ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დანიშნავს შეხვედრას. მე, ნელკა და პავლიკა რომ მივედით, ე.ი. ერთად ყოფნა, ერთმანეთის გაცნობა გვინდოდა! თუ მგზავნელები გქვიათ, კეთილი ინებეთ და მგზავნელის სახელს ნუ შეარცხვენთ! პირადი მტრობა ჟურნალში გასარჩევი არაა. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ უფრო მეტი კორექტულობა გმართებთ. უფალი გფარავდეთ. ილინი.

• მაარ, პრივეტ. რაც „გზავნილები" დაარსდა, თქვენი ფანი ვარ. სახლში უნდა ნახოთ, რა ხდება. მე და დედაჩემი რა დღეში ვართ. არა, პირველი მე წავიკითხავ, არა — მეო. :) ახლა, რაც შეეხება თემას: სხვის აზრს არასოდეს ვითვალისწინებ, რამაც ბევრჯერ დამღუპა, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე. ჯიუტი ვარ. შენი აზრით, მეშველება რამე? მავნე.

• პირველად გწერთ ათენიდან. თუ შეძლებ, იქნებ დამიბეჭდო. „სამართლიანს" მინდა ვუთხრა: თუ ბერძნები ფულს მიხდიან, ტყუილად არავინ მიხდის. ეს ჩემი შრომის საფასურია და ნამდვილად ვიმსახურებ. წყევლა არ იციან ბერძნებმაო, რომ ამბობ, ცდები, ძვირფასო. არ იცნობ კარგად ბერძნებს.

• ნინო-მილან, ჩვენ გვეშველება რამე? ჯოტიას ვგულისხმობ. ეჰ, უკვე გული მიკვდება, განვიცდი, მაგრამ ამაყი ვყოფილვარ და უკან არასდროს ვიხევ! :(მეგრელი მგელო-30.

• მეზიზღება 5 ნოემბერი. ამ ციფრმა გამაუბედურა, მეზიზღება ნოემბერი! მიუხედავად იმისა, რომ ნოემბერში დაბადების დღე მაქვს და საერთოდ, მგონი სიზმარი ამიხდება. შანსი არაა, რაც კი დამესიზმრა, ყველაფერი ამიხდა. ისიც დამესიზმრა, რომ დაბადების დღემდე ვიჩხუბებდი შუთუსთან და ასეც მოხდა. ახლა იმ სიზმარზე ვფიქრობ, დაბადების დღეზე, 1 წლის წინ 29 ნოემბერს „მერსედესმა" გამიტანა და 30 დღე ჩემს სახლში სიხარულის ნაცვლად უბედურება დატრიალდა. ნეტავ, ამიხდება? გული მისკდება, ნეტავ, რა მოხდება? მეგრელი მგელო-30.

• დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ თურმე მოუშუშებელი ჭრილობაც არსებობს. ჩემი ჭრილობა შენ ხარ, მამა, 1 წელია, რაც დაგვტოვე. მენატრები. ტანჯული ფერია.

• ჰოოოდა, არ მომივიდა ფერი, პაწა? ერთ ადამიანს გავხსენებივარ, მაინც. :) ჭურუმე, შენი. მართლა, ზაზუნა სადაა? მომიკითხეთ, ჩემი შვილობილია. ზმიზმი.

• ნათია, ჩემო სიხა, თუ კიდევ მეჩხუბე, ავდგები და დედაჩემს ვეტყვი, რა დღეშიც ვარ, შენს ხელში. მერე რაც მოგივა, თავს დააბრალე და მერე იძახე, ორი კურდღლის მადევარი-თქოოო.

• მაზოხისტკა ჯონი დეპს გაჰყვა ცოლად. ბედნიერებას გისურვებთ, ჩემო ბავშვებო. ქორწილში არ გამომტოვოთ, თორეემ... მაგრეები ხართ, შემოგევლეთ. ;-) მეგრელი მგელო-30.

• მომენატრა არაგვი და მთის ალერსი, ბარმა ხევსურს, შვება ვეღარ მომიტანა, წამიყვანეთ ხარ-ჯიხვების სავანეთში, ისევ თეთრი ჭიუხების ვიგრძნო ძალა. ხევსური.

• პრივეტები. ხომ ხართ, კარგად? დღეს იცით, მაგარი სტატია დავწერეთ, მე და ჩემმა დაქალებმა, თინეიჯერებზე. პირდაპირ ვგიჟდები. იცით, აქ არავის ვიცნობ. ლილუანგელ.

• ბავშვებო, ახლა ვარ ძალიან, ძალიან ბედნიერი,

CHVEN GVIKALS GZAVNILEBI



მიუხედავად იმისა, დღეს რომ ასეთი ამბები მოხდა. ყველას გისურვებთ უსაზღვრო სიყვარულს და ბედნიერებას. გარიყული.

• არა, რა! რა ხდება აქ, კაცი ველარ გაიგებს. :) სასტავი გაზრდილა, მაგრამ ვის რა უნდა, ან რატომ, ვერ მივხვდი. :) ისე, ჩვენში დარჩეს და, მე რა მინდა? ღმერთო, მიშველე. :) ზმიზმი.

• აუფ! გაიშვა, როგორც იქნა! :) ჰოდა, იმას ვამბობდი: აგია ცხოვრება? კაცი მოსული არ ვარ და მივდივარ ისევ... :(ჰო, მართლა, ჩემი ზაზუნა მომიკითხეთ და არავინ აწყენინოს! ზმიზმი.

• ყველას მოგესალმებით. ამალთეა, მაგარი ხარ. ნინო-მილანიც მაგარია და მადლობა მინდა გადავუხადო მოკითხვისთვის. როზი.

• მეგრელო მგელო, განსხვავება იმაშია, რომ შენ ძუ მგელი ხარ, მე კი, გადარეული ხვადი. ჯიგარი ხარ, მაგრამ მგელი მაინც მგელია, რაც უნდა იყოს. მაფიოზა.

• დაქალზე უკეთესი რომ გამოჩნდეთ? ჰმ... მე ზოგადად აზრი მაინტერესებს. ეთანხმებით ვინმე? არ ხარ შენ მართალი, მარა გმადლობთ, შენი პოზიცია რომ დააფიქსირე. მაფიოზა.

• გაგიმარჯოს, ნატალი, სალამი ჭინკას, გატყობ, ინდაურის კომპოტი გევასება მაგრად. გამიგია, მუცლის ქონი იცისო და ძაან ნუ მიეტანები. :) მაფიოზა.

• კანიბალკა, მოვრჩეთ ერთმანეთის კბენას. მე თუ რამეს დავთმობ, გიოს გულისთვის, თორემ დამნაშავედ თავს არ ვგრძნობ. ბოდიშს კი არ მოვიხდი! მე ჩემი პრინციპები მაქვს.

• მეძავი შემხვდა ერთი. სულ არ ჰქონდა იუმორის გრძნობა. მე გავეხუმრე, ის კი გაიბერა. ოლეგარიო.

• — „ოლე, წუხელ დამესიზმრა, ათი ლარი მაჩუქე", — მითხრა ცოლმა. — „ჰო, გამოიზოგე, უცებ ნუ დახარჯავ", — ვუპასუხე მე. ოლეგარიო.

• პრივეტ, ყველას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, „გზას" ვკითხულობ, პირველად ვამესიჯებ. შორიდან გიცნობთ და ყველანი მიყვარხართ, მაგრამ განსაკუთრებით მონასტრის ბიჭი.

• ლეო91, არ გეკადრება მსგავსი უტაქტობა, ქუთაისელ კაცს. სირცხვილი შენ! შეიძლება მეც არ მომწონს რაღაც, მაგრამ არ ვამბობ. ეს შეგნების საკითხია.

• წვეულებიდან დაბრუნებული, ცოლს ვეუბნები: — „მზია, უჰ, რა ვიმღერეეე!" — კარგი გიქნია, ვერც მე ვიტან მაგ ოჯახსო, — მიპასუხა მზიამ. ოლეგარიო.

ბალბასარი

• ჩემს მეუღლეს, ბაჩო ადანაიას ვუსურვებ მალე სახლში დაბრუნებას. მაგრად მენატრები და სიგიჟემდე მიყვარხარ. ხუტუ თეა.

• ირაკლი, სიხარულო, 2 დღეღა დარჩა და დამიბრუნდები კოდორიდან. მიყვარხარ და ძალიან მენატრები. გკოცნი უამრავს. შენი ნათუშკები.

• აგნეს, ჩემო პატარავ, მიყვარხარ. მონატრებას ხომ საზღვარი აღარ აქვს. შენი თამო.

ანგელოზი



• ჩემს უსაყვარლეს მეგობარს, რუსთავში მცხოვრებ ხათუნა გიორგაძეს

ქალბატონო, თქვენი სუნამო თავდაცვისთვისაა თუ თავდასხმისთვის?

ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ძალიან მაგარი მეორე ნახევრის პოვნას და დიიიიიდ ბედნიერებას. მიყვარხარ, ჩემი გულის კოკორო. მარი.

• ეკა და ბექა, გილოცავთ გაბედნიერებას. მალე საქართველოში დაბრუნებას და შვილთა სიმრავლეს გისურვებთ. გფარავდეთ უფალი. თამრიკო და ნინო ბუცხრიკიძეები.

• ჩემს საყვარელ მეგობარს, ირმა მეხაშიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ბედნიერი და ჯანმრთელი იყავი, ყოველთვის, შენს ლამაზ, თბილ ოჯახთან ერთად. მენატრებით ძალიან.

• მირონის და მრწამსის ძალა სულში ჩაგეღვენთოთ, ანგელოზის ჩირაღდანი შინ და გარეთ გენთოთ, რასაც სიყვარული ჰქვია, თქვენს გულს სრულად ეგრძნოს, იების და ენძელების ბილიკებით გევლოთ. ასე გლოცავს ჩემი გული, თქვენი გული ენდოს, მამა, ძე და სულიწმინდის მადლი დაგებედოთ. ნინო ჯიმშიტაშვილო და მამუკა ფოცხვერაშვილო, გილოცავთ გაბედნიერებას. მიყვარხართ. მზია.

• რამაზ ბოჭორიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 ნოემბერს. ვუსურვებ ყველაფერ კარგს და ბედნიერებას, მის საყვარელ ადამიანთან ერთად.

• კოკორიჩს ვულოცავ დაბადების დღეს. შენი ცხოვრების ყოველი წუთი სიყვარულითა და სიხარულით სავსე ყოფილიყოს, შენს მეუღლესთან ერთად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი. მზია.

• ჩემს მეგობარს, კასპელების სიამაყე რძალს, იმერელ მაია სარდანაძე-ბერიანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ დღეგრძელობას და სიხარულს. სულ ასე სიცილ-ხარხარში გაგელიოს ეს ცხოვრება. დალი.

• ჩემს პატარას, ზუკა ადანაიას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყველაფერ კარგს და საუკეთესოს. მიყვარხარ, შენი დედიკო.

• ჩემო სიცოცხლევ, სალომე გონგაძე, გილოცავ, დედიკო, 16 წლის შესრულებას. ყველაფერში წარმატებას გისურვებ. როგორ მინდა, შენ გვერდით ვიყო. მენატრები ძალიან. გკოცნი.

• ჩემს მეგობარს, თამუნა ქუძიევს! თამუნია, გილოცავ დაბადების დღეს, 15 ნოემბერს. გისურვებ, სიყვარული იყოს შენი ცხოვრების მეგზური და უფალი — შენი მფარველი! :) სინიორელა.

• ძვირფასო ქალბატონო გუჯი, აღარც ვიცით, უკვე მერამდენედ გილოცავთ დაბადების დღეს, მაგრამ რამდენჯერაც არ უნდა მოგილოცოთ, ჩვენს თვალებზე სიხარულის ცრემლები ყოველთვის იბრწყინებს, ვინაიდან გვიხარია, რომ ამ ქვეყანას მოევლინე ჩვენს საუკუნეში და არა სხვა დროს, თორემ ხომ შეიძლებოდა, საერთოდ არ გაგვეცნო ერთმანეთი და ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ჩვენს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა, უფრო სწორად, ის ნაკლებად საინტერესო მოვლენებით იქნებოდა აღსავსე. შენ ხარ ჩვენი ცეცხლი და წყალი, ჩვენი მარილი, წიწაკის მწნილი, ხაში, ომბალო, ილი, ჯავზი და შენ წარმოიდგინე, შაქარიც კი. ძალიან გვიყვარხარ და გკოცნით შორიდან, რადგან შენი კდემამოსილების წინაშე ვიბნევით და შენს სათუთ ლოყაზეც კი ვერ ვახერხებთ შეხებას. გვენატრები მაშინაც კი, როცა ჩვენ გვერდით ხარ. შენი სათუთი ქოთნის ყვავილების ჭირიმე, ჩვენც მოგვხედე, რა�ა. ჩვენც გვინდა შენი სითბო, ალერსი და ნაკელი (ოღონდ, გადატანითი მნიშვნელობით). დაბოლოს, გვინდა მოგიძღვნათ სიმღერა ყოველგვარი მუსიკის გარეშე: „ჩემი ჩიტი ხარ, ჩემი გვრიტი ხარ, გვერდით მიზიხარ, მაგრამ სხვისი ხარ, რა ლამაზი ხარ, ფანტასტიკა ხარ, ჩემი სულის ეროტიკა ხარ. აბა, ჰე და აბა, ჰო... ჰოპ-ჰოპ-ჰოპ..." შენი სულის ჩიმაროები და კოსტნერები.

ყურაღლება!

შეიცვალა „მობილიზაციაში" ნომრის გაგების წესი. დღეიდან სასურველი ნომრის გასაგებად, ჩემს ნომერზე: 8.77.45.68.61 დარეკვა აღარ დაგჭირდებათ და ამის შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გექნებათ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 39-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება.

ჰოროსკოპი



ოჯახური

ორშაბათს მომხდარ მოვლენებს სამწუხაროდ, ვერ გააკონტროლებ. მცირე უსიამოვნებაც კი გლობალურ კატაკლიზმებამდე მიგიყვანს. ვიდრე რისკზე წახვალ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე. მთავარია, სიჯიუტე არ გამოიჩინო. კამათი და პირდაპირობა ცუდ შედეგს გამოიღებს.

საქმიანი

დიდი ყურადღება დაუთმე საქმიან პარტნიორს, თუნდაც შენს ბიზნესს ამან ცოტათი ავნოს. თუ მის ინტერესებს გაითვალისწინებ, ისეთ შედეგს მიიღებ, რომ თვითონვე გაოცებული დარჩები. ნუ იჩქარებ პასუხის გაცემას იმ კითხვაზე, რომელზეც ბუნდოვანი წარმოდგენა გაქვს. ენას კბილი დააჭირე და ვიდრე რამეს იტყოდე, კარგად დაფიქრდი, რა მოჰყვება ამას.

ოთხული

ამ კვირაში ნებისმიერ თხოვნაზე დადებით პასუხს მიიღებ. თუ დღის პირველ ნახევარში ყველაფერი ისე არ აეწყობა, როგორც შენ გინდა, ამის გამო ნუ ინერვიულებ. ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. მთავარია, დიპლომატიურობა და გონიერება გამოიჩინო.

ხუთშაბათი

გირჩევ, საქმეს სერიოზულად მოეკიდო. წინაალმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ხუთშაბათს განვითარებულმა მოვლენებმა გამოუსწორებელი შედეგი მოგიტანოს. კოლეგების მიმართ თავაზიანი იყავი. კრიზისიდან გამოსვლაში მოთმინება და სიზუსტე დაგეხმარება.

პარასკევი

ეს დღე საქმიან შეხვედრებსა და გაწამაწიაში ჩაივლის. ასევე პატარა, სასიყვარულო თავგადასავალიც გელის. ერთი მეორეს ხელს არ შეუშლის. ასე რომ, თუ მოლაპარაკების მაგიდასთან სუსტი სქესის წარმომადგენელიც იქნება, შეგიძლია, თამამად გააბა ფლირტი.

შაბათი

ეს დღე მთლიანად ოჯახის წევრებს დაუთმე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათგან დიდ საყვედურს მიიღებ იმის გამო, რომ მუდამ დაკავებული ხარ და ოჯახისთვის ვერ იცლი. ამ საკითხზე წამოჭრილი კამათი მთელი კვირის განმავლობაში განწყობილებას გაგიფუჭებს.

კვირა

მთელი კვირა საქმეში იქნები ჩაფლული. სულ გადარბენაზე მოგიწევს ყოფნა. კვირის ბოლოს კი დაღლილობას იგრძნობ. ამიტომ, უმჯობესია, თუ კვირა დღეს დასვენებას დაუთმობ, შინ დარჩები და საოჯახო საქმეს მიხედავ.

ადამიანი ბალახის მჭამელი ცხოველია თუ მტაცებელი?



დიდი ხანია, მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, ადამიანი ბალახის მჭამელი ცხოველია თუ მტაცებელი. კამათში მონაწილე ყველა მხარეს თავისი მოსაზრება და მტკიცებულება აქვს, მაგრამ დიეტოლოგები ამ ადამიანების აზრს სულაც არ ითვალისწინებენ. მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით დამტკიცდა, რომ ხორცი ძალზე სასარგებლო პროდუქტია.

მასში დიდი რაოდენობითაა ცხოველური ცილები, რომელიც ორგანიზმში შემავალი ყველა სტრუქტურის ქსოვილის საფუძველს წარმოადგენს. ხორცში ცილის შემცველობა მის კატეგორიაზეა დამოკიდებული. ყველაზე მეტ ცილას საქონლისა და ქათმის ხორცი შეიცავს, ხოლო ყველაზე ცოტას — ღორის ხორცი. ხორცი ასევე მდიდარია ფოსფორით, კალიუმით, რკინითა და სხვა მინერალური ნივთიერებებით. მასში თითქმის ყველა ვიტამინი შედის. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით კი B ჯგუფის ვიტამინები.

მართალია, დადგინდა, რომ ხორცი სასარგებლო პროდუქტია, მაგრამ მისი მიღების დროს არ უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით: „რაც მეტი — მით უკეთესი". ხორცის შემცველობაში, სასარგებლოს გარდა ისეთი ნივთიერებებიც შედის, რომელიც შარდმჟავას წარმოქმნას უწყობს ხელს. თუ მჟავა ორგანიზმში დიდი რაოდენობით დაგროვდება, შესაძლოა, თირკმლის კაპილარების გაუვალობა, „პოდაგრის" წარმოქმნა, ოსტეოქონდროზი და სხვა დაავადებები გამოიწვიოს. არსებობს გამოკვლევები, რომელთა მიხედვითაც, ხორცის გადაჭარბებულად მიღება ორგანიზმის იმუნურ რეაქტივობას ვნებს. ეს კი სხვადასხვა დაავადების მიმართ ბრძოლის უნარის დაქვეითებას იწვევს.

კვების რაციონალური ბალანსირების ნორმის მიხედვით, ადამიანს დღეში საშუალოდ 40-45 გრამი ცხოველური ცილა ესაჭიროება. 100 გრამი ხორცი ნორმაზე გაცილებით ნაკლები რაოდენობის ცილას შეიცავს. ცილის დეფიციტის შევსება თევზის, ხაჭოს, რძისა და კვერცხის ხარჯზეა შესაძლებელი.

თუ ხორციან კერძს დღეში ერთხელ მიირთმევ, ჯობს ეს სადილობისას გააკეთო, ხოლო საუზმის ან ვახშმის დროს თევზი, რძე და ცილის შემცველი სხვა პროდუქტი მიიღო. უფრო მეტიც, უმჯობესი იქნება, თუ კვირაში 3 დღის მანძილზე ხორცს კვების რაციონიდან მთლიანად ამოიღებ.

პრინციპში, ცილის შემცველი ყველა პროდუქტი ერთმანეთს მშვენივრად ჩაენაცვლება. 100 გრამი ხორცი შეგიძლია 175 გრამი თევზით, 480 გრამი რძით, 115 გრამი ხაჭოთი ჩაანაცვლო.

კვების სფეროს სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საერთოდ, ხორცის გარეშე სიცოცხლე შესაძლებელია. მაგალითად, ამინომჟავების შემცველობის მიხედვით, კვერცხი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე ხორცი.

გასული წლის ბოლოს ექიმი-დიეტოლოგები, როგორც იქნა, შეთანხმდნენ, რა შეეტანათ ადამიანისთვის მავნე პროდუქტების ჩამონათვალში: ტკბილი, გაზიანი სასმელები, რომლებიც წყურვილის მოსაკლავად კი არა, მის გამოსაწვევადაა შექმნილი (1 ჭიქა სასმელი 5 კოვზ შაქარს შეიცავს); კარტოფილის ჩიფსი; ტკბილი ფუნთუშა; სოსისი; მოხარშული ძეხვი; სარდელი; ცხიმიანი ხორცი, განსაკუთრებით — შემწვარი.

მიმოიხედე გარშემო და იფიქრე, გჭირდება თუ არა ხორცი დიდი რაოდენობით?

რამდენი გრამი ხორცის ჭამაა რეკომენდებული?

ბავშვები: 1-3 წლის — 75 გ, 4-6 წლის — 100 გ, 7-10 წლის — 120 გ, 11-13 წლის ბიჭები — 140 გ, გოგონები — 130 გ, 14-17 წლის ბიჭები — 150, გოგონები — 140 გ. მოზრდილ ადამიანებს, ვისაც მძიმე ფიზიკური შრომა უწევთ, შეუძლიათ 220 გრამი ხორცი მიიღონ, ხოლო გონებრივი შრომით დატვირთულ ადამიანებს — 120-140 გრამი. ხანში შესული ადამიანები ბავშვის ნორმაზე უნდა გადავიდნენ, ხოლო 75 წელს გადაცილებული მოხუცები დღეში მხოლოდ 100 გრამ ხორცს უნდა მიირთმევდნენ.

მოკლე ჩართვა <<< 12

რა არის უსინდისობა?

• **უსინდისობაა, როცა უსინდისოდ უინტერესო მესიჯს გზავნი „გზავნილებში" და მერე კიდევ წუწუნებ და ილანძღები, რატომ არ მიბეჭდავენო. :) მეგრელი კანიბალკა.**

• **უსინდისობა ისაა, რომ მე რომ ჯერ თითები დამეჩეჩქვა მეილის წერით, მერე ამ ყინვასა და დელგმაში სამჯერ გავედი „გზის" საყიდლად და სულის კაწკაწით გადაშლილ ჟურნალში ჩემი „ნაშრომი" ვერ წავიკითხე. ცუდი რომ ყოფილიყო, გავიგებდი, მაგრამ ზოგიერთისას ხომ ჯობდა? ისე, გემოვნებაზე არ დაობენო, გამიგია. :(ლიმონა-მანიუ.**

• **რა არის უსინდისობა? ჰმ, უსინდისობაა აბა რა, როცა ნაცნობს „გზის" ძველი და ახალი ნომრები ვათხოვე და უკან გვერდებამოხეული დამიბრუნა. ნონ სტოპ.**

„ეს ღვინოები ქართული სასიათი დევს“...

ფრანგი სომელიე ქართული „საფერავით“ მოიხიბლა

„მითხარით, ვინ არის თქვენი ღვინის მომხმარებელი და გეტყვით, როგორ ღვინოს აყენებთ თქვენ“, — ასე დაიწყო ქართულ ღვინოზე საუბარი ფრანგმა მელვინემ, დენის დუბორდიეემ, რომელიც 30 წელზე მეტია, ამ საქმეს ემსახურება. ის საქართველოში ფრანგული კომპანიის — „ბორდო 2“-ის დელეგაციას ჩამოჰყვა, რათა ჩვენი ქვეყნის მევენახეობის კულტურას გასცნობოდა. სტუმრად ყოფნის მცირე დროის მიუხედავად, მოასწრო იშვიათი ჯიშების ყურძნისგან დამზადებული ქართული ნიმუშების გასინჯვა. განსაკუთრებით „საფერავი“ მოეწონა. ფრანგი მელვინე გვიყვება, თუ რატომ გადაწყვიტა საქართველოში ჩამოსვლა და რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ღვინის სამშობლომ.

ლალი პაპასკირი

— რამდენიმე ხნის წინ, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყოფილი რესპუბლიკა მევენახეობის უდიდესი კულტურით გამოირჩევა და დავინტერესდი ადგილობრივი ღვინის წარმოებით. გავიგე, რომ საქართველო ისტორიულად მევენახეობისა და მიწათმოქმედების ქვეყანაა და შესაბამისი განწყობილებით მოვდიოდი, მაგრამ მაინც გამაოცა თქვენი ხალხის ვაზთან დამოკიდებულებამ. მელვინოება ჩემი ოჯახისთვის საგვარეულო საქმიანობაა, ჩემი შორეული წინაპარიც კი ენოლოგიაში კარგად ერკვეოდა. დუბორდიეების ოჯახში საგვარეულო რელიკვიასავით ინახება თაობების მიერ შემუშავებული ჩანაწერები, რომლებიც მელვინეობას ეხება, მას ყოველდღიურად გამდიდრება ესაჭიროება და მეც ვცდილობ, ყველა ქვეყნის კარგი ღვინო გავსინჯო. გარდა ამისა, გვაქვს ძალიან დიდი ხნის ღვინოები, რომლებიც სხვადასხვა დროს ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან მელვინე დუბორდიეებისთვის გადაუციათ. პროფესიონალ ენოლოგს ამ ჯადოსნური სასმლის დაჭაშნიკების შემდეგ, იმ ხალხის შინაგანი ბუნებისა და ქვეყნის კულტურის შეცნობა არ გაუჭირდება, ვისი ხელითაც ეს სასმელია დაწურული. როცა რომელიმე ქვეყანაში ჩავდივარ და მასპინძლები იქაურ ღვინოს მასინჯებენ, მათ ხასიათს ვწვდები და შესაბამისად, მათთან ურთიერთობის ფორმასაც ვპოულობ... მათ სიას, საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, ქართული ბრენდიც შეემატება.

— რამდენადაც ვიცი, საკუთარ ღვინოს არ აწარმოებთ... თუ გქონდათ რაიმე ინფორმაცია ქართული ღვინის კულტურის შესახებ და როგორი იყო თქვენი შთაბეჭდილება საქართველოში ჩამოსვლის დროისთვის?

— სამწუხაროდ, ქართული ღვინის კულტურის შესახებ კი არა, საქართველოს არსებობის შესახებაც კი არაფერი ვიცოდი. ბოლო დღეებამდე, ამ ქვეყანაზე არანაირი წარმოდგენა არ მქონდა. როცა ჩამოვედი და საქართველოს ორი რეგიონი — კახეთი და რაჭა შემოვიარე, მივხვდი, რომ მევენახეობის ისტორიულ წყაროსთან შეხების შესაძლებლობა მომეცა და დაახლოებით ისეთი შეგრძნება მქონდა, როგორიც ბერებს, რომლებიც წმინდა ადგილების მოსალოცად მიდიან. ალბათ ცოტა უცნაურია ასეთი შედარება, მაგრამ ამას გულწრფელად გეუბნებით. როცა ქართული ღვინო გავსინჯე, მივხვდი, რომ მას მსოფლიო ბაზარზე გასატანად, დიდი პოტენციალი აქვს, ოღონდ ამ რესურსს სწორი გამოყენება ესაჭიროება.

რთველის დროს, სიღნაღში სტუმრობისას (მარჯვნიდან მეორე)

— ქართულ და ფრანგულ ღვინოებს თუ შეადარებდით?

— უხეშად რომ შევადაროთ, განსხვავება ისეთია, როგორიც ავტომობილებში — „ლადასა“ და „ბემვეს“ შორის... პირველ რიგში, ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდება დამზადების ტექნოლოგია. საქართველო ახლა იწყებს ამ სფეროში მსოფლიოში აპრობირებული მეთოდების გამოყენებას. მისგან განსხვავებით, ის გზა, რომელსაც ქართული ღვინო ახლა გადის, ფრანგულმა უკვე კარგა ხნის წინ გაიარა. არადა, ქართულ პროდუქციას აქვს საოცრად დიდი ბუნებრივი პოტენციალი: კლიმატს, მზესა და ნიადაგს ვგულისხმობ. იმ გარემოებამ, რომ ქართული ღვინის მოხმარება ძირითადად, საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებისთვის იყო გამიზნული, ადგილობრივი, მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოება მნიშვნელოვნად შეაფერხა. მთელი მსოფლიოს ენოლოგებისთვის ცნობილია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში არ იყო ისეთი ხარისხის მოთხოვნა, როგორიც ევროპის ქვეყნებში და ამან ქართული ღვინის ხარისხზე კატასტროფული ზეგავლენა მოახდინა.

— როგორც ჩანს, თქვენთვის ცნობილია, რომ ქართული ღვინის ძირითად ბაზარს რუსეთი წარმოადგენდა. ალბათ, ქართული ღვინის ემბარგოს შესახებაც მოგეხსენებათ, არა?

— დიახ, მე მესმის, რომ ერთი მხრივ, ეს საქართველოს მოსახლეობაზე მტკივნეულად აისახა. თქვენი ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არცთუ ისე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა და ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება. ასეთ დროს კი, მოსკოვის გადაწყვეტილება მის ეკონომიკას მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებდა. მაგრამ ამავდროულად, ამ ბოიკოტმა შეიძლება მოგცეთ ახალი ბიძგი ისეთ ბაზარზე გასასვლელად, სადაც მოხვედრას ყველა ნორმალური ქვეყანა ნატრობს, — ევროპის ბაზარს ვგულისხმობ. ევროპის ქვეყნები პროდუქციის ხარისხის მიმართ ძალზე მომთხოვნები არიან, რაც ქართულ ღვინოზე უეჭველად დადებითად იმოქმედებს. გარდა ამისა, გაიზრდება ღვინის რეალიზაციის მოცულობა და რაც მთავარია, მას მაღალი ფასი დაედება.

— ხშირად გვესმის, რომ ევროპული ღვინის ბაზარი უკვე გაჯერებულია და იქ ქართული ღვინის შეტანის ძალზე მცირე პერსპექტივა არსებობს...

— საქართველოს სხვა არჩევანი არა აქვს. ადგილობრივი ღვინის მწარმოებლები აუცილებლად ევროპული ღვინის ბაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არზე უნდა იყვნენ ორიენტირებულნი.

— კონკრეტულად რომელი ქვეყნები გაქვთ მხედველობაში?

— უპრიანი იქნება, ჩრდილოეთ ევროპის ბაზარზე აიღოთ ორიენტაცია. ქართველმა მეღვინეებმა ნიადაგი უნდა მოსინჯონ აზიური ქვეყნებისა თუ ჩრდილოეთ ამერიკის ბაზრებზეც. ეს არის ქვეყნები, სადაც დელიკატურ სასმელებს დიდად აფასებენ, ამის კულტურაც არსებობს და ამ პრუდუქციის მიმართ მოთხოვნილებაც იზრდება. ქართველი მეღვინეები იტალიასა და ესპანეთში რომ გავიდნენ, მოგებისა და გასაღების შესაძლებლობა საეჭვო იქნება, რადგან იქ უცხოურ ღვინოზე მოთხოვნა ნაკლებადაა.

— თქვენ ღვინის ხარისხზე ისაუბრეთ, მაგრამ ალბათ დამეთანხმებით, რომ ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მარკეტინგიც–

— მსოფლიო ღვინის ბაზარზე წარმატების მიღწევა მხოლოდ პროდუქციის ხარისხისა და სწორად ჩამოყალიბებული მარკეტინგის ურთიერთშერწყმის საფუძველზეა შესაძლებელი. შეიძლება, გააკეთოთ შესანიშნავი სარდაფი, სადაც არაჩვეულებრივი ღვინო დაიწურება, მაგრამ თუ მომხმარებლისთვის მისი მიწოდების სწორი ფორმა არ შეარჩიეთ, ვერაფერს მიაღწევთ. დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა, როგორიც დღეს ქართველ მეღვინეებს აქვთ, 15 წლის განმავლობაში ახალ ზელანდიელებს ჰქონდათ. მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ საიმისოდ, რომ მსოფლიო მათი პროდუქციით დაინტერესებულიყო, მაგრამ დასახული მიზნისკენ ჯიუტად მიიწევდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. მთავარია, ქართველებმა არ მოინდომონ „მერლოს", „კამერლოსა" და მსგავსი ჯიშების აქ მოყვანა და ამ ღვინოების იმიტაცია: ჯერ ერთი, საქართველოში მსგავსი ღვინოების ჩამოსხმის ტექნოლოგია არ არსებობს; მეორე — თქვენ არც გჭირდებათ უცხოური ღვინოების დამზადება — საკუთარი პოტენციალიც ძალზე დიდი გაქვთ, უბრალოდ, მას გამოყენება სჭირდება. გარდა ამისა, ჩემი რჩევა იქნება, ქართველმა მეღვინეებმა აწარმოონ ისეთი ღვინო, რომელსაც ალკოჰოლის მაღალი შემცველობა არ ექნება.

— თქვენ რომელ ქართულ ღვინოს გაუწევდით რეკომენდაციას უცხოეთის ბაზარზე გასატანად?

— ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა „საფერავმა". ლამის მთელი მსოფლიოს უიშვიათესი ბრენდები მაქვს გასინჯული, მაგრამ ეს რაღაც განსხვავებული იყო, რომელიც შეუძლებელია, არ დაგამახსოვრდეს. წელს დანურული, მშრალი „საფერავი" იყო, არაჩვეულებრივი ფერითა და ხილის გემოთი. ეს არ არის მოხარშული ყურძენი, ბუნებრივი, ხალასი, ნაზი და დახვეწილი გემო ჰქონდა. რაც მთავარია, მას ძალზე დაბალი გრადუსი აქვს და ამიტომ, ძალზე ადვილად ისმევა. ამ ღვინოში, ფაქტობრივად, ქართული ხასიათი დევს...

ჩაბ შეაბუფოთა უკრაინაში პოპულარული ქართველი ექიმი

„საქართველოში დაავადებულ ადამიანთა რიცხვმა კატასტროფულად იმატა"

უკრაინელებისთვის საყვარელი ქართველი ექიმი, ბესო შამუგია 20 წლის წინ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე არ დაუშვეს. დღეს ის კიევის გერმანულ-უკრაინულ კლინიკაში, ჰეპატოლოგად მუშაობს და უკრაინის ეროვნულ სამედიცინო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს. კაცი, რომელიც წალენჯიხაში დაიბადა და გაიზარდა, სკოლაში სწავლის დროს ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საქართველოდან შორს, კიევში გაითქვამდა სახელს. მისი უკრაინაში მოღვაწეობა მხოლოდ სამედიცინო საქმიანობით არ შემოიფარგლება — ქართველთა სათვისტომოსაც ხელმძღვანელობს და ხშირად სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზატორიც გახლავთ.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ბესო, როგორ მოხდა, რომ თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში გამოცდები ვერ ჩააბარეთ?

— ძალიან უცნაური ამბავი გახლდათ. სკოლაში კარგად ვსწავლობდი და ამიტომაც, თბილისში დიდი იმედებით ჩავედი. როდესაც უნივერსიტეტში საბუთების ჩაბარება მოვინდომე, სხვადასხვა დოკუმენტის გამო, რაიონში რამდენჯერმე გამაბრუნეს. ასეთმა დამოკიდებულებამ გული ამიცრუა და უკრაინაში წასვლა გადავწყვიტე. სხვათა შორის, არც ეს იყო ადვილი საქმე. რამდენიმე წელი დამჭირდა იმისათვის, რომ რუსული და უკრაინული ენები საფუძვლიანად შემესწავლა. ბევრი წვალების შემდეგ, სასურველ ფაკულტეტზე ჩავაბარე და ცნობილი ექიმიც გავხდი. მიუხედავად ყველაფრისა, არასოდეს დამვიწყებია, რომ ქართველი ვარ და სამშობლოს წინაშე გარკვეული ვალდებულებები მაკისრია. ვცდილობ, ჩემი ქვეყნისათვის ბოლომდე დავიხარჯო. პროფესიული საქმიანობის პარალელურად, ქართველთა ასოციაციას — „იბერიელს" ვხელმძღვანელობ, რომლის დაქვემდებარებაშია ქართული კულტურის საგანმანათლებლო ცენტრი. აქ 80-ზე მეტი, 5-დან 30 წლამდე ახალგაზრდა ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ხელოვნებას ეუფლება. უკრაინაში ბევრი შერეული ოჯახია და მათმა შვილებმა ქართული არ იციან. ასეთ ბავშვებს ჩვენი ცენტრი მშობლიური ენის შესწავლაში ეხმარება. გვყავს ორი ქორეოგრაფიული ანსამბლი: პატარებისათვის „ოცნება" და დიდებისათვის — „იბერიელი". ძალიან გვიხარია, რომ ქართველებთან ერთად, ჩვენს ენასა და ხელოვნებას უკრაინელებიც დიდი ინტერესით სწავლობენ. ოფიციალურად, უკრაინაში 35 ათასი ქართველი ცხოვრობს (რეალურად, მათი რიცხვი ორჯერ მეტია). ამიტომაც, საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებას არაერთხელ ვთხოვეთ, ქართული სკოლის გახსნა, მაგრამ დღემდე, ჩვენთვის არანაირი ყურადღება არ მოუქცევიათ. საქართველოს ხელისუფლება შეგვპირდა, რომ საზღვარგარეთ არსებულ ყველა საკვირაო სკოლას წიგნებით მოამარაგებდა და თუ ამ პირობას შეასრულებენ, ძალიან კარგი იქნება. ამ ეტაპზე, ჩვენი შეღავათი ის გახლავთ, რომ ქართული კულტურის საგანმანათლებლო ცენტრში პედაგოგები სრულიად უსასყიდლოდ მუშაობენ. ძალიან გვაწუხებს ის ფაქტი, რომ ქართველი ბავშვები რუსულ სკოლებში დადიან და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას ვერ ახერხებენ.

— ამ ბავშვებს ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაში ქართული კულტურის საგანმანათლებლო ცენტრი ვერ ეხმარება?

— ცენტრში ბავშვები მხოლოდ შაბათ-კვირას დადიან. ეს მათთვის დამატებითი სასწავლო დაწესებულებაა და ამიტომაც, ბევრ ქართველს შვილი საერთოდ არ მოჰყავს. მათ ურჩევნიათ, ბავშვი დამატებით, უცხო ენაში, მუსიკაში მოამზადონ ან სამეჯლისო ცეკვებზე ატარონ. იმას კი ვერ აცნობიერებენ, რომ შესაძლოა, ერთ დღესაც აღმოაჩინონ, რომ მათ შვილები ქართველები არ არიან. ალბათ იცით, რომ კიევის ცენტრში არის სკვერი, სადაც შოთა რუსთაველის ძეგ-

ლი გაიხსნა. ეს არის ადგილი, სადაც ქართველები ვიკრიბებით (პაემანსაც კი იქ ვუნიშნავთ ერთმანეთს). ნოემბრის ბოლოს, ამ სკვერში ქართული ენის დღესასწაულს გავმართავთ და უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს მოვიწვევთ. სხვათა შორის, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი, ქართველი ბიზნესმენებისაგან განსხვავებით, რაიმე ღონისძიებაზე მოგვეწვიოს და არ მოსულიყვნენ. ამ ღონისძიებებს კი იმიტომ ვაწყობთ, რომ ქართველებში ქართული სული გავაღვიძოთ. ვცდილობთ, დაბადების დღეები და ქართული დღესასწაულები კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრში აღვნიშნოთ და ქართველ ბავშვებს ერთმანეთთან დაახლოების საშუალება მივცეთ. წელიწადში ერთხელ, მთელი სათვისტომო ქალაქგარეთ გაგვყავს და რომელიმე რელიგიურ დღესასწაულს აღვნიშნავთ. ზოგჯერ, ფოლკლორული ანსამბლები საქართველოდანაც ჩამოგვყავს.

— ქართველები ოჯახში ქართულად არ ლაპარაკობენ?

— ბევრს ურჩევნია, შვილი რუსულად ქართული აქცენტის გარეშე ლაპარაკობდეს და ამიტომაც, მათ მშობლიურ ენაზე არ ელაპარაკებიან. ზოგიერთ ოჯახში, მართალია, ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ ბავშვებს, დროის უმეტესი ნაწილის გატარება სკოლაში და ქუჩაში უწევთ, ამიტომაც რუსულ ან უკრაინულ ენას უფრო ადვილად სწავლობენ.

— თქვენმა შვილებმა რამდენად კარგად იციან ქართული ენა?

— მათ მხოლოდ ქართულად ლაპარაკი კი არა, ჩვენი სიმღერებიც შესანიშნავად იციან. ვფიქრობ, თითოეული ქართველი ვალდებულია, საკუთარ ენას გაუფრთხილდეს. გარდა იმისა, რომ მე და ჩემი მეუღლე ბავშვებს ქართულად ველაპარაკებით, ვცდილობთ, ისინი ყოველ ზაფხულს საქართველოში ჩამოვიყვანოთ და სამშობლოს სიყვარულს ვაზიაროთ. ჩემი გოგონა, რომელიც 10 წლისაა, შესანიშნავად ასრულებს ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს. ახლახან, საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობდა, სადაც ორი ქართული სიმღერა შეასრულა და ლაურეატიც გახდა. ქართულ სუვენირებს ძალიან უფრთხილდება, მათთვის სახლში ადგილიც აქვს გამოყოფილი. თათა ვარდანაშვილმა ქალის ჩოხა შეუკერა და იმას ნერვიულობს, რომ დამიპატარავდება, რაღა მეშველებაო?! ვაჟი — ირაკლი ჯერ ძალიან პატარაა (5 წლის), მაგრამ ვგრძნობ, რომ ნამდვილი ქართველია. როდესაც საქართველოში პირველად წამოვიყვანე, აეროპორტში ქართულ ლაპარაკს მოჰკრა ყური და სიხარულისგან გადაირია. ძალიან მინდა, ჩემი შვილები პატრიოტები გაიზარდონ.

— თქვენ მეუღლეც ქართველია?

— კი, ქართველია. თავიდანვე ვიცოდი, რომ ოჯახს მხოლოდ ქართველ ქალთან ერთად შევქმნიდი. ის ბანკში, მთავარ ბუღალტრად მუშაობს და საკმაოდ დატვირთული სამუშაო რეჟიმი აქვს, მაგრამ როგორც ქართველ ქალს შეეფერება, ქმარ-შვილისათვის ყოველთვის იცლის.

— ოჯახში ქართულ კერძებს ამზადებთ?

— აბა, რა?! ოჯახის ყველა წევრს გვიყვარს ქართული კერძები, განსაკუთრებით — ხინკალი. სადღესასწაულო დღეებში, სუფრას ძირითადად (კახურიდან დაწყებული, მეგრულით დამთავრებული), ქართული კერძებით ვაწყობთ.

— თქვენთან ერთად, სხვა ქართველებიც თუ მუშაობენ?

— კი, საკმაოდ ბევრნი არიან და მათ უმრავლესობას განათლებაც აქ აქვს მიღებული. ჩვენთან ერთად მუშაობს ცნობილი პროფესორი, უკრაინის დამსახურებული ექიმი — ნუგზარ ბარამია. მას ახლახან, 65 წლის იუბილე პირადად პრეზიდენტმა მიულოცა და უკრაინის უმაღლესი (იაროსლავის სახელობის) ჯილდო გადასცა.

— თქვენს კლინიკაში საქართველოდან თუ ჩამოდიან პაციენტები?

— საქართველოდან ჩემთან ძალიან ბევრი პაციენტი ჩამოდის, ზოგთან კი თავად ჩავდივარ. მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოში, დაავადებული ადამიანების რიცხვმა კატასტროფულად იმატა, განსაკუთრებით — 45-დან 60 წლამდე ასაკის ქალებში. ამის გამო ძალიან შეშფოთებული ვარ.

— უმეტესად, რა პრობლემები აქვთ?

— ძირითადად, ონკოლოგიურ დაავადებებს უჩივიან.

— როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი რა არის?

— ამის მიზეზი, პირველ რიგში, ეკოლოგიურად დაბინძურებული გარემო და მატერიალური პრობლემებია. საქართველოში, მოსახლეობის უმრავლესობას იმის საშუალება არა აქვს, რომ ექიმთან დროულად მივიდეს და გამოკვლევა ჩაიტაროს. ექიმს მხოლოდ მაშინ აკითხავენ, როდესაც მათი ტკივილი გაუსაძლისი გახდება. ავადმყოფების გარდა, საქართველოში დასაქმებული ექიმების დახმარებასაც ვცდილობთ. ორი წლის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან კიევში ჩამოგვყავდა მედიცინის მუშაკები და თითო თვის განმავლობაში, მათ პროფესიული საქმიანობის გაღრმავებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებაში ვეხმარებოდით (სულ 30 ქართველი ექიმი გადავამზადეთ).

— ამ ყველაფერს ვინ აფინანსებდა?

— ექიმები გზის ფულზე თავად ზრუნავდნენ, ჩვენ კი მათ ერთთვიან მომზადებასა და კიევში ცხოვრების ხარჯებს ვაფინანსებდით. გვინდოდა, გზის ფულიც ჩვენ დაგვეფარა, მაგრამ ვერ შევძელით.

— საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსვლას არ აპირებთ?

— ძალიან მინდა, მაგრამ ამ ეტაპზე, ეს შეუძლებელია. როდესაც სტუდენტი ვიყავი, ვფიქრობდი, რომ საქართველოში უნივერსიტეტის დასრულებისთანავე დავბრუნდებოდი, მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. ახლა, ქართველებისათვის უკრაინიდან უფრო მეტის გაკეთება შემიძლია. მომავალში კი იქნებ, სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნებაც მოვახერხო. ძალიან მინდა, საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნება, მაგრამ სამწუხაროდ, უკრაინას ჯერ არ მიუღია კანონი, რომლითაც ორმაგი მოქალაქეობის უფლებას მივიღებ.

— უკრაინელების მხრიდან ქართველებისადმი დამოკიდებულება როგორია?

— ნეიტრალური — საქმიანობაში ხელს არ გვიშლიან, მაგრამ არც სიხარულით გვეგებებიან. თუ დიდი წვალების შედეგად წარმატებული ადამიანი გახდები, პატივს ნამდვილად მოგაგებენ.

— ქართველი კრიმინალების გამო, პრობლემები ხომ არ გექმნებათ?

— რა თქმა უნდა, გვექმნება. ადრე, უკრაინაში სულ რამდენიმე ცნობილი ქართველი კანონიერი ქურდი იყო, ბოლო დროს კი, რუსეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ, უკრაინაში ქართველი კრიმინალების დიდი ნაკადი შემოვიდა. ამის გამო, კონტროლი გამკაცრდა და გადაადგილების პრობლემა სხვა ქართველებსაც შეექმნათ.

— ქართველები უკრანელი კრიმინალებისაგან რითი განსხვავდებიან?

— განსაკუთრებული ხელწერა აქვთ. ძირითადად, ფულსა და ოქროზე „მუშაობენ". ადგილობრივი პოლიცია ქართულ „ნამუშევარს" ადვილად ცნობს. ■

გარდა იმისა, რომ მე და ჩემი მეუღლე ბავშვებს ქართულად ველაპარაკებით, ვცდილობთ, ისინი ყოველ ზაფხულს საქართველოში ჩამოვიყვანოთ

მგზავრები

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-45

ზაზა ვაჩნაძე

ანუკი უკვე ვალიკოს ჭიშკართან იყო მისული, როცა ყორეს იქიდან ორი ბიჭი გადმოუხტა და მივარდა. ანუკიმ დაკივლებით კი დაიკივლა, მაგრამ გოჩუნა და მისი მეგობრები თერგის ნაპირს მიუყვებოდნენ და რაც არ უნდა ხმამაღლა ეკივლა, მის ხმას თერგის ხმაურში ისინი ვერ გაიგონებდნენ. ეტყობა, სახლშიც ვერ გაიგონა ვერაფერი მზიამ. ანუკი, რომელსაც ცხოვრებაში ხელი არ გაუქნევია საჩხუბრად, თავისდა გასაოცრად, ნამდვილ ვეფხვს დაემსგავსა. პირველ ბიჭს მუხლი ისეთი ძალით ამოსცხო ლაჯებშუა, რომ იმ ბიჭმა, ერთი კი დაიძახა, — ოი, „ბლიადო“! — და იქვე მოიკუნტა. ანუკი სწრაფად მიტრიალდა, გაქცევას აპირებდა, მაგრამ მოწინააღმდეგე მოქნეულ ხელზე მისწვდა, სტაცა და დაიქნია. მერე ამოუგრიხა და ასეღა დაიმორჩილა.

— „დავაი მაშინუ სუდა, ბისტრო!“ — დაჰკივლა მან იმ მეორეს. თან, ანუკის პირზე ხელს აფარებდა. მერე პირველს მეორეც მიეხმარა, ანუკის მკლავები გაუკავეს, მერე ფეხები გაუკრეს, თავზე რაღაც ჩამოაცვეს და გოგონა მიხვდა, რომ მანქანის საბარგულში ჩატენეს. ანუკი კივილს განაგრძობდა. — „მალჩი, სუკა!“ — მოესმა მას და იმ მხეცმა გინებაც მიაყოლა. ფერდში კი რაღაც მოხვდა, რკინასავით მაგარი და ისედაც მოკრუნჩხული, კიდევ უფრო მოიკრუნჩხა... ანუკი ვერაფრით მიმხვდარიყო, ვინ უნდა ყოფილიყვნენ თავდამსხმელები? ქართველები და მოხევეები ნამდვილად არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგან იმ ტიპს, რომელმაც დაილაპარაკა, ნაღდი რუსული აქცენტი ჰქონდა. მაგრამ რა უნდოდათ მისგან რუსებს ან იქ საიდან გაჩნდნენ იმ შუაღამისას, მისთვის ნამდვილი გამოცანა იყო. მიხვდა, რომ ჯერ ზემოთ მიდიოდნენ, მალე კი თავქვე დაეშვნენ. იმასაც ხვდებოდა, რომ მდინარის ნაპირს მიუყვებოდნენ, რადგან როცა მანქანა მოსახვევებში სვლას ანელებდა, კარგად ესმოდა წყლის დგაფუნი და შხუილი. აი, რამდენ ხანს მიდიოდნენ, საათი, ორი თუ მეტი, ამას, მანქანის ნჯღრევასა და ძრავას ღმუილში ვერაფრით მიხვდა.

მანქანა გაჩერდა. მერე ავტომობილიდან „გადმოიღეს“. ერთმა ფეხებში მოჰკიდა ხელი, მეორემ იღლიებში და ასე „წაიღეს“. როცა ტომარა გადააძვრეს, სინათლემ ისე მოსჭრა თვალი, რომ კარგა ხანს ვერაფერი გაარჩია. მერე კი ნელ-ნელა მხედველობა დაუბრუნდა და დაინახა, რომ სატუსაღოს მაგვარ საკანში იმყოფებოდა. სინათლე, რომელმაც თვალი მოსჭრა, დერეფნის ჭერში მიმაგრებული, რკინის ბადურათი დაცული, ერთი მბჟუტავი ნათურა იყო და მეტი არაფერი. მაგრამ რამდენიმე საათით აბსოლუტურ წყვიადში ყოფნა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამ ნათურასაც კი თვალი ასე მოეჭრა. ანუკი წამოდგა. ძლივს გამართა ფეხი, დაბუჟებოდა და დამძიმებოდა ფეხები. ორივე მხარეს, არმატურით შეკრული კიდევ ორი საკანი გაარჩია. მის საკანში იატაკზე „ნარი“ იდგა, იმ ორში კი — არაფერი. ანუკი თვალებს არ უჯერებდა. ვერაფერი გაეგო და ვერაფერი აეხსნა. რა უნდოდათ მისგან, რატომ გაიტაცეს ან ამ რკინის გისოსებში რატომ მოათავსეს? გაგიჟებას არაფერი უკლდა. ფერდი სტკიოდა, უნდოდა, სარკეში ჩაეხედა და თავისი განცვიფრებული სახე დაენახა, მაგრამ სარკე სად იყო ან ვინმე სულიერი, რომ დალაპარაკებოდა?! და ანუკიმ აშკარად დაინახა, რომ დერეფნის ნაცრისფერი ბლოკით ნაშენი კედლის ხვრელიდან უშველებელი ვირთხა გამოძვრა და მისკენ წამოვიდა. გოგონამ იმხელაზე იკივლა, რა სიმძლავრის ხმასაც მისი ყელის ნაზი იოგები გამოსცემდნენ. ვირთხა დაფეთდა და გულგახეთქილი უკანვე ნახვრეტში შევარდა. ანუკის კი, ნაბიჯების ხმა შემოესმა. მარჯვნივ, დერეფანში ჩამოსასვლელ კიბეზე ჯერ ჩექმები გამოჩნდა, მერე კი სამხედრო სამოსში გამოწყობილი, ვიღაც ქერა ტიპიც, ავტომატით ხელში.

— „ჩეგო ნადა. ბუდეშ კრიჩაც, ნაკაუუ!“ — მიმართა იმ ტიპმა მშვიდად.

— „გდე ია?“ — შეეკითხა ანუკი, თუმცა იმ ტიპის გამომეტყველებაზე მიხვდა, რომ სწორ პასუხს ვერ მიიღებდა.

— „გდე ნადო. ვაპროსი დომა ზადავაი“, — უთხრა რუსმა და შეტრიალდა.

— „ხაჩუ პაპისიც, პაპისიც ხაჩუ!“ — იყვირა სასოწარკვეთილმა ანუკიმ.

— „ნე ვიდიშ, ვედრო ვ უგლუ? პისი, სკოლკო ხოჩეშ! ი ნე კრიჩი ბოლშე ტაკ, ატო პალუჩიშ!“ — უთხრა იმ ტიპმა და გატრიალდა.

ანუკიმ მიიხედა და მართლაც შენიშნა ვედრო კუთხეში. არა, ეს ნამდვილი კატასტროფა იყო, თუმცა კატასტროფა ის სიტყვა არაა, ეს ბევრად უარესი — მეორედ მოსვლა, სამყაროს დასასრული, წარღვნა, წალეკვა და ცოცხლად დამარხვა გახლდათ. და ანუკიმ ახლაღა იგრძნო, რაღაც მძაფრი, მშრალი შარდის მომწარო, დამყაყებული სუნი... შეაჟრჟოლა. ტანზე დაიხედა. მზიამ რომ ქვედაბოლო მისცა, ის ეცვა. ფეხის წვერებზე შემდგარიყო და ქუსლების დადგმის ეშინოდა. იმ რუსმა თუ ვიღაც გადამთიელმა კიდევ, — ვედროში ჩააფსიო. არა, ეს არ იყო სინამდვილე, ეს სიზმარი იყო და ანუკიმ საშინლად, საშინლად ინანა, რომ გოჩუნას ენდო. „ნუთუ?!.“ — გაუელვა ამ ერთმა სიტყვამ თავში. მერე ეს ერთი სიტყვა დაიშალა და უამრავ უცნაურ შეკითხვად გადაიქცა. „მომატყუა? არ ვუყვარდი? მომიტაცა, რომ მამას ფული გამოსძალოს?“ — და უცბად დამშვიდდა. „მაშინ ხომ ჩავუშვებ ყველას: ვალიკო, ნენსი, მარსი, ვინ აღარ გავიცანი?! კობა ფარსაგიშვილიც კი... არა, არ არსებობს! ვუყვარვარ. ის ისე ნაზად მკოცნიდა...“ — და ისევ გადაუბრუნდა ტვინი. „მაგრამ ხომ ხდება ასეც, რომ ფულს გამოსძალავენ და მძევალს კი მაინც კლავენ, რომ კვალი წაშალონ? არა, არა, არ არსებობს“...

— მაშ, რა ხდება ეს, რა? — იყვირა ხმამაღლა და თავისი ხმის თვითონვე შეეშინდა. მის ხმაზე ვირთხამ გამოიხედა ნახვრეტიდან და პირდაპირ თვალი თვალში გაუყარა. „მიშველეეთ!“ — არა, აღარ დაუყვირია. ხმა ჩაუწყდა თუ რა? კართან მივიდა. გისოსებს ხელი მოჰკიდა და მთელი ძალით შეანჯღრია. ვირთხა გაქრა. მაგრამ როგორ გინდა დაიძინო ამ ვირთხებში? ან რატომ უნდა დაიძინოს აქ, ამ საპყრობილეში? რა დააშავა?

კოტიკოსთვის ანუკის გაპარვა, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდა, სიკვდილის ტოლფასი იყო. ისე შესძულდა, ისე შესჯავრდა იმავე წამიდან თავისი „ტურფა", საწამლავი რომ ჰქონოდა, დაალევინებდა და სამუდამო განსასვენებელშიც კი გაისტუმრებდა. წინადღეს, თურქულ კაფეში თურქული ყავა რომ მიირთვეს, ირმამ — გიმკითხავებო, — და კოტიკოს ყავის ჭიქაში ჩაიხედა, ჩაიხედა და ჯერ თითქოს გულს შემოეყარა და მერე ისეთი რაღაცები უთხრა... ჰო, რაც კი გაქვს და გიშოვია, ყველაფერს, ყველაფერს ძალიან ჩქარა დაკარგავო... საიდან მოეპრიანა ასეთი სისულელეების თქმა ირმას, კოტიკო ვერაფრით მიხვდა. გუშინ კი ყურს მიღმა გაატარა, მაგრამ ახლა, როცა უთხრეს, ანუკი ისე გაიპარა და გაქრა, უკვე მესამე დღეა, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცისო, სწორედ ის ყავის ჭიქა გაახსენდა და შიგ ჩახატული „კარაბადინი". ირმამ, რა თქმა უნდა, ტუჩი აიბზუა, როგორც ეს დიდი ხნის საყვარლებს სჩვევიათ, ზოგჯერ ცოლსაც რომ აჭარბებენ პრეტენზიებში და თურქული ავიახაზების ლაინერი ისე დაეშვა თბილისის აეროპორტში, მისკენ ერთხელაც აღარ მიუხედავს. კოტიკო ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ ასეთი რამ ამოუვიდოდა პირიდან, მაგრამ როგორც კი თავიანთი ჩანთები მიიღეს და გარეთ გამოვიდნენ, — აჩუ, შენი დედაცო! — არ წამოსცდა?! ირმამაც, — შენი დედაც და შენი ცოლშვილიცო! — და უკანალის ქნევით გაეცალა. „ერთი, შენიცო!" — გაიფიქრა კოტიკომ და აღარ გამოჰკიდებია. ნინიკოს აეროპორტიდანვე დაურეკა, ეგონა, რამე დამამშვიდებელს მეტყვისო, მაგრამ პირიქით... შენი ბრალია ყველაფერიო! — ისეთი განწირული ხმით კიოდა ტელეფონში მისი მეორე ნახევარი, რომ კოტიკოს გული ფეხებში ჩაუვიდა. მანქანა აიყვანა და სახლის მისამართი უთხრა.

ეზოს ჭიშკარი დაკეტილი დახვდა და თუმცა ზარის ღილაკს მთელი საათი აჭერდა თითს, სახლიდან არავინ გამოხედა. მგონი, სახლშიც აღარ მიშვებენო, გაიფიქრა და ნინიკოს დაურეკა: კარი გამიღე, ზარის ხმა არ გესმით თუ დაყრუვდით ყველანიო?! — მიახალა.

— კარს ხელი არ ახლო, დალუქულია, დალუქული! — უყვირა ცოლმა ყურმილში.

— დალუქული? — განცვიფრდა კოტიკო და კარზე ყავისფერი ლუქი და წვრილი მავთულიც შენიშნა, ლუქიდან სახელურზე გამობმული. ბუნებრივია, დაინტერესდა, რა ახალი ამბავი იყო კიდევ მის თავს. — ვინ დალუქა?

— საფინანსო პოლიციამ. ჯერ შენი ფირმა დალუქეს, მერე ჩვენი სახლიც და აგარაკიც, — შეატყობინა კიდევ ახალ-ახალი თავზარდამცემი ამბები ნინიკომ.

— შენ სადა ხარ, რომ? — შეეკითხა ცოლს კოტიკო.

— ტრავმატოლოგიურში, კამოზე, — უპასუხა ნინიკომ და გაუთიშა.

კოტიკომ იმწამს ხელახლა დაურეკა.

— რატომ მითიშავ, ყურმილს, რატომ? — დაუღრიალა ცოლს გამწარებულმა კოტიკომ.

— შენი დანახვაც არ მინდა! — ასეთი იყო ქალის პასუხი, რომელმაც ისევ გაუთიშა ტელეფონი.

— ე, რა ხდება? — ახლა კი, მართლაც, ჰამლეტივით მწარედ ჩაფიქრდა კოტიკო.

მაშინვე თავის გენერალურ მენეჯერ, ლევანჩოსთან გაუშვა ზარი, მაგრამ მისი მობილური არ პასუხობდა. მობილური გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდანო, — პასუხობდა რობოტი. ისღა დარჩენოდა, ტრავმატოლოგიურში გავარდნილიყო და ადგილზე დაეზუსტებინა ყველაფერი.

ასეც მოიქცა.

სანდრო, კოტიკოს სიმამრი, მკვდარივით გაჭიმული „იდო" ლოგინზე. „იდო" და ორივე გახელილი თვალით ჭერს მიშტერებოდა. მარჯვენა წარბის თავზე, შუბლი მთლად გაშავებოდა. ლოგინი მისთვის, სპეციალურ საწოლზე გაეშალათ, რომლის თავებზეც რკინის ღერძი იყო დამაგრებული. სანდროს თავთან ნინიკო ეჯდა, გვერდით კი მარიეტა. ნეტავ, ეს წოლილიყო და სანდრო გვერდით ჰყოლოდაო, — გაიფიქრა სიდედრზე კოტიკომ, მაგრამ საწოლის თავთან მჯდარმა ნინიკომ ისე გამეხებულმა გამოხედა, კაცმა ისიც კი გაიფიქრა, — ამას მგონი, ველარც შემოვირიგებო. სხვა დროს კოტიკოს იქნებ შეშინებოდა კიდეც, მაგრამ ახლა, როცა ამდენი საშინელი ამბავი ერთმანეთს ასე უცნაურად დაემთხვა, ცოლის გამოხედვა ფეხზე დაიკიდა და მარიეტას შეეკითხა:

— რა მოხდა?

— რა მოხდა? ეს შენ უნდა გკითხოს, გენაცვალე, კაცმა, — ისე ცივად უპასუხა სიდედრმა, რომ კოტიკო მიხვდა, ყველაფერი მას ჰბრალდებოდა. მაგრამ რა იყო ეს ყველაფერი, ჯერ კარგად არ იცოდა.

— ბავშვია დაკარგული, ბავშვი უკვე სამი დღეა, და ვერც პოლიციამ და ვერც უშიშროებამ ვერაფერი გაგვიგო, — ხელებს იყენებდა ლაპარაკისას ნინიკო.

— რას ნიშნავს, დაკარგული? აკი, გაიპარაო?

— ნეტავ, გაპარული იყოს... — სინანულით ჩაილაპარაკა ნინიკომ.

— ამას რაღა დაემართა, ნაცემია? — იკითხა სიმამრზე კოტიკომ.

— კიბეზე დაგორდა, მენჯის ძვალი აქვს შუაზე გადაჩეხილი, — მოახსენა ნინიკომ.

— ის მხეცები რომ შემოცვივდნენ ნილბებში და, — ჩქარა, ჩქარა, ყველანი გარეთო! — რომ ყვიროდნენ, ფეხშიშველი იყო და იმ სიჩქარეში ვერ მოზომა, — აუხსნა სიდედრმა.

„უპოვია, რა, დრო..." — გაიფიქრა კოტიკომ.

— ანუკი როგორ გაქრა, საიდან? — ისევ შვილს დაუბრუნდა.

— სკოლიდან. გაკვეთილები არ გაუცდენია, მაგრამ არც ქუჩაში გამოსულა. დაჭერილია ოთარი. ამბობს, — გარეთ არ გამოსულა, რომ გამოსულიყო, ხომ ჩამიჯდებოდაო. ერთი საათი ელოდა და მერე დარეკა, ანუკი არ გამოსულა, არც მისი მობილური მპასუხობსო...

— და როგორა ხართ ცოცხლები, მერე? — თითქოს მათ ადანაშაულებსო, ისე შეეკითხა ცოლსა და სიდედრს.

— შენ ჩვენ ცოცხლები გგონივართ?!. — გამოცრა კბილებში, საწოლზე მართლაც მკვდარივით „დადებულმა" სანდრომ.

. შენ მუდამ მკვდარი იყავიო, — კინაღამ წამოსცდა კოტიკოს, მაგრამ ენას კბილი დააჭირა და ისევ ცოლს მიმართა:

— შეგიძლია, დალაგებულად მოიყვე?

— რა? — ვერ მიუხვდა ნინიკო.

— ყველაფერი. ბავშვი დაიკარგა. სახლი დალუქულია, ფირმაში რა ხდება, წარმოდგენა არ მაქვს.

— ფირმაც დალუქულია და ლევანჩოც დაჭერილი, — „ახარა" ნინიკომ.

— მანქანები? — იკითხა კოტიკომ.

— დაყადაღებულია, — მწუხარედ უპასუხა სიდედრმა.

— რა ხდება ამ ქალაქში? — უნებურად აღმოხდა კოტიკოს.

— შენ რა, არ იცი? ვანო რაზმაძე რომ დაიჭირეს, არ იცი?

— რა? — ვანო ხომ კოტიკოს „კრიშა“ იყო და მისი დაჭერა თავისთავად, მის მფარველობაში მყოფთა დაჭერასაც ნიშნავდა. ეს კი უკვე ისეთი დიდი დარტყმა იყო კოტიკოსთვის, რომელსაც, როგორც წესი, ბევრი ვერც უძლებს. მაგრამ რადგან მას ეს დარტყმები პატარა ინტერვალებით მიაყენა ბედმა, კოტიკოსაც სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა გაეძლო, რადგან მისი ყველაზე დიდი სიყვარული — ღვიძლი შვილი, ანუკი გამქრალი იყო და ქონების დაკარგვამ თუ მომავლის პერსპექტივის გაქრობამ მისთვის უკანა პლანზე გადაიწია.

— ჰოდა, მაგის ხალხს დაერივნენ... — დასძინა ნინიკომ, რაც კოტიკოსთვის უკვე ისედაც ნათელი იყო.

— ჰოო, ახლა გასაგებია, — ჩაიბურტყუნა საცოდავად და მიხვდა, რომ ბევრად უარესად ჰქონდა საქმე, ვიდრე აქამდე ეგონა.

— შენი ბედი, რომ გადაკარგული იყავი, თორემ ახლა შენც ლევანჩოს გვერდით იჯდებოდი ცხრაკლიტულში, — სამძიმარივით წარმოთქვა სიდედრმა.

— მერე, სად ათენებთ, სად აღამებთ, ვისთან გადახვედით? — იკითხა კოტიკომ.

— სადაც გვხედავ... შენ რა, არ წაიკითხე აბრაზე, სად შემოხვედი? — მოკლედ მოუჭრა ნინიკომ.

— თავზე ასე ლაფდასხმული ვისთან გინდა მიხვიდე? ან მიგვიღებს კი ვინმე, ამ მთავრობის შიშით?!

„მაშ, კიდევ კარგი, ამ კაცმა კისერი მოიტეხა“, — გაიფიქრა კოტიკომ და სიმამრის გაშავებულ სახეს კიდევ ერთხელ დახედა. „ცხვირიც, რომ დაჰგრძელებია და წასწვეტებია!.. ნამდვილი ცოცხალი „ტრუპია“, — გაიფიქრა და კიდევ ერთი შეკითხვა დასვა:

— ფული? საიდან ამ ყველაფრის ფული?

— მე მქონდა ცოტაოდენი სალაროში.

— მე რომ მპარავდი ხოლმე, არა? — ახლაც კი არ დაინდო მეუღლე კოტიკომ. — და რამდენ ხანს აპირებთ საავადმყოფოში ცხოვრებას?

— ამის მენჯს, რომ შეხორცდეს, ექვსი თვე მაინც უნდა.

ნინიკომ არაფერი უპასუხა, მხოლოდ გამგმირავი მზერა სტყორცნა და მის მხარეს უნერწყვოდ გადააფურთხა.

კოტიკო ხვდებოდა, რომ მისთვის ყველაზე დიდი პრობლემა, ანუკის მოძებნა იქნებოდა. ისიც მაგრად ინანა, რომ უცხოეთშივე, თურქეთში ყოფნისას არ მისწვდა მის ყურს ეს ყოველივე: მაშინ ხომ სომხეთში გაფრინდებოდა და აქედან გაღწევა ოცნებად აღარ ექცეოდა! თუმცა, როგორ მისწვდებოდა? მთელი სამყაროსგან გათიშულს, საყვარლის მკერდზე ჰქონდა თავი დადებული და მის ტკბილ

კერტებს აღუსავით ლოღნიდა. „აი, შედეგიც“, — დაასკვნა და უცნაური სტრატეგიული გეგმა შეადგინა. პირველი, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა, ის სეიფი იყო, რომელიც კაბინეტში ედგა და რომლის გასაღებიც მხოლოდ მას ჰქონდა. მთელ ფულს მუდამ იქ ინახავდა და ამ ფულის არსებობის შესახებ, მის გარდა, არავინ არაფერი იცოდა, რადგან სეიფს საიდუმლო განყოფილება ჰქონდა. თვალის ასახვევად კი, ფულის რაღაც ნაწილი ამ განყოფილების გარეთაც ეყარა. ასე რომ, კოტიკოს პირველ რიგში, როგორმე, თავისი სეიფი უნდა ჩაეგდო ხელში. მერე კი ანუკისაც მიაგნებდა და თავსაც როგორმე უშველიდა. „მწვანეების“ მეშვეობით, რა თქმა უნდა. მაგრამ როგორ, რანაირად? იცოდა, რომ ლევანჩოს გარდა, აბსოლუტურად ყველა თანამშრომელი უყოყმანოდ გაყიდდა. რადგან, ამ დროის კვალობაზე, ისიც ყველას, მიზერულ, უმცირეს ხელფასს უხდიდა.

— პირველ რიგში, ანუკია მოსაძებნი, ამას არაფერი მოუვა... — ლამის წამოსცდა, — ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო, — მაგრამ ბოლო მომენტში ენას კბილი დააჭირა.

საავადმყოფოდან გამოსული კოტიკო ტაქსიში ჩაჯდა და თავის დამლაგებელთან, აზასთან გავარდა. მისი სახლი კარგად იცოდა, რადგან აზამ პირველი ხელფასით მაღარიჩი გადაიხადა და თანამშრომლები სახლში დაპატიჟა.

— ვა, კოტიკოჯან, შენ არ დაიჭირეს? შენ ისევ გარეთ არის? — მაგრად გაუკვირდა კოტიკოს დანახვა აზას.

მერე კი დასხდნენ და ქალმა ბევრად დალაგებულად მოუყვა ყველაფერი, ვიდრე ცოლმა და სიდედრმა.

— სენ სვებულება სახვედი და ჩვენი მოლარე, როზი, მაშინვე, ფაფუ. როზი — ფაფუ, სენი სეიფი — ფაფუ. მე ბევრი ეძებოს, ყველა ოთახი, მაგრამ ვერ იპოვოს, ჰო, ალბათ საიღო, სხვა რა? მერე პოლისია, როსა კანტორა დალუქოს, შენი საბუთები ეძებოს, ყველაფერი გადაატრიალოს, ვერც საბუთები და ვერც სეიფი ვერ იპოვოს. აბა, როგორ იპოვოს, როსა ერთი კვირა ადრე დაიკარგოს... ისე სავიდნენ, ერთი საბუთი ვერ იპოვოს. ვერს მოლარე ვერ იპოვოს, ვერს სახლი, ვერს ქალაქი. სასხალი ლევანსო დაიყიროს. კანტორა ხო დალუქოს, მერე ქარხანას დალუქოს, მერე, ჟერ მტელი ეს ღინო დააქსიოს... აესე შლანგები და ეს ღინო მტელი ქარხანა გარესხოს, ხო, ხო, გარესხოს, ეს ღინო, „ბრაკი“, ფალსი-ფულსი არისო, აბა? ამოდელა ზარალი ვინ უნდა ზღას, ჰა? ამოდელა ზარალი, აბა?

— ხომ არ გახსოვს, აზა, როდის გაქრა ჩემი კაბინეტიდან სეიფი?

— როგორ არ ახსოვს, აბა რა... ორშაფათ დილით მიხვედი, სეიფი — ფაფუ... ორშაფათი იყო, როგორ არ ახსოვს, კარგად ახსოვს...

კოტიკოსთვის აზასთან საუბრის შემდეგ, უკვე ყველაფერი გასაგები იყო. ის, რაც გაიგო, კარგიც იყო და ცუდიც. ის, რომ საფინანსოს, ფირმის საბუთები ხელში არ ჩაუვარდა, არაფერს ნიშნავდა. მათ საბაბი მიეცი და ნებისმიერ კერძო თუ სახელმწიფო მოხელეს უსაბუთოდაც რომ თავისუფლად დაასამარებენ, ეს კოტიკომ მშვენივრად უწყოდა. აი, სეიფი რომ წინასწარ გაქრა, ეს კი მართლაც კარგი იყო. რადგან ის რომ ძალოვნებს ჩავარდნოდათ ხელთ, „პრაშჩაი“, კოტიკო თავის ფულებს სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა, ახლა კი, რაღაც იმედი კიდევ იყო, რომ თავის სეიფს მიაგნებდა და ეგებ, ფულიც გადარჩენილი იყო და თავის ადგილზე იდო? ნუთუ როზიმ საიდუმლო განყოფილების შესახებ რამე იცოდა? მაშ, რა ჯანდაბად უნდოდა ცარიელი რკინა, რატომ მოიკიდებდა და წაიღებდა? „ჩათლახი... იცოდა, ნაღდად იცოდა რაღაც“, — დაასკვნა კოტიკომ და უნებურად გაიფიქრა: „კიდევ კარგი, იცოდა, კიდევ კარგი“.

ახლა კი, პირველ რიგში, არა ანუკის, არამედ როზის მოძებნა იყო საჭირო, მაგრამ როგორ გინდა მიაგნო ქალს, რომელსაც პოლიცია ეძებს და ისიც კი ვერ პოულობს?!. მაგრამ ეძებს კი პოლიცია? ალბათ — კი, ფულის გამო. ეს დასკვნაც უტყუარი იყო. თუმცა იმედი მაინც დიდი იყო, რადგან ჩვენი პოლიციის ნაპოვნი და აღმოჩენილი დამნაშავენი რომ თითზე ჩამოსათვლელია, ესეც ხომ მთელ ქვეყანას მოეხსენება. და კოტიკო როზის ძებნას შეუდგა. თუმცა მანამდე, იმ მცველის დადგენა და ნახვა იყო საჭირო, ვინც ფირმიდან სეიფის გატანისას მორიგეობდა, ვინც, მისი აზრით, როზიმ ალბათ, მიზერული თანხით მოისყიდა.

პირველ რიგში, სანაპიროზე გახსნილი, მანქანების პარკიდან, დღეში ორმოცდაათ ლარად, მცირელიტრაჟიანი „ფორდ-სიერა" იქირავა. ფირმის მორიგე ანუ მცველი, რომელიც სეიფის გაქრობის დღეს მორიგეობდა, ადვილად გამოთვალა. ის, სწორედ ლერი სიგუა აღმოჩნდა, რომელიც კოტიკოს მაგრად არ მოსწონდა და ვისი მორიგეობის დღესაც, მუდამ თარს დღედ მიიჩნევდა. იფიქრა, ვინ იცის, იდეა მისგან მოდიოდა კიდეცო. თავიდან, დაცვის უფროსს, მარლენ მაღრაძეს სთხოვა კიდეც, — მომაშორე, რა, ეგ კაცი, ვერ ვიტანო. ისიც დაჰპირდა, მაგრამ რამდენიც ლერის მორიგეობის დღე დადგებოდა, კართან დადგმულ მაგიდასთან ისევ მუდამ ის იჯდა — საშუალო ტანის, ზედმეტად თავმოდრეკილი და წესიერი, გამაღიზიანებლად წესიერი კაცი... მობილურში ყველა მორიგის ტელეფონის ნომერი ჰქონდა. ნახა და საქალაქო ტელეფონიდან დარეკა. ვიღაც ხანში შესულმა ქალმა უპასუხა. კოტიკომ მისამართი ჰკითხა და მალე ათონელის ქუჩაზე სამსართულიანი ძველი სახლის ეზოში გააჩერა მანქანა. ხის კიბე აიარა და მეორე სართულზე, როგორც ქალბატონმა მიასწავლა, მარჯვენა კარზე დარეკა ზარი. ლერი შინ არ დახვდა, რამაც კოტიკოს ეჭვი გაუათკეცა.

— ორი კვირაა, შინ არ გაუთევია, ორ-სამჯერ დარეკა და გვითხრა, — ჩემზე ნუ იდარდებთ, კარგად ვარო, — მეტი არაფერი ვიცით ჩვენ, შვილო, — მოახსენა დედამისმა და დააყოლა: — ეგ ხან თვეობით იკარგება, მაგისას რას გაიგებ, ცოლი მაგას არ აწუხებს და შვილი.

გადამოწმება მაინც გადაწყვიტა, ტუალეტი მოიმიზეზა და სახლში შევიდა. სეიფის მაგვარი ვერაფერი შენიშნა. სხვა გზა არ იყო, პირდაპირ თავის მოლარეს, როზის უნდა დასდგომოდა თავზე.

ასეც მოიქცა. როზისთან ნამყოფი იყო. ის მხატვარზე იყო გათხოვილი და ერთხელ ვიღაც უცხოელისთვის, ქმრის ნამუშევარი შესთავაზა — მკრთალ მოცისფრო-მოთეთრო ფერებში შესრულებული ნახატი. სახელიც კი ახსოვდა. იმ ნახატს „ქალი თუთიყუშით" ერქვა. როზი სანაპიროზე მდებარე, კინოსტუდიის თოთხმეტსართულიან კორპუსში, მეთოთხმეტე სართულზე ცხოვრობდა, მეთხუთმეტეზე კი მის ქმარს სახელოსნო ჰქონდა.

კოტიკო ახლა სწორედ მათი ბინის წინ იდგა და ზარის ღილაკს უკვე მერამდენედ უიმედოდ აჭერდა თითს, კარს არავინ აღებდა. არც ბინა იყო დალუქული. მეთხუთმეტეზეც იგივე განმეორდა. ზარს არავინ გამოხმაურებია. საღამო იყო და კოტიკოს გაგიჟებას აღარაფერი უკლდა. როგორ გინდა, ნახევარ მილიონამდე თანხას დაემშვიდობო და კანონგარეშედ გამოცხადებული კაცი, მთლად ცარიელზე დარჩე?! მართალია, მის ფირმას სამ მილიონამდე საბრუნავი თანხა ჰქონდა, ამ გადამალულ ფულს, კოტიკოს აზრით, მაინც არასოდეს თითი არ დაეკარებოდა, ეს ფული შავი დღისთვის ჰქონდა გადადებული, სწორედ ისეთი დროისთვის, როგორშიც ის ახლა იმყოფებოდა. ორივე კარი რკინის იყო, სამ-სამი საკეტი ედო და კოტიკო იმ მომენტისთვის უმწეო იყო, მათი გაღება მხოლოდ სპეციალისტს შეეძლო. ასეთი სპეციალისტი კი, მისი სეიფის საიდუმლო განყოფილების გამკეთებელი, სერგო ჩილინგაროვი იყო, თბილისელი ებრაელი კაცი, ხარატი და რკინის კარის დიდოსტატი. ისე, უბრალოდ, ის ამ საქმეზე არ წამოჰყვებოდა. ფულის შესახებ კრინტის დაძვრა საშიში იყო. არადა, რაიმე უნდა ელონა, როგორმე უნდა დაეყოლიებინა. როგორ? გაგიჟდები კაცი, აბა რა იქნება? როგორმე ისეთი ამბავი ანუ ტყუილი უნდა შეეთხზა, რომ დაეჯერებინა. არადა, რომელი მეგრე მე ვარო?.. — ფიქრობდა. თუ როზიმ სეიფი ქმრის დახმარებით გააქრო, სახელოსნოში შეინახავდნენო, — იფიქრა. ჩილინგაროვს ვერც ქურდობაზე ჩამოუგდებდა სიტყვას და ვერც სეიფზე. უნდა გაერისკა. მეგობარი უცხოეთშია, რაღაც საბუთი დარჩენია და შეამტვრიე და შედიო, — დამავალა; რატომ შევამტვრიო? შენ აქ არა ხარ? გამაღებინეო, — უნდა ეთხოვა. ასეც მოიქცა.

— საინტერესოც კია, — სერგო მაშინვე დათანხმდა. — სამივეზეა დაკეტილი, თუ იცი?

— ეგ აღარ მიკითხავს, — დაიბნა კოტიკო.

— რა მნიშვნელობა აქვს, მაინც გავაღებთ, — დაამშვიდა სერგომ. ჩაიდო „ატმიჩკა" ჯიბეში და გაჰყვა.

მეთხუთმეტე სართულზე მხოლოდ ერთი კარი იყო. იქიდან, პატარა ხის კიბით, სახურავზე გახვიდოდი. დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა სერგომ „ატმიჩკის" წვერი გასაღების ჭრილში შეაცურა. ამ დროს ჭერის ხვრელიდან „ქურდებს" ადამიანის ჩრდილი დაეცათ. სერგომ კარის გაღების მცდელობა განაგრძო. მაღლიდან სამი კაცი ჩამოვიდა. ბოლოს ჩამომავალი, კიბის ბაქანზე შეჩერდა, ხელები გაშალა და სერგოსა და კოტიკოს შეეკითხა:

— თქვენ აქ რას აკეთებთ?

— რას ვაკეთებთ და კარს ვაღებთ, — ხელი აუქნია კოტიკომ არამკითხე მოამბეს.

— მერე რო აღებ, ეს გივიას სახელოსნოა, ძმაო... — მაგრად გაუკვირდა იმ ვიღაცას. ის ორნიც შედგნენ და უყურებდნენ.

— ჰოდა, გივის დავალებით ვაღებთ სწორედ, მაგის ცოლი ჩემი მოლარეა, როზი, — ჩაერია კოტიკო. — რაღაც საბუთი დარჩენიათ, საბერძნეთში უნდა გავუგზავნოთ.

— რა? როზიმ და გივიამაც საბერძნეთში მოხიეს, ტო? — პირი დააღო იმ ტიპმა. — რავი, ბოდიშს ვიხდი, მე მეზობელი ვარ, რა, მეათეზე ვცხოვრობ და უცხოები რომ დაგინახეთ...

— სწორადაც მიქეცი, აბა, რა! — დაეთანხმა კოტიკო და ისევ კარს მიუბრუნდა.

კაცებმა გზა განაგრძეს.

ჩილინგაროვმა თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა, კარი რბილად გაიღო.

— პროფი ვარ, პროფი... — ჩაილაპარაკა სერგომ და ოთახში შეაბიჯა.

კოტიკოს არ მოეწონა. ჯიბიდან ფული ამოიღო.

— რამდენი უნდა მოგცე?

ჩილინგაროვი ჩაფიქრდა.

— ორასი ლარი.

— ორასი ლარი არა, სამასი... დაიჭი ეს ორმოცდაათი და მოტყდი, რა, აქედან!

— არ დავკეტოთ?

— ვიცი, სადაც დევს გასაღები, თავისუფალი ხარ, — უთხრა კოტიკომ და კარისკენ მიანიშნა.

ჩილინგაროვი კი იდგა და თითქოს წასვლას არც აპირებდა.

— ვისი სახლია, მხატვრის? მაგარი კარნიზები აქვს...

ოთახში, სადაც უამრავი ნახატი ეკიდა კედელზე და იატაკზეც ბლომად ეწყო, ჩარჩოში ჩასმული თუ ჩაუსმელი ტილოები, ჩილინგაროვს ჭერის კარნიზები მოეწონა.

— კარნიზები — არა!.. მიდი, რა, საქმე ნახე! წადი, კლიენტი გელოდება, — უთხრა მწყრალად კოტიკომ.

— წავედი. დაგჭირდები — დარეკე!

— კი, კი... — კოტიკომ ლამის ხელი ჰკრა „პროფს", რომ გარეთ გასულიყო და კარი მიეკეტა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საკვანძოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეხედოთ თვალი

1. დომინო საფრანგეთში გამოიგონეს. თავდაპირველად, ვისთვის იყო ეს თამაში განკუთვნილი?

2. ეს კომპოზიტორი ძალზე უდისციპლინო ადამიანი გახლდათ. ერთხელ დირიჟორობისას სიგარეტსაც კი ეწეოდა. დაასახელეთ იგი.

3. რატომ ეძახიან ევკალიპტს „უჩრდილო ხეს“?

4. XIX საუკუნის შუა წლებში, ლონდონში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა საფრთხე დამუქრებოდა ბრიტანეთის დედაქალაქს უახლოესი ასი წლის განმავლობაში. რას შიშობდა ლონდონელთა უმრავლესობა?

5. ჰემინგუეის რომელი ნაწარმოები იწყება სიტყვებით: „ჰავანა ხომ წარმოგიდგენიათ დილაადრიან?..“

6. თეზევსის მიერ ისთმოსში დადგმულ სასაზღვრო სვეტზე ორი წარწერა იყო გაკეთებული. აღმოსავლეთ მხარეზე იკითხებოდა: „პელოპონესი არ არის, აქ იონიაა“. რა ეწერა დასავლეთის მხარეზე?

7. ვინ მიიჩნევა ლონდონში ჭეშმარიტ ლონდონელად?

8. XVIII საუკუნეში, გერმანელ არისტოკრატებში პოპულარული იყო ე.წ. „ხის ბიბლიოთეკები“. „წიგნებად“ გამოიყენებოდა ხის ყუთი, რომელიც გარკვეული ჯიშის ხის მერქნით იყო მოპირკეთებული. რა ინახებოდა ყუთში?

9. გორკი, კიროვი, ორჯონიკიძე, ინესა არმანდი, კუიბიშევი, კრუპსკაია, გაგარინი, კლარა ცეტკინი. რა აქვთ საერთო ამ ადამიანებს?

10. რა ერქვა ქიზიყში ჯარიმას, რომელსაც ჩხუბში დამნაშავე დაზარალებულის სასარგებლოდ იხდიდა?

11. რითი დაიღუპა რიჩარდ ლომგულის ძმა, პრინცი ჯონი?

12. 1683 წელს, თურქეთის არმიამ ვენის მისადგომებთან მარცხი განიცადა. სხვა ალაფთან ერთად, ავსტრიელებმა აქამდე მათთვის უცნობი მცენარის მარცვლით სავსე ასეულობით ტომარაც იგდეს ხელთ. გამარჯვებულებმა ეს მარცვლები აქლემების საჭმელად მიიჩნიეს. ერთ-ერთმა მოქალაქემ, ფრანკ კოლშიცკიმ ითხოვა, ეს ნადავლი მისთვის ეჩუქებინათ. მოგვიანებით, ამ ტომრებმა მას სახელი და სიმდიდრე მოუტანა. რა იყო მათში?

13. როგორ ეძერს სუახილის ენაზე „ლომი“?

14. რა არის შედლუხი?

15. ვის ეძახდა ლევან საკინიძე „ქალაქთმშენებლობის მსოფლიო მანიაკს“?

ანეკდოტები

***

— უმაღლესში ჩააბარე?
— კი, სამედიცინოზე!
— ვაა, მაგარია. მე კიდევა, ვეტერინარულზე ჩავაბარე. რომ დავამთავრებთ, შეგვიძლია, ერთმანეთს ვუმკურნალოთ ხოლმე!

***

კოჭლი, უკბილო, მელოტი და ჩამოძონძილი მამაკაცი პაემნების ბიუროში მიდის:



— ახალგაზრდა, მდიდარ, ლამაზ და პატიოსან ქალზე მსურს დაქორწინება.
— ალბათ ხვდებით, რომ ასეთი ქალი ცოლად არ გამოგყვებათ, თუ რა თქმა უნდა, სულელი არ არის.
— არა უშავს, იყოს სულელი.

***

ერთი კაცი მეორეს ეკითხება:
— საინტერესოა, კოღოსგან შიდსს აიკიდებ?
— რა, ქალები გამოილია, შე კაცო?

***

ექიმი პაციენტს სინჯავს და თავს აქნევს:
— იცით, რაღაც არ მომწონხართ.
— შენა მყავხარ დახატული, ბებიაშენისამ! — გაბრაზდა პაციენტი.

***

სვანი შედის აფთიაქში.
— „კლიზმა“ გაქვთ?
— არა.
— მაშინ 20 ცალი „პიპეტკა“ მომეცით.

***

— ეს სოკოები სად მოაგროვეთ?
— მეზობლის აივანზე.
— როგორ? სოკო აივანზე იზრდებოდა?
— არა... შრებოდა...

***

არჩევნებზე მისულმა სვანმა იკითხა:
— არადანი ვინ არის?

***

სპორტულ მაღაზიაში:
— პარაშუტი გაქვთ?
— გვაქვს.
— სანდოა?
— რა თქმა უნდა.
— როგორ იხსნება?
— ავტომატურად... მიწასთან შეჯახებისთანავე.

***

ქუთაისელი ოფიციანტს ეუბნება:
— კიდევ 20 ხინკალი მოგვიტანეთ!
— არ გეყოთ, თუ მოგეწონათ?

***

— სიყვარული მართლაც, მარადიულია.
— მართალი ბრძანდებით... პარტნიორები იცვლებიან, მხოლოდ.

***

მეგრელმა ძაღლი მოკლა. მეზობელი ეკითხება:
— რატომ მოკალი.
— აფერისტებს უყეფდა.

— მერე, შენ რა?
— ბოლო დროს მე მომდგა.

***

— რას ჩამოგტირის თავპირი?

— კლაუდია შიფერი ვნახე, პლაჟზე მწოლიარე და ეგრევე თავზე დავაცხერი.

— მერე?!.

— ვიღაც ბებია შემრჩა ხელში, „პლეიბოი“ ეხურა თავზე.

***

ჟურნალისტმა 120 წლის მოხუცს ინტერვიუ ჩამოართვა და წასვლისას დაემშვიდობა:

— იმედია, 10 წლის შემდეგ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს.

— ეჭვი არ მეპარება, — უპასუხა მოხუცმა. — მშვენივრად გამოიყურები, შვილო.

***

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, ახლა ძალიან გაგაბედნიერებ!

— აგაშენა ღმერთმა, მაგრამ იცოდე, ძალიან დამაკლდები.

***

— გუშინ ძალზე უცნაური რამ შემემთხვა.

— მაინც, რა?

— შინ ნასვამი მივედი და საძინებელში ჩუმად შევიხედე. ვხედავ, ჩემი ცოლის გვერდით ვიღაც წევს.

— მერე?

— გავსივდი გულზე, დაბოღმილი სამზარეულოში გავედი, მაცივრის კარი გამოვაღე და ერთი ბოთლი არაყი სულმოუთქმელად დავლიე.

— მერე?

— რა, მერე... საძინებლიდან ის ტიპი გამოვარდა და სულ პანღურით გამომაგდო სახლიდან. თურმე, სხვის ბინაში შევსულვარ...

***

— უფროსო, დღეს რა გვაქვს სადილად? — ეკითხება ჯარისკაცი მზარეულს.

— ბორშჩი.

— ხორცი იქნება შიგ?

— ხორცს კი არა, კომბოსტოსა და კარტოფილს ჩაგიჭრით კიდევ!..

***

— შენი ცოლი დღითი დღე ლამაზდება.

— შენ რა იცი?

— გუშინ დაგინახეთ, მანქანაში.

— ის ჩემი ბულდოგი იყო, ვასეირნებდი...

***

— რომელი ფრინველია ყველაზე სასარგებლო?

— შემწვარი წიწილა.

***

— ისეთივე შავი სინდისი გაქვთ, როგორიც თავზე თმა! — ლანძღავს მოსამართლე ბრალდებულს.

— ბატონო მოსამართლევ, თქვენ რომ საერთოდ არა გაქვთ თავზე თმა?!.

***

ბავშვები ეზოში თამაშობენ:

— მე დედაჩემის ცხვირი და მამაჩემის თვალები მაქვს, — ამბობს ერთი.

— მე ბაბუის შუბლი და ბიძაჩემის ნიკაპი მაქვს, — ამბობს მეორე.

— მე კი ჩემი ძმის შარვალი მაცვია, — ამბობს მესამე.

ჭრილების საფარჯიში

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. გონებასუსტი ბავშვებისთვის.
2. ბრამსი.
3. მისი ფოთლები მზისკენ გვერდულადაა შებრუნებული.
4. გამოკვლევის შედეგებით, ლონდონელთა უმრავლესობა შიშობდა, რომ დედაქალაქი ცხენის ნაკელით აივსებოდა.
5. „ჰარი მორგანი“ („ქონა-არქონა“).
6. „პელოპონესია აქ და არა იონია“.
7. ის, ვინც სენტ-მერი-ლე-ბოუს ეკლესიის ზარის ხმის გავრცელების არეალშია დაბადებული.
8. მასში ამავე ხის ნაყოფის, თესლის, ფესვის, ფოთლის ნიმუშები, მერქნის ნახერხი და ხის აღწერილობა იდო.
9. თითოეული მათგანი კრემლის კედელშია დაკრძალული.
10. საუდიერო.
11. ღორმუცელობით: ჯერ ატამს მიაძლა, მერე ახალი ლუდით გაილეშა და ბოლოც მოეღო.
12. ყავა. კოლშიცკიმ ევროპაში ერთ-ერთი პირველი ყავახანა გახსნა.
13. „სიმბა“.
14. ასე ეძახდნენ გურიაში თოფის ხშირ, საზეიმო სროლას.
15. ალექსანდრე მაკედონელს. მაკედონიის მეფეს ოთხმოცამდე ქალაქი, ალექსანდრიები, ალექსანდრეპოლისები, ნიკიები და ნიკიფორიები ჰქონდა აშენებული.

რა არის ფრიგიდულობა

„გზის“ წინა ნომერში, რუბრიკაში — „ჩვენი მკითხველი“ დაიბეჭდა მესიჯი, სადაც უცნობი გოგონა გვთხოვდა, დაგვებეჭდა რაიმე ქალის ფრიგიდულობის შესახებ. ჩვენ გავითვალისწინეთ მკითხველის თხოვნა და შევეცადეთ, ამ თემასთან დაკავშირებით, მისთვის ამომწურავი პასუხი გაგვეცა.

ფრიგიდულობა ანუ სქესობრივი სიცივე (ლათ. frigidus – ცივი) ქალებში სექსუალური ლტოლვის (ლიბიდოს) დაქვეითება (რაც ხშირ შემთხვევაში სრულ გულგრილობასა და სიახლოვის მიმართ ზიზღშიც ყი გადაიზრდება) და სქესობრივი აღგზნებადობის დაბალი დონის არსებობაა.

ფრიგიდულად (ანუ „ცივად“) მიიჩნევა ქალი, რომელსაც არასოდეს, არც ერთ პარტნიორთან (მიუხედავად მის მიმართ ემოციური დამოკიდებულებისა) ურთიერთობისას არ განუცდია ძლიერი აგზნებადობა და ორგასმი; ან საერთოდ არ მიულწევია სქესობრივი აღგზნებადობისთვის.

რა იწვევს ფრიგიდულობას?

განასხვავებენ ორგვარ ფრიგიდულობას — ბუნებრივსა და წარმოსახვითს.

ბუნებრივი ფრიგიდულობა, სქესობრივი ლტოლვის მგრძნობელობის კომპონენტის თანდაყოლილი განუვითარებლობის, ინფანტილურობის შედეგია. ამგვარი პათოლრგია იშვიათია. უმეტესწილად, ფრიგიდულობა **წარმოსახვითია** და შეიძლება განვითარდეს ორი მიზეზით: ფიზიოლოგიურითა და ფსიქოლოგიურით.

ფიზიოლოგიური ფრიგიდულობა შეიძლება სხვადასხვაგვარი დაავადების (ინტოქსიკაცია, ჰორმონული დარღვევა, ენდოკრინული მოშლილობა, ცენტრალური ნერვული სისტემის ან თავის ტვინის ტრავმული ან სიმსივნური დაზიანება, გინეკოლოგიური დაავადებები და ა.შ.) ფონზე ჩამოყალიბდეს. არცთუ იშვიათად, ამგვარი მდგომარეობა თავს იჩენს მაშინ, როდესაც სექსუალური აქტის ფონზე, ქალს მტკივნეული შეგრძნებები ტანჯავს. ეს ძირითადად, მის ორგანიზმში მიმდინარე სასქესო ორგანოების ანთებითი პროცესების დროს ხდება.

ფიზიოლოგიურზე გაცილებით ხშირია **ფსიქოლოგიური ფრიგიდულობა**. ასეთ დროს, ქალის სექსუალურობის გამოვლენა სხვადასხვა ფსიქოგენური ფაქტორის (უხეში მოპყრობა მამაკაცის მხრიდან — განსაკუთრებით სქესობრივი ცხოვრების საწყის ეტაპზე; ქალის სქესობრივი უმწიფრობა და დაორსულების შიში; გაუპატიურების მცდელობა, რჩეულით განხიბვლა და ა.შ.) ზემოქმედებით ფერხდება.

სქესობრივი მოშლილობის მიზეზი შეიძლება ასევე გახდეს ის მტკივნეული და ამავე დროს, ფსიქოლოგიურად ერთობ უსიამოვნო შეგრძნებები, რომელიც ქალმა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის (აბორტის) დროს გადაიტანა. ქალს ამ დროს, მამაკაცის — როგორც ამ ყველაფერში „დამნაშავის“ მიმართ აგრესია უჩნდება. შესაბამისად, სქესობრივი კონტაქტისას ქალი იჩენს პასიურობას და არცთუ იშვიათად, პარტნიორის მიმართ ზიზღის გრძნობაც ეუფლება.

რა ხდება სინამდვილეში?

ფრიგიდულობის დამახასიათებელი ნიშნებია სექსუალური კონტაქტისკენ ლტოლვის არქონა, სქესობრივი აქტის დროს საპასუხო რეაქციების არარსებობა და ამავე დროს, ემოციური და ფიზიოლოგიური დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამოვლინდება თავისთავად, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს ქალს და რამდენად მაღალია მისი მხრიდან ამ ფაქტის შეგნების დონე. ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ არცთუ იშვიათად, ქალს, რომელიც სრულიად გულგრილია სექსის მიმართ, უჩნდება სურვილი, თავი მოაწონოს მამაკაცებს და არც მათთან ფლირტზე ამბობს უარს.

ფრიგიდული ქალები, გათხოვების შემდეგ, უმეტესწილად კარგი და მზრუნველი ცოლები, მოსიყვარულე დედები ხდებიან და ქმართან ფიზიკური სიახლოვისას, სიამოვნებასაც განიცდიან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიამოვნება უფრო ფსიქოლოგიური ხასიათისაა: ქალი კმაყოფილია იმით, რომ საყვარელ ადამიანს მასთან სიახლოვით ბედნიერებას ანიჭებს.

ქალები ხშირად არასწორ დამოკიდებულებას ავლენენ თავიანთი სექსუალური პრობლემების მიმართ ან ქვეცნობიერად არ უნდათ ამის შეგნება. რაშიც განსაზღვრულ როლს თამაშობს ისეთი მიზეზებიც, როგორიცაა შიშისა და სირცხვილის გრძნობა.

ზემოთ აღნიშნული ფიზიოლოგიურ-ემოციური დაუკმაყოფილებლობა ქალის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება: ზიანს აყენებს მის ფსიქიკას, იწვევს ნერვულ აშლილობას, თავის ტკივილებს, ადრეულ სიბერეს.

დიაგნოზი

ფრიგიდულობის დიაგნოზი ექიმმა-სექსოლოგმა უნდა დასვას. საიმისოდ, რომ ფიზიოლოგიური მიზეზები გამოირიცხოს, საჭიროა გინეკოლოგისა და ენდოკრინოლოგის (შესაძლებელია, სხვა ექიმებისაც) კონსულტაციები. შესაძლებელია, საჭირო გახდეს ფსიქოლოგის ჩარევაც, ფრიგიდულობის ფარული მიზეზების გამოსავლენად.

მკურნალობა

ფრიგიდულობა დაავადებაა, და როგორც ნებისმიერი სხვა დაავადება, კვალიფიციურ მკურნალობას საჭიროებს. ფიზიოლოგიური დარღვევების გამოვლენის დროს, აუცილებელია დაავადების გამომწვევი მიზეზის პოვნა და აღმოფხვრა. მკურნალობისას შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ფსიქოლოგიური, ასევე მედიკამენტოზური მეთოდები, ფიზიოთერაპია, რეფლექსოთერაპია.

პროფილაქტიკა

ფრიგიდულობის პროფილაქტიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, პარტნიორებმა შეიქმნან ისეთი გარემო, სადაც მაქსიმალურად გათავისუფლდებიან ყოველგვარი კომპლექსისა თუ შეზღუდვისაგან. სიჩქარე, უდროობა, ორსულობის შიში თუ სხვა ამგვარი ფაქტორები უარყოფითად მოქმედებს ლიბიდოზე. ბევრი ქალის სქესობრივი ცხოვრება არ პასუხობს მის სექსუალურ მოთხოვნილებებს, რისი მიზეზიც მისი მეუღლის არასწორი, უმეცარი და ნაჩქარევი მოქმედებებია. მამაკაცების უმეტესობას აქცენტი სწორედ სექსუალურ აქტზე გადააქვს და სრულიად არ მიიჩნევს საჭიროდ აქტის წინა პერიოდს — საალერსო სიტყვებს, მოფერებას; სრულებით არ უწევს ანგარიშს იმას, რომ რაც უფრო გახსნილად გრძნობს თავს ქალი, ფსიქოლოგიურად მით უფრო იოლად და სწრაფად გადაერთვება „ინტიმურ ტალღაზე" — ანუ რაღაც ეტაპზე შეამჩნევს, რომ მამაკაცის ალერსი შინაგან მოთხოვნილებად ექცა, ამის სურვილს სულ უფრო და უფრო მძაფრად იგრძნობს და დროთა განმავლობაში უკვე ფიზიკური სიახლოვის სურვილიც გაუჩნდება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მხოლოდ საყვარელ ადამიანზე ზრუნვით მიღებულ ბედნიერებასთან. ■

მარადიული ახალგაზრდობა რომ შეინარჩუნოთ...

იაპონელები საშუალოდ 79 წელს ცოცხლობენ, ავსტრალიელები, ბერძნები, კანადელები და შვედები — 78 წლამდე; გერმანელები და ამერიკელები დაახლოებით 76 წელს. დანარჩენ ქვეყნებში კი სიცოცხლის ხანგრძლივობა თანდათანობით იკლებს. ექიმების, ფსიქოლოგებისა და დიეტოლოგების საერთაშორისო ჯგუფმა რამდენიმე მეთოდი შეიმუშავა, რომელიც ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს და ცხოვრებას უფრო სასიამოვნო ელფერს სძენს.

ზომაზე მეტად ნუ დანაჭრდებით

ჩვეული 2500 კალორიის ნაცვლად, 1500 კალორიას დასჯერდით. ნუ იშიმშილებთ, მაგრამ იკვებეთ ზომიერად.

მენიუ ასაკის შესაფერისი უნდა იყოს

30 წელს მიღწეულ ქალბატონებს პირველი ნაოჭები გაცილებით გვიან გაუჩნდებათ, თუ რეგულარულად მიირთმევენ ღვიძლს და თხილს. 40 წელს გადაცილებულებს ბეტაკაროტინი ესაჭიროებათ; 50 წლის ზემოთ აუცილებელია კალციუმის დოზის გაზრდა (ძვლებისთვის) და მენიუში მაგნიუმის ჩართვა (გულისთვის).

მოძებნეთ შესაფერისი სამსახური

როგორც ფრანგი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, სამსახური ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად საუკეთესო საშუალებაა. უმუშევარი ადამიანი ასაკთან შედარებით ხუთი წლით ხნიერად გამოიყურება.

იპოვეთ მეორე ნახევარი

სიყვარული ხომ სიბერის დაუძინებელი მტერია. საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნისას, ადამიანის ორგანიზმი გამოიმუშავებს ენდორფინს — ე.წ. ბედნიერების ჰორმონს, რომელიც თავის მხრივ, ახალგაზრდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

ნუ მიჰყვებით ცხოვრების დინებას პასიურად, თამამად გამოთქვით საკუთარი მოსაზრება

ასეთნაირად გაცილებით იშვიათად ჩავარდებით დეპრესიაში.

იმოძრავეთ

ყოველდღიურად, 10-წუთიანი ვარჯიშიც საკმარისია სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

იძინეთ გრილ ოთახში

ვისაც უმეტესწილად 17-18 გრადუს ტემპერატურაზე სძინავს, უფრო დიდხანს ინარჩუნებს ახალგაზრდობას. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა და ასაკობრივი თავისებურებების გამოვლენა გარემო ტემპერატურაზეცაა დამოკიდებული.

ბოლმას გულში ნუ ჩაიხვევთ

ვინც გამუდმებით დაბოღმილია, საკუთარ თავში იკეტება, გარშემო მყოფებთან კამათსაც ერიდება და აქტიურ ურთიერთობასაც, გაცილებით მეტად მიდრეკილია დაავადებებისკენ, მათ შორის — ონკოლოგიურისკენაც. საერთაშორისო ტესტირების თანახმად, სიმსივნით დაავადებულ რესპონდენტთა 64 პროცენტი ბრაზს ყოველთვის გულში იკლავდა.

ავარჯიშეთ გონება

შეავსეთ კროსვორდები, ითამაშეთ კოლექტიური თამაშები — ისეთები, რომლებიც მახვილ გონებასა და სხარტ აზროვნებას მოითხოვს; შეისწავლეთ რომელიმე უცხო ენა; ითვალეთ გონებაშიც და არა მარტო კალკულატორის მეშვეობით. როდესაც ტვინს მუშაობას აიძულებთ, გონებრივი შესაძლებლობების ასაკობრივი დეგრადაციის პროცესს აჩერებთ, ამავდროულად, გულის, სისხლძარღვების და ნივთიერებათა ცვლის პროცესის მუშაობას ააქტიურებთ. ■

რუბრიკა მოამზადა
ეკა გუნთაიშვილმა

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №27-45

ვასილიჩი ტელეფონის გაბმულმა ზარმა გამოაღვიძა. გაბრუებულმა გაჭირვებით აზიდა თავი, შუქი აანთო და მობილურ ტელეფონს გადასწვდა. აღმოჩნდა, რომ მისი თანაშემწე რეკავდა.

— რა მოხდა?! — ბრაზით აღსავსე ხმით უპასუხა ვასილიჩმა. — რამდენჯერ გაგაფრთხილე: ღამით არ შემაწუხო-მეთქი!

— გადაუდებელი საქმეა. დილამდე ვერ მოვიცდიდი, — უპასუხა თანაშემწემ.

— რა მოხდა? — მაშინვე გამოცოცხლდა ვასილიჩი.

— პოპოვის ხალხი „ვერშინის“ ობიექტებს არბევს. ყველაფერს ჩხრეკენ... ოფისებს, სასტუმროებს, ჩვენი ხალხის ბინებს! ვინც წინააღმდეგობას უწევს, აჰყავთ! ცოტა ხნის წინ, ჩუმას სახლშიც მივიდნენ. თვითონ ვოვა არსად ჩანს. ოჯახის წევრებმა სახლში არ შეუშვეს. პოპოვმაც არ დათმო. მოკლედ, მაგრად დაეტაკნენ ერთმანეთს. „ოპერებმა“ ჩუმას ოჯახის წევრები აიყვანეს და ახლა სახლს ჩხრეკენ...

— კეთილი... გასაგებია, — აღარ გააგრძელებინა ვასილიჩმა. — მოვდივარ!..

ვოვას სახლთან ვასილიჩს ათამდე პოლიციის მანქანა დახვდა. ოც თუ ოცდახუთ პოლიციელს, სახლისთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული. ოპერატიული ჯგუფი კი სახლსა და ეზოს ჩხრეკდა.

— შეჩერდი!.. სახლში შესვლა არ შეიძლება! — მანქანიდან გადმოსული ვასილიჩი პირველსავე შემხვედრმა პოლიციელმა შეაჩერა.

— ჩუმას ადვოკატი ვარ! — ვასილიჩმა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გაუწოდა.

პოლიციელმა ყურადღებით დაათვალიერა დოკუმენტი, შემდეგ რაცია მოიმარჯვა და ვასილიჩის შესახებ თავის ხელმძღვანელობას მოახსენა. რა უპასუხა ხელმძღვანელობამ, ვასილიჩისთვის გაურკვეველი დარჩა, მაგრამ ორიოდ წუთში სახლის ეზოდან პოპოვის მოადგილემ გამოაბიჯა და ადვოკატს გაყოლა უბრძანა.

— სად მივდივართ?! — დაიბნა ვასილიჩი, როდესაც სახლის მიმართულების ნაცვლად, პოლიციელი საპირისპირო მხარეს დაიძრა.

— ოლქის პოლიციის უფროსთან.

— სად არის პოპოვი?

— სად უნდა იყოს?! — გაიკვირვა მოადგილემ. — ოლქის სამმართველოში.

— ჯერ ჩუმას ოჯახის წევრებს შევხვდები. ჩხრეკისას შემდგარ ოქმს უნდა გავეცნო, — შეეწინააღმდეგა ადვოკატი.

— არ წამოხვალ? — ცივად ჰკითხა მოადგილემ.

— არა.

— შენი საქმეა, მაგრამ გაფრთხილებ, ჩხრეკის დამთავრებამდე, სახლში ვერ შეხვალ!

— რაა?! — ბრაზი მოერია ვასილიჩს. — რა უფლებით?! დაგავიწყდა, ვინ ვარ?!

— ბანდის ადვოკატი!.. — მოადგილემ პაუზის შემდეგ დასძინა: — შენი გადასაწყვეტია, ვასილიჩ. გინდ, წამოდი, გინდ — არა! სახლში, ჩხრეკის დამთავრებამდე, ფეხს ვერ შეადგამ!

— რა გაქვთ ჩაფიქრებული, იური? — ხმას დაუწია ვასილიჩმა.

მოადგილემ მიმოიხედა. მერე წინ გადაიხარა და ჩურჩულით უპასუხა.

— კარგი კაცი ხარ, ვასილიჩ. როგორც ადამიანი და როგორც იურისტიც. ისიც ვიცი, რომ მეგობრობაც შეგიძლია. მაგრამ აღარაფერი გამოგივა. „ვერშინის“ საქმე წასულია. დღეს-ხვალ ეს ყველაფერი წარსულის მოგონებად გადაიქცევა და მაგ ბანდას ნუ გადააყოლებ თავს. ამას მეგობრულად გირჩევ. ახლა კი გადაწყვიტე, რას იზამ. პოპოვთან გამომყვები თუ აქ გააგრძელებ „კაჩავს“?

— კარგი, — მოტყდა ვასილიჩი და მოადგილეს უკან მიჰყვა.

პოპოვმა კარგა ხანს ალოდინა ვასილიჩი. ამან თავისთავად მიახვედრა, რომ თბილი მიღების იმედი არ უნდა ჰქონოდა. სულ ცოტა ხნის წინ, ოლქის პოლიციის უფროსი ამდენს ვერ გაბედავდა. მასთან სალაპარაკოდ „ვერშინის“ ადვოკატს სამმართველოში მისვლაც კი არ დასჭირდებოდა — თავისთან დაიბარებდა ან შეხვედრის ადგილს დაუთქვამდა და პოპოვი წამის დაუგვიანებლად ეახლებოდა...

ახლა კი, ვასილიჩს სამმართველოს რიგითი თანამშრომლივით უბრძანეს კუთხეში ჯდომა და ლოდინი.

ვასილიჩი უკვე წასვლას აპირებდა, როდესაც მდივანმა კაბინეტში მიიწვია.

პოპოვი სტუმარს მუშაობაში ჩართული დახვდა: ათვალიერებდა მაგიდაზე გაშლილ საქაღალდეებს, დროდადრო კი სატელეფონო ზარებს პასუხობდა ან თვითონ რეკავდა. ადვოკატის დანახვაზე საქაღალდეს თვალი მოსწყვიტა. შემდეგ მდივანს დაუკავშირდა, გააფრთხილა: ჩემთან არავინ შემოუშვაო და სტუმარს ანიშნა: დაჯექიო.

ვასილიჩი მის პირისპირ ჩამოჯდა და მოლოდინით სავსე მზერა მიაპყრო.

— რას მიყურებ?! — ბრაზით აღსავსე ხმით მიმართა პოპოვმა. — ამისთვის მოხვედი?!

— მე მოვედი?! — გაიკვირვა ვასილიჩმა. — შენ გინდოდა ჩემი ნახვა!.. მე ჩემი კლიენტის სახლში მივედი, მაგრამ შენმა ხალხმა მუშაობის საშუალება არ მომცა, ამის...

— ვასილიჩ, არ გინდა. პირდაპირ მითხარი: რას აპირებ?

— რას უნდა ვაპირებდე?.. დაგავიწყდა, რომ ჩუმას ადვოკატი ვარ?

— ყველაფერი მახსოვს. უბრალოდ, მაინტერესებს, ისევე აპირებ „ვერშინის“ დაცვას, როგორც ადრე იცავდი?

— რა თქმა უნდა.

— არ გინდა, ვასილიჩ. მორჩა... ის დრო წავიდა. ამ ორმოდან „ვერშინა“ ველარ ამოძვრება!

— ახალი პატრონი მოძებნე?! — ბრაზით მოსხიპა ვასილიჩმა.

— ბრიყვი ხარ, — მშვიდად უპასუხა პოპოვმა. — ვერც კი ხვდები, რა საქმეში ცდილობ შეტენას!

— მაინც, რა მოხდა?.. ასე რამ გაგაცოფა?

— შენ კარგად მიცნობ, ვასილიჩ და იცი, რომ არასოდეს ვყოფილვარ უმადური.

— სწორედ ამის შეხსენება მინდოდა, — სიტყვა ჩამოართვა ადვოკატმა. — კარგად გაიხსენე, სად იქნებოდი, ჩვენ რომ არა!

— მერე და, რა ამით? — ბრაზი მოერია პოპოვს. — მაშინ მეც შეგახსენებ რაღაც-რაღაცებს. მე არაფერში ჩავჭრილვარ. არც ადრე და არც — ახლა. ძველს თავი დავანებოთ და ახალზე ვიფიქროთ. ჩუმას საქმეზე დახმარება მთხოვ!.. რაზე გითხარი უარი?.. ბოლომდე გამოგყევი თუ — არა?!

— გამომყევი, — დაუდასტურა ადვოკატმა.

— გავაფრთხილე თუ არა ჩუმა, რომ აქაურობას მოშორებოდა? — განაგრძო პოპოვმა.

— ეგ შენ არ გეხება!

— არ დაიწყო ახლა ადამიანის უფლებების დეკლარირება! — გაბრაზდა პოპოვი.

— ჰო, კარგი... გააფრთხილე, — უხალისოდ დაეთანხმა ადვოკატი.

— ამის მაგივრად კი ჩუმამ „სხოდკა“ მოაწყო და თავის ხალხს ბაზარი „პალაჟენიის“ გამაგრებაზე დაუწყო!.. რა მოჰყვა ამას?!

— რად გვინდა იმ ამბის გახსენება?! — ვასილიჩმა თავი აარიდა ვოვაზე თავდასხმის გახსენებას.

— გვინდა!.. — ბრაზიანად განაგრძო პოპოვმა. — იმიტომ, რომ ეს ჩემი გაფრთხილების შემდეგ მოხდა, მაგრამ ჩუმამ ისევ დამიკიდა და აქედან წასვლის მაგივრად, კიდევ ერთი „ტრუპი“ ამკიდა!..

— „ტრუპი“?! — დაიბნა ვასილიჩი, — რისი თქმა გინდა, ბორია?!

— თავს ნუ იშტერებ!.. რა, იმის თქმა გინდა, რომ ჩუმამ არ გაგაფრთხილა, რატომაც მოხია ხარკოვიდან?!

ვასილიჩმა მართლაც იცოდა, რომ წინა ღამით, ვოვა და ირაკლი ხარკოვიდან გაემგზავრნენ. სად, ამის შესახებ მათ არაფერი უთქვამთ. ვოვა მხოლოდ რამდენიმე წუთით შეხვდა, უთხრა, რომ მიემგზავრებოდა და საჭიროების შემთხვევაში, თვითონ დაუკავშირდებოდა. მათი საუბარი ამით დასრულდა. ვოვა დაემშვიდობა და წავიდა.

— როდის იყო, რომ მოუმზადებელი მოდიოდი ჩემთან „საკაჩაოდ“?! შენ ხომ დეტალურად იცი, როდის და როგორ დაბრიდა ის ახვარი ჩუმამ და მისთვის ალიბიც გაქვს შემუშავებული, — ბრაზიანად განაგრძო პოპოვმა.

— აზრზე არა ვარ, რას ბაზრობ, — მხრები აიჩეჩა ვასილიჩმა.

— აზრზე არა ხარ?! იქნებ ამან გაგინათოს გონება! — ამ სიტყვებთან ერთად პოპოვმა მაგიდაზე კონვერტი დააგდო, რომელშიც რამდენიმე ფოტოსურათი იდო. — კარგად დააკვირდი. იქნებ, ვინმე იცნო!

ვასილიჩმა უხმოდ გახსნა კონვერტი და ფოტოების თვალიერებას შეუდგა. ფოტოები სხვადასხვა რაკურსით იყო გადაღებული და მათზე ერთი პიროვნების გვამი იყო აღბეჭდილი; მაგრამ იმდენად დამახინჯებული, რომ მასში ვინმეს ამოცნობა შეუძლებელი იყო.

— რას იტყვი? — სახეში ჩააცქერდა პოპოვი.

— ვერაფერს, — თავი გაიქნია ადვოკატმა. — ამ ადამიანს არ ვიცნობ და ვერც ვხვდები, რა აკავშირებს ყოველივე ამასთან ჩუმას?!

— უცნაურია... — ირონიულად ჩაილაპარაკა პოპოვმა. — ასეთი გულმავიწყი არ მეგონე! შენს ყოფილ კლიენტს ვერ ცნობ?

— ვის?! — ვასილიჩი უსიამოვნო წინათგრძნობამ შეიპყრო.

— კოტე ჩალაძეს!..

— რაა?! — გაოგნებული მზერა ესროლა ვასილიჩმა.

— რა, რაიმე მოულოდნელი გითხარი?! ეს ხომ თქვენი „კანტორისთვის“ ჩვეულებრივი ამბავია!.. ვინ მოუყომარა ელიას, მის სიძეს... ძველი საქმეებიც ხომ არ შეგახსენო?!

ვასილიჩი ჩაფიქრდა. კოტეს სიკვდილი ვითარებას მნიშვნელოვნად ცვლიდა. მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ვოვა და „ვერშინის“ მთელი შემადგენლობა მას თავდასხმაში ადანაშაულებდა. ბუნებრივია, რომ იგივე ცნობილი იყო პოპოვისთვის. აქედან გამომდინარე, პოლიციაც თავისთავად დარწმუნებული იქნებოდა, რომ კოტე ვოვას ხალხის მოკლული იყო.

— ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამთ, — პაუზის შემდეგ განაგრძო ვასილიჩმა.

— ეგ ზღაპრები შენს მდივანს უამბე! — ჩაიცინა პოპოვმა.



— შენც არ აღმოჩნდე ეჭვმიტანილთა სიაში. დაგავიწყდა, როგორი ახლო „თანამშრომლობა“ გაკავშირებდა ჩალაძესთან?!

— ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტან. დარწმუნებული ვარ, რომ ჩუმასა და მის ხალხს ამ საქმესთან არაფერი აკავშირებს.

— იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ თავი მოიკლა?! არაფერი გამოგივა. ხუთი ტყვია დაახალეს და თანაც, ყველა, თავში!

— იმაზე, რომ ის ნაბიჭვარი მართლა იმსახურებდა ტყვიას, ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ ეს ჩუმას ხალხს რომ გაეკეთებინა, შენი სამძებრო ვერაფერს მიაგნებდა.

— ამაში შენს საძმაკაცოს მართლა დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ ბოლო ხანებში, ისეთი შეცდომები დაუშვეს, რომ აღარაფერი მიკვირს, — შენიშნა პოპოვმა.

— „რიუას“ ბაზრობ, ბორია. ეგ არ ნიშნავს იმას, რომ კოტე ჩუმამ მოკლა.

— ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. ვნახოთ, თვითონ რას იტყვის!

— რას იტყვის?! — ბრაზი მოერია ადვოკატს. — როგორ ფიქრობ, რას იტყვის მისი ოჯახის დარბევის შემდეგ? რად გინდოდა ეს ამბავი?.. ან „ვერშინის“ ოფისებს რისთვის დაერია?!

— ეგ მარტო მე მეხება!.. მაგ ხალხმა ძალიან მომაბეზრა თავი. სხვამ ვერ მოახერხა, მაგრამ მე მაინც გავწმენდ ამ ქალაქს მაგ შავტრაკიანებისგან. კავკასიაში არ-ჩიონ საქმეები!

— ااا... — თვალები მოჭუტა ვასილიჩმა. — ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ამიტომაც არ შემიშვი ჩუმას სახლში?!

— რაც გინდა, ის იფიქრე, — უდარდელად მიუგდო სიტყვა პოპოვმა.

— ნაღდი ფაქტები არ გაქვს და ჩუმას სახლიდან გინდა რამის „ამოღება“?! მაინც რას ეძებ, ბორია — წამალს, იარაღს თუ კარადაში დამალულ „ტრუპს“?! — ბრაზით განაგრძო ვასილიჩმა.

— ამას ჩემი ხალხის დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ.

— ბორია... ბორია... ბორია... — პაუზის შემდეგ დამოიწყო ვასილიჩმა. — ისე ღრმად არ შეტოპო, რომ უკან გამოსვლა ველარ შეძლო!

— რაო?! — მოიღრუბლა პოპოვი. — მემუქრები?!

— მეე?! არა, რას ამბობ? მგონი, შენი უწყების ან პროკურატურის უფრო უნდა გეშინოდეს, ვიდრე ჩემი.

— რატომ? — დაიბნა პოპოვი.

— შენც არ აღმოჩნდე ეჭვმიტანილთა სიაში. დაგავიწყდა, როგორი ახლო „თანამშრომლობა“ გაკავშირებდა ჩალაძესთან?! ისე, რატომაც არა?! ასეთი საქმე ნაღდად ღირს ასი ათასი. ხედავ, რა ხდება, ბორია: შენ შენი ვერსია გაქვს. მე — ჩემი... ვერსია კი ასეთია — შენ ჩალაძისგან მიიღე ასი ათასი დოლარი. ასეთი გარიგება თქვენ შორის ადრეც შემდგარა. მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვანაირად მოხდა. შენ „გადააგდე“ ჩალაძე. მაყუთი აიღე, მაგრამ მაინც აიყვანე ხარკოვში ჩამოსული ქურდები. აიყვანე ჩალაძეც. თავისთავად ცხადია, რომ ჩალაძემ უკან მოგთხოვა მაყუთი. კონკრეტულად რა ბაზარი შედგა თქვენ შორის, არავინ იცის, მაგრამ შემიძლია ვივარაუდო...

— მოკეტე! — ავად შეუღრინა პოპოვმა.

— არა... შენ თქვი, რომ საქმეზე მოუმზადებელი არასოდეს მივდივარ. დღეს ეს წესი დაირღვა. მაგრამ როცა საქმე ოფიციალურ სახეს მიიღებს, ნაღდად

მზად ვიქნები. შენთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს და მინდა, იცოდე, რაზეც მოგაწვები.... — ვასილიჩმა პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო, — ადამიანურად, მესმის შენი. ყველას გვაქვს სუსტი მხარე. იმ დროს კი „ვერშინის" ირგვლივ საინტერესო ვითარება შეიქმნა. ბელოვს (ვასილიჩი მოერიდა ლუკას პირდაპირ მოხსენიებას), რაღაც პრობლემები შეექმნა და ხარკოვიდან გაქრა. მასთან ერთად გაუჩინარდა ჯაბა. „ვერშინის" ბეორე ნომერი, ვოლინა მოსკოვში დაიღუპა. ჩუმა აიყვანეს. ადგილზე კი ამ „სასტავის" ყველაზე სუსტი წარმომადგენელი, კოტე ძნელაძე დარჩა. ამ დროს, შენ გაქვს ინფორმაცია, რომ კიევი აქტიურად ინტერესდება „ვერშინის" საქმიანობით. სავარაუდოდ, ახლოვდება კომპანიის და მთლიანად „სასტავის" განადგურების თარიღი... საქმეში ჩართული ძალები იმაზე მიგანიშნებდა, რომ მსუყე ლუკმის იმედი არ უნდა გქონოდა, მაგრამ რისთვის უნდა დაგეკარგა ის ასი ათასი?! და შენ ძნელაძე „გადააგდე". ამის შემდეგ მოვლენები ელვისებურად განვითარდა. ჩუმა „სვაბოდაზე" გამოვიდა და უცებ გაბაზრდა, რომ „ვერშინასა" და კოტეს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. შენც აქტიურად ამოქმედდი. ჩუმა გააფრთხილე, რომ სასწრაფოდ მოეხია აქედან. მერე კი კოტე დაბრიდე!.. რას იტყვი?.. არის თუ არა ეს სუფთა ოპერაცია?! ნაღდად ასეა. პრეტენზიას ვერავინ წამოგიყენებს. ნაღდად არაფერი გვაქვს სათქმელი. ჩუმას გამოყვანაშიც დაგვეხმარე და მერე გვაფრთხილებდი, რომ კიეველები მაინც არ მოეშვებოდნენ. სამინისტროსთანაც პირნათელი ხარ. მათი ინტერესებიდან გამომდინარე დაარბიე „ვერშინა". მაყუთზე და ქურდების აყვანაზეც ვერავინ შეგედავება. კოტე ამტკიცებდა, რომ ასი ათასი დაგისვა ანგარიშზე. მაგრამ ის „გალიმი" ბოზი აღმოჩნდა. მერე საერთოდ გაქრა. გუშინ კი ის დაბრედილი ოპოვეს. ამით ყველაფერი დამთავრდა. მკვდარი ჩალაძე ვეღარავის ეტყვის, ნაღდად მოგცა მაყუთი თუ — არა. ჩვენც ვერაფერს მოგთხოვთ. რაა სათქმელი? ხომ გააფრთხილე ჩუმა: აქედან წადიო. ამის მაგივრად კი, მან ჩალაძე დაბრიდა. ამას ყველა დაიჯერებს. ჩუმას შანსი რომ ჰქონოდა, ნაღდად დაბრიდავდა ჩალაძეს. მაგრამ შენც იცი და მეც, რომ ეგ მაგის გაკეთებული არ არის!.. რას იტყვი, მოგწონს ასეთი ვერსია?!

— სუფთა სირობაა! — ბრაზით უპასუხა პოპოვმა.

— მართალი ხარ. მაგრამ არავინ იცის, როგორ შეაფასებს ამ სირობას ცენტრალური აპარატი და გენპროკურატურა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ყველასთვის ცნობილია, რა „ვასვასებშიც" იყავი „ვერშინასთან"!.. იფიქრე ამაზე... რამე თუ გადაწყვიტე, დამიკავშირდი. ჩუმას სახლში ვიქნები. და კიდევ ერთი... ამას მე წავიღებ. ვნახოთ, იქნებ რამეში გამომადგეს! — ამ სიტყვებთან ერთად ვასილიჩმა მაგიდიდან ფოტოსურათების დასტა აიღო და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაბინეტიდან.

ვასილიჩს ფიქრადაც აღარ გაუვლია ვოვას სახლში შესვლა. მისთვის ისედაც გასაგები იყო, რომ ამით აღარაფერი შეიცვლებოდა. თანაც, პოპოვისთვის და მისი ხალხისთვის არჩევანის საშუალების მიცემა სურდა. ამიტომაც სამმართველოდან გამოსული, იქ გაემგზავრა, სადაც მის მისვლას არავინ ელოდა — ქალაქის პროზექტურაში.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ხელმძღვანელმა — მიხეილ მამონტოვმა შინაურულად მიიღო ვასილიჩი, რომელთანაც მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებდა.

— შენი დახმარება მჭირდება, მიშა, —

— მიბასუხე! — ვასილიჩი საეჭოში სწვდა და ძლიერად შეანჯღრია. — მიბასუხე, თორემ ჩემი ხელით გაგგუდავ!

მაშინვე საქმეზე გადავიდა ვასილიჩი.

— სიამოვნებით, — უპასუხა ექსპერტმა და კაბინეტში მიიწვია.

— არა, დასაჯდომად არ მცალია. აქვე გეტყვი, რაც მინდა... გუშინ ნაპოვნი ჩალაძის გვამი აქ არის?

— აქ არის, — დაუდასტურა მამონტოვმა.

— უნდა მიჩვენო! — კატეგორიულად მოსთხოვა ვასილიჩმა.

— ეს ისეთი საქმეა... — შეყოყმანდა ექსპერტი.

— უარი არ მითხრა, მიშა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— ეგ „ვერშინიდან" იყო?

— ჰო, — თავი დაუქნია ვასილიჩმა.

— კარგი, — მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა ექსპერტმა, — გამომყევი!

საპროცედურო დარბაზში ბნელოდა. მამონტოვმა შუქი ჩართო. მერე სამაცივრო დანადგარი გახსნა და საკაცე, რომელზეც უცნაურად მოკრუნჩხული გვამი ესვენა, გამოსწია. ვასილიჩი მაშინვე მიუახლოვდა გვამს და დათვალიერებას შეუდგა.

კოტეს თავში ხუთი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი: ორი — შუბლში, ორი — სახეში და ერთიც — საფეთქელში. ასეთი ჭრილობებით, მას გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. ეს ჭრილობები ვასილიჩს ფოტოსურათებზეც ჰქონდა ნანახი, მაგრამ გვამის უშუალო დათვალიერებისას, ისეთი დეტალი აღმოაჩინა, რომელიც ადრე ვერ შეამჩნია. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ კოტე დიდი ხნის მოკლული უნდა ყოფილიყო და ამასთან ერთად, გვამი გარკვეული პერიოდი წყალში იყო დატოვებული.

— რა იცი, ამ საქმის შესახებ? — ექსპერტს მიუბრუნდა ვასილიჩი.

— შენ რა, არაფერი გაცნობეს?

— არა. პოპოვს ძალიან უცნაურად უჭირავს თავი. კლიენტის სახლშიც კი არ შემიშვა.

— ვინაა შენი კლიენტი? — დაინტერესდა ექსპერტი.

ვასილიჩს არ სურდა ვოვას ხსენება, მაგრამ ამასთან ერთად, ხვდებოდა, რომ მის არაგულწრფელობას მამონტოვი იმავეთი უპასუხებდა. ამიტომაც, თავი არ აარიდა პასუხს:

— ჩუმა!

— ჩუმა?! — გაოცებულმა გახედა ექსპერტმა. — მაგას მიაწერეს მკვლელობა?!

— ჯერჯერობით მხოლოდ ეჭვმიტანილია.

— ეჭვმიტანილს საბრალდებო სკამისგან ერთი ნაბიჯი აშორებს! — შენიშნა ექსპერტმა.

— რა იცი ამ საქმის შესახებ? — ძველ კითხვას მიუბრუნდა ვასილიჩი.

— განსაკუთრებულს ვერაფერს გეტყვი... ჩალაძის გვამი გუშინ დილით მეთევზეებმა აღმოაჩინეს. სიკვდილის მიზეზს შენც მიხვდები — თავში ხუთი ნატყვიარი აქვს. მაგრამ ჭრილობების ხასიათით თუ ვიმსჯელებთ, ერთი ტყვიაც საკმარისი იქნებოდა. ხუთივე ნატყვიარი სასიკვდილოა!

— სხვას არაფერს მეტყვი? — ჰკითხა ვასილიჩმა, როგორც კი ექსპერტმა ლაპარაკი შეწყვიტა.

— სხვა რა უნდა გითხრა?

— ეჰ, მიშა, შენც ჩემი წინააღმდეგი ხარ, — ამოიოხრა ვასილიჩმა, — რად მინდა იმაზე ლაპარაკი, რასაც თვითონაც ვხედავ?! შენ ის მითხარი, რაც არ ვიცი.

— მაგალითად, რა?

— დაახლოებით როდის მოკლეს და

რამდენი ხანი იყო წყალში?

— არ ვიცი! — ცივად მოსხიპა ექსპერტმა.

— არ იცი? — გაუკვირდა ვასილიჩს. — შენ აქ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა გაქვს თუ „ტრუპების“ საწყობი?!

— ექსპერტიზა დროს მოითხოვს!

— მე ოფიციალურ დასკვნას არ გთხოვ. უბრალოდ, შენი აზრი მაინტერესებს. რამდენი ხანი გაატარა გვამმა წყალში და როდის მოკლეს? რაა ამაში გაუგებარი?!

მამონტოვი დიდხანს ფიქრობდა, შემდეგ შუბლი მოისრისა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— შარში მხვევ, ბორია. დამანებე თავი და შენც შეეშვი ამ საქმეს. დამიჯერე, ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება!

— პოპოვს შეეკარი?! — შუბლი შეიკრა ვასილიჩმა.

— რა შუაშია პოპოვი?! — იწყინა ექსპერტმა, — სხვისი კარნახის გარეშეც შემიძლია სწორი დასკვნის გამოტანა!

— უკეთესი იქნებოდა, თუ ასეთ დასკვნას გვამის თაობაზე გამოიტანდი! — ცივად შენიშნა ვასილიჩმა.

— თავის დროზე ამაზეც გამოვიტან დასკვნას.

— რა გემართება მიშა? — პაუზის შემდეგ ჰკითხა ვასილიჩმა. — სად გაქრა შენი პრინციპულობა?!

— დავიღალე, ბორია. დავიღალე და თანაც, მომავალზე დავიწყე ფიქრი. პენსიაში გასვლამდე რამდენიმე თვეღა დამრჩა. არ ღირს ასეთ დროს ყველას გადამტერება. თანაც, ვისი გულისთვის?! ამ კავკასიელის მძორის გამო, საქმეს არ გავიფუჭებ. ამას შენც არ გირჩევ. ვიცი, რომ სერიოზულ ხალხთან გაქვს საქმე. ისიც ვიცი, რომ კარგადაც გიხდიან. მაგრამ რა ჩვენი საქმეა, მათ ომში ჩარევა. ხედავ, როგორ მოქმედებენ ისინი! — ექსპერტმა უხეშად ჰკრა ხელი საკაცეს, რომელზეც გვამი ესვენა, — ერთმანეთს ასე უსწორებენ ანგარიშს და ჩვენ რას გვიზამენ?! დაანებე თავი, ბორია. პოპოვი მოუვლის მაგათ!..

— შენ რა, პოპოვმა დაგამუშავა?! — მზერა გაუსწორა ვასილიჩმა.

— არა... არა... — აჩქარდა ექსპერტი.

— მიპასუხე! — ვასილიჩი საყელოში სწვდა და ძლიერად შეანჯღრია. — მიპასუხე, თორემ ჩემი ხელით გაგგუდავ!

— გამიშვი! — გაიბრძოლა მამონტოვმა, მაგრამ უშედეგოდ. ვასილიჩმა ორივე ხელი ყელში წაუჭირა, თავი გვამისკენ დაახრევინა და ყვირილით განაგრძო:

— პოპოვსა და სხვა ნაბიჭვრებზე ხელი არ მიმიწვდება. ჩემს სიტყვაზე, მაგათ არავინ შეეხება. მაგრამ შენ ნაღდად გაგწვდები. საერთოდ გაგაქრობენ. ასე ჩალპები რომელიმე თხრილში!

— კარგი... კარგი... ყველაფერს გეტყვი, — შიშით ამოიკნავლა მამონტოვმა.

— ილაპარაკე... — ვასილიჩმა ის საკაცეს მოაშორა და ხელებიც უშვა.

ექსპერტმა ყელი მოისრისა, ამოიოხრა და თქვა:

— ზუსტად ვერაფერს გეტყვი, ბორია. მეც ვერ ვხვდები, რა აქვს ჩაფიქრებული პოპოვს... გუშინ საღამოს დამიკავშირდა და აქ მოსვლა მთხოვა. გამიკვირდა... გვამის გამოკვლევა ექსპერტიზისთვის რიგითი მოვლენაა. ყოველკვირა პროზექტურაში ათობით გვამი ხვდება და გამოკვლევაში პირადად ჩემი მონაწილეობა აუცილებელი არ არის. პოპოვსაც იგივე ეუპასუხე, მაგრამ არ მომეშვა. მანქანა უკვე გამოგიგზავნე და ახლავე აქ გაჩნდიო. მეტი რა გზა მქონდა?.. ყველაფერი გვერდზე გადავდე და პროზექტურაში მოვედი. აქ მოსულს ეს გვამი დამახვედრეს. პოპოვმა გამოკვლევის ჩატარება მიბრძანა, მერე კიდევ ერთი განკარგულება მომცა — საბოლოო დასკვნა მხოლოდ მასთან მოთათბირების შემდეგ შემედგინა!..

— რატომ?! — გაუკვირდა ვასილიჩს.

— პოპოვს იგივე აინტერესებს, რაც — შენ!

— რა? — ვასილიჩი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ექსპერტი.

— მკვლელობის თარიღი!

— რამდენი დღის მოკლულია?

— მინიმუმ ოთხი დღის!.. შეიძლება მეტისაც. ხუთი ან ექვსი!..

— ხუთი ან ექვსი?! — გაოცებულმა გახედა ვასილიჩმა, — რაზე ხომ არ გეშლება?

— ამხელა გამოცდილება ნამდვილად მაქვს, — იწყინა მამონტოვმა.

ვასილიჩი ჩაფიქრდა. ექსპერტის დასახელებული თარიღი მნიშვნელოვნად ცვლიდა ვითარებას. ვოვაზე თავდასხმა სამი დღის წინ მოხდა, ესე იგი, იმ დროს კოტე უკვე მკვდარი იყო. ბუნებრივია, რომ ეს პოპოვისთვისაც იყო ცნობილი.

— კონკრეტულად რა გთხოვა პოპოვმა? — ექსპერტს მიუბრუნდა ვასილიჩი.

— ისეთი არაფერი უთხოვია. უბრალოდ, საბოლოო დასკვნაში უნდა მივუთითო, რომ მკვლელობა ერთი ან ორი დღის წინ მოხდა.

— გასაგებია, — ყრუდ ჩაილაპარაკა ვასილიჩმა. მისთვის უკვე გასაგები იყო, თუ რა ამოძრავებდა ოლქის პოლიციის ხელმძღვანელს. რაც არ უნდა მომხდარიყო, კოტეს მკვლელობა „ვერშინას“ ანუ ვოვა ჩუმას უნდა მისწეროდა.

— ეს რამეს ცვლის? — ჰკითხა ექსპერტმა.

— რადგან პოპოვმა გთხოვა, ესე იგი, ცვლის, — ვასილიჩმა სიგარეტს მოუკიდა და ლაპარაკი განაგრძო. — რა გადაწყვიტე. ყალბ თარიღს მიუთითებ?

— პოპოვმა არჩევანის საშუალება არ დამტოვა. პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მაგრძნობინა, რომ ამას ნებისმიერ შემთხვევაში მიაღწევდა.

— დამოუკიდებელი ექსპერტი რომ მოვიწვიო?

— არ გირჩევ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ამით მძიმე მდგომარეობაში ჩამაყენებ. პოპოვმა გამაფრთხილა, რომ ეს საქმე ჩვენ შორის უნდა დარჩეს.

— პოპოვი ვერაფერში დაგადანაშაულებს. მან კარგად იცის, რომ ნებისმიერ წვრილმანზე მივაწვები.

— მესმის, მაგრამ მაინც არა აქვს აზრი. დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას არც პროკურატურა ცნობს და არც — სასამართლო. ამის გარეშე კი დასკვნა ფარატინა ქაღალდად დარჩება. ვერაფერს დაამტკიცებ, ბორია. სხვა გზა უნდა გამონახო.

ვასილიჩი წამით ჩაფიქრდა. მერე კი სწრაფად ისროლა:

— საქმე მომეცი!

— რა საქმე?

— თავს ნუ ისულელებ! ძალიან კარგად იცი, რა საქმესაც გთხოვ.

ყურადღება!

გორა მანველიძის
ახალი, თავგრუდამსხვევი
დეტექტივი
„თეთრი სიკვდილი“

კუბოში დამალული ნარკოტიკები,
გატაცებული მისვალებული და
მკვლელობათა კასკადი

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან შეგვიკვეთეთ
და მიიღეთ შინ ფასანმატის გარეშე.
ტელ.: 38-26-73; 38-26-74.

მამონტოვმა საკაცე მაცივარში დააბრუნა და სტუმარს ანიშნა, გამომყევიო. როგორც კი კაბინეტში შევიდნენ, ექსპერტმა სეიფიდან თხელი საქაღალდე გამოიღო და მაგიდაზე დააგდო. ამ საქაღალდეში ინახებოდა დოკუმენტები, რომლებშიც ასახული იყო, თუ სად და რა ვითარებაში აღმოაჩინეს გვამი. ვასილიჩის გასაოცრად, გვამი ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში მდებარე ხელოვნურ წყალსატევში, ჰიდროპარკში აღმოეჩინათ. ეს ძალიან უცნაური იყო. წყალსატევის სიღრმე ორ მეტრს არ აღემატებოდა და მკვლელებისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ გვამს ძალიან მალე, ერთ ან ორ დღეში აღმოაჩენდნენ. თუმცა საქმის მასალები იმაზე მიუთითებდა, რომ მათ არც უცდიათ კვალის დაფარვა. გვამისთვის არ შეუბამთ რაიმე სიმძიმე, რაც მას წყალსატევის ფსკერზე გააჩერებდა. რა თქმა უნდა, არსებობდა სპონტანური მკვლელობის შესაძლებლობაც, მაგრამ ვასილიჩი ხვდებოდა, რომ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. პირველ რიგში, ამაზე მიანიშნებდა წყალსატევის მდებარეობა. ეს ქალაქში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პარკი იყო, განსაკუთრებით, ზაფხულობით. არც ერთ საღად მოაზროვნე კრიმინალს აზრად არ მოუვიდოდა ჰოდროპარკში საქმის გარჩევა და მით უმეტეს, მკვლელობის ჩადენა. ამაზე სხვა გარემოებაც მიანიშნებდა. საქმე ის იყო, რომ ოპერატიულმა ჯგუფმა შემთხვევის ადგილზე მასრები ვერ აღმოაჩინა... ერთი შეხედვით, ეს იმაზე მიანიშნებდა, რომ მკვლელები არ ჩქარობდნენ. მკვლელობის შემდეგ, მათ მასრები აკრიფეს და მშვიდად გაეცალნენ ჰიდროპარკს. მაგრამ ეს, მხოლოდ ერთი შეხედვით... ამ გარემოებამ ვასილიჩი სხვა დასკვნამდე მიიყვანა. მკვლელობა სხვა ადგილას იყო ჩადენილი. რის შემდეგაც ბოროტმოქმედებმა გვამი ჰიდროპარკში მიიტანეს და არხში ჩააგდეს. ამისთვის ადგილიც საგანგებოდ შეარჩიეს. ამ არხის ნაპირები ადგილობრივი მეთევზეების ერთ-ერთ საყვარელ ადგილს წარმოადგენდა და ბუნებრივია, გვამსაც მალევე აღმოაჩენდნენ.

— ნაბიჭვარი! — უნებურად წამოსცდა ვასილიჩს.

— რა თქვი?! — უმალ ჩაეძია მამონტოვი.

— არაფერი, — ვასილიჩმა საქაღალდე დახურა და საათს დახედა, — ჩემი წასვლის დროა.

— ყველაფერი გაარკვიე, რაც გაინტერესებდა?

— ჰო... გმადლობთ, — უპასუხა ვასილიჩმა, შემდეგ, ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა და კარს მიაშურა. მამონტოვმა ჩაფიქრებული მზერით გააცილა და როდესაც კაბინეტში მარტო დარჩა, მობილური მოიმარჯვა და სწრაფად აკრიბა პოპოვის ტელეფონის ნომერი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Spice Girls-ის ახალი კლიპის პრემიერა

ხელახლა შეკრებილი ჯგუფის — Spice Girls ახალი კლიპის Friendship Never Ends პრემიერა ინტერნეტში შედგა. რგოლის სრული ვერსია ჯგუფის ოფიციალურ გვერდზე — განთავსდა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ კლიპის პრემიერა 2 ნოემბერს არხზე — BBC One შედგებოდა, მაგრამ სატელევიზიო ეთერში რგოლი არასრული სახით გავიდა. კლიპის რეჟისორი ენტონი მენდლერია, რომელიც ადრე ისეთ ჯგუფებთან და შემსრულებლებთან თანამშრომლობდა, როგორებიც არიან: Black Eyed Peas, The Killers, 50 Cent, ნელი ფურტადო და ემინემი. Headlines (Friendship Never Ends) იმ ორი სიმღერიდან ერთ-ერთია, რომელიც ჯგუფის ჰიტების კრებულში — Greatest Hits შევა. დისკი გასაყიდად, ნოემბერში გამოვა.

მაიკლ ჯექსონს სცენაზე სიკვდილის შიში ტანჯავს

პოპმუსიკის მეფედ წოდებული მაიკლ ჯექსონი ამჟამად პრესასთან ურთიერთობას გაურბის. უკანასკნელი წლების განმავლობაში მიცემულ ერთადერთ ინტერვიუში მან საკუთარი ცხოვრებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ილაპარაკა და ამ გეგმებში სასცენო კარიერის გაგრძელების შესახებ არაფერი უთქვამს. ჯექსონი აცხადებს, რომ მოღვაწეობის მჩქეფარე წლები, მისთვის წარსულს ჩაბარდა. აღმოჩნდა, რომ მუსიკოსს გადატვირთვის გამო, სცენაზე სიკვდილის შიში ტანჯავს. მისი კერპი ჯეიმს ბრაუნი ხომ სწორედ ასე მოკვდა! ალბომის — Thriller — გამოსვლიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ინტერვიუში ჯექსონმა ზოგიერთი ცნობილი ადამიანის სავალალო ბედის შესახებ ილაპარაკა და გულისტკივილი გამოთქვა. „ისინი მუშაობას აგრძელებდნენ, უფრო მეტის გაკეთება სურდათ და შრომით თავს იკლავდნენ. მოხარული ვიქნებოდი ჯეიმს ბრაუნს ტემპისთვის მოეკლო, დაესვენა და საკუთარი შრომის ნაყოფით დამტკბარიყო“, — განაცხადა პოპის ყოფილმა მეფემ. „ხანგრძლივი საგასტროლო ტურები არ მიზიდავს“, — ამბობს მომღერალი, რომელსაც გაისად 50 წელი შეუსრულდება. ამჟამად, მაიკლ ჯექსონი მხოლოდ 3 შვილის აღზრდით არის დაკავებული. „უბრალოდ, ჯერ ზოგიერთი საკითხის მოგვარება მსურდა. სულის სიღრმეში კი, მხოლოდ შვილების აღზრდა მინდოდა. ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს“. მუსიკოსის თაყვანისმცემლები გულახდილი ინტერვიუს გარდა, კიდევ ერთ საინტერესო საჩუქარს — ფოტოსესიას მიიღებენ, სადაც შავ-მოვერცხლისფრო სამოსსა და შლაპაში გამოწყობილი ჯექსონი, ჯონი დეპის გმირს — შოკოლადის ფაბრიკის მეპატრონე ვილი ვონკუს წააგავს.

ელტონ ჯონი ამრამოვიჩის ცხოვრებას მიუზიკლად გადააქცევს

ერიკ კლაპტონი და ელტონ ჯონი რომან აბრამოვიჩის შესახებ მიუზიკლის შექმნას აპირებენ, რომელსაც ერის ჰატჩინსის წიგნი — „მილიარდერი არსაიდან" დაედება საფუძვლად. მიუზიკლის ჩვენება კრემლის ყრილობათა სასახლის, ლონდონის ვესტ-ენდისა და ბროდვეის სცენებზე შედგება. პროდიუსერი ტონი კარტრაიტი ვარაუდობს, რომ მოგვიანებით მიუზიკლის — Abramovich: The Musical! — მოტივებზე სრულმეტრაჟიანი ფილმიც შეიქმნება. ბრიტანელ პროდიუსერს მთავარ როლებზე დენი დე ვიტოს, ჯორჯ კლუნისა და სელინ დიონის მიწვევა სურს. კანადელი მომღერალი ალბათ აბრამოვიჩის მეორე ცოლის, ირინას როლს ითამაშებს, დენი დე ვიტო კი — ბორის ბერეზოვსკის განასახიერებს. ორსაათიან შოუში ბორის ელცინი და ბორის ბერეზოვსკი საცეკვაო ნომრებს შეასრულებენ, „ჩელსის" ფეხბურთელებს კი საგუნდო პარტიების შესრულება დაეკისრებათ. მიუზიკლში მაყურებელი ჩრდილოეთის ირმებს იხილავს, კომპანია „სიბნეფტის" გაყიდვის პერიპეტიებს გაეცნობა და აბრამოვიჩის პირველი და მეორე ცოლების ურთიერთდაპირისპირების მოწმეც გახდება. მიუზიკლის პრემიერა, სავარაუდოდ, 2008 წლის დასაწყისში შედგება.

ფინანსების გენიოსი — ჟიზელ ბიუნდჰენი

ჟიზელ ბიუნდჰენმა დამქირავებლებს განუცხადა, რომ ამიერიდან პონორარს დოლარებით აღარ აიღებს: ჩვენს სამყაროში ხომ ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება, მათ შორის — სამოდელო ბიზნესი და საფონდო ბირჟებზე ამერიკული ვალუტის კრახი, ამიტომ ჟიზელმა გადაწყვიტა, ამიერიდან მხოლოდ ევრო მოითხოვოს. თუმცა ამ ნაბიჯის კომენტირებისგან თავს იკავებს. ჯერ კიდევ 2007 წლის აგვისტოში, როდესაც სუპერმოდელი ამერიკულ Procter & Gamble-თან შამპუნის — Pantene რეკლამის კონტრაქტს აწერდა ხელს, საპონორარო თანხის ევროში გადაყვანა მოითხოვა. იგივე მოხდა, როდესაც მოდელმა ოქტომბერში Dolce & Gabbana-სთან პარფიუმის — The One — სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა. „ახლა ისეთი კონტრაქტებით ვართ დაინტერესებულნი, სადაც ანგარიშსწორება ევროთი მოხდება, რადგან არ ვიცით, დოლარი ხვალ რამდენად მყარი იქნება", — განაცხადა ჟიზელის დამ და მენეჯერმა პატრისია ბიუნდჰენმა. მართლაც, ურიგო არ იქნება, თუკი ჟიზელი უფრო მომჭირნე გახდება და ფინანსურ რისკს შეამცირებს: როგორც ამბობენ, ქალის ქვედა საცვლების მწარმოებელი Victoria`s Secret მასთან კონტრაქტს აღარ განაახლებს — არადა, მოდელი ამ ფირმისგან წელიწადში 5 მლნ დოლარს იღებდა. ბიუნდჰენთან ხელშეკრულების შეწყვეტა კიდევ ერთმა სამოდელო სახლმა — Yves Saint Laurent-მა გადაწყვიტა.

კიანუ რივზს სასამართლოში იმართმენ

პოპულარული მსახიობი კიანუ რივზი სასამართლოში გამოიძახეს. საქმე 2007 წლის დასაწყისში მომხდარ საავტომობილო ავარიას ეხება. პაპარაცი კიანუ რივზს იმ დროს აედევნა, როდესაც მსახიობი სპორტული ავტომობილით გოლფკლუბის ავტოსადგომიდან გამოდიოდა. აბეზარი ფოტორეპორტიორი ქალი გაუფრთხილებლობით რივზის ავტომობილის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა. მანქანის დაჯახებამ ქალი რამდენიმე მეტრზე მოისროლა. ინციდენტის შემდეგ, რეპორტიორმა საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მსახიობის ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ავარია პაპარაცის მიზეზით მოხდა, რომელიც მზად იყო, მანქანას შევარდნოდა ბორბლებში, ოღონდაც ვარსკვლავისთვის სურათები გადაეღო. „როდესაც მანქანის საჭეს მიუჯდა, კიანუს იმედი ჰქონდა, რომ რეპორტიორები გზას დაუთმობდნენ. ამიტომ სავალ ნაწილზე ნელა გავიდა და ზუსტად ერთ წუთში ერთ-ერთ რეპორტიორს შემთხვევით დაეჯახა", — განაცხადა ადვოკატმა.

მᲝმი საკᲣთარ ტრეკᲔმს დამᲝუკიდᲔმელ კინᲝმატᲝგრაფისტᲔმს უსასყიდლᲝდ გადასცᲔმს

არაკომერციული ფილმების ავტორებს მობი რამდენიმე ათეულ ტრეკს უსასყიდლოდ გადასცემს, შემოთავაზებულიდან 44 ტრეკი ადრე არასდროს გამოქვეყნებულა, 11 კომპოზიცია ალბომში — Hotel (2005 წ) შევიდა, 6 კი, კრებულში — Play: The B Sides (2000 წ), კიდევ 3 კომპოზიცია ფირფიტაზე — „18" ჩაიწერა (2002 წ). ამ ტრეკების მიღება საიტზე mobigratis.com იქნება შესაძლებელი. უახლოეს მომავალში, მობი ხელმისაწვდომი ტრეკების სიის 20 დასახელებით გაზრდას აპირებს.

დამოუკიდებელი ფილმების ავტორებსა და კინემატოგრაფისტ სტუდენტებს ტრეკების უსასყიდლოდ გამოყენება შეუძლიათ. მობი ამბობს, რომ თუ ეს ფილმები მომავალში გაქირავებაში მოხვდება, მცირეოდენ ჰონორარზე უარს არ იტყვის და ამ გზით მიღებულ თანხას ქველმოქმედებას მოახმარს. „როდესაც ხალხს ამ აქციის შესახებ ესმის, ფიქრობენ, რომ სადღაც ხაფანგია დაგებული. სინამდვილეში კი, არავითარი ხაფანგი არ არსებობს", — ამბობს მობი. ■

რᲝმან პᲝლანსკი პᲝლიტიკური ტრილერის გადაღᲔმას აპირᲔმს

რეჟისორი რომან პოლანსკი რობერტ ჰარისის რომანის — The Ghost კინოადაპტაციის გადაღებას აპირებს. პოლიტიკური ტრილერის ჟანრის ეს წიგნი მკითხველს მოუთხრობს მწერლის შესახებ, რომელიც დიდი ბრიტანეთის გადამდგარი პრემიერ-მინისტრის მემუარებზე მუშაობს. ამ დროს შეიტყობს, რომ მისი წინამორბედი, საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში, ნავიდან გადავარდა და ტბაში დაიხრჩო. ნაწარმოებში მოქმედება ძირითადად, ამერიკაში ვითარდება, მაგრამ პოლანსკის, არასრულწლოვანთან სექსუალური კონტაქტის გამო, აშშ-ში დაპატიმრების საფრთხე ემუქრება, ამიტომ იძულებულია, ფილმი სხვა ქვეყანაში გადაიღოს. რეჟისორს არაერთხელ განუცხადებია, რომ ტრილერის გადაღება სურდა. მან ფილმზე — „პომპეი" მუშაობაზე უარი თქვა (ეს სურათიც რობერტ ჰარისის ნაწარმოების მიხედვით უნდა შეიქმნას). ასე რომ არ ყოფილიყო, 130-მილიონიანი „პომპეი" პოლანსკის კარიერაში ყველაზე მსხვილბიუჯეტიანი ფილმი იქნებოდა. ■

გილᲔრმᲝ დᲔლ ტᲝრᲝს მრიცანᲗული „ჩᲔმპიᲝნᲔმი" ᲗᲐრთᲝ ეკრანᲖე გადაᲐქვს

რეჟისორი გილერმო დელ ტორო ბრიტანული სამეცნიერო-ფანტასტიკური ტელესერიალის — „ჩემპიონები" ფართო ეკრანზე გადატანას აპირებს. ახალი სურათის სცენარსაც თავად რეჟისორი დაწერს. „ჩემპიონების" 30 სერია ბრიტანულმა ტელევიზიამ 1968-69 წლებში უჩვენა. სერიალი მაყურებელს საიდუმლო აგენტთა სამეულის თავგადასავლების შესახებ მოუთხრობს, რომლებიც უცხოპლანეტელებმა ავიაკატასტროფისგან იხსნეს და ზებუნებრივი ნიჭით დააჯილდოეს. ამჟამად გილერმო დელ ტორო ფილმის — Hellboy სიკველზე მუშაობს. მის მიერ გადაღებული ფილმებიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ეშმაკის ქედი" და „ფავნის ლაბირინთი". ■

რუბრიკა მოამზადა ***ნატო მანჯავიძემ***

„ღელვრემს სარძლად მოსწონხარ“...

რადიო „ფორტუნის“ ჟურნალისტს და მოდელს, თიკო ნატროშვილს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყოლია. მათი უმეტესობა მესიჯების მოწერისგან თავს იკავებდა — მირეკავდნენ და თიკოს ტელეფონის ნომერს მთხოვდნენ, „მესიჯს ან წაიკითხავს, ან — არა. ამიტომაც მირჩევნია, პირადად დავურეკო“, — მითხრა მისმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში, გამუდმებით მირეკავდა.

სოფო ჭონიშვილი

ძალიან ლამაზი და სექსუალური ხარ. შენზე ფიქრისას რაღაც მემართება

„თიკო, გამარჯობა. ძალიან კარგი გოგო ხარ. გთხოვ, გამეცანი. გამიხარდა, ამ რუბრიკაში რომ მოხვდი. იქნებ, შეძლო და გამომეხმაურო?! გური“.

„დედაჩემს სარძლოდ მოსწონხარ. მეუბნება: თიკოზე ნაკლებ გოგოს რძლად არ მივიღებო. ვეცდები, როგორმე გაგიცნო. ისე, ამაში შენც თუ დამეხმარები, უკეთესი იქნება“.

„შენი ინტერვიუ ძალიან მომეწონა, მართლაც, ნამდვილი ქართველი გოგონა ხარ. ვფიქრობ, თავისუფლება მართლაც, სულის სიმშვიდეა. ისე, ძალიან მიკვირს, შენნაირ გოგოს შეყვარებული როგორ არ ჰყავს?! ეტყობა, ცოტა წუნია ხარ. გიო“.

„თიკო, ცხოვრებას მეც შენსავით ფხიზელი თვალით ვუყურებ. არც იმის ამბიცია და ილუზია მაქვს, რომ შენნაირი გოგო, რაიონელ ბიჭს (თუნდაც კარგს) ცოლად გაჰყვება. უბრალოდ, მიხარია, რომ ძალიან კარგი ხარ. მინდა, შენნაირი ჯანმრთელი სულის გოგონა კიდევ ბევრი დადიოდეს ჩვენს ქვეყანაში. შენთან მეგობრობა მინდა. ბოხო“.

„ძალიან ლამაზი და სექსუალური ხარ. შენზე ფიქრისას რაღაც მემართება. ისე მომწონხარ, ვეღარ ვაზროვნებ. მგონი, მიყვარხარ. ზუკა“.

„რა ლამაზი ტან-ფეხი გაქვს/ რა თვალწარბი ან რა ბაგე/ ასე ნაზი, ასე კარგი/ მჯერა, ჩემთვის დაიბადე. თიკუშ, საღად და რეალურად აზროვნებ. მართლა ასეთი კარგი ხარ? კარგი იქნება, თუ დამიკავშირდები. მუკობაზიერი.

„არ მეგონა, ასეთი კარგი ხასიათის თუ იყავი, რადგან შორიდან ძალიან „გრუბი“ ჩანხარ. არაჩვეულებრივად ლაპარაკობ. ისე, ცოტა ამაყი კი იქნები. ცხოვრებაში წინსვლას და ბედნიერებას გისურვებ. ნატა“.

„თიკუშ, გენაცვალე, მართლაც ნამდვილი ქართველი გოგო ხარ. კარგია, რომ ტრადიციებს პატივს სცემ. შენნაირები ღმერთმა გვიმრავლოს. გაკოცე უამრავი. მოხევე ქუნთა“.

„გარეგნულ სილამაზესთან ერთად, სულიერი სილამაზეც გაქვს. ჭკვიანი გოგო ჩანხარ. შენით ისე მოვიხიბლე, როგორც არასდროს და არავისით მოვხიბლულვარ. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი და ვიმეგობრებდი შენთან, რა თქმა უნდა, ამის სურვილი თავადაც თუ გაგიჩნდება. დათა“.

„რა ლამაზი ფერის თვალები გაქვს, რომ გიყურებ, ვიბნევი. არ გინდა, ჩემნაირი ბიჭის მეუღლე გახდე? — მაღალი და სიმპათიური ვარ. სხვათა შორის, მატერიალური მდგომარეობაც სტაბილური მაქვს და ვფიქრობ, შენი გულის მოგებას შევძლებ. მთავარია, როგორმე გაგიცნო. ძალიან მომწონხარ. იქნებ, ჩემს წინადადებაზე სერიოზულად იფიქრო?! დათო“.

„მე ამ „ესემესს“ ვაგზავნი შენთან/ გამაგებინე, მოვიდეს როცა/ რადგანაც მე მას გამოვატანე/ სიყვარული და 1000 კოცნა“.

„თიკო, დიდი მადლობა შენს დედიკოს იმისთვის, რომ საოჯახო საქმეების კეთება გასწავლა. ქალი ხომ მარტო სილამაზით არ ფასდება. გაიხარე და იბედნიერე“.

„მენატრები, ისე როგორც არავინ/ ნეტავ, სადმე მქონდეს ერთი კარავი/ ქურდი ვიყო, სიყვარულის მპარავი/ პირველ რიგში, შენს გულს მოვიპარავდი“.

„ძალიან კარგი, სუფთა წარსულის მქონე

რა ლამაზი ტან-ფეხი გაქვს, რა თვალ-წარბი ან რა ბაგე

მამაკაცი ვარ. თანაც, სიმპათიური, თბილი და ყურადღებიანი. გამომეხმაურე და გპირდები, არ ინანებ. შენზე ვგიჟდები. გელოდები“.

„მეც შენსავით ციისფერთვალება ვარ და წარმოიდგინე, რა ლამაზი შვილი გვყოლება! ეჰ... ოცნებავ, ოცნებავ... ძალიან მინდა გაგიცნო და იქნებ როგორმე შენი გულის მოგება შევძლო“.

„დანახვის დღიდან შემიყვარდი. ჩემს გარეგნობაზე არაფერს გეტყვი, მაგრამ თუ ჩემს ნახვას მოისურვებ, აუცილებლად მოგეწონები. მეტი რა გითხრა?! ამბიციურ ნათქვამად თუ არ ჩამითვლი, გეტყვი, ყველა ქალისთვის სასურველი მამაკაცი ვარ. იმედია, შენთვის გამონაკლისი არ ვიქნები“.

„ცხოვრებაში, ყველაზე დიდი ბედნიერება, კარგი მეორე ნახევრის პოვნაა. ვფიქრობ, შენ საუკეთესო მეუღლე იქნები. განათლებული გოგო ხარ და შვილების აღზრდა არ გაგიჭირდება. მინდა იცოდე, რომ ძალიან მომწონხარ. ალბათ, ჩემსავით ბევრი მამაკაცი დაგიმესიჯებს და იმედი არა მაქვს, რომ შემეხმიანები, მაგრამ მაინც გწერ. რატომ? — ვინ იცის, რა ხდება?! თანაც, ცდა ხომ ბედის მონახევრეა“.

„ვარ დედისერთა ბიჭი, განათლებული, სერიოზული, პერსპექტიული მომავლით. ძალიან მინდა, გვერდით ლამაზი და მომხიბვლელი მეუღლე მყავდეს. მაგალითად, ისეთი, როგორიც შენ ხარ. შენ რას იტყოდი, ძვირფასო?!. რომ მიცნობდე, კარგია, რადგან ერთი შეხედვით შეგიყვარდებოდი. იმედია, ოდესმე შენს გაცნობას შევძლებ. ნიკოლოზი“.

„თიკო, რა ამაყი და ამპარტავანი გოგო ხარ. ერთხელ, შენთან გასაცნობად მოვედი, შენ კი ისე დამიბღვირე, ადგილზე გავქვავდი. ჩემო კარგო, ყველას ასე თუ მოექცევი, ვერასდროს გათხოვდები. სილამაზე თავში კი არ უნდა აგივარდეს. ისე, მართლა სიმპათიური ხარ. P.S. ჩემი რჩევა გაითვალისწინე“. ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-45

მსოფლიოთმოვალური სტალინი

აშკარაა, რომ ტუხაჩევსკისა და მისი თანამზრახველების საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა იმ დოკუმენტებმა, რომლებიც სტალინს პრეზიდენტმა ბენეშმა გაუგზავნა. მაგრამ ხრუშჩოვს პარტიის XX ყრილობაზე ამ დოკუმენტებზე არაფერი უთქვამს. მან ისინი მხოლოდ 6 წლის შემდეგ, პარტიის XXII ყრილობაზე (ისიც — გაკვრით, როგორც უმნიშვნელო წვრილმანი) ახსენა, — მაშინ, როცა ამ დოკუმენტების არსებობის შესახებ ხმები გავრცელდა და საზოგადოება აფორიაქდა. მაგრამ ყრილობის დელეგატებს კვლავაც არ მიეცათ საშუალება, გასცნობოდნენ თვით დოკუმენტებს. მათი ობიექტური შესწავლა დღემდე არ ჩატარებულა, პოლიტიკური სპეკულაციები კი კვლავაც გრძელდება.

ტუხაჩევსკის საქმიანობის გაანალიზებისას, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია, შელენბერგის ნათქვამის გათვალისწინება: *„თავის დროზე ამტკიცებდნენ, რომ ტუხაჩევსკის დისკრედიტაციის მიზნით, გეიდრიხის მიერ შეგროვებული მასალა მეტწილად, გაყალბებული დოკუმენტებისგან შედგებოდა. სინამდვილეში კი, მხოლოდ ის ნაწილი იყო გაყალბებული, რომელიც ზოგიერთი თეთრი ლაქის შესავსებად იყო გამიზნული. ეს იმით დასტურდება, რომ ჩვენში მომზადდა საკმაოდ სქელტანიანი დოსიე, რომელიც ჰიტლერს ძალზე მოკლე ხანში — სულ რაღაც ოთხ დღეში წარუდგინეს“.*

საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმიდან რამდენიმე დღეში, 1936-1938 წლებში საბჭოთა კავშირში აშშ-ის ელჩმა ჯოზეფ დევისმა, შეკითხვაზე — *„რას იტყოდით რუსეთში „მეხუთე კოლონის“ წევრებთან დაკავშირებით?“*, უპასუხა: *„ის აღარ არსებობს — მისი ყველა წევრი დახვრიტეს“*, — შემდეგ კი განაგრძო: *„მოულოდნელად ჩემ თვალწინ გადაიშალა სურათი, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ უნდა დამენახა, როცა რუსეთში ვმუშაობდი: მაშინ მსოფლიოს დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ 1935-1939 წლებში ჩატარებული, მოღალატეთა გახმაურებული პროცესები და წმენდა მხოლოდ ბარბაროსობის, უმადურობისა და ისტერიის გამოხატვის აღმაშფოთებელ მაგალითს წარმოადგენდა. მაგრამ ახლა სრულიად აშკარა გახდა, რომ ისინი, სტალინისა და მის უახლოეს თანამებრძოლთა საოცარ შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებდა“.*

ასე და ამგვარად, არსებობს ყველა საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში განხორციელებული რეპრესიები სულაც არ ყოფილა განუკითხაობის გამოვლინება. ჩატარებული რეპრესიები სოციალური ურთიერთობების ფაქტორს, ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს გაძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

ხრუშჩოვი განზრახ აჩუმათებდა ყველაფერ ამას, არ ლაპარაკობდა იმ ამოცანების გრანდიოზულობაზე, რომლებიც ომამდელ წლებში ხორციელდებოდა. სამწუხაროა, რომ პარტიის XX ყრილობის ტრიბუნიდან ხრუშჩოვის მიერ გადმოღვრილი სიცრუე მისმა დელეგატებმა მორჩილად გადაყლაპეს.

სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს იმის მტკიცება, თითქოს *„დროულად არ განხორციელებულა მრეწველობის მობილიზაცია“*. ფაქტები მოწმობს: თითოეულ ხუთწლიან გეგმას ქვეყნის ყველა რესურსის მაქსიმალური გამოყენების გათვალისწინებით ადგენდნენ და მის შესრულებას მთელი ძალების დაძაბვით ახდენდნენ.

ცნობილი, 76-მილიმეტრიანი ქვემეხის შემქმნელი გრაბინი წიგნში „გამარჯვების იარაღი“ წერს: *„ხრუშჩოვმა თქვა, რომ ჩვენ არ ვემზადებოდით ომისთვის. არადა, ყველა ჩემი ქვემეხი ომამდე მაქვს გაკეთებული. ამ დროს, ტუხაჩევსკისთვის რომ დაგვეგდო ყური, ისინი არ გვექნებოდა: მას ვთხოვე, ჩვენი ქვემეხი ჯარის დათვალიერებისას გამოეფინა, მაგრამ მან კატეგორიული უარი განმიცხადა. მაშინ ვუთხარი, რომ ამის შესახებ პოლიტბიუროს ვაცნობებდი. დათვალიერებისას სტალინი ჩვენი „რკინის“ მონაცემებს გაეცნო. შემდეგ მე მომიბრუნდა და შეკითხვები დამისვა. მას აინტერესებდა — როგორი იყო ქვემეხის სროლის სიშორე, სხვადასხვა სახეობის ჭურვის მოქმედების ძალა, რა სისქის ჯავშანს გახვრეტდა, რამდენად მობილური იყო და ბევრი სხვა რამ. მოკლედ ვპასუხობდი. ეს ქვემეხი ომის დროს საუკეთესო აღმოჩნდა. 1942 წლის 1-ელ იანვარს სტალინმა თქვა: „თქვენმა ქვემეხმა რუსეთი იხსნა...“ აი, ასე იჭედებოდა გამარჯვების იარაღი სტალინის ეპოქაში“.*

მაგრამ მოდი, 30-იან წლებს დავუბრუნდეთ. დროის ლიმიტი, რომელიც ქვეყანას ჰქონდა მიცემული, შაგრენის ტყავივით, კატასტროფულად მცირდებოდა. ევროპაში ომი მძვინვარებდა. ვერც ერთმა მსხვილმა ევროპულმა სახელმწიფომ, რომელმაც გერმანული სამხედრო მანქანის დარტყმის ძალა იწვნია, ვერ გაუძლო ვერმახტის ყაჩაღურ მოქმედებას: 28 დღეში პოლონეთი დააჩოქეს, 45 დღეში — საფრანგეთი, რამდენიმე კვირაში დაიპყრეს იქნა ნორვეგია. ამდენივე დრო იკმარეს ჰიტლერელებმა ბალკანეთის ქვეყნების დასამონებლად და გასაჩანაგებლად. არც ერთი პოლიტიკოსი, ჰიტლერელებიც კი არ ელოდნენ მოვლენების ასეთ თავბრუდამხვევ განვითარებას.

ომი დამოკლეს მახვილივით აღიმართა საბჭოთა კავშირის თავზე. არადა, ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, ფაშისტური აგრესიის მოსაგერიებლად საჭირო სამზადისის დასასრულებლად. სტალინი მშვიდობიანი პერიოდის გასახანგრძლივებლად იბრძოდა, თუმცა — დიდი რისკის ფასად. მის გათვლებს გამართლება არ ეწერა.

აუცილებელია შეჭერდეთ ომამდელი პერიოდის კიდევ ერთ რთულ, მნიშვნელოვან და ძალზე მტკივნეულ პრობლემაზე, რომელმაც დიდი სამამულო ომის საწყის ეტაპზე ჩვენთვის ტრაგიკული როლი შეასრულა. მხედველობაში მაქვს კითხვა — როგორ, რა მიზეზით მოხდა, რომ გერმანიამ მოულოდნელად მოახერხა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა? ხრუშჩოვმა შეგნებულად გაამრუდა ამ კითხვაზე პასუხი — აღნიშნული ფაქტორი პირადად სტალინის „უნიათობას“ დააბრალა, ირწმუნებოდა, რომ ბელადმა ყურად არ იღო დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაცია. ხრუშჩოვის მიერ გაკვალული გზით წავიდა „დემოკრატიული“ პროპაგანდაც.

პარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩოვი საერთოდაც უარყოფდა იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმა მოულოდნელი იყო, ირწმუნებოდა — „ეს სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს“ და განაგრძობდა: *„სტალინმა ყურად არ იღო გაფრთხილებები მოს-*

ალოდნელი საფრთხის შესახებ. უფრო მეტიც, სტალინის მითითებების თანახმად, არ უნდა დაეჯერებინათ მსგავსი ინფორმაციისთვის, ვითომდა იმიტომ, რომ არ მოეხდინათ საომარი მოქმედებების დაწყების პროვოცირება... მიუხედავად ამ ძალზე მნიშვნელოვანი სიგნალებისა, საკმარისი ზომები არ მიულიათ იმისთვის, რათა კარგად მოემზადებინათ ქვეყანა თავდასაცავად და გამოერიცხათ თავდასხმის მოულოდნელობის მომენტი".

ხრუშჩოვმა განზრახ დამალა ის ფაქტი, რომ სტალინს სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის ინფორმაციას აწვდიდნენ, რომლის თანახმადაც, გერმანიის თავდასხმა 1941 წლის ივნისში გამორიცხული იყო და რომ უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელთა დიდი უმრავლესობა და სტალინის უახლოესი გარემოცვა სწორედ ამ თვალსაზრისს იზიარებდა. ის ფაქტი, რომ გერმანია საბჭოთა კავშირს თავს დაესხმებოდა, ეჭვგარეშე იყო. საკითხავი მხოლოდ ის გახლდათ, თუ როდის მოხდებოდა ეს. სწორედ ამ ფონზე მიმდინარეობდა ჭიდილი, რომლის მიზანიც გახლდათ, რაც შეიძლებოდა, დიდი ხნით გადაგვწია გერმანიის აგრესიის დაწყება.

სრულყოფილად პასუხის გაცემა საკმაოდ რთულ შეკითხვაზე, სინამდვილეში თუ როგორ ეპყრობოდა სტალინი მოახლოებული საფრთხის შესახებ დაზვერვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, მხოლოდ პოლიტბიუროს საიდუმლო არქივისა და სტალინის პირადი არქივის ანალიზის შემდეგ თუ გახდებოდა შესაძლებელი. ეს დოკუმენტები ამჟამად, რუსეთის პრეზიდენტის არქივში ინახება და დღესაც, თითქმის ხელმიუწვდომელია. ამასთან, დოკუმენტების გარკვეული ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩნდა.

ახლა უკვე შეუძლებელია იმის დადგენა, თუნდაც მხოლოდ რაოდენობრივად, რამდენი უტყუარი ცნობა და რამდენი დეზინფორმაცია აღწევდა საბჭოთა კავშირის მაღალ ეშელონებში, თუმცა დეზინფორმაცია საკმარისზე მეტი იყო. კერძოდ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ჰიტლერელთა სასარგებლოდ მოქმედი აგენტის, ბერლინგსის (მეტსახელად — ლიცეისტი) დეზინფორმაციული ოპერაციის ბადეში გაეხვია. არადა, ბერლინგსი ძალზე ფასეულ წყაროდ იყო მიჩნეული. მისი მეშვეობით ვრცელდებოდა დეზინფორმაცია — თითქოს გერმანია ინგლისზე თავდასასხმელად ემზადებოდა, თითქოს გერმანია საბჭოთა კავშირთან 1939 წელს დადებული ხელშეკრულების ერთგული იყო და სხვა ამგვარი. ლიცეისტი მხლოდ ომის შემდეგ ამხილეს. დღეს უკვე ცნობილი დოკუმენტები მოწმობს, რომ ძალზე ბევრ ინფორმაციას, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელობა იღებდა, თვითონ სადაზვერვო უწყებათა ხელმძღვანელები და მაღალჩინოსანი სამხედრო პირები აბათილებდნენ.

საბჭოთა არმიის სადაზვერვო სამმართველოს უფროსი, გენერალი გოლიკოვი 1941 წლის 20 მარტს სტალინისადმი გაგზავნილ მოხსენებაში, უახლოეს თვეებში გერმანიის მოქმედების შესაძლო ვარიანტების განხილვისას, ასეთ დასკვნას აკეთებს: *„1. ზემოთ მოყვანილი ყველა მონაცემისა და ამა წლის გაზაფხულზე მოქმედების შესაძლო ვარიანტების საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრების დასაწყებად ყველაზე რეალური ვადა, ინგლისზე გამარჯვების ან მასთან გერმანიისთვის საპატიო მშვიდობის დამყარების შემდგომი მომენტი იქნება. 2. ჭორები და დოკუმენტები, რომლებიც გვარწმუნებს, რომ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უეჭველად ამა წლის გაზაფხულზე დაიწყება, აუცილებლად უნდა შეფასდეს, როგორც დეზინფორმაცია, რომელსაც ინგლისური ან სულაც, გერმანული დაზვერვა ავრცელებს".*

ახლა კი გაცნობებთ, თუ რას უმტკიცებდა სტალინს 1941 წლის 6 მაისს სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი, ადმირალი კუზნეცოვი. მან ბელადს აცნობა, რომ მიიღო ინფორმაცია, რომლის თანახმად, გერმანია 14 მაისს დაესხმებოდა თავს საბჭოთა კავშირს, და შემდეგ დასძინა: *„მიმაჩნია, რომ ეს ცრუინფორმაციაა და საგანგებოდ იმისთვისაა გამოგზავნილი, რათა მასზე საბჭოთა კავშირის რეაქცია შეიტყონ".*

14 ივნისს თავდაცვის სახალხო კომისარი ტიმოშენკო და გენერალური შტაბის

ალბათ არ ვიღონეთ ყველაფერი იმისთვის, რომ დაგვერწმუნებინა სტალინი — გერმანია უახლოეს პერიოდში დაიწყებდა ომს

უფროსი ჟუკოვი წარდგნენ სტალინის წინაშე მოხსენებით იმის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობა იყო დასავლეთის საჰხედრო ოლქებში და წამოაყენეს წინადადება, სრულ საომარ მზადყოფნაში მოეყვანათ ჯარები. ამის პასუხად სტალინმა შენიშნა: *„თქვენ გვთავაზობთ, ქვეყანაში მობილიზაცია ჩავატაროთ, ახლავე გავგზავნოთ ყველა არმია დასავლეთის საზღვრებისკენ? თქვენ გესმით, რომ ეს ომს ნიშნავს?"*

სტალინი მართალი იყო: ეს უცილობლად ომს მოასწავებდა. ამასთანავე, მას არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდა, რომ დასავლეთ ოლქებში შეიარაღებული ძალების საკმარისი რაოდენობა იყო განლაგებული. ამაში მას ტიმოშენკო არწმუნებდა.

და მაინც, შიდა სამხედრო ოლქებიდან ჯარების გადაადგილება, რომელიც უკვე დაწყებული იყო, დაჩქარდა. ოლქების სარდლებმა მიიღეს მითითება, 21-დან 25 ივნისამდე საფრონტო სამმართველოები საველე სამეთაურო პუნქტებში განეთავსებინათ. გაიცა ბრძანება, შეენიღბათ აეროდრომები, სამხედრო ნაწილები, მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები, ე.წ. დაცვით ფერში შეეღებათ ტანკები, მოეხდინათ საავიაციო ბაზების დეცენტრალიზაცია.

21 ივნისს ბერია, რომელსაც თავის უწყებაში მზვერავთა ძლიერი აპარატი ჰყავდა, სტალინს ატყობინებდა: *„...კვლავ დაჟინებით მოვითხოვ, ბერლინში ჩვენი ელჩის — დეკანოზოვის გამოწვევასა და დასჯას, რომელიც კვლავაც დაუსრულებლად მბომბავს „დეზინფორმაციით", თითქოს ჰიტლერი საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად ემზადება. მან შემატყობინა, რომ ეს „თავდასხმა" ხვალ დაიწყება".*

ყოველივე თქმულის გამო, სტალინს შეიძლებოდა ერწმუნა, რომ უახლოეს პერიოდში, თუნდაც 1941 წლის ბოლომდე, ომი არ დაიწყებოდა. მათ კი, ვინც ცდილობს იმაზე პასუხისმგებლობა, რაც 1941 წლის 22 ივნისს მოხდა, მთლიანად და ერთმნიშვნელოვნად სტალინს დააკისროს, მარშალ ჟუკოვის მოსაზრების გაცნობას ვურჩევ. ის წერს: *„იმ პერიოდში ჩვენ, სამხედროელებმა ალბათ არ ვიღონეთ ყველაფერი იმისთვის, რომ დაგვერწმუნებინა სტალინი — გერმანია უახლოეს პერიოდში დაიწყებდა ომს, — და დაგვემტკიცებინა იმის აუცილებლობა, რომ განგვეხორციელებინა ოპერატიულ-სამობილიზაციო გეგმით გათვალისწინებული სასწრაფო ღონისძიებები". „მიმაჩნია, — წერდა მარშალი ვასილევსკი, — რომ მარტო სტალინს არ ეკისრება პასუხისმგებლობა პირველ თვეებში საომარი მოქმედებების ძალზე ცუდად წარმართვის გამო. ეს პასუხისმგებლობა სხვებსაც ეკისრებათ. შესაძლოა, ნაკლები პასუხისმგებლობა, მაგრამ ის მაინც ეკისრება მაშინდელ თავდაცვის სახალხო კომისარს და იმდროინდელ გენერალური შტაბის ხელმძღვანელ პირებს. მაღალი თანამდებობებიდან და შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზე პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ისინი არ უნდა დასთანხმებოდნენ სტალინს ყველაფერში და უფრო მტკიცედ უნდა დაეცვათ საკუთარი მოსაზრებები".* მიგვაჩნია, რომ მარშალ ვასილევსკის მოსაზრება ისტორიული თვალსაზრისით, ობიექტურია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბარათელს 27 წელი მიუსაჯეს

შარაძის ოჯახის წევრების თქმით, ასეთი განაჩენი მოულოდნელი არ ყოფილა

გურამ შარაძის მკვლელობის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენით დაასრულა. მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა ბრალდების მხარის პოზიცია გაიზიარა და განსასჯელი გიორგი ბარათელი დამნაშავედ გამოაცხადა, სასჯელის ზომად კი 27 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლოს პოზიციით, საქმის განხილვისას, ბრალდების მხარემ სათანადო მტკიცებულებები წარადგინა, დაცვის მხარის პოზიცია კი სუსტი იყო. ასეთი განაჩენი არც სასამართლო პროცესზე დამსწრე საზოგადოებისთვის, არც დაზარალებულისა და დაცვის მხარეებისთვის აღმოჩნდა მოულოდნელი. როგორც დაზარალებულები აღნიშნავენ, მოულოდნელი უფრო ის იქნებოდა, სასამართლოს საქმე ობიექტურად რომ განეხილა. ოჯახის ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში აპირებენ.

სასამართლომ ბარათელი საბრალდებო დასკვნაში აღწერილ ყველა ეპიზოდში ცნო დამნაშავედ. კონკრეტულად, გურამ შარაძის მკვლელობისთვის, ანუ 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, პატრულის თანამშრომლებზე განხორციელებული თავდასხმისთვის კი, რაც ბრალდების მხარემ 19-109-ე მუხლით დააკვალიფიცირა (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა; მესამე ეპიზოდი ექიმ ტიზიკიანზე თავდასხმასა და მისთვის სხეულის განზრახ, მსუბუქ დაზიანებას ეხება. ბრალდების თანახმად, განაწყენებული ბარათელი, ცეცხლსასროლი იარაღით ხელში, სახლში მიუვარდა ტიზიკიანს (რომელიც მას წარსულში მკურნალობდა) და მისი მიმართულებით გაისროლა. ამ დანაშაულისთვის ბარათელს ერთი წლით, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის კი ერთი წლითა და 6 თვით (ასევე, დაეკისრა ფულადი ჯარიმა, 1.500 ლარის ოდენობით), ხოლო იარაღის უკანონო ტარებისთვის 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა (ფულადი ჯარიმა 2.500 ლარი) მიესაჯა. საბოლოო ჯამში, ბარათელს 27 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და 4.000-ლარიანი ჯარიმა შეუფარდეს.

დაცვის მხარემ განაჩენის განზრახ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ნაწილი გააპროტესტა. ადვოკატების თქმით, ბარათელმა პატრულის თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტი უარყო და ბრალდების ამ ნაწილში თავი დამნაშავედ არ ცნო. ისინი აღნიშნავენ, რომ რეალურად, მათზე თავდასხმა არც მომხდარა, რის გამოც, სასამართლო პროცესზე, კერძოდ, მხარეთა კამათის ეტაპზე, მათ მოსამართლეს აღნიშნული მუხლის მოხსნა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოსთხოვეს. მოსამართლემ დაცვის მხარის პოზიცია არ გაიზიარა და მათ არც გურამ შარაძის მკვლელობის მუხლის კვალიფიკაციაში დაეთანხმა. მსჯავრდადებულის ადვოკატების თქმით, ბარათელმა დანაშაული არა განზრახ, არამედ ძლიერი სულიერი აღელვების პირობებში ჩაიდინა და მუხლიც შესაბამისად უნდა განსაზღვრულიყო, დანარჩენ ეპიზოდებში კი, მათ სასამართლოს მინიმალური სასჯელის დანიშვნა (ტიზიკიანისთვის სხეულის დაზიანების გამო 6 თვე, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის 6 თვე და იარაღის უკანონო ტარებისთვის 3 წელი) სთხოვეს. დაცვის მხარის თქმით, ამ შემთხვევაში, სასამართლოს განსასჯელის აღიარებითი ჩვენება უნდა გაეთვალისწინებინა. აღნიშნული განაჩენის გაპროტესტება მხარეებს ერთი თვის ვადაში შეუძლიათ. ■

მოკლული ბექა გოგოლაძე, ოჯახთან ერთად

„გამახსენდა, რომ ჯიბეში დანა მქონდა, ამოვიღე და მოვიქნიე..."

15 წლის ბექა გოგოლაძის მკვლელობაში არასრულწლოვანი განსასჯელი დამნაშავედ ცნეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ 15 წლის ბექა გოგოლაძის მკვლელობის საქმის განხილვაც დაასრულა. მკვლელობაში ბრალდებული ლაშა რეხვიაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სასამართლო პროცესზე დაკითხვისას, განსასჯელმა აღნიშნა, რომ ბექა გოგოლაძესთან ჟეტონის გამო მოუხდა შელაპარაკება. მისი თმით, ბექამ მას შეაგინა და თვალის არეში გაარტყა ხელი, რის გამოც, მან გონება დაკარგა. როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ ბექა მის წინ იდგა. *„გონს რომ მოვედი, ჩემი მეგობარი, ბიჭიკო გიორგაძე მიჭერდა ხელებით. მერე ხელი გამიშვა. ამ დროს დავინახე, ბექას ქვა ეჭირა და უცებ, გამახსენდა, რომ ჯიბეში დანა მქონდა, ამოვიღე და მოვიქნიე. ბექა ძირს დაეცა. როცა ჭრილობა დავინახე, ხელი მოვკიდე და შუქზე გადავიყვანე. მეგონა, უგონოდ იყო, მაგრამ უკვე მკვდარი ყოფილა. ამ დროს ბიჭიკო ბიჭების დასაძახებლად გაიქცა. ბიჭები რომ დავინახე, შემეშინდა და გავიქეცი“*, — თქვა ჩვენებისას **ლაშა რეხვიაშვილმა**.

მისი თქმით, შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ ეკლესიაში გაიქცა და ლოცულობდა, რომ ბექა გადარჩენილიყო. მან ჩვენებისას ისიც აღნიშნა, ბიჭიკო და ბექა ყოველდღე ფულს მძალავდნენო...

განსასჯელის ადვოკატმა სასამართლო პროცესზე მუხლის გადაკვალიფიცირება მოითხოვა. მისი თქმით, რეხვიაშვილმა არ იცოდა, თუ რამდენი წლის იყო გოგოლაძე და ამდენად, მისთვის არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის შესაბამისი მუხლი არ უნდა წაეყენებინათ. რაც შეეხება ბრალდების მხარეს, მან სასამართლოს რეხვიაშვილის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) დამნაშავედ ცნობა და მისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. სასამართლომ ბრალდების მოთხოვნა დააკმაყოფილა. თუმცა, იმის გამო, რომ თავად რეხვიაშვილიც არასრულწლოვანი გახლავთ, 88-ე მუხლის თანახმად, მას სასჯელის 1/3 პირობითად ჩაეთვალა და საბოლოოდ, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. ცივი იარაღის — დანის ტარებისთვის კი 2.000 ლარით დააჯარიმეს. ■

„ისინი, ვინც ცივსისხლიან ბანდიტს მიწოდებდნენ, ყველაზე აღვირახსნილი ბოროტმოქმედები აღმოჩნდნენ..."

საშინელი „აღიარება" და მსჯავრდადებულის მიერ სადიზმსა და ამორალობაში მხილებული სამართალდამცველები

„ის, რაც მაშინ მოხდა, მინდა, სამუდამოდ დავივიწყო. ამას დღემდე ვცდილობ, მაგრამ ვერ ვახერხებ. აუტანელი ტკივილი და საზიზღარი შეურაცხყოფა გადავიტანე, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ყველაფრის თავიდან გახსენება, დეტალურად აღწერა და ყველას გასაგონად, საჯაროდ, ამ დამცირების სიტყვებით გადმოცემა მომიხდა. მე ეს საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად გავაკეთე, რათა ხალხს გაეგო, რომ ისინი, ვინც ცივსისხლიან ბანდიტს და თავზე ხელაღებულ კრიმინალს მიწოდებდნენ, თავად ყველაზე საშიში და აღვირახსნილი ბოროტმოქმედები იყვნენ..." — ეს სიტყვები ერთ-ერთ მსჯავრდადებულს, სისხლის სამართლის კოდექსის უმძიმესი მუხლებით გასამართლებულ კაცს ეკუთვნის. სასამართლოს მან ყველაზე ემოციური და ბევრისთვის ამაღელვებელი ჩვენება მისცა.

განსასჯელი, რომელიც სამართალდამცველების მიერ, ჯგუფურად ჩადენილ არაერთ მძიმე დანაშაულში, მრავალ უკანონობაში, ძალადობასა და სისასტიკეში იმხილებოდა, თავად იშვერდა ხელს პოლიციისა და პროკურატურის მაღალჩინოსნებისკენ. სასამართლოს ის ამ პირების წარმოუდგენელ სადიზმზე, ცინიზმსა და ჩაგვრაზე, შემზარავ და აქამდე გაუგონარ ფაქტებს უყვებოდა. განსასჯელის თქმით, მოძალადე სამართალდამცველების მიზანი იყო — ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი და რეზონანსული საქმის გახსნილად გამოცხადება და საამისოდ დაკავებული პირებისგან აღიარებითი ჩვენებების მიღება. რეაქცია მწვავე უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაშინ, პირველი ინსტანციის სასამართლომ განსასჯელის, ისევე, როგორც მასთან ერთად გალიაში გამომწყვდეულ სხვა ბრალდებულთა სიტყვები რეაგირების გარეშე დატოვა. სასამართლო, პროკურატურას არ შეეწინააღმდეგა და ყველა ბრალდება დადასტურებულად გამოაცხადა, განსასჯელთა ჩვენებებს კი არადამაჯერებელი და უსაფუძვლო უწოდა...

„ბრალდება რამდენიმე მძიმე მუხლისგან შედგებოდა და სასჯელის ზომად, მრავალწლიან პატიმრობას ითვალისწინებდა. მე და სხვა დაკავებულები ვამბობდით, რომ მომხდარ ფაქტებთან საერთო არაფერი გვქონდა, თავს უდანაშაულოდ ვცნობდით. ისინი ჩვენგან აღიარებას მოითხოვდნენ და ე.წ. ამოცნობებს ატარებდნენ. ერთ-ერთი დაკავებული, დაზარალებულს რამდენიმე პირთან ერთად წარუდგინეს, მაგრამ ისე, რომ მიახვედრეს, ამას უნდა დაადო ხელი. წარდგენილი პირებისგან, მხოლოდ დაკავებულს ეკუთა ხელზე ბორკილები და ამის მიხვედრა ძნელი არ იქნებოდა... ასეთი მეთოდებით მოპოვებული, ვითომ მტკიცებულებების გვერდით, აღიარება სჭირდებოდათ და ფიზიკურ ძალადობაზე გადავიდნენ... ამის შემდეგ ნამდვილი წამება დაიწყო... ჯერ ხელებსა და ფეხებზე ლითონის ბორკილები მარწუხებივით დაგვადეს და ისე წაგვიჭირეს, რომ ოდნავი განძრევის საშუალებაც არ გვქონოდა. ამის შემდეგ, ხელკეტები და რაღაც რკინის ძელები დაგვიტრიალეს ცხვირწინ, იმუქრებოდნენ და სასურველი პასუხი მაინც რომ ვერ მიიღეს, ცემა დაგვიწყეს. ხელკეტებსა და ძელებს გამეტებით გვირტყამდნენ სხეულის სხვადასხვა ადგილზე. ასეთ წამებასა და ცემას სისტემატური ხასიათი ჰქონდა და ვიცოდით, რომ ყველაფერი უშუალოდ, შს სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს იმ-ჟამინდელი უფროსის დავალებით სრულდებოდა. ამ სამმართველოს თანამდებობის პირები ჩვენს წამებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ და თითოეული ჩვენგანისგან დანაშაულის აღიარებას მოითხოვდნენ. ხელფეხის თითებზე, ენაზე, ყურზე და სასქესო ორგანოზე გვიერთებდნენ ტელეფონის სადენებს და დაბალი ძაბვის დენით გვაწამებდნენ. როცა დაინახეს, რომ ამ სისასტიკეს პრინციპულად ვუძლებდით, ყველაზე ბინძურ მეთოდებზე გადავიდნენ. მათმა ცინიზმმა, პიროვნული ღირსების შეურაცხყოფის ყველაზე საზიზღარმა ფორმებმა შედეგი გამოიღო... ერთ-ერთი დაკავებული არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურად, სამუდამოდ გაანადგურეს. პირადად სამმართველოს განყოფილების უფროსმა რეზინის ხელკეტს პრეზერვატივი ჩამოაცვა და ის იქვე მყოფ ინსპექტორს გადასცა. მისი მითითებით, ინსპექტორმა დაკავებული აიძულა, დამორჩილებოდა და საშინელი ირონიითა და დაცინვით ემუქრებოდა, რომ რამდენიმე წამში სქესობრივი აქტის იმიტაციას მოუწყობდა... ხელკეტი სწორ ნაწლავში შეუყვანა და ისე აწამა... სამმართველოს განყოფილების უფროსის აღვირახსნილობამ პიკს მიაღწია, როცა დაკავებულ ორაგველიძეს პირდაპირ სახეზე დააშარდა, შემდეგ კი, ფეკალურ მასაში ამოსვრილი ცოცხით დაუწყო ცემა, ცოცხს სხეულის სხვადასხვა ადგილას ურტყამდა, თან აგინებდა, დასცინოდა, ემუქრებოდა... დაკავებულ გეგეშიძეს გაუპატიურებით დაემუქრნენ, მაგრამ როგორც ჩანს, საკმარისად არ მიიჩნიეს და უთხრეს, სექსუალურ ძალადობას შენს ინვალიდ შვილზე, შენ თვალწინ მივმართავთო. ეს მუქარა რეალური იყო, მათგან უკვე ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოსახდენად, ბავშვი მართლაც, მოიყვანეს იზოლატორში და მამას დაანახვეს... ამას ვერც ერთი მამა ვერ გაუძლებდა. ამ ამბავმა ყველა გაგვაოგნა და სიგიჟის პირამდე მისულებმა, სრულიად განადგურებულებმა ფარ-ხმალი საბოლოოდ დავყარეთ. ყველანი მივხვდით, რომ ეს საშინელება არ დასრულდებოდა და არც მათ სადიზმს ექნებოდა ოდესმე საზღვარი, თუკი მართლაც არ დავმორჩილდებოდით. იძულებულები გახდნენ და „აღიარეს"... ამის შემდეგ გადავწყვიტე, აღიარებაზე მომეწერა ხელი, რადგან ისედაც მორალურად წაშლილი ადამიანი, უარესი დამცირების შემთხვევაში, ცხოვრებას ველარ გავაგრძელებდი..." — ამ სიტყვებთან ერთად, მსჯავრდადებულმა სასამართლოს ფაქტობრივი მასალაც მიაწოდა. მან კონკრეტული სახელები და გვარები დაასახელა, მაგრამ ჩვენ შეგნებულად შევიკავებთ თავს, რეალური გვარების დაფიქსირებისგან. სამმართველოს თანამშრომლები ძალადობაში დანარჩენმა პირებმაც დაუფარავად ამხილეს... სადისტურმა და ამორალურმა ფაქტებმა, რომლებიც პატიმრებმა აღწერეს, ყველა აღაშფოთა...

ბრალდების მხარემ საქმის პირველ ინსტანციაში განხილვის დროს ყველაფერი კატეგორიულად უარყო და იმ საშიშ დანაშაულთა ნუსხაზე მიუთითა, რომელშიც 6 განსასჯელს სდებდა ბრალს. სხვათა შორის, მათ შორის ერთ-ერთი, პოლიციელი გახლდათ... ბანდიტიზმი — მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნა (კერძო პირებსა და ორგანიზაციებზე თავდასხმების მიზნით), არაერთგზის ყაჩაღობა და მკვლელობის მცდელობა (სხვა დანაშაულის დაფარვისა და გაადვილების მიზნით), დიდი რაოდენობით ფულის გამოძალვა და ადამიანების გატაცება (სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობითა და მუქარით განხორციელებული), სხეულის განზრახ დაზიანება, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარება და გადაზიდვა, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო შეძენა, შენახვა და მოხმარება — ყოველივე ამაში ბრალდების მხარემ იმ ბანდიტური დაჯგუფების ლიდერები დაადანაშაულა, რომელიც, მისივე თქმით, სამსჯავროს წინაშე არასრული შემადგენლობით წარდგა, სინამდვილეში კი, გაცილებით მრავალრიცხოვანი გახლდათ. გამოძიების ინფორმაციით, ბანდის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილის ვინაობისა და ადგილსამყოფლის დადგენა ვერ მოხერხდა...

ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განსასჯელები წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავეებად ცნო და მათ

მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მრავალწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. დანაშაულებრივი ჯგუფის ყველაზე აქტიურ წევრად და ერთ-ერთ ჩამომყალიბებლად, ომარ გეგეშიძე (გვარები შეცვლილია) დაასახელეს. საქმის მასალების მიხედვით, თანამზრახველებთან ერთად, მან ბანდის გაფართოება გადაწყვიტა. მასში ახალი წევრები მიიღო, გააძლიერა შეიარაღებაც. ჯგუფის წევრებმა ერთობლივად, სხვადასხვა დროს, გამოძიებით დაუდგენელ ვითარებაში შეიძინეს საბჭოთა და უცხოური წარმოების ცეცხლსასროლი იარაღი — „არმენიუს" და „ნაგანის" რევოლვერები, „მაკაროვის" პისტოლეტები, „აკს" და „კალაშნიკოვის" ავტომატები, „იჟ" და „იჟკ" მოდელების გადაჭრილი თოფები, „ფ-1" და „რგ-42" ტიპის ხელყუმბარები, რკინის ხელკეტები, ნიღბები, დანები, ხანჯლები, დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა — ვაზნები, მჭიდები... ბანდის აღჭურვილობა, გამოძიების ინფორმაციით, ძირითადად, გეგეშიძის სახლში ინახებოდა. საბრალდებო დასკვნაში ისიცაა მითითებული, რომ ამ არსენალის უმეტესობა პოლიციამ დაკავებულთა საცხოვრებელი სახლებისა თუ მათი პირადი ჩხრეკის დროს ამოიღო.

ბანდის სამიზნე, როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, სხვადასხვა რაიონში მცხოვრები, შეძლებული ოჯახები ან მსხვილი, წარმატებული კომერციული ორგანიზაციები იყვნენ. ერთ-ერთი პირველი დაზარალებული, რომელიც მართალია, სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ფინანსური თვალსაზრისით, დიდი ზარალი განიცადა, ქუთაისის მკვიდრი — მერაბ გედენიძე გახლდათ... გეგმის თანახმად, დანაშაული იმ დროს უნდა ჩაედინათ, როცა მათი „ობიექტი" ახლობლის დაკრძალვიდან შინისკენ, საკუთარი ავტომანქანით წავიდოდა. ჯგუფის წევრებმა როლები გაინაწილეს და იმ საავტომობილო გზაზე ჩასაფრდნენ, სადაც გედენიძეს უნდა გაევლო. საქმეში მათ ნაცნობი პოლიციელიც ჩართეს... ბანდის წევრები, როგორც საბრალდებო დასკვნასა და პირველი ინსტანციის განაჩენში წერია, სწორედ ამ პოლიციელის — რაიონული სამმართველოს ერთ-ერთი ქვეგანყოფილების თანამშრომლის ავტომანქანით მოძრაობდნენ და სხვადასხვა ადგილას გადაჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი. პოლიციელის სახელს, ფორმასა და მანქანას ამოფარებული ბანდა უფრო დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობდა თავს.

იმ საღამოსაც, წინასწარ შერჩეულ ადგილას პოლიციელის მანქანით მივიდნენ. თუმცა, იქ მისვლამდე, გზად, სატვირთო ავტომანქანის მძღოლი დააყაჩაღეს, მანქანა კი გაიტაცეს. მძღოლს ხელ-ფეხი შეუკრეს, თავზე ტომარა ჩამოაცვეს და სალონში, უკანა სავარძელთან ჩატენეს. შემდეგ მანქანაში ბანდის რამდენიმე წევრიც მოთავსდა. როგორც ბრალდების მხარე ხსნის, დამატებითი მანქანა ბოროტმოქმედებს ცეცხლსასროლი იარაღისა და დანაშაულის გეგმის სრულყოფილად განსახორციელებლად სჭირდებოდა. გეგმა მაინც ვერ შეასრულეს. იმის გამო, რომ ძალიან ბნელოდა და ტრასაზე მოძრავი ავტომანქანების გარჩევა უჭირდათ, დანაშაულის ჩადენა სხვა დროისთვის გადადეს. სატვირთო ავტომანქანის მძღოლს მხოლოდ 35 ლარი წაართვეს, შემდეგ გაათავისუფლეს და მანქანასთან ერთად, იქვე მიატოვეს, თავად კი მიიმალნენ.

მეორედ, გედენიძეს ისინი საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ჩაუსაფრდნენ. საღამოს 8 საათისთვის ბანდის ერთ-ერთი წევრისგან — „მეთვალყურისგან" სიგნალი მიიღეს და მართლაც, დაახლოებით, 20 წუთში, გზაზე გედენიძის ავტომანქანა შენიშნეს. მანქანა ავტოფარეხთან გაჩერდა თუ არა, ნიღბებაფარებული და ავტომატებით შეიარაღებული ბოროტმოქმედები საჭესთან მჯდომ გედენიძეს თავს დაადგნენ. მოკვლით დაემუქრნენ, მანქანიდან ძალით გადმოიყვანეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, პირი აუბვიეს, შემდეგ, თავზე ტომარა ჩამოაცვეს და თავისსავე მანქანის სალონში ჩატენეს. საჭეს გეგეშიძე მიუჯდა და თანამზრახველებთან ერთად, წინასწარ შეთანხმებული ადგილისკენ გასწია. გატაცებულს ისინი ადგილსამყოფელს პერიოდულად უცვლიდნენ, ამასობაში კი ოჯახს გამოსასყიდი თანხის — 50 ათასი დოლარის გადახდას სთხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მძევლის მოკვლით იმუქრებოდნენ. ამ მუქარის რეალურობაში მათ დასარწმუნებლად, გედენიძესაც სცემდნენ და აიძულებდნენ, სატელეფონო საუბრისას, ოჯახის წევრები როგორმე დაერწმუნებინა იმაში, რომ თანხის გადახდა მისი გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენდა.

დაზარალებულმა ოჯახმა მართლაც, შეძლო დასახელებული თანხის მოგროვება და ის გამტაცებელთა მიერ მითითებულ ადგილას დატოვა. პირობა არც ბოროტმოქმედებმა დაარღვიეს: გედენიძე მეორე დღესვე გაათავისუფლეს... თანხა კი, როგორც საქმის მასალებში წერია, ერთმანეთში გაინაწილეს და რამდენიმე ათასი, მორიგი თავდასხმების განსახორციელებლადაც გადაინახეს. ამ პერიოდიდან ბანდას კიდევ რამდენიმე ახალი წევრი შეემატა — ორაგველიძე, ჯანჯალაშვილი, სიგუა. მათ ახალი „იდეებიც" წამოაყენეს — ჯგუფის ლიდერებს ზესტაფონის რაიონში მცხოვრები ერთ-ერთი ბიზნესმენის გატაცება და მისი ოჯახისთვის სოლიდური თანხის — 200 ათასის გამოძალვა შესთავაზეს. წინადადება ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა.

ამჯერად ბანდა უფრო მობილიზებული გახდა. ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, შეიძინეს რამდენიმე გატაცებული ავტომანქანა, რომლებსაც სანომრე ნიშნები შეუცვალეს და მინებიც დაუბურეს. ასევე შეიძინეს სამხედრო სპეცტანსაცმლის 10 კომპლექტი, პოლიციის საეთერო საუბრების გასაკონტროლებლად კი — რადიოგადამცემი. რადიოგადამცემი, გამოძიებით დაუდგენელ პირს გადასცეს, რათა მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში, მას თანამზრახველები დროულად გაეფრთხილებინა.

ნაწილი, ბიზნესმენის სახლთან ჩასაფრდა, ნაწილი — ავტომანქანით შს სამინისტროს რაიონული განყოფილების მიმდებარე ტერიტორიასა და ქუთაისი-ზესტაფონის ავტომაგისტრალზე მოძრაობდა და სიტუაციას აკონტროლებდა. შეიტყვეს, რომ ბიზნესმენი იმ მომენტში მეგობრებთან ერთად, რესტორანში ქეიფობდა. ნიღბიანი ბოროტმოქმედები მას პირდაპირ სუფრასთან წამოადგნენ თავს და მუქარით, ჰოლში გაიყვანეს. სწორედ ამ დროს, სიგუას ცეცხლსასროლი იარაღიდან უცაბედად, ტყვია გაუვარდა და ის ფეხში დაიჭრა. მოულოდნელობისგან შექმნილმა არეულობამ და დაბნეულობამ ბოროტმოქმედებს განზრახვაზე ხელი ააღებინა. ისინი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, მაგრამ სამაგიეროდ, ახალი გადაწყვეტილება მიიღეს — ბიზნესმენის ნაცვლად, მისი არასრულწლოვანი შვილის გატაცება ჩაიფიქრეს...

ბავშვი მაშინ ჩასვეს მანქანაში, როცა ის ოჯახის მძღოლს ელოდებოდა, რომელსაც ის გაკვეთილების შემდეგ, შინ უნდა წაეყვანა. გატაცების ფაქტი შემთხვევით, უშიშროების ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაინახა. მან დაუყოვნებლივ აცნობა შესაბამის უწყებებს და ბოროტმოქმედებს დაედევნა, მაგრამ გამტაცებლებმა მკვეთრად მოუმატეს სიჩქარეს და მდევრებისგან თავის დაღწევა შეძლეს. ამის შემდეგ, მძევალი სხვა მანქანაში გადასვეს და წინასწარ შერჩეულ ბინაშე მოათავსეს.

როცა მომხდარი ძალზე გახმაურდა და მას მთელი რაიონის პოლიციის მობილიზება მოჰყვა, ბოროტმოქმედები თანხის გამოძალვის უპერსპექტივობაში დარწმუნდნენ და ბავშვი გაათავისუფლეს. თავად, ამჯერადაც წარმატებით მოახერხეს მიმალვა...

ზემოთ აღწერილი ორი დანაშაულის გარდა, საბრალდებო დასკვნაში კიდევ არაერთი ფაქტია დაფიქსირებული. ბრალდებამ მიუთითა, დაკავებულთა ჩხრეკის დროს ამოღებულ ნივთმტკიცებებზე, ექსპერტიზის დასკვნებზე, მოწმეთა ჩვენებებზე. მაგრამ კითხვა — რეალურად, იყვნენ თუ არა დაკავებული პირები ზემოთ ხსენებული ბანდის წევრები და ბოროტმოქმედები? — მაინც გაჩნდა და საკითხი აშკარად, ეჭვქვეშ დადგა. საქმის განხილვის სტადიაში ბევრი სხვა დეტალი გამოიკვეთა და პროკურატურის პოზიციამ სიმყარე და დამაჯერებლობა აშკარად დაკარგა, პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენმა კი, საერთოდ, კრახი განიცადა.

განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, არა მარტო მსჯავრდადებულთა ჩვენებები, არამედ დაზარალებულთა და მოწმეთა სიტყვებიც შეიცვალა. მსჯავრდადებულებს ხელი აღარავინ დაადო. წინასწარი გამოძიების დროს ჩატარებული ამოცნობა სრულიად გააბათილა მოწმეთა და დაზარალებულთა ჩვენებებმა. *„არ შემიძლია, ხელი დავადო რომელიმეს, მათი ამოცნობა მიჭირს"*, — თქვა სასამართლო პროცესზე დაზარალებულმა **გედენიძემ**. *„მომხდართან დაკავშირებით მეუღლისთვის არაფერი მიკითხავს, ეს თემა ჩვენს ოჯახში ტაბუდადებულია, ძალიან გვიმძიმს ყველაფრის გახსენება და ამის გამო, ამ საკითხზე საერთოდ არ ვლაპარაკობთ"*, — აღნიშნა დაზარალებულის ცოლმა. *„გამტაცებლებს სახეზე ნიღ-*

ბები ეკუთათ, ამიტომ, მათი ამოცნობა ძალიან ძნელია“, — აღნიშნა დაზარალებულმა ბიზნესმენმა იმ ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელიც თავდამსხმელთა რესტორანში შეჭრას ეხებოდა. ერთადერთი, ვინც მსჯავრდადებულებს შორის, ორაგველიძეს დააღო ხელი, მიკროავტობუსის დაყაჩაღების დროს დაზარალებული მგზავრი გახლდათ. მან თქვა, რომ ბოროტმოქმედი *„ნიკაპის მოყვანილობით, კეხიანი ცხვირითა და გამხდარი, შავი სახით“* იცნო.

ყველაზე დიდი გავლენა პალატის მოსამართლეებზე ადვოკატების მიერ წარდგენილმა მასალამ მოახდინა. ეს გახლდათ დადგენილება, რომელიც გეგეშიძის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ფაქტთან დაკავშირებით გამოიტანა გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა. აღმოჩნდა, რომ ფაქტებზე, რომლებსაც პირველი ინსტანციის სასამართლომ თავის დროზე ყურადღება არ მიაქცია და რომლებიც ბრალდებულთა მიმართ ჩადენილ, საშინელ უკანონობაზე მეტყველებდა, ოფიციალურად ძიება დაიწყო. დადგენილება განსასჯელების მიერ დასახელებული პირების — შს სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსის, ამავე სამმართველოს განყოფილების უფროსისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას ითვალისწინებს. დადგენილების მიხედვით, დასახელებულმა თანამდებობის პირებმა სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტეს. პალატის გადაწყვეტილებით, ასეთ პირობებში, ბრალდებულთა აღიარებითი ჩვენებები, რასაც ძირითადად ემყარებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, არ შეიძლება, მტკიცებულებად ჩაითვალოს. *„ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ. ცილისწამებისთვის, შეურაცხყოფისთვის და ძალადობისთვის იმ პირთა უმკაცრესად დასჯას მოვითხოვთ, სიმართლეს მაინც დავამტკიცებთ“,* — ამ სიტყვებით დატოვეს მსჯავრდადებულებმა სასამართლო დარბაზი. გეგეშიძეს, რომელსაც პირველი ინსტანციის სასამართლომ 15 წელი მიუსაჯა, პატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნით შეეცვალა. თავისუფლების აღკვეთისგან გათავისუფლდნენ აგრეთვე დანარჩენებიც — ორაგველიძე, სიგუა, ჯანჯალაშვილი და პატარაია; წინა განაჩენით, ორაგველიძეს — 13; ხოლო დანარჩენ სამს — 8-8-წლიანი პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი.

მოსამართლეების თქმით, ეჭვქვეშ დამდგარი საქმის მასალები ბრალის დასამტკიცებლად საკმარისი არ არის, საეჭვო გარემოებები კი საქმის განხილვისას, სრულყოფილად უნდა აღმოიფხვრას. ამ მოტივით, პალატამ წინა პლანზე, ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა მიმართ ძალადობის, წამების, მოტყუების, პიროვნების აბუჩად აგდებისა და სხვა უკანონო მეთოდების გამოყენების საკითხი წამოსწია, რაც ჩვენს რეალობაში, სამწუხაროდ, დღემდე რჩება ერთ-ერთ მთავარ და მტკივნეულ პრობლემად. ■

კოხლეარული იმპლანტაცია ანუ



ჩემს სამუშაო მაგიდაზე ოთხი ბიჭუნას მონაცემები დევს. საოცარი დამთხვევაა — ოთხივე მათგანს გიორგი ჰქვია. მათ შორის ყველაზე უმცროსთან კონტაქტს ტელეფონით ვამყარებ. ყურმილში მისი ტიკტიკი ისმის. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, სულ ცოტა ხნის წინ, ის ყრუ-მუნჯი იყო. სრული სიყრუის დასამარცხებლად, ურთულესი ოპერაცია არა სხვა ქვეყანაში ან სხვა კონტინენტზე, არამედ აქ, თბილისში გაუკეთდა.

სმენადაკარგული ბავშვების დრამატული ყოფის ბედნიერი ფინალი

ლელა ჭანკოტაძე

ყრუ-მუნჯი ბავშვის ამეტყველება ბევრისთვის ალბათ, დაუჯერებელია. ამ მართლაც, საოცრად შედეგიან ოპერაციებს პროფესორი შოთა ჯაფარიძე და მისი გუნდი აკეთებენ.

სანამ კოხლეარული (კოხლი ყურის ლოკოკინას ნიშნავს. — ავტ.) იმპლანტაციის შესახებ გიამბობდეთ, მინდა, ერთი ოჯახისთვის მომხდარ დიდ სასწაულს გაზიაროთ. ვარკეთილში ამირან ჯინჭარაძეს თითქმის ყველა იცნობს. ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელმაც მისი ოჯახის გასაჭირი გაიგო და მამის თავგანწირვით არ მოიხიბლა. მან ბოლომდე იბრძოლა და შედეგიც მიიღო.

ამირან ჯინჭარაძე:

— სანამ შოთა ჯაფარიძის სამუშაო კაბინეტის კარი შევაღეთ, ძალიან ძნელი, ტკივილიანი და სტრესებით სავსე გზა გავიარეთ. ეს იყო ჩვენი ცხოვრების ურთულესი ეტაპი, რომელიც მე და ჩემმა მეუღლემ გადავლახეთ. ყველაფერი წლების წინ დაიწყო. პირველი შვილი გოგონა გვყავს. მეორე ვაჟი მინდოდა, ამიტომ არასასურველი სქესის გამო თამრიკოს მეორე ჩანასახის მოცილება მოუხდა. ამას დღემდე ვინანიებ. იმიტომ გიყვებით, რომ იქნებ სხვა წყვილებმა მსგავსი შეცდომა აღარ გაიმეორონ. ამის შემდეგ წლების მანძილზე განგება შვილს აღარ გვაძლევდა. ბოლოს გაგვიმართლა. მაგრამ ექვსი თვის ფეხმძიმეს ვირუსი შეხვდა, რამაც ნაადრევი მშობიარობა გამოიწვია. ბავშვი უმწიფარი გაჩნდა. გიორგობა დღე იყო, ამიტომ ბავშვს გიორგი დავარქვით. მეოთხე დღეს ახალშობილმა სუნთქვა შეწყვიტა. რეანიმაციაში მოგვათავსეს, ორი თვე საავადმყოფოში გავატარეთ. სამი თვის მანძილზე დამოუკიდებლად ვერ ჭამდა. მერე გამოკეთდა. მაგრამ ექვსი თვიდან მდგომარეობა გაუარესდა. ვირუსები იოლად ეყრებოდა, სულ ავადმყოფობდა. ერთი ექიმიდან მეორესთან გადავდიოდით.

— როდის შეამჩნიეთ, რომ გიორგის არ ესმოდა?

— მგონია, რომ წლამდე ესმოდა. რვა თვის იყო, როცა ჩემმა მეუღლემ ჩვენს ახლობელ მაია ექიმს უთხრა: რომ ვეძახი, დაგვიანებული რეაქცია აქვსო. მე დავამატე: თამრიკოს უნდა, რვა თვის ბავშვმა ბატონო დაუძახოს-მეთქი. მაშინ მაია ექიმმა მთხოვა: მობილურ ტელეფონზე დამირეკეო. გიორგი დედამისის კალთაში ზურგით იჯდა. ზარის ხმაზე მოიხედა. მაია ექიმმა თქვა: რომ არ ესმოდეს, ზარის ხმაზე მოიხედავდაო? ამის შემდეგ რამდენჯერმე ბატონები შეხვდა, მგონია, რომ სწორედ გართულებული ბატონების შემდეგ დაყრუვდა. თუმცა თავიდან ამის წარმოდგენაც არ შეგვეძლო.

— პატარამ ტიკტიკი რომ არ დაიწყო, არც ამან დაგაეჭვათ?

— რომ არ ლაპარაკობდა, ამის გამო არ ვნერვიულობდი. რადგან ჩვენი უფროსი შვილი ეკა 1 წლისა და 10 თვის ისე გახდა, რომ „დედა“ და „მამაც“ კი არ უთქვამს. 1 წლისა და 11 თვისამ კი უკვე გამართულად დაიწყო ლაპარაკი. მეგონა, რომ გენეტიკური იყო და გიორგიც გვიან ალაპარაკდებოდა. მაგრამ ლაპარაკის მაგივრად ბავშვმა ისეთი ყვირილი დაიწყო, რომ იმ წუთიდან ჩვენი ცხოვრება გაუსაძლისი გახდა. ჩვენი ცოდვით ბევრს ჩუმად უტირია — რას უძლებს ეს ხალხიო. ზოგჯერ მთელი დღის განმავლობაში განწირული ხმით კიოდა. მეზობლები მეცოდებოდნენ. მაგრამ განსაკუთრებით — ეკა, მას სწავლას არ აცლიდა. ბევრჯერ იყო შემთხვევა, როცა მთელი დღის ტანჯვისგან დაღლილებს გვეძინა, ეკა კი დილამდე იჯდა და მეცადინეობდა, მაშინ მეორე კლასში იყო. ეკა დაგვეტანჯა. მთელი სიმძიმე მანაც ჩვენსავით გადაიტანა. დღე დღეს მისდევდა, გიორგის ხმა კი მთელ ბინაში ისმოდა. სახლიდან თუ გაგვყავდა, ჩუმდებოდა, ამიტომ ზოგჯერ ყინვაშიც კი ქუჩაში ვატარებდი.

ძალგატანი თამრიკო, *გიორგის დედა:*

— ეს ნამდვილი საშინელება იყო. დღე-

ღამეში 10 საათი ყვიროდა. ჩვენთან აღარავინ მოდიოდა. გიორგის ტანჯვას და ჩვენს გაუსაძლის ყოფას, უახლოესი ადამიანებიც კი, ერთ საათზე მეტხანს ვერ უძლებდნენ. ნერვებმა მიმტყუნა. ამ მდგომარეობას ვერ ვეგუებოდი, ვამბობდი: თავსაც მოვიკლავ და ბავშვსაც მოვკლავ-მეთქი. ყველგან გიორგის მსგავს ბავშვებს ვეძებდი. მაგრამ ისინი არ კიოდნენ. არ ესმოდათ, მაგრამ ჩუმად, თავისთვის ისხდნენ. შემდეგ, როცა საქმე ოპერაციამდე მივიდა, ასეთი საოცარი შედეგი ვერ წარმომედგინა, ჩემს მეუღლეს კი — პირიქით, ყოველთვის სჯეროდა, რომ გიორგი პრობლემებს დასძლევდა და ჩვეულებრივი ბავშვი გახდებოდა. მახსოვს, ელიზბარაშვილების ოჯახში მივედი. მათი ბიჭიც ნაოპერაციები იყო. ბავშვის ნახვის შემდეგ შოკირებული დავრჩი. ის ჩვენსავით გამართულად მეტყველებდა. მთელი ღამე ვერ დავიძინე. იმ წუთიდან დავიწყე ოპერაციაზე ოცნება.

— შოთა ჯაფარიძესთან როგორ მოხვდით?

ამირანი:

— ნეოროპათოლოგებმა კივილის მიზეზი ვერ დაადგინეს. უფრო მეტიც, მათ შორის ერთ-ერთმა ყველაზე კომპეტენტურმა მითხრა: ბავშვი დებილიაო. მხოლოდ ქალბატონმა ნანა ტატიშვილმა გვირჩია, გიორგი ყელ-ყურის ექიმისთვის გვეჩვენებინა. ამის შემდეგ მივედით ბატონ შოთასთან. ბავშვს ყურში ჩახედა თუ არა, გვითხრა, რომ გიორგის სმენის სერიოზული პრობლემა ჰქონდა და სადიაგნოსტიკოდ, ბატონ ზურა გამგებელთან (*ის ინჟინერია და, საკუთარი კუთხით, გამოკვლევებში მონაწილეობს.* — *ავტ.*) გაგვიშვა. ძალიან ცუდი პასუხი

ჩემს სამუშაო მაგიდაზე ოთხი ბიჭუნას მონაცემები დევს. საოცარი დამთხვევაა — ოთხივე მათგანს გიორგი ჰქვია

მივიღეთ: გიორგის არც ერთ ყურში არ ესმოდა. მაშინვე გავუკეთეთ აპარატი, რომელიც ექვს თვეს ეკეთა. ცხადია, ძნელად შეეგუა. არ იკეთებდა, ხელებს თუ შევუკრავდი, თავს მხარზე ისე უსვამდა, რომ იძრობდა. საშინლად განერვიულდა. ვიცი, რომ დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, მაგრამ ბავშვს 20 სიტყვა მაინც ვასწავლე. ზურგს უკან რომ დავაყენებდი და ვკითხავდი: გიორგი, აბა, კატა როგორ შვება-მეთქი? — მპასუხობდა, — მიაუო. დღე და ღამე ველაპარაკებოდი. ერთი წუთით ყურადღება არ მომიდუნებია. ყველაფერს თავი დავანებე, ოთხი წელია, რაც სახლიდან არ გავსულვარ. იმედი წამითაც არ დამიკარგავს. იმ აზრს, რომ ჩემი შვილი ყრუ-მუნჯი იყო, წუთით არ შევგუებივარ. თუმცა მეუღლესთან მქონდა ასეთი საუბარი: ღმერთმა დაგვიფაროს და, ყრუ-მუნჯი რომ აღმოჩნდეს, სპეციალურ სკოლაში მივიყვანთ, იქ ასწავლიან და თავის მიკროსამყაროს შეუქმნიან-მეთქი. ამაზე თამრიკო მპასუხობდა: თავს მოვიკლავ და ბავშვსაც მოვკლავო. ვკამათობდით, ვეუბნებოდი, — ყველაზე ადვილი გამოსავალი გიპოვია, ხელის ჩაქნევაზე იოლი რა არის-მეთქი?!. ვუხსნიდი: მე და შენ რომ დავიხოცოთ, ეკა მაინც შესანიშნავი ადამიანი გაიზრდება, უბრალოდ, დედა არ ეყოლება, გიორგის კი ვინ მოუვლის, ამიტომ უნდა ვიბრძოლოთ და მან უნდა გაიგონოს-მეთქი. ის კი მპასუხობდა, — ავადმყოფი ბავშვის გამო, ჯანმრთელ ბავშვსაც ღუპავო. სიტყვა „ავადმყოფს“ ვერ ვეგუებოდი. ახლა ეს საშინელება მგონი, დამთავრდა. ყველაზე რთული პერიოდი წარსულში დარჩა. გიორგი ყველაზე პატარა პაციენტია მათ შორის, ვისაც ბატონმა შოთამ ოპერაცია გაუკეთა. ყველა, 5 წელზე მეტის იყო. ამიტომ, თავიდან ვფიქრობდი, ოპერაციისთვის გიორგი გერმანიაში წაგვეყანა. ამისთვის 40.000 ევრო იყო საჭირო. მთელი ნათესავები და მეგობრები გვეხმარებოდნენ და ფულს ვაგროვებდით. პარალელურად, ვხვდებოდი მშობლებს, რომელთა შვილებმაც ოპერაცია აქ გაიკეთეს. თანხის დიდი ნაწილი გვქონდა, როცა გადავწყვიტე, რომ ჩემი შვილის ბედი ქართველი ქირურგისთვის მიმენდო. დაგვეხმარა და პროგრამაში ჩაგვსვა. იმპლანტი უფასოდ მოგვცეს. ოპერაცია 2005 წლის 5 აპრილს გაუკეთეს. ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციის პერიოდი იწყება. ამ დროს ზურა გამგებელთან ხდება აპარატის მორგება და ხმების დარეგულირება. როცა ბავშვმა პირველად უნდა გაიგონოს, თვალებს აფახულებს და გაოცებული იყურება. გიორგიმაც ეშმაკურად გაიღიმა, ჯერ დედამისს გადახედა და შემდეგ — მე. მივხვდი, რომ ოპერაცია შედეგიანი აღმოჩნდა. შემდეგ ქუჩაში კატის კნავილი გაიგონა და კატისკენ ხელი გაიშვირა. ეს იყო ოპერაციიდან ერთი თვის თავზე. 6 თვის შემდეგ კი მან უკვე 25 ლექსი იცოდა. თუმცა უფრო უკეთესი შედეგი ექნებოდა ოპერაცია 3 წლამდე რომ გაეკეთებინა. სანამ ჩვენ დავადგინეთ, რომ ყურში არ ესმოდა, სამი წელი გავიდა. აპარატის გარეშე ახლაც არ ესმის. იმპლანტი კოხლში ანუ ლოკოკინაშია ჩანერგილი. მას პროფესორი სამყაროსთან აკავშირებს — ხმებს აწვდის.

— რეაბილიტაციის შემდგომ პერიოდზეც მიამბეთ.

— გიორგი ისევ რაჭაში წავიყვანე. ვიფიქრე — სოფლის გარემო, მე და ბავშვი უფრო მეტს შევძლებთ, ვიდრე ლოგოპედიმეთქი. იქ სამი თვე დავრჩით. უკან რომ ჩამოვიყვანეთ, ხალხი პირჯვარს იწერდა. გვერდით პურის საცხობია, გიორგიმ დაინახა თუ არა, — თონეო! — დაიძახა. იქვე მდგარი კაცებიც კი ტიროდნენ. ჩვენ მართლაც, გასაოცარი შედეგი გვაქვს. ბატონი შოთა თავისი პაციენტის მშობლებს ეუბნება ხოლმე: ნახეთ ამირანი და ის გეტყვით, როგორ უნდა იმუშაოთ ბავშვთანო. მე ვფიქრობ, რომ მშობლის როლი განუსაზღვრელად დიდია. ბავშვთან ლოგოპედი ერთი საათის განმავლობაში მუშაობს, მშობლები კი მასთან დანარჩენ 23 საათს ატარებენ. რა უნდა გააკეთოს ლოგოპედმა ერთ საათში? სანამ რაჭაში წავიდოდით ლოგოპედმა გვთხოვა, რომ გიორგის ნათქვამი ყოველი ახალი სიტყვა რვეულში ჩაგვწერა. ბავშვმა იმდენი რამე თქვა, რომ მალე წერას აზრი აღარ ჰქონდა. მისი განვითარება ისეთი ტემპით მიდის, ალბათ, სკოლაში პირველი მოსწავლე იქნება. უკვე ცეკვავს, მღერის, ლექსებს ამბობს. ყურზე პროფესორი რომ არ ეკეთოს, ჩვეულებრივი ბავშვია. ახლა ვფიქრობთ, რომ ბაღში მივიყვანოთ. თავს მხოლოდ იმის გამო ვიკავებთ, რომ არ წაიქცეს და ყური არ დაარტყას. აპარატი თუ დაიმტვრა ან ყური დაუზიანდა, ჩვენთვის ყველაფერი დამთავრდება.

— სხვა ნაოპერაციებ ბავშვებთან თუ გაქვთ კონტაქტი?

— მშობლები ერთმანეთს ვეკონტაქტებით. ჩვენ-ჩვენს გამოცდილებას ვუზიარებთ. თუ რომელიმე სიტყვას ვერ სწავლობს, გამოსავალს ვეძებთ. ყველას ოპერაციას ვესწრები, გიორგის ყველას ვუჩვენებ. მინდა მშობლებმა ეს სასწაული ირწმუნონ და ოპერაციისთვის იბრძოლონ. მართალია, 70-75%-ს სახელმწიფო აფინანსებს, მაგრამ უმეტესობას დარჩენილი 25%-ის დაფარვაც არ შეუძლია. ასეთი დაახლოებით 100 ბავშვი მაინც ვიცი.

თუ სად და როგორ გაჩნდა კოხლეარული იმპლანტაციის დანერგვის იდეა, რამდენად წარმატებულად ხორციელდება ჩვენთან აღნიშნული ოპერაციები და საერთოდ, როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ჩვენს პატარას სმენის დაქვეითებას შევნიშნავთ, — ყოველივე ამის შესახებ, პროფესორი **შოთა ჯაფარიძე** *გვესაუბრება.*

— როგორც ვიცი, თქვენი საქმიანობა პერიფერიაში დაიწყო...

— დიახ. მარნეულის საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის განყოფილების გამგე გახლდით, როცა ენარბონის (აშშ) უნივერსიტეტში ვნახე ყრუ-მუნჯი ბავშვები, რომლებსაც უკეთდებოდათ კოხლეარული იმპლანტაცია. ასევე ვნახე, ერთი წლით ადრე ნაოპერაციები ბავშვები, რომლებიც უკვე ლაპარაკობდნენ. ამან იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მთელი ღამე არ მეძინა.

მარნეულის საავადმყოფოს ექიმმა გავბედე და ვიოცნებე, რომ როგორმე ჩემს ქვეყანაში დამეწყო მსგავსი ოპერაციები.

— საქართველოში როდის გაკეთდა პირველი ასეთი ოპერაცია?

— 1999 წელს გერმანელმა პროფესორებმა ჩვენთან ორი ოპერაცია გააკეთეს. მაშინ უკვე, რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმუშაობდით. ახლა იქ რემონტი მიმდინარეობს, ამიტომ დროებით მეშვიდე საავადმყოფოში ვართ გადმოსულები. ამავე წლიდან ამ ოპერაციებს მეც ვაკეთებ და დღეისთვის 44 კოხლეარული იმპლანტაცია მაქვს განხორციელებული, სრული სიყრუისა და ყრუ-მუნჯობის დასაძლევად. აქედან 2 ავადმყოფი ე.წ. პოსტლინგვალი იყო — ე.ი. თავიდან, მეტყველი და შემდგომ, სრულიად დაყრუებული. დანარჩენ შემთხვევებში, ავადმყოფები ყრუ-მუნჯები იყვნენ. მთავრობის შემწეობით, ეს საქმე არ ჩაკვდა. სახელმწიფო წელიწადში 10 ყრუ-მუნჯი ბავშვისთვის ასეთი ოპერაციის გაკეთებას უზრუნველყოფს. საზღვარგარეთ ის კოლოსალური თანხა ჯდება. იმპლანტი, რომელიც ინერგება, ძალზე ძვირი — დაახლოებით 15 ათასი დოლარი ღირს. მსოფლიოში მხოლოდ ხუთი ფირმა აწარმოებს ამ იმპლანტებს. ჩვენ ავსტრიული ფირმის — „მედელის" იმპლანტებს ვიყენებთ. თან, ისინი ძალზე დაბალ ფასში გვაწვდიან.

— თვით ოპერაცია რა ღირს?

— ეს ოპერაცია — იმპლანტის, გამოკვლევისა და ერთთვიანი რეაბილიტაციის ჩათვლით, აშშ-ში 100-110 ათასი დოლარი ჯდება, საბერძნეთში — 60-70 ათასი ევრო, გერმანიაში — 40 ათასი ევრო. საქართველოში პირველი 15 ოპერაცია აბსოლუტურად უფასოდ გაკეთდა. მშობლებმა მხოლოდ იმპლანტები შეიძინეს. ოპერაციის ფასი სიმბოლურია — 3.000 ლარი. ამჟამად, ოპერაციების 70%-ს სახელმწიფო აფინანსებს.

— ოპერაციის გაკეთება რომელ ასაკში ჯობია?

— კოხლეარული იმპლანტაცია უკვე, 2 წლის ბავშვისთვისაც მაქვს გაკეთებული. უცხოეთში 1 წლის ბავშვებსაც უკეთებენ. ქართველი მშობლები კი ცოტათი ეჭვიანები არიან. ძნელად იჯერებენ, რომ მათი შვილი ყრუ-მუნჯია. ამასთან, სმენის აპარატი ალტერნატივას წარმოადგენს. რად უნდა იმპლანტი და ამხელა ხარჯის გაწევა, თუკი აპარატითაც შეძლებს, გაიგონოსო?.. დროულად უნდა ჩავატაროთ დიაგნოსტიკა, რადგან 2 წლის ასაკში უკვე ირკვევა — ბავშვი ყრუ-მუნჯია თუ არა. მშობლები დროს კარგავენ და დაგვიანებით გვაკითხავენ. მე მიმაჩნია, რომ 6 წლის ასაკამდე ოპერაციები სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს. ეს მშობლებსაც გააააქტიურებს. ამასთან, განსაკუთრებით კარგ შედეგს 4 წლამდე ბავშვებში ვაღწევთ. ასაკის მატებასთან ერთად, შედეგსაც ნაკლებად სასურველს ვიღებთ. 7-8-9 წლის ბავშვები ოპერაციის შემდეგაც ნორმალურ მეტყველებას ვერ აითვისებენ. გაიგონებენ ზარის ხმას, დაძახებას, კონტაქტურები გახდებიან, მაგრამ ადამიანმა ლაპარაკი 5-6 წლამდე თუ ვერ ისწავლა, ის ნორმალურ მეტყველებას ვეღარასდროს აითვისებს.

— თქვენ მიერ გაკეთებული ყველა ოპერაცია შედეგიანი იყო?

— კოხლეარული იმპლანტაცია ყველაზე მაღალი სირთულის ოპერაციაა. ამ დროს, სახის ნერვის ან საძილე არტერიის დაზიანება შეიძლება მოხდეს. საბედნიეროდ, ჩვენ ჯერ არანაირი შეცდომა და გართულება არ გვქონია. მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ ლოკოკინის მოძებნა ძალიან გაგვიჭირდა. ოპერაციამ 7 საათს გასტანა, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ოტოლარინგოლოგიაში კოხლეარული იმპლანტაცია ყველაზე მაღალტექნოლოგიური ოპერაციაა, რაც კი საქართველოში ჩატარებულა. ოპერაციით მიიღწევა მაქსიმალური შედეგი ისეთი სმენის დაქვეითების დროს, როცა საქმე გვაქვს შიგნითა ყურის ლოკოკინის პათოლოგიასთან. სწორედ ლოკოკინაში ხდება იმპლანტის ჩანერგვა. ცხადია, ყურს გარედან აპარატი მაინც სჭირდება. მარტივი ენით, ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ კოხლეარული იმპლანტაციის არსი. ასე რომ, ურთულეს პროცესთან გვაქვს საქმე. ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყო უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ეს სიახლე საქართველოში უსწრაფესად დაინერგა. რუსეთში პირველი მსგავსი ოპერაცია 1998 წელს, სანკტ-პეტერბურგში გაკეთდა, თბილისში კი, როგორც უკვე მოგახსენეთ — 1999 წელს.

გიორგი ფალავანდიშვილს *კოხლეარული იმპლანტაცია 2005 წლის 5 აპრილს გაუკეთეს. დანარჩენს ის თავად მოგვიყვება:*

— ჩვეულებრივი მეოცნებე ბიჭი ვიყავი, მაგრამ ერთ დღეს მივხვდი, რომ ყურში კარგად აღარ მესმოდა. 15 წლის ასაკში კი სმენა სრულიად დავკარგე. ეს საშინელება იყო. ერთ დილას გავიღვიძე და ვეღარაფერი გავიგონე. თავიდან ძალინ დაბნეული და შეშინებული ვიყავი. ექიმის რჩევით, სასმენი აპარატი გავიკეთე, მაგრამ მაინც ვერაფერი გავიგონე. ტელეფონის ზარებს ვეღარ ვპასუხობდი, ქუჩაშიც ვეღარ გავდიოდი. ნაცნობები მხვდებოდნენ, რაღაც-რაღაცებს მეკითხებოდნენ, მე კი მათი აღარ მესმოდა. გზაზე ვეღარ გადავდიოდი, მანქანის ხმა არ მესმოდა. სხვა ბევრი პრობლემაც შემექმნა, იმაზე მეტი, ვიდრე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ. სიყრუემ და ადამიანთა წრისგან იზოლირებამ სული და გული ტკივილით ამივსო. ამიტომ სახლში გამოვიკეტე. დეპრესიაში ჩავვარდი. ასე გაგრძელდა წელიწად-ნახევარი. მივხვდი, რომ უნდა მებრძოლა. შანსი მქონდა, ისევ სრულფასოვანი ადამიანი გავმხდარიყავი. სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ არსებობდა კაცი, რომელიც სასწაულებს ახდენდა. მივედით შოთა ჯაფარიძესთან. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ლოკოკინა მთლიანად დაზიანებული მქონდა. ოპერაციის წინ ბატონმა შოთამ მითხრა: გარანტიას ვერ მოგცემ, რომ გაიგონებო. ოპერაციაზე მაინც დავთანხმდი. ვნახე კაციც, რომელსაც ოპერაცია ამერიკაში ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ მაინც არ ესმოდა ყურში. ვერც ამან გადამაფიქრებინა. მაინც სასწაულის იმედი მქონდა.

— ოპერაციის შემდეგ სწრაფად გაიგონე?

— ოთხი თვე ჭრილობის მოშუშებას დასჭირდა. ცხადია, ეს იყო იმედითა და ლოდინით აღსავსე ოთხი თვე. მეუბნებოდნენ, რომ მთავარი იყო, არ გავციცვებულიყავი და გრიპი არ შემყროდა. გამიმართლა. არც გავციცვდი და არც ვირუსი შემხვდა. მერე აპარატი გამიკეთეს. თავიდან წრიპინი მესმოდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი, წრიპინი ადამიანის ხმამ შეცვალა. გავიგონე, მაგრამ ქალისა და კაცის ხმას ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდი. ახლა ეს პრობლემაც დაძლეულია. შეყვარებული მყავდა, მაგრამ იმ უმძიმეს დღეებში მიმატოვა. ახლა მთელ დღეებს ოცნებაში ვატარებ და ცხოვრება ჩემთვის ისევ მშვენიერია.

გიორგი ფალავანდიშვილისგან განსხვავებით, გიორგი ქაფიანიძის მშობლებისთვის სასწაული ჯერ არ მომხდარა. ისინი ამ სასწაულის მოლოდინში არიან. 2 წლის ასაკში მას სმენა დაუქვეითდა. ექიმები ამბობდნენ, რომ ეს გართულებული გრიპის გამო მოხდა. პატარას სმენის აპარატი გაუკეთეს, ეგონათ, ერთი წლის განმავლობაში ბავშვი შეეჩვეოდა და აპარატის დახმარებით კონტაქტური გახდებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ერთადერთი იმედი იმპლანტის ჩანერგვას უკავშირდებოდა. როგორც გიორგის დედამ გამიმხილა, წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ოპერაცია შედეგიანი იქნებოდა. გიორგის იმპლანტი 5 თვის წინ ჩაუნერგეს. ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა. უკვე ესმის, თუმცა ჯერ ვერ ლაპარაკობს. მასთან ყოველდღე ლოგოპედი მიდის და ამეტყველებაში ეხმარება. როგორც შოთა ექიმი ამბობს, სულ მალე ისე ილაპარაკებს, ძნელი წარმოსადგენი იქნება, რომ იყო დრო, როცა დედის დაძახილზე არ რეაგირებდა, „ძილისპირული" არ ესმოდა და სხვა ბავშვებივით საყვარლად არ ტიკტიკებდა.

სულ მალე თბილისში საოპერაციოდ, ორი ბაქოელი პაციენტი ჩამოვა. ეს იმის უტყუარი დასტურია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენში კოხლეარული იმპლანტაცია ყველაზე იაფად და ეფექტურად კეთდება. ■

დროს კარგავენ და დაგვიანებით გვაკითხავენ. მე მიმაჩნია, რომ 6 წლის ასაკამდე ოპერაციები სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს

რას სწერდა მამა ვასილ კარბელაშვილი სტალინს

„დაჰპეტეს ეპლესიები, მღვდლებს ჰერეჯენ, ხელ-ფეხ შეკრულებს აჰატიმრებენ...“

ბევრ ჩვენგანს ალბათ, ცოტა რამ თუ სმენია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ძმების — ეპისკოპოს სტეფანე (ვასილ), მამა პოლიევქტოს, ანდრია, პეტრე და ფილიმონ კარბელაშვილების შესახებ. ღვთისა და მოყვასის სიყვარულით გულანთებული ძმები საუკეთესო მგალობლებიც იყვნენ. მათი და საერთოდ, კარბელაშვილთა გვარის დამსახურებაა ქართულ-კახური საგალობლების, ე.წ. „კარბელაანთ კილოს“ დაცვა-შენარჩუნება და ჩვენამდე უზადოდ მოტანა — სამი საუკუნის მანძილზე, კარბელაშვილთა გვარი თაობიდან თაობას გადასცემდა ქართული მუსიკალური კულტურის ამ უმდიდრეს საგანძურს.

მორენა მერკვილაძე

*გაზეთ „ქართული გალობის“ უწყებით, მგალობელ კარბელაშვილთა გვარის ისტორია 1764 წლიდან იწყება: „1764 წლის ოქტომბერში, კირილე სამთავნელს, მეფე ერეკლეს კარზე, განსასწავლად გაუგზავნია გიორგი ამილახვარი. გოგიას თან თავისი ტოლი, მასთან შეზრდილი ობოლი პეტრე ხმალაძე (კარბელაშვილთა წინაპარი) ხლებია... პეტრე გარედან ყურისგდებით დაუფლებია გალობას და სოფელ ჭალაში დაბრუნებისას, სამთავისში გალობის მასწავლებლობა დაუწყია. 1816 წლამდე გალობას რეხის ხეობაში ავრცელებდა. თან, სამთავისის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით, სტეფანე რუსთველმა მარტყოფში მიიწვია. მისი გარდაცვალების შემდეგ, მოხუცი პეტრე საკუთარ ბინაში განმარტოვდა და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ წაიყვანდნენ ხოლმე საგალობლად. პეტრეს ოთხი ვაჟი ჰყავდა. გალობა ყველას შეასწავლა, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭი უმცროს ვაჟს — გრიგოლს (კარბელაშვილების მამა) აღმოაჩნდა. გვარი კარბელაშვილი პეტრე ხმალაძის დედულეთის სოფელ კარბიდან მომდინარეობს. იქ გაიზარდა პეტრე. სოფელ ჭალაში გადასვლის შემდეგ „კარბელს“ ეძახდნენ. მისი შთამომავლები კი კარბელაშვილებად იწოდებიან...“ ჩვენ დავუკავშირდით დეკანოზ ანდრია კარბელაშვილის შვილთაშვილს — **ანდრე კარბელაშვილს**, რომელიც წლების მანძილზე იძიებს ცნობებს სახელოვანი წინაპრების შესახებ.*

— ლაპარაკი ეპისკოპოს სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილით დავიწყოთ...

— ვასილ კარბელაშვილი დაიბადა 1858 წლის 1 იანვარს, გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში (საამილახვროში). მამამისი — გრიგოლ კარბელაშვილი სასულიერო პირი და ცნობილი მგალობელი გახლდათ. მას მამამისისგან, შიომღვიმის მონასტერში მიუღია სასულიერო განათლება, იქვე შეუსწავლია გალობა — კითხვის ხელოვნება. ვასილის გარდა, მამა გრიგოლს კიდევ ხუთი შვილი ჰყავდა: ფილიმონი, სიდონია, ანდრია, პოლიევქტოსი და პეტრე. მშობლებმა შვილებს სასწავლებელში შესვლამდე შეასწავლეს წერა-კითხვა, მშობლიური ენა და უძველესი საეკლესიო საგალობლები. ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში, მათ ზეპირად იცოდნენ წირვის წესი — რვა ხმათა მიხედვით. კარბელაშვილთა საოჯახო გუნდის გალობა იმდენად კეთილხმოვანი ყოფილა, რომ თურმე, მათ მოსასმენად ტაძარში სხვადასხვა სოფლიდანაც კი მოდიოდნენ.

საოჯახო განათლების მიღების შემდეგ, ვასილი გორის სასულიერო სასწავლებელში აგრძელებს სწავლას. 1867 წელს, ის ძმებთან ერთად, მშობლებმა თბილისში, სასწავლებლად წაიყვანეს, სადაც სემინარიელი მეგობრების დახმარებით, ქართულ-კახური საგალობლების გავრცელება დაიწყეს. სემინარიაში სწავლის პერიოდში ვასილმა სასწავლებლის გამგეობას თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში შესვლის უფლება სთხოვა, რათა მუსიკალური განათლების მიღებით, საეკლესიო საგალობლების უკეთ შესწავლა მოეხერხებინა.

1881 წელს ვასილმა სემინარიაში სწავლა დაასრულა და ამავე წელს, ჯერ თბილისის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებლის ეკონომოსად, შემდეგ კი იმავე სასწავლებელში, ქართული ენის მასწავლებლად დანიშნეს. ერთი წლის შემდეგ, მოსკოვში გაემგზავრა და სწავლა კონსერვატორიაში განაგრძო, სადაც 1883 წლის 7 მაისამდე ეუფლებოდა სამუსიკო ხელოვნებას, შემდეგ კვლავ სამშობლოში დაბრუნდა. მალე, გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე) დიაკვნად აკურთხა და რამდენიმე თვეში მღვდლადაც დაასხეს ხელი.

მამა ვასილი საქართველოს საეგზარქოსოს სხვადასხვა ეკლესიაში მსახურობდა, ხოლო 1925 წელს ბერად აღიკვეცა და სახელად სტეფანე უწოდეს. ამავე წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევით ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსად დაადგინეს. რამდენიმე წლის მანძილზე, მამა სტეფანე ალავერდის ეპარქიასაც განაგებდა. მისი მოღვაწეობა მნიშვნელოვანი გარდატეხების პერიოდს დაემთხვა: ჯერ იყო ცარიზმის ეპოქა, შემდეგ რუსეთის დროებითი მთავრობისა და 1918-1921 წლებში, დემოკრატიული საქართველოს მმართველობის პერიოდი, რასაც კომუნისტური ხანა მოჰყვა.

— რამდენადაც ცნობილია, მამა ვასილი გადასახლებაშიც იმყოფებოდა...

— მამა ვასილი აქტიურად იყო ჩართული XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში წამოწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. ასევე, იბრძოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთეულის აღდგენისთვისაც. სწორედ საერთო-სახალხო დემოკრატიულ მოძოაობაში ჩაბმა იქცა მისი საქართველოდან გადასახლების მიზეზად. ერთ-ერთ საიდუმლო დაზვერვის მასალაში, ვასილ კარბელაშვილი მოხსენიებულია ისე, როგორც „აშკარა რუსოფობი და საქართველოში რუსული პოლიტიკის განხორციელების დაუძინებელი მტერი“. იგი ეპისკოპოს კირიონთან და თავის ძმასთან, პოლიევქტოსთან ერთად ხელისუფლებისთვის საშიშ პიროვნებად იყო მიჩნეული. ქვეყნის მმართველები ფიქრობდნენ, რომ სწორედ ამ ადამიანების ზეგავლენით ხდებოდა ხალხის მასების გამოსვლები და აჯანყებები ხელისუფლების წინააღმდეგ... გადასახლებაში მყოფ მამა ვასილს, ბაქოს გუბერნატორის განკარგულებით, მკაცრი საგანგებო ზედამხედველობა დაუწესდა, მაგრამ როგორც გადასახლების დოკუმენტებიდან ირკვევა, ის მაინც ახერხებდა მშობლიური ქვეყნისა და ეკლესიის სამსახურს, იქ მყოფ ქართველთა დამოძღვრასა და მათში ეროვნული გრძნობების გაღვიძე-

ბას. 1903 წლის 28 ივნისს, იგი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს (როგორც თავად აღნიშნავდა, ეს მისი მკვლელობის მცდელობა იყო) და მართალია, სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ჭრილობამ ჯანმრთელობა სერიოზულად შეურყია. შემახის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობის საფუძველზე, მამა ვასილი თბილისში გადმოიყვანეს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ქვეყნის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლა ისევ აქტიურად განაგრძო.

— მამა ვასილი აქტიურ საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა...

— საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობას ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის პერიოდიდან იწყებს. აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთან" და ამ გამოცემას ძმებთან ერთად, უხვად აწვდიდა მასალებს სოფლის ცხოვრებიდან, ასევე აქვეყნებდა წერილებს ქართული საეკლესიო საგალობლების შესახებ. მამა ვასილი თანამშრომლობდა ქართული ეროვნული პერიოდიკის სხვა გამოცემებთანაც და მასალებს სხვადასხვა ფსევდონიმით (მაგალითად, „ბერი ბერდია" „ვინმე ხუცესი" „ძველი სემინარიელი" და ა.შ.) აქვეყნებდა.

მამა ვასილი ძალზე დაახლოებული იყო „თერგდალეულთა" პლეადასთან და მათ მიერ შექმნილი — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრიც გახლდათ. მონაწილეობდა სხვა მნიშვნელოვან წამოწყებებშიც. მაგალითად, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების, ხალხური პოეზიის, თქმულება-გადმოცემებისა და სხვა სახის მასალების შეგროვება-თავმოყრაში. ასევე, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას, თანამშრომლობდა საქართველოში ახალჩამოყალიბებულ თეატრალურ დასთან. ამასთანავე, უდიდესი ამაგი დასდო ქართული ეროვნული კულტურის დაცვისა და გადარჩენის საქმესაც, დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ სიძველეთა შესწავლას, იღვწოდა რუსი ეგზარქოსების მიერ ეკლესია-მონასტრებიდან გატანილი, ქართული კულტურის უძველესი ნიმუშების მოსაძიებლად, რომლებიც, თბილისის სიონის ტაძართან 1889 წელს დაარსებულ ქართულ საეკლესიო მუზეუმში იყრიდა თავს. მამა ვასილი გახლდათ ამ მუზეუმთან არსებული მეცნიერთა კომიტეტის წევრიც, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მიერ გადაცემული ძველი ხელნაწერების კვლევას აწარმოებდა; ვასილ კარბელაშვილი იღვწოდა ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მიმართულებითაც — დროდადრო, არქიტექტურულ ძეგლთა შესასწავლად და აღსაწერად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა.

— როგორც ვიცი, მას ქართლ-კახური საეკლესიო საგალობლების დაცვა-გადარჩენის საქმეშიც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის...

— ცარიზმის ხანაში ყველაფერი ეროვნული გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ამიტომაც, ეროვნული კულტურის აღორძინების მიმართულებით განეული ყოველგვარი საქმიანობა მკაცრად იყო შეზღუდული. გამონაკლისს არც საეკლესიო საგალობლები წარმოადგენდა. მიუხედავად არსებული ვითარებისა, ვასილ კარბელაშვილმა მაინც მოახერხა მათი დაცვა და გადარჩენა. მან ქართლ-კახური საგალობლები ნოტებზე ჩაიწერა და ორ ნაწილად გამოსცა: პირველი ნაწილი — „მწუხრი" 1897 წელს გამოიცა, მეორე — „ცისკარი" კი 1898 წელს. „...ღმერთმა უწყის, რა ტანჯვითა და ვაივაგლახით მოვიტანეთ ბოლომდის ეს წინამდებარე შრომა, ვიდრემდის იგი ეღირსებოდა ნათელსა ამა სოფლისასა! ყველა მოუთმენლად ელოდებოდა მისს დაბადებასა და ვიეთთა თითქმის სასოებაც-კი ეკვეთებოდათ, გარნა ღმერთმან გვაღირსა და ბოლომდის მოვიტანეთ", — წერს იგი „მწუხრის" წინასიტყვაობაში... ვასილ კარბელაშვილი სასულიერო სასწავლებლებსა და სამრეკლო სკოლებში გალობის შესწავლის საქმესაც უძღვებოდა. მიუხედავად სირთულეებისა და სიძნელეებისა, რაც რუსი მოხელეების მხრიდან ქართული გალობის მიუღებლობას ახლდა თან, თავდაუზოგავად იღვწოდა ქართული გალობის სწავლების დასამკვიდრებლად და მისი სწავლების მეთოდიკის დასახვწად, რისთვისაც სპეციალური პროგრამები და წესდებები ჰქონდა შემუშავებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიმართულებით მოღვაწეობას კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი ახერხებდა. უკიდურესი რეაქციის წლებში მოახერხა, რომ სემინარიასა და თბილისის ეპარქიალურ ქალთა სასწავლებელში გალობის სწავლება არ შეწყვეტილიყო. მას სასულიერო სემინარიის შენობაში, მეცადინეობის ჩასატარებლად, ორი ოთახი გამოუყვეს.

— როგორც ცნობილია, 1923 წლის 2 მაისს, მამა ვასილმა წერილი გაუგზავნა იოსებ სტალინს. რას სწერდა იგი საკავშირო კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს და მოჰყვა თუ არა ამას რაიმე გამოხმაურება? საერთოდ, რა ურთიერთობა ჰქონდა ვასილ კარბელაშვილს სტალინთან?

— 1894-1899 წლებში, მამა ვასილი თბილისის სასულიერო სემინარიაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა — ქართულ გალობას ასწავლიდა. იოსებ ჯუღაშვილიც (სტალინი) ამავე სემინარიაში სწავლობდა. იგი მამა ვასილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ სემინარიელ მგალობელთა გუნდში გალობდა და მოსწავლე-მასწავლებელი სწორედ იმ პერიოდში დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ალბათ, ამ ურთიერთობამ გადააწყვეტინა ყოფილი მოსწავლისადმი ვრცელი წერილის მიწერა: „დიდად პატივცემულო, ბატონო სოსო! გაგიკვირდება ძველის მასწავლებლის მოგონება და ასეთი გრძელი წერილი, რომელმაც უნდა მოგაგონოს, რაც იყო, ჩაგაფიქროს, რაც არის და გაგათვალისწინებინოს, რაც იქნება!.. ჩინგის ხანისა და ოსმალ-შაჰ ნადირების ბარბაროსობა სანატრელი გაუხადეს ქართველებს. სამეგრელოში ზარის ხმა არ ისმის, დაჰკეტეს ეკლესიები, მღვდლებს ჰკრეჭენ, ხელ-ფეხ შეკრულებს აპატიმრებენ. ვინც გაუსხლტათ, იმათ დასაჭერად დასდევენ და ათასნაირი ჭორი ვრცელდება ხალხში. ნუთუ ამისთანა ამბები სასარგებლო და ხელსაყრელია თვით მთავრობისათვის? სამთავისის X-XI ს.ს. და სვეტიცხოვლისა და სხვა ტაძრებს უპირებენ თეატრებად გადაქცევას. აღდგომა ღამეს ბევრგან ძალით დაუკეტეს და ლიტანია მოუსპეს. დიდ ძალმომრეობას ხმარობენ ეკლესიებზე, მღვდლებზე, რაც ხალხში დიდ ჩუმ უკმაყოფილებას იწვევს და ხალხში ბოროტება ვრცელდება. ზოგიერთ ადგილებში მორწმუნე ერმა მიმართა იარაღს, ასეთი ძალადობისათვის ეკლესიასა და სამღვდელოებაზე.

რაჭაში, ლეჩხუმში, გურიაში, მესხეთში სომხობა-კათოლიკობაზედ გადადის ქართველობა და ქართველი ერით იზრდება სომხობა. ბევრი რამ არის მოსაწერი, მაგრამ აღშფოთებული მდგომარეობა ნებას არ მაძლევს, რომ დაწვრილებით მოვიწერო ყველაფერი, რითაც მეშინის შენი ყურადღება და ისედაც დატვირთული აუარებელი საქმეებით არ გადაგღალო.

სოსო! როგორი რწმენისაც არ უნდა იყო, მაინც ქართველი კაცი ხარ, საქართველოს მიწამ გამოგზარდა და სამშობლოსა და ევროპის სიყვარულს ვერა-რა დაშრეტს შენს გულში. კიდევ გთხოვ, რომ ეკლესიებისა და სარწმუნოების დევნას თავი ანებონ და ლმობიერება გამოიჩინონ.

რას აძლევთ ერს, როდესაც უგინებთ სჯულს, სიწმინდეს, სიფაქიზეს და უსპობთ დიდებულ კულტურას, რითაც შეეძლო ქართველ ერს თავი მოეწონებინა კაცობრიობის წინაშე? ნუთუ მარტო მაგისთვის იბრძვი, რომ სომხები, ურიები, ოსები და ვინ გინდა, არ წამოასვათ კისერზედ ქართველ ხალხს? საზღვრები ჩამოაჭრეს საქართველოს ყველა მხრიდან და აღარ იციან, როგორ შეავიწროვონ ხალხიც და ტერიტორია. იქნებ გეწყინოს ჩემო სოსო? ნუ გეწყინება და მოუტევე ბევრის მნახველს, მომთმენს და ცრემლის შემაშრობელს. იმედია, რომ ყურად იღებ ყველა ამას და მოალბობ ჩემს გულს და კარგს რამეს სანუგეშოს მომწერ, რომ აღარ განმეორდება და ანუგეშებ შენს მოხუცებულ მასწავლებელს, რომელსაც ბევრად შესტკივა შენზედ გული. პასუხს ველი". მიიღო თუ არა წერილი ადრესატმა, უცნობია. შესაძლოა, არც გაუგზავნეს. ცხადი მხოლოდ ის არის, რომ წერილს სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ, კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს ეკლესიის რბევა-აწიოკება, მის მსახურთა დევნა და ფიზიკური განადგურება.

P.S. *ძმები კარბელაშვილების შესახებ საუბარს „გზის" მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.*

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 18

სააკაშვილისგან ასეთ სვლას უფრო მისი მოძულენი არ ელოდნენ, მაგრამ ალბათ, კეთილისმსურველნიც ვარაუდობდნენ, რომ ის ძალაუფლების შენარჩუნებას ყველა ლეგიტიმური თუ კანონის ფარგლებს გადაცილებული ძალითაც კი შეეცდებოდა. ბევრი მიიჩნევდა, რომ სააკაშვილს ასეთი საქციელი ხასიათში აქვს. ხასიათი კი, როგორც ცნობილია, ერთ კვირაში არ იცვლება... სააკაშვილმა ჩაიდინა საქციელი, რომელსაც შეიძლება, პოსტსაბჭოურ სივრცეში პრეცედენტი ეწოდოს. ამის გასაგებად საკმარისია იმის გახსენებაც, თუ როგორ თმობდა პოსტს მისი წინამორბედი ანდა ავიღოთ უკრაინის ამასწინანდელი კრიზისი, რომელიც უმაღლესი რადის ხელახალი არჩევნებითაც კი ვერ დაიძლია. საზოგადოებაში შექმნილი მწვავე დაძაბულობის შენელება იუშჩენკოს არჩევნების დანიშვნით შეეძლო, მაგრამ თავის დროზე, მან ეს არ გააკეთა. წესებით მოთამაშე ლიდერების იმ სიის გაგრძელება, სადაც სახელმწიფოს მეთაური ყველა გარემოებაში ხელშეუხებელი რჩება, კიდევ შეიძლება. სააკაშვილი დაბრუნდება. მას თავისი საქციელი მარტო დროებით ლუფტს კი არ უტოვებს, არამედ თანამემამულეებს მისთვის სხვაგვარად შეხედვისა და არჩევნებში მის მოსალოდნელ მეტოქეებთან შედარების უფლებასაც აძლევს.

საქართველოს პრეზიდენტმა მარტო თანამემამულეები როდი ჩააგდო საგონებელში. მან ჩვენც დაგვანახვა, რომ ამ ქვეყანასთან ურთიერთობის აგებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ მისი პრეზიდენტი რამდენ ხანს დარჩება ამ თანამდებობაზე. რუსეთის გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე, სააკაშვილზე (რომელიც ხელისუფლებაში კიდევ ხუთი წელი იქნება) არსებული შეხედულების კორექტირება უნდა მოხდეს. ასევე, ჩვენს ინტერესებშია საკუთარი უშიშროების წინაშე მდგარი საფრთხეების რელური შეფასებაცა და მათ უკან მდგარი კონკრეტული ადამიანების პოტენციალის განსაზღვრაც. სწორედ ასე მოიქცნენ, მაგალითად, ამერიკელები, რომლებმაც 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ სპეციალური გამოძიება ჩაატარეს. აშშ-ის კონგრესის კომისიამ თავის მოხსენებაში ტრაგედიის გამეორება არ გამორიცხა, მაგრამ იმ აუცილებელი ზომების მაქსიმალური ჩამონათვალიც განსაზღვრა, რომლებიც ამის არდაშვების საშუალებას იძლევა. ჩვენს მეზობლად მდებარე საქართველო, სადაც ორი განდგომილი კონფლიქტური ტერიტორია — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია, ჩვენთვის პოტენციური საფრთხის წყაროს წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, სანამ ეს კონფლიქტები მოუგვარებელია. ამ ამოცანის გადასაჭრელად კი აუცილებელია ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე (ანუ ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლებაში). სწორედ რეალობის ეს გრძნობა დაგვეხმარება კონფლიქტების ბედის გადწყვეტაში.

Независимая газета ***(რუსეთი),***
12 ნოემბერი.

ქართული დემოკრატია საგანგებო მდგომარეობაში აღმოჩნდა

საქართველოს მომავალი ამერიდან, მიხეილ სააკაშვილის მანევრზე კი არა, რუსეთისა და აშშ-ის „საპაკეტო" შეთანხმებაზე იქნება დამოკიდებული. მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საპრეზიდენტო არჩევნების 2008 წლის 5 იანვარს ჩატარების შესახებ, მოულოდნელი და ამავე დროს, ძლიერი პოლიტიკური ნაბიჯია. ქართული დემოკრატია საგანგებო მდგომარეობაში აღმოჩნდა. და ქვეყნის მეთაურმა ეს ნაბიჯი დალხინებული ცხოვრების გამო როდი გადადგა. ახლა თავად სააკაშვილის პოლიტიკური ბედიცა და განდგომილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარების შესაძლებლობაც მხოლოდ მთავარი მოთამაშეების შეთანხმებებზეა დამოკიდებული.

წასვლა — უკან დასაბრუნებლად?

ასეთი სიუჟეტი არც ქართული „ვარდების რევოლუციის" მონაწილეებს და არც იმათ, ვინც მათ მსოფლიოში მხურვალედ დაუჭირა მხარი, ყველაზე კოშმარულ სიძმარშიც კი არ მოელანდებოდათ. პოსტსაბჭოთა სივრცეში „მთავარ დემოკრატად დანიშნულმა" მიხეილ სააკაშვილმა მშვიდობიანი დემონსტრანტები გაზით მოწამლა, თანამემამულეებს რეზინის ტყვიები დაუშინა, არასახელმწიფო ტელეარხები დაარბია. ეს, რომელიმე ლათინური ამერიკის ანდა ახლახან მობილური კავშირის გამთიშველ და ტოტალური ცენზურის შემომღებ პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფის საქციელს უფრო ჰგავს... უფლებადამცველები, ნატოს გენერალურ მდივნითურთ, შოკში არიან.

სააკაშვილის რენომეს ნაწილობრივ გამოსასწორებლად მაინც მიღებული, ვადამდელი არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება მთელ ამ ისტერიკასთან მკვეთრ კონტრასტს ქმნის. ცხადია, პრეზიდენტმა ის მძლავრი ზეწოლის შედეგად მიიღო. საიდუმლო არაა, რომ თბილისიდან პრაქტიკულად, ფეხს აღარ იცვლის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დენიელ ფრიდი, რომელიც საქართველოს უშუალოდ საპროტესტო მიტინგების დაწყებამდე ეწვია. არჩევნების გადმოტანის თაობაზე განცხადების გაკეთებამდე კი, სააკაშვილს ხუთსაათიანი საუბარი ჰქონდა ამერიკის ელჩთან საქართველოში, ჯონ ტეფტთან.

ასე და ამგვარად, სააკაშვილი მიდის, რათა... უკან დაბრუნდეს? საქართველოს ლიდერმა ნამდვილად წინმსწრები სვლა გააკეთა: ოპოზიციას ესოდენ მოკლე ვადაში, სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე კონკურენტუნარიანი კანდიდატის პოვნის დიდი შანსი როდი აქვს.

თუმცა, საქართველო გაუთვლელი ქვეყანაა. და ეს გაუთვლელობა იმ ლიბერალური გარდაქმნებიდანაც მომდინარეობს, რომლებიც სააკაშვილმა გაატარა და რომლის დიქტატორად მონათვლაც არცთუ ისე ადვილია. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი ვალდებულია, საკუთარი პოსტი არჩევნების თარიღამდე 45 დღით ადრე დატოვოს. ამის შემდეგ, ქვეყნის მეთაურის მოვალეობას პარლამენტის სპიკერი შეასრულებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი მართვის ბერკეტებს ყველაზე დაძაბულ, წინასაარჩევნო პერიოდში დაკარგავს. თანაც, არც ისაა გამორიცხული, რომ ოკეანისგაღმელი პარტნიორები ფსონს ალტერნატიულ კანდიდატზე ჩამოვიდნენ: აქაოდა, თუ სააკაშვილი ყოველივე მომხდარის შემდეგ, ხალხის ნდობის მანდატს მაინც მიიღებს, ღმერთმა შეარგოს, თუ არა და — სხვას ვიპოვითო...

სკეპტიკოსები დარწმუნებულნი არიან, რომ სააკაშვილმა საერთო-სახალხო ლიდერის როლი დაკარგა. თანამემამულეებს შეპირებული ოქროს მთების ლოდინი მოჰბეზრდათ. ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსების ერთ ხელში კონცენტრირებით უკმაყოფილო თანამებრძოლთა წრე გაიხლიჩა. დასავლეთს კი, რომელსაც, სხვა ყველაფერთან ერთად, საკუთარი დემოკრატიული ფასეულობების დისკრედიტაციისაც ეშინია, უწინდელ ფავორიტზე გული გაუტყდა.

ვისია ეს ხელი?

ასეა თუ ისე, აშშ საქართველოში მაინც წაუგებელ ლატარიას თამაშობს: ოპოზიციის ყველა ლიდერი წარმოშობით, „ვარდების რევოლუციიდანაა" და სააკაშვილის მსგავსად, პროდასავლურ პოზიციებზე დგას. ისინი სამიტინგო ლოზუნგებს ძირითადად, ინგლისურად წერენ და ნატოსა და ევროკავშირისკენ მიისწაფვიან. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს სააკაშვილის ოპონენტები რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაზე ალაპარაკდნენ, მოსკოვის მიმართ ლოიალობაში მათგან მაინც არავინაა შეჩნეული. ამ ფონზე, საქართველოს ლიდერის ბრალდება — თბილისური უწესრიგობების მიღმა რუსეთი დგასო, ვაშინგტონისა და თანამემამულეთა კეთილგანწყობილების დაბრუნების არცთუ მოხერხებული ცდაა. ხოლო დიპლომატების ორმხრივი გაძევების თანხლებით აგორებული მორიგი ჯაშუშური სკანდალი სულაც, სპექტაკლს ჰგავს. ამის დადასტურებად, თუნდაც ის ბრალდება იკმარებს, რომლის მიხედვითაც, ოპოზიცია, მოსკოვის მიერ საერთაშორისო ძებნილად გამოცხადებული და ბორის ბერეზოვსკის ძველი საქმიანი პარტნიორის — ბადრი პატარკაციშვილის ფულით აპირებს სააკაშვილის დამხობას. ამერიკელი მედიამაგნატის, რუპერტ მერდოკის კომპანიამ პატარკაციშვილთან ერთნლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც, მისი კუთვნილი ტელეკომპანია „იმედის" საკონ-

ტროლო პაკეტი მართვის უფლებით, News Corp-ს გადაეცა. „იმედის“ მაუწყებლობის ძალისმიერმა შეწყვეტამ გრანდიოზული სკანდალი გამოიწვია. მერდოკის გავლენა სააკაშვილის პოლიტიკური კარიერისთვის ჯვრის დასასმელად შეიძლება, სავსებით საკმარისი აღმოჩნდეს.

პირობებიც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ვითომდა, ახლა განიხილება

მაგრამ აი, „მოსკოვის ხელი“ კი, რომელზე მსჯელობაც თბილისში აგრერიგად უყვართ, ამ მოვლენებში მაინც არსად ჩანს. თუმცაღა, საქართველოს მეზობლების პოლიტიკურ ცხოვრებაში რუსეთის აქტიური მონაწილეობა სავსებით გამართლებული იქნებოდა. მაშ, რატომ იკავებს თავს მოსკოვი, საკუთარი ინტერესების ზონაში აქტიური მოქმედებისგან?.. საქმე ისაა, თუ ვინ რას გულისხმობს ამ ინტერესებში? „იტოგის“ ინფორმაციით, კრემლში ოდნავადაც კი არავის აცდუნებს იმის შესაძლებლობა, რომ ოდესმე თბილისი ამიერკავკასიაში რუსეთის საიმედო მოკავშირედ გადაიქცევა. მით უფრო, რომ რუსეთს ასეთ მოკავშირედ იქ უკვე ჰყავს სომხეთი, სადაც რუსული ბიზნესიც საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს და რუსული სამხედრო ბაზებიცაა განლაგებული. საქართველოსგან მოსკოვი, პრინციპში, მხოლოდ რეგიონში სტატუს კვოს შენარჩუნებაზე დათანხმებასა და აზერბაიჯანის მსგავს საგარეო-პოლიტიკურ ქცევას ითხოვს: ბაქო რუსეთის მეგობარი როდია, მაგრამ არც დაუძინებელი მტერი გახლავთ. სერიოზული წინააღმდეგობების არსებობის მიუხედავად, მხარეები ეფექტურად თანამშრომლობენ ყველა იმ სფეროში (მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლაში), სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს ობიექტურად ემთხვევა. არადა, აზერბაიჯანს, ისევე, როგორც საქართველოს, რუსეთთან საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიები აქვს — მოსკოვს, ყარაბაღის სომხურ ანექსიაშიც კი ადანაშაულებს.

ასე რომ, რუსულ-ქართულ ტანდემში არსებული დაძაბულობა უფრო ემოციურ ხასიათს ატარებს ანუ, როგორც იტყვიან, „такую неприязнь испытываю к потерпевшему, что...“ (ციტატა ფილმიდან „მიმინო“). საომრად განწყობილი და მოუხელთებელი სააკაშვილის პოლიტიკური არენიდან წასვლა და თუნდაც ასეთივე, პროდასავლურად განწყობილი, მაგრამ უფრო ადეკვატური პოლიტიკოსის მოსვლა რუსეთს სავსებით აძლევს ხელს.

ექსპერტთა წრეებში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ ერთგვარ Great Deal-ზე („დიდ გარიგებაზე“), რომლის პირობებიც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ვითომდა, ახლა განიხილება. ორი სუპერსახელმწიფოს ურთიერთობაში „განხეთქილების ვაშლების“ კრიტიკული მასა დაგროვდა: ლაპარაკია მწვავე პრობლემების — ევროპაში ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის, ენერგომატარებლების ხელმისაწვდომობის საკითხებზე და, რასაკვირველია — კოსოვოზე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. არაა გამორიცხული, რომ სააკაშვილის ხვედრი, ისევე, როგორც საქართველოს ავტონომიების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების ბედიც, სწორედ ამ „პაკეტის“ ფარგლებში გადაწყდეს.

Итоги (რუსეთი). ■

პროტესტები საქართველოს გენერალური დირექტორის წინააღმდეგ

2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამჟამად ისეთი საქმეებითაა დაკავებული, ცოტა ვინმეს რომ შეშურდება. იმ ამოცანების გრძელი სია, რომელთა გადაწყვეტაც მას ყოველდღიურად უწევს, ყველა საზომით წარუმატებელ სახელმწიფოდ აღიარებულ ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობას, რუსეთის მიერ მხარდაჭერილ ორ განდგომილ რეგიონზე კონტროლის აღდგენას, ეკონომიკის მოსკოვური სავაჭრო ემბარგოსგან ხსნასა და ნატოსა და დასავლეთისკენ ქვეყნის ორიენტირებას მოიცავს. ამ ყველაფერთან ერთად, ის მსოფლიოში ყველაზე რადიკალური ეკონომიკური რეფორმირების ექსპერიმენტსაც ატარებს.

გასულ კვირაში სააკაშვილის მთელ ამ ჟონგლიორობას ბოლო მოეღო. ქვეყნის დედაქალაქ თბილისში ათეულობით ოპოზიციური პარტიის მიერ ორგანიზებული ექვსდღიანი პროტესტის შემდეგ, 70000 დემონსტრანტსა და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ პოლიციას შორის, ბრძოლები გაჩაღდა...

როცა კოლუმბიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, 39 წლის მიხეილ სააკაშვილი 2004 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა, კავკასიაში მდებარე ეს ყოფილი საბჭოთა მინისახელმწიფო, მრავალწლიანი ავტოკრატიისა და სამოქალაქო ომების შემდგომ კორუფციისა და დამნაშავეობის ჭაობში იყო ჩაფლული. სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დანგრევის გამო ქვეყანას უამრავი ადამიანი ტოვებდა. მექრთამეობასთან, დანაშაულთან და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სიტუაციის მეტისმეტ რეგულირებასთან ბრძოლის წამომწყები, ახალი ხელისუფლება ზოგ შემთხვევაში, უკიდურესობამდე მიდიოდა. რეფორმებმა, ბუნებრივია, მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. 70000 დემონსტრანტიდან ბევრი, ქვეყნის სოფლებიდან იყო ჩამოსული, სადაც სამუშაო ადგილები ჯერ არ შექმნილა, ყოველდღიური მოხმარების ნაწარმის ფასები კი გამუდმებით იზრდება. მაგრამ ეს პროტესტი „ვარდების რევოლუციის“ მეორე სერია არ ყოფილა. ქართველი ახალგაზრდობისა და საშუალო კლასის წარმომადგენელთა ძირითადი მასა, რომლებმაც რეფორმებით, მთლიანობაში, მოიგო, დემონსტრაციების მიღმა დარჩა.

სააკაშვილის კაბინეტში შემავალი, სრული ლიბერალიზაციის მგზნებარე მომხრეებისთვის, მეტისმეტად რადიკალური რეფორმები უცხო ცნებაა. „როცა სახელმწიფო წვრილმანი მეურვეობითაა დაკავებული, ამას უეჭველად, დისფუნქციასა და კორუფციამდე მივყავართ“, — აცხადებს რეფორმების მინისტრი კახა ბენდუქიძე. ყველა პროტესტის მიუხედავად, უცხოელი დამკვირვებლების აზრით, პრივატიზაცია საოცრად გამჭვირვალედ და ჭკვიანურად ჩატარდა. მაგალითად, წელს მთავრობამ ქვეყნის საავადმყოფოები აუქციონით მხოლოდ მის იმ მონაწილეებს მიჰყიდა, რომლებმაც ყოველ შეძენილ საავადმყოფოზე დამატებით, ერთი ახლის აშენებაც ივალდებულეს. ეკონომიკური ზრდა წელს დამაჯერებელ 14%-ს, ხოლო უცხოური ინვესტიციების ყოველწლიური მოცულობა მთელი მსოფლიოსთვის რეკორდულ მაჩვენებელს — ერთიანი ეროვნული პროდუქტის 25%-ს შეადგენს. მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად, ბიზნესსაქმიანობის სიიოლის მიხედვით, საქართველომ მყისიერად გაუსწრო კორეას, საფრანგეთსა და გერმანიას და 178 ქვეყნის სიაში, 2005 წელს დაკავებული 112-ე ადგილიდან, 2007-ში მეთვრამეტეზე გადაინაცვლა. ეს მსოფლიო ბანკის მიერ მოყვანილ მაჩვენებლებს შორის ყველაზე შთამბეჭდავი წინსვლაა.

იმას, შეძლებს თუ არა სააკაშვილი, არჩეული გზის გაგრძელებას, არა მარტო თვით საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არსებითი შედეგები მოჰყვება. პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო დასავლეთის ერთ-ერთი უიშვიათესი დემოკრატიული ფორპოსტია რეგიონში, სადაც რუსეთი, ირანი და ცენტრალური აზიის დიქტატურები დომინირებენ. რაც შეეხება ეკონომიკას, — ქართული რეფორმის წარმატებები სხვა განვითარებადი ქვეყნებისთვის ნამდვილ ეტალონად იქცა. სტრატეგიის თვალსაზრისით კი, საქართველოს შავი ზღვის პორტები და ახალი გაზსადენები, რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით, ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის ექსპორტირების ერთადერთ გზას წარმოადგენს. თუ ქართულ ექსპერიმენტს კრახი დაემუქრება, ეს მარტო ქართველებისთვის კი არა, მთელი რეგიონისთვისაც მარცხის მომასწავებელი იქნება.

Newsweek (აშშ), 12 ნოემბერი. ■

გერმანელებმა „ფერარი“ გააძლიერეს



გერმანულმა ტიუნინგ-კომპანიამ — Edo Competition — შეიმუშავა მოწყობილობის საკუთარი პროგრამა, რომელიც 620 ცხ.ძ. სიმძლავრის Ferrari 599 GTB Fiorano-ს კიდევ უფრო გააძლიერებს. სპეციალისტებმა ექვსცილინდრიანი V12 ტიპის ბენზინის ძრავათი აღჭურვილი ავტომობილისათვის მოტორის დამატებითი მოწყობილობის ორი ვარიანტი შეიმუშავეს, რომელთაგან პირველი ძრავას მართვის პროგრამის ცვლილებას, აგრეთვე, ახალი შემშვები და გამშვები სისტემის დაყენებასაც ითვალისწინებს. ამის წყალობით კი, მოტორის სიმძლავრე 650 ცხ.ძ-მდე გაიზრდება; ტიუნინგის მეორე ვარიანტი სტანდარტული მოტორის 6,3-ლიტრიანი, 750 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავათი (ისეთით, როგორიც სარბოლო Ferrari FXX-ს უყენია) შეცვლას ითვალისწინებს. ჯერჯერობით, Ferrari 599 GTB Fiorano-ს დინამიკური მაჩვენებლების შესახებ არაფერია ცნობილი. მოტორის ცვლილების გარდა, ახალ სპორტ-პაკეტში, „პირელლის“-საბურავებიანი, შავი ფერის 20-დუიმიანი ბორბლების დისკები (ზომებით 245/35 წინა ხიდზე და 305/35 უკანა ხიდზე) და საფირმო სპორტული გამომშვები სისტემაც შედის, რომელიც სალონში დამონტაჟებული ღილაკის მეშვეობით, გამონაბოლქვის ხმის ცვლილების შესაძლებლობას იძლევა. ■

სამი დღე საჭვირთოს კაბინაში

15 მ სიგრძის საჭვირთო ავტომობილის ჩეხმა მძღოლმა, იური ოდენაიმ დიდ ბრიტანეთში ყოფნისას, სამი დღე-ღამე მანქანის კაბინაში გაატარა. The Times იუწყება, რომ ის ცუდად იცნობდა იმ ტერიტორიას, სადაც იმყოფებოდა და სანავიგაციო სისტემის მიხედვით მოქმედებდა. ამის შედეგად, ოდენაის მანქანა მომცრო ქალაქ Ivybridge-ს ვიწრო ქუჩის მოსახვევში გაიჩხირა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩეხ მძღოლს გზის შემცირების მიზნით, ზოგიერთი ძირითადი მაგისტრალის შემოვლა უცდია და ვიდრე ნავიგაციის სისტემას სრულად მიენდობოდა, ადგილობრივთათვის გზის შესახებ შეკითხვებიც დაუსვამს. სამწუხაროდ, მძღოლი ინგლისურად ძალიან ცუდად ლაპარაკობდა და ამიტომაც, ბოლოს მთლიანად სანავიგაციო სისტემას მიენდო. რამდენიმე დღის განმავლობაში, ოდენაი ვიწრო ქუჩიდან გაღწევას თავად ცდილობდა, რადგან მისი სატვირთოს მფლობელმა კომპანიამ ძვირად ღირებული „საშველი ოპერაციის“ ჩატარებაზე უარი განაცხადა. სამი დღის შემდეგ, მანქანა ერთ-ერთი ადგილობრივის ტრაქტორით გაიყვანეს. ადგილობრივებმა The Times-ს განუცხადეს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც დიდი ტვირთით მოძრავი ტრანსპორტის მძღოლს მათი ქალაქის ქუჩებიდან გაღწევა გაუჭირდა. ■

ამერიკელებს ბიომეტრიული სისტემის არ სჯერათ

მალე, ჩიკაგოში არსებულ Shell-ის ავტოგასამართ სადგურებში მძღოლებს საწვავის ფასის გადახდა საკუთარი თითის ანაბეჭდებით შეეძლებათ, რომელსაც სპეციალური ელექტრონული სკანერი აღრიცხავს. CNN Money-ის ცნობით, ასეთი ბიომეტრიული სისტემა, რომელსაც Pay By Touch ეწოდა, მყიდველის ამოცნობის შემდეგ, მის საბანკო ანგარიშს შეამოწმებს და საწვავის თანხას ჩამოაჭრის. Shell-ის წარმომადგენელთა თქმით, იმისთვის, რათა მომხმარებელმა მხოლოდ თითის ანაბეჭდების მეშვეობით გადაიხადოს შეძენილი საწვავის შესაბამისი თანხა, მძღოლისთვის აუცილებელია ერთ-ერთ A3C კომპანიაში პასპორტი ან მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა წარადგინოს, საკუთარი ანგარიშის ნომერი მიუთითოს და სკანერის საშუალებით, სპეციალურ მონაცემთა ბაზაში საკუთარი თითის ანაბეჭდები დააფიქსიროს. ამჟამად, აშშ-ში, კერძოდ კი ჩიკაგოს ზოგიერთ სუპერმარკეტში გადახდის ანალოგიური სისტემა აქტიურად გამოიყენება. თუმცა, ამ სისტემით, აღნიშნული მაღაზიების კლიენტთა მხოლოდ 2% სარგებლობს. Pay By Touch-სისტემით აღჭურვილი ერთ-ერთი ამერიკული სავაჭრო ქსელის წარმომადგენელთა თქმით, ჯერჯერობით, ხალხი თანხის გადახდის ამგვარ მეთოდს არ ენდობა, ზოგიერთი კი შიშობს, რომ მას, თითის ანაბეჭდების საშუალებით, გამოძიების ფედერალური ბიურო ადვილად იპოვის. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი“

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

გაგასიათებთ თუ არა ეგზალტირებული საქციელი?

შეამოწმეთ საკუთარი თავი: ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებებს უნდა უპასუხოთ „დიახ“ ან „არა“.

1. პრინციპში, ვინმეთი ან რაიმეთი აღტაცება-აღფრთოვანების უნარით დაჯილდოებული ხარ.

2. ხდება ისეც, რომ მთელი შენი არსება ბედნიერების გრძნობითაა განმსჭვალული.

3. იმედგაცრუების ჟამს, სრული საოწარკვეთილება გეუფლება.

4. შეგიძლია, საკუთარ თავზე თქვა: „სიგიჟემდე შემიძლია ვინმეს შეყვარება, მაგრამ უსაზღვრო სიძულვილიც ძალმიძს“.

5. ზოგიერთი ცხოველის მიმართ განსაკუთრებულად სათუთი დამოკიდებულებით გამოირჩევი. მის დანახვაზე საოიამოვნო მღელვარება გეუფლება და სინაზით გითრთოლდება გული.

6. ვერ იტან გარკვეული ტიპის ადამიანებს (მამაკაცებს, ქალებს, ხელმძღვანელებს).

7. ამა თუ იმ ადამიანში მოულოდნელად შემჩნეულმა დეტალმა შესაძლოა, სრულიად შეგიცვალოს მასზე წარმოდგენა.

8. რომელიმე ნიჭიერი შემოქმედის ნაღვაწი სულით ხორცამდე გძრავს და აღგაფრთოვანებს.

9. ტრაგიკული ფილმისა თუ სპექტაკლის ნახვისას ან რომანის კითხვისას, შესაძლოა, ისე აგიჩუყდეს გული, რომ ცრემლიც კი აფრქვიო.

10. შენს გარემოცვაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც თვალის დასანახავადაც ვერ იტან.

11. დარწმუნებული ხარ, რომ ირგვლივ მყოფ ადამიანთა უმეტესობა ვერ შეგედრება და მათზე აღმატებულად მიიჩნევ თავს.

12. ხშირ შემთხვევაში, ირგვლივ მყოფი ადამიანების უმეტესობისგან განსხვავებული შეხედულება გაქვს — როგორც წესი, განსხვავებულ აზრს, შეფასებასა თუ გემოვნებას ავლენ.



დაანგარიშე ქულები:

ყოველ დადებით პასუხში დაიწერე 1 ქულა, უარყოფითში — 0.

ტესტის შედეგები

1-4 ქულა: ეგზალტირებულობით, როგორც ემოციური სტერეოტიპით, არ გამოირჩევი.

5-9 ქულა: ეგზალტირებულობის ტენდენცია შეგენიშნება.

10-12 ქულა: აშკარაა მკვეთრად გამოხატული ეგზალტირებულობა.

გაითვალისწინეთ! ქულათა ძალზე მაღალი მაჩვენებელი პიროვნების მიერ ემოციური უკიდურესობების გამოვლინებაზე მიუთითებს. ეგზალტირებული პერსონები ფაქტებზე, მოვლენებსა თუ ვინმეს საქციელზე მეტისმეტად დაუფარავად გაზვიადებულად და შეიძლება ითქვას, გროტესკულადაც კი რეაგირებენ. ზომიერების შეგრძნება ნაკლებად აქვთ და ვერც იმას ამჩნევენ, თუ როგორ აღიქვამენ იმავე მოვლენებს ირგვლივ მყოფები. ვინმეს ან რაიმის თაობაზე საკმაოდ სადავო აზრსაც კი ზოგჯერ ისეთი კატეგორიული ფორმით გამოხატავენ, რომ პრაქტიკულად გამორიცხავენ ყოველგვარი ეჭვის არსებობა. ისინი ვერ იტანენ შეკამათებას და მოკლებულნი არიან საკუთარი მკვეთრი პოზიციის შერბილების უნარს; ამასთანავე, არასოდეს მიდიან კომპრომისზე.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	5	9	8	2	4	6	3	7
7	4	3	6	5	9	1	8	2
8	2	6	3	7	1	5	9	4
6	7	2	1	9	5	8	4	3
5	9	1	4	8	3	7	2	6
3	8	4	2	6	7	9	1	5
9	3	5	7	4	8	2	6	1
2	1	8	5	3	6	4	7	9
4	6	7	9	1	2	3	5	8

6	1	2	3	9	7	5	4	8
4	5	7	8	2	6	3	9	1
8	3	9	4	5	1	2	6	7
3	2	4	6	1	8	7	5	9
7	8	6	9	4	5	1	2	3
5	9	1	2	7	3	4	8	6
2	6	8	7	3	4	9	1	5
1	4	3	5	6	9	8	7	2
9	7	5	1	8	2	6	3	4

5	4	7	2	9	1	8	3	6
2	3	1	8	7	6	9	4	5
6	8	9	5	3	4	7	2	1
4	9	6	3	1	8	5	7	2
1	5	3	9	2	7	6	8	4
8	7	2	6	4	5	3	1	9
9	6	4	7	8	2	1	5	3
3	1	8	4	5	9	2	6	7
7	2	5	1	6	3	4	9	8

* მარტივი

		4			5		6	
9			3				5	1
7			6					3
		9		1	6		4	
	2		4				8	
	4		7			5		
5					7			8
4	1				8			5
	8		9			6		

** საშუალო

5				9		2		8
	9			7			3	
		6	2				7	
	3			8		5		
		5	1	2		7		
		1	5				4	
	2				5	1		
	7			1			5	
1		3		6				2

*** რთული

					7		3	
4					2	9		
8				9				5
2					5	7		
		1			3	4		
		7	4		6			9
9				6				2
		8	7					1
	3		5					



1 პირადობის დამადასტურებელი საბუთი
2 მატიანე
3 ერთგვარი შავი ლუდი
4 თეზსაჭერი გემი
5 სამეცნიერო ცეკვა
6 არგენტინული ცეკვა
7 სამგიდო თამაში
8 ფულის ერთეული კანადაში
9 შვედური ავტომობილი
10 მსოფლიოს პირველი ჩოგანი
11 პატარა მდინარე
12 თუთიყუშის სახეობა
13 საგაზეთო უმორალული მოთხრობა
14 თოფის სამიზნე
15 ამერიკის შტატი
16 საიზოლაციო მასალა
17 პროფესიონალი მხედარი
18 იტალიური ავტომობილი
19 ერთგვარი ფარდა
20 ქართული რაგბი
21 მომკალი თავთავის კონა
22 საზიდარი
23 იაპონური ბრინჯის არაყი
24 ხისძირიანი ფეხსაცმელი
25 ფრანგი მწერალი
26 თვალის ფარდი გარსი
27 კეთილ ერთერთი ტრადიციული ფენომენი
28 ნიანგის სახეობა
29 ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი
30 კომპოზიტორი ენიო ...
31 კრავი
32 კოსმოსური ხომალდი
33 ვენესუელის დედაქალაქი
34 შეუწყვეტ ან მოუხარშავი
35 ტალღი კონტინენტი
36 ტელეგრამა
37 ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი
38 მუსლიმთა სასულიერო სასწავლებელი
39 ქვეყანა აფრიკაში
40 ყვავილი
41 სპორტიანი სამფლი
42 ფულის ერთეული ბულგარეთში
43 აშშ-ის სატელევიზიო პრემია
44 აჩქარებული და მძიმე სუნთქვა

ფიფა ნიკარის სკანვორდის პასუხები

1. ქლოროფილი; 2. კოვბოი; 3. ფავორიტი; 4. ფილა; 5. იდილია; 6. თებერვალი; 7. რკო; 8. მოდა; 9. სულელი; 10. იკარუსი; 11. ბარათი; 12. კაკაო; 13. კიტრი; 14. სტილეტი; 15. ბიზე; 16. სოფელი; 17. ირისი; 18. ძალა; 19. გავიალი; 20. ბზა; 21. ამანი; 22. მიჩიგანი; 23. ძეფირელი; 24. რია; 25. ჯაფა; 26. ხმალი; 27. აზიატი; 28. ფერია; 29. ლელა; 30. იასამანი; 31. დათვი; 32. სინოდი; 33. ღიპი; 34. ჩირი; 35. სინა; 36. არვე; 37. რენე; 38. გალა; 39. სააბი; 40. იმპერია; 41. სენეკა; 42. კარაკალი.

სურათზე: ქეთა თოფურია; დათო ხუჯაძე.

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(15 - 21 ნოემბერი)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ამ კვირაში პასუხისმგებლობის გრძნობის, ოპტიმიზმისა და თავდაჯერებულობის წყალობით, ავტორიტეტს ადვილად მოიპოვებთ. ოჯახის წევრები თქვენს წარმატებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ და უქმე დღეებსაც მათთან ერთად, მყუდრო გარემოში გაატარებთ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

მოგეძალებათ სურვილი, დრო სასიამოვნოდ გაატაროთ. კარგი იქნება, თუ საქმიან შეხვედრებს მომავლისთვის გადადებთ და შეეცდებით, ეს პერიოდი საყვარელ ადამიანს დაუთმოთ. არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში ოჯახის შექმნაზე იზრუნოთ.

ᲢᲧᲣᲘ 21.05-21.06

სასურველია, ეს პერიოდი შემოქმედებით საქმიანობას დაუთმოთ. შეიძლება, სხვადასხვა პარტნიორისგან ერთდროულად რამდენიმე მომგებიანი შემოთავაზება მიიღოთ. უპირატესობა მიანიჭეთ იმას, რომელიც შედარებით მოკლევადიან დაბანდებას მოგთხოვთ.

ᲙᲘᲜᲝ 22.06-22.07

მიზნების მისაღწევად საკუთარი გრძნობების დაფარვა მოგიწევთ, რაც გარშემო მყოფების აღშფოთების მიზეზი გახდები. ამ დღეებში ოჯახის წევრებისა და პარტნიორების თანადგომა დაგჭირდებათ.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ეს პერიოდი ოჯახური პრობლემების მოგვარებას დაუთმეთ. კარიერაში წარმატებას დიდი ძალისხმევის გარეშე მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ ზედმეტი ხარჯებისგან თავს შეიკავებთ და მატერიალურ დახმარებას გაუწევთ იმ პირებს, ვინც თქვენს კეთილგანწყობილებას იმსახურებს.

ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ამ დღეებში დიდი პასუხისმგებლობით მიუდგებით საქმეებს. დამოუკიდებლად შეეცდებით, მიუახლოვდეთ დასახულ მიზანს. თუ საკუთარ შესაძლებლობებს მოხერხებულად გამოიყენებთ, ადვილად მიიპყრობთ საზოგადოებისა და საქმიანი პარტნიორების ყურადღებას.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

ამ პერიოდში გაიცნობთ პიროვნებას, რომელიც მფარველობას გაგიწევთ და ოპტიმიზმით აგავსებთ. მაგრამ გაითვალისწინეთ, ერთი მცდარი ნაბიჯის გამო, შეიძლება დაკარგოთ ის, რისთვისაც წლების განმავლობაში იღვწოდით. უქმე დღეები მეგობრებს დაუთმეთ.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

პროფესიულ ასპარეზზე ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება არ ღირს. ნუ დათანხმდებით თავბრუდამხვევ შემოთავაზებებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი განხორციელება სავსებით შესაძლებელი მოგეჩვენებათ. შესაძლოა, წარმატების მიღწევაში გამოცდილი, ასაკოვანი ადამიანი დაგეხმაროთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

თუ თქვენი საქმიანობა ხელოვნებასთანაა დაკავშირებული, წარმატება გარდაუვალია. ამ დღეებში შეგიძლიათ, თამამად მიმართოთ სხვადასხვა ძალოვან უწყებას და მათ საკუთარი უფლებების დაცვა მოსთხოვოთ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲫᲐ 22.12-20.01

სრულიად მოულოდნელად შეცვლით საკუთარ გეგმებსა და მათი განხორციელების ხერხებს. მოგეძალებათ სურვილი, შეცვალოთ მოღვაწეობის სფერო. ამ დღეებში მაღალია ქურდობისა და მატერიალური დანაკარგების ალბათობა.

ᲕᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

ხელსაყრელი პერიოდია ახალი კავშირების დასამყარებლად და ხელშეკრულებების დასადებად. საჯარო გამოსვლები თქვენს ავტორიტეტს განამტკიცებს. გირჩევთ, ამ დღეებში ყურადღება ოჯახის წევრებსაც დაუთმოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სამართლიან გულისწყრომას დაიმსახურებთ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗᲘ 20.02-20.03

ეს პერიოდი ხელსაყრელია სასიყვარულო ურთიერთობისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის. თამამად შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა კონკურსებში, ითამაშოთ ლატარია და ა.შ. კვირის ბოლოსთვის თქვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.



ამსტერდამში „წითელ ფარნებს“ „აქრობენ“

ჰოლანდიის დედაქალაქში წითელი ფარნების კვარტალში მდებარე საროსკიპოების მესამედს დახურვა ემუქრება. როგორც „თავისუფალი ქალაქის“ მერიაში განმარტავენ, მიუხედავად იმისა, რომ იქ პროსტიტუცია ლეგალიზებულია, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში „სექსუალური მომსახურების შემოთავაზების ზედმეტი სიჭარბეა, რაც კრიმინალს, კერძოდ კი — ადამიანებით ვაჭრობასა და სექსუალურ ექსპლუატაციას უწყობს ხელს“. ქალაქის მერიამ 18 ამგვარი სახლის მფლობელთან გარიგება უკვე დადო. უძრავ ქონებას ხელისუფლება 25 მლნ ევროდ გამოისყიდის, შემდეგ კი, შენობებში მაღაზიები გაიხსნება ან ისინი კერძო საბინაო ფონდს გადაეცემა.

100 წელი — ერთ სახლში

ინგლისში, სომერსეტის საგრაფოში მცხოვრებმა ქალბატონმა 100 წლის იუბილე იმ სახლში იზეიმა, სადაც ის დაიბადა და მთელი ცხოვრება გაატარა. 1907 წელს, როდესაც დოროთი ლავლესი ქვეყანას მოევლინა, მისი მშობლიური სახლი მხოლოდ 3 ოთახისგან შედგებოდა, მაშინ არც სააბაზანო ოთახი ჰქონდა, არც ელექტრო და წყალგაყვანილობა. დოროთის სახლში სააბაზანო ოთახი 1960-იან წლებში გაჩნდა, ცენტრალური გათბობა კი მხოლოდ 10 წლის წინ გაიყვანეს. სხვა მხრივ, სახლი თითქმის ისეთივე დარჩა, როგორიც 100 წლის წინ იყო. ლავლესმა ამ სახლში 2 მსოფლიო ომი გადაიტანა, დაობლდა და ძმებიც დაეღუპა, მაგრამ შინაბერა ქალბატონი (დოროთი ლავლესი გათხოვილი არ ყოფილა) სხვაგან გადაბარგებას არ აპირებს. დოროთის მშობლებმა სახლი 1901 წელს შეიძინეს, როდესაც ოჯახის უფროსმა მწყემსობას მიჰყო ხელი. ოჯახში 4 ბავშვი იზრდებოდა, რომელთაგან ყველაზე უმცროსი დოროთი გახლდათ.

უძრავი ქონება, რომელსაც მემკვიდრეობა თან მოჰყვება...

პიტსბურგელმა ცოლ-ქმარმა — ბობ და რიკი ჰიუზიკებმა სახლის გაყიდვის უჩვეულო ხერხს მიმართეს. 1 წლის წინ მათ საკუთარი სახლი 399,9 ათას დოლარად შეაფასეს, მაგრამ იპოთეკური კრიზისის გამო, ამერიკაში უძრავი ქონების შეძენის მსურველთა რიცხვმა მნიშვნელოვნად იკლო. ჰოდა, სასოწარკვეთილმა ჰიუზიკებმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგეს — მათ სახლის მომავალ მფლობელებს მთელი ქონება უანდერძეს! ის კი 500.000 დოლარადაა შეფასებული. ამგვარად, ცოლ-ქმრის გარდაცვალების შემდეგ, სახლის მომავალი მფლობელი საკუთარ ფულს უკანვე დაიბრუნებს და 100.000 დოლარი მოგებაც დარჩება! დღეს უძრავი ქონების გასაყიდად, ამერიკელები ათასგვარ ხრიკს იგონებენ. უმრავლესობა, ჰიუზიკების მსგავსად რადიკალური არ გახლავთ, მაგრამ ორიგინალური იდეების ნაკლებობას სხვებიც არ უჩივიან. ზოგი, მინაში წმინდა იოსების ქანდაკებას მარხავს. მათ სჯერათ, რომ საოჯახო მეურნეობის მფარველი, წმინდა იოსები მყიდველის პოვნაში უეჭველად დაეხმარება.

სიმდიდრე — „ძონძებში“

ვის არ სმენია სახალისო ამბები იმის შესახებ, შემთხვევით, თუ როგორ გამდიდრდა მავანი, ძველმანების ბაზარზე შეძენილი ნივთით! როგორც ამბობენ, ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი, ანტიკვარი იყო — საკმარისია, იღბალი გქონდეს. სწორედ იღბლიანთა რიგს მიეკუთვნება გერმანელი სტუდენტი გოგონა ულრიკა, რომელმაც ბერლინის ძველმანების ბაზარზე 150 ევროდ დივანი შეიძინა და შეიძლება ითქვას, რომ „ჯეკპოტი“ მოიგო: როდესაც ნივთი შინ მიიტანა და გაშალა, საოცარი სიურპრიზი დახვდა: დივნის ძირში, ძონძებში გახვეული ფერწერული ტილო აღმოაჩინა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სურათი — „ეგვიპტეში გაქცევის სამზადისი“ — ვენეციელი მხატვრის, კარლო სარაცენის სახელოსნოს მხატვრის მიერ

1605-1620 წლებში იყო შექმნილი. ტილოს ბედნიერმა მფლობელმა ნახატი ჰამბურგის აუქციონზე გაიტანა და სურათი, რომლის საწყისი ფასი 7.000 ევრო იყო, საბოლოოდ, 19,2 ათას ევროდ გაიყიდა. აუქციონის შემდეგ, იღბლიანმა გოგონამ აღნიშნა, რომ ნაპოვნ ნივთში ამხელა თანხის აღების იმედი არ ჰქონდა. სწორედ ამაზეა ნათქვამი — ბედი მომეცი და... ძველმანების ბაზრობაზე გადამაგდეო!

ქვირფასი მკითხველებო!

თუ გსურთ, აქტიურად ჩაერთოთ თქვენი საყვარელი ჟურნალის განახლებაში — შემოგვთავაზოთ რაიმე იდეა, მოგვაწოდოთ ჭორ-მართალი საინტერესო ადამიანებზე, ოპერატიულად გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება „გზის“ პუბლიკაციებზე ან უბრალოდ, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ მესიჯი ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27 ან მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com

წინასწარ გიხდით მადლობას.

ფოტოკუთხეები

საბა SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

556/42

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელი — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 – დან
დანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში